

საქართველოს მეცნიერებათა აკადემია

9 / 2018

სამეცნიერო ჟურნალი

ლოგოსი

„უგალობდით ღმერთსა... მეცნიერებით“
(ფსალმ. 46, 6-8)

SCIENTIFIC MAGAZINE

LOGOS

'Sing praises to God...
With understanding'

(Psalm 47, 6-8)



LOGOS
SCIENTIFIC
MAGAZINE

სამეცნიერო ჟურნალი

ლოგოსი

„უგალობდით ღმერთსა... მეცნიერებით“
(ფსალმ. 46, 6-8)

SCIENTIFIC MAGAZINE

LOGOS

'Sing praises to God...
With understanding'

(Psalm 47, 6-8)

თბილისი 2018
Tbilisi

რედოლეგია: დავით მუსხელიშვილი (მთავარი რედაქტორი)
არქიმანდრიტი ადამი (ახალაძე)
დეკანოზი ჰენრიკ პაპროცკი (პოლონეთი)
ალესანდრო მარია ბრუნი (იტალია)
ელდარ ბუბულაშვილი
ალექსანდრე დაუშვილი
დევიდ ლანქშერი (დიდი ბრიტანეთი)
ნინო ჭავჭავაძე

Board of Editors: David Muskhelishvili (Chief Editor)
Archimandrite Adam (Akhaldze)
Archpriest Henryk Paprocki (Poland)
Alessandro Maria Bruni (Italy)
Eldar Bubulashvili
Alexander Daushvili
David Lankshear (the UK)
Nino Chavchavadze



საპარტოვლოს
მართლმადიდებელ ეკლესიასთან არსებული
ქრისტიანული კვლევის საერთაშორისო ცენტრი
INTERNATIONAL CENTRE FOR CHRISTIAN STUDIES
AT THE ORTHODOX CHURCH OF GEORGIA

გამოცემაზე მუშაობდნენ:

რედაქტორი და კორექტორი – ნინა გაბუნია

კოორდინატორი – ნინო ანანიაშვილი

მთარგმნელი – ელენე აბაშიძე

ტექნიკური რედაქტორები – ალექსანდრე დაუშვილი, თინათინ მხეიძე

კონცეპტ დიზაინი/დაკაბადონება – არჩილ თურმანიძე

Team working on the issue:

Editor and Corrector – Nina Gabunia

Coordinator – Nino Ananiashvili

Translator – Helen Abashidze

Technical Editors – Alexander Duashvili, Tinatin Mkheidze

Concept Design/Layout – Archil Turmanidze

წარმოდგენილი სტატიების
ავტორთა მოსაზრებები შეიძლება
ყოველთვის არ ემთხვეოდეს
რედაქციის პოზიციას.

Considerations of the represented
articles' authors can sometimes not
correspond to the position of
the Board of Editors.

UDC (უკ) 2-9+27-9ლ-769

ISSN 1987-6661

საერთაშორისო კონფერენცია „რელიგია და საზოგადოებრივი ცხოვრება“ მიეძღვნა საქართველოს სამოციქულო მართლმადიდებელი ეკლესიის თხუთმეტსაუკუნოვანი ავტოკეფალური მმართველობის აღდგენიდან 100 წელს, უწმინდესისა და უნეტარესის, სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის, მცხეთა-თბილისის მთავარეპისკოპოსის, ბიჭვინთისა და ცხუმ-აფხაზეთის მიტროპოლიტის ილია II-ის აღსაყდრებიდან 40 და დაბადებიდან 85 წლის იუბილეს.

წინათქმა

საქართველოს მთავრობამ და საპატრიარქომ 2018 წლის 12-13 თებერვალს თბილისში ჩაატარა საქართველოს მართლმადიდებელ ეკლესიაში შეჩერებული ავტოკეფალური მმართველობის აღდგენის 100 წლისთავთან დაკავშირებული სამეცნიერო კონფერენცია – „რელიგია და საზოგადოებრივი ცხოვრება“.

საქართველოს ეკლესია ავტოკეფალური V საუკუნეში გახდა, წმინდა მეფე ვახტანგ გორასალის ძალისხმევითა და მოღვაწეობით. საქართველოს ეკლესიის დამოუკიდებლობამ ანუ ავტოკეფალიამ დიდად შეუწყო ხელი ჩვენი ეროვნული იდენტობის განსაზღვრას და ძლიერი სახელმწიფოებრიობის ჩამოყალიბებას. XIX საუკუნის დასაწყისში რუსეთის მიერ გაუქმდა საქართველოს სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობა და შეჩერებულ იქნა საქართველოს ავტოკეფალური მმართველობა.

საქართველოს ეკლესია მუდამ იყო და დღემდე რჩება ჩვენი საზოგადოების კულტურული და ინტელექტუალური განვითარებისა და ქვეყნის დამოუკიდებლობის უმთავრეს საყრდენად. ამასთან ჩვენი თანამედროვეობის ერთ-ერთ სერიოზულ პრობლემას საკარულსა და პროფანულ სფეროებს შორის თანამშრომლობა და წონასწორობის შენარჩუნება წარმოადგენს. დისკუსიის დროს ამ საკითხებზეც იყო მსჯელობა.

კონფერენციაზე ამ თემისადმი მიძღვნილი სამეცნიერო დისკუსიის გაიმართა სამ სექციაში:

- I. რელიგია და მეცნიერება
- II. ეკლესია და სახელმწიფო
- III. რელიგიური წინამძღოლი და საზოგადოება

კონფერენციის მუშაობაში აქტიურად მონაწილეობდნენ საქართველოს მთავრობისა და საპატრიარქოს წარმომადგენლები, მეცნიერები გერმანიიდან, იტალიიდან, საქართველოდან.

ქვემოთ ვაქვეყნებთ სამეცნიერო კონფერენციაზე წარმოდგენილ მოხსენებათა ტექსტებს.

სარედაქციო კოლეგია

სარჩევი

საერთაშორისო კონფერენცია „რელიგია და საზოგადოებრივი ცხოვრება“

- 10 კონფერენციის გახსნა
მარიამ ჯაში — კონფერენციის მოდერატორი, საქართველოს პარლამენტის განათლების, მეცნიერებისა და კულტურის კომიტეტის თავმჯდომარე
გიორგი მარგველაშვილი — საქართველოს პრეზიდენტი
გიორგი კვირიკაშვილი — საქართველოს პრემიერ-მინისტრი
ირაკლი კობახიძე — პარლამენტის თავმჯდომარე
კათოლიკოს-პატრიარქის მოსაყდრე მიტროპოლიტი **შიო (მუჭირი)**
გიორგი კვესიტაძე — საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის პრეზიდენტი
ელმარ კუნი — ევროპის მეცნიერებისა და ხელოვნების აკადემია. მსოფლიო რელიგიების ჯგუფი.
ემანუელ გდოუტსი — ათენის აკადემია
ენულა მადათლი — აზერბაიჯანის მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის ფილოსოფიის ინსტიტუტი.

პლენარული სხდომა

- 22 საქართველოს სამოციქულო მართლმადიდებელი ეკლესიის ავტოკეფალიის აღდგენის ასი წლისთავი
როინ მეტრეველი — საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ვიცე-პრეზიდენტი
28 ჭეშმარიტი და ფსევდოსეკულარიზმი
ჭიათურისა და საჩხერის მიტროპოლიტი **დანიელი (დათუაშვილი)**

რელიგია და მეცნიერება

- 34 მსოფლმხედველობის სტრუქტურული მრავალგანზომილებიანობა: ფილოსოფიური, მეცნიერული, რელიგიური, ემპირიული და მხატვრული კომპონენტები
არქიმანდრიტი **ადამი (ახალაძე)**, მედიცინის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი
39 მეცნიერება და შუა საუკუნეების დასავლეთის ქრისტიანული ეკლესია
თეიმურაზ ბუაძე — თეოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი
44 ლიბერალური თეოლოგიის ძირითადი წანამძღვრები
დანიელ ფონ ვახთერი (ლიხტენშტაინი) — ფილოსოფიის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი
49 რელიგიურ და სეკულარულ დისკურსთა თანაარსებობის მოდელი — წმინდა ანთიმოზ ივერიელი
ანასტასია ზაქარიაძე — ფილოსოფიის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი
56 საღვთისმეტყველო და საერო საგანთა თავსებადობის პრობლემა ბერძნულ-ალექსანდრიულ ქრისტიანულ სკოლაში
ავთანდილ ასათიანი — პედაგოგიკის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი


- 61 იეროფანიების ფენომენის გაგებისათვის
ირაკლი ბრაჭული — ფილოსოფიის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი

ეკლესია და სახელმწიფო

- 68 საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალიის აღდგენის კანონიკური საფუძვლები
ელდარ ბუბულაშვილი — ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი
- 77 ბრძოლა საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალიის ცნობისა და აღიარებისათვის — XX ს.
თამარ მესხი — ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი
- 83 სვეტიცხოვლის ისტორიული მისია
მანანა გაბაშვილი — ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი
- 90 ქართული და უცხოური წერილობითი წყაროები საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალიის შესახებ V–XII საუკუნეებში
ლევან ტყემელაშვილი — ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი
- 95 საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალიის აღდგენა და ქართული საზოგადოებრივ-პოლიტიკური სინამდვილე
ოთარ ჯანელიძე — ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი

რელიგიური წინამძღოლი და საზოგადოება

- 102 სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის, მცხეთა-თბილისის მთავარეპისკოპოსისა და ბიჭვინთისა და ცხუმ-აფხაზეთის მიტროპოლიტის, უწმიდესი და უნეტარესი ილია მეორის მისიონერული მოღვაწეობა პატრიარქობის 40 წლის განმავლობაში
ახალქალაქისა და კუმურდოს მიტროპოლიტი **ნიკოლოზი (ფაჩუაშვილი)**
- 108 საღვთისმეტყველო განათლება საქართველოში კათოლიკოს-პატრიარქ ილია მეორის მოღვაწეობის პერიოდში
პროტოპრესვიტერი **გიორგი ზვიადაძე** — თეოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი
- 112 კათოლიკოსი ნიკოლოზ II (III) (1240–1280) (1250–1282)
დეკანოზი **იოსებ ზეთეიშვილი** (ლიტვა)
- 119 უწმიდესი და უნეტარესი სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი ილია II და მრავალკონფესიური მსოფლიო
სერგო ვარდოსანიძე — ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი
- 122 „მწყემსი კეთილი“ და ჭირვეული მრევლი
ალექსანდრე დაუშვილი — ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი



საერთაშორისო კონფერენცია „რელიგია
და საზოგადოებრივი ცხოვრება“

კონფერენციის გახსნა

მარიამ ჯაში

კონფერენციის მოდერატორი, საქართველოს პარლამენტის განათლების, მეცნიერებისა და კულტურის კომიტეტის თავმჯდომარე

ძვირფასო სტუმრებო, ქალბატონებო და ბატონებო, პატიოსანო მამანო, დღევანდელი დღის მნიშვნელობიდან გამომდინარე, ნება მომეცით, პირველ რიგში მივესალმო საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის, მისი უწმიდესობის ილია II-ის თანამოსაყდრეს, მეუფე შიოს, მივესალმო საქართველოს პრეზიდენტს ბატონ გიორგი მარგველაშვილს, საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარეს ბატონ ირაკლი კობახიძეს და საქართველოს პრემიერ-მინისტრს ბატონ გიორგი კვიციანიძეს.

დღეს ჩვენი ქვეყანა უაღრესად მნიშვნელოვან იუბილეს აღნიშნავს და მასპინძლობს საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენციას, რომელიც საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის ავტოკეფალიის აღდგენიდან 100 წლისთავს ეძღვნება.

წელს ჩვენი ქვეყანა, საქართველო, პირველი რესპუბლიკის საუკუნოვან იუბილეს და საქართველოს პირველი ეროვნული უნივერსიტეტის 100 წლისთავსაც აღნიშნავს. ამ სამი ისტორიული თარიღის თანხვედრა ხაზს უსვამს, რომ საქართველო ყოველთვის იღვწოდა ცოდნასა და მეცნიერებაზე დაფუძნებული სახელმწიფოს და სარწმუნოების მშენებლობისა და განმტკიცებისათვის. ჩვენთვის უაღრესად დიდი პატივია, რომ დღევანდელ კონფერენციას 12 ქვეყნის მეცნიერებათა აკადემიის, უნივერსიტეტებისა და საერთაშორისო ორგანიზაციების წარმომადგენლები ესწრებიან.

დღევანდელი კონფერენცია არის შესაძლებლობა, რომ გავაძლიეროთ საერთაშორისო თანამშრომლობა მეცნიერების კუთხით და, სწორედ აღნიშნულიდან გამომდინარე, მინდა განსაკუთრებული მადლობა გადავუხადო აქ დამსწრე სტუმრებს. ჩვენ ერთად ვიმსჯელებთ დღევანდელი წინააღმდეგობრივი სამყაროს გლობალური გამოწვევების ფონზე ჯანსაღი სეკულარიზმის მნიშვნელობისა და ასევე საზოგადოებრივ ცხოვრებაში რელიგიის მშვიდობისმყოფელი როლის შესახებ.

კიდევ ერთხელ მადლობას მოგახსენებთ მობრძანებისთვის. პატივი მაქვს მოსალმებისთვის მოვიწვიო საქართველოს პრეზიდენტი ბატონი გიორგი მარგველაშვილი.

გიორგი მარგველაშვილი

საქართველოს პრეზიდენტი

თქვენო მაღალუსამღვდელოესობავ, პატრიარქის მოსაყდრევ, მეუფე შიო, თქვენო აღმატებულებავ საქართველოს პრემიერ-მინისტრო ბატონო გიორგი და პარლამენტის თავმჯდომარევ ბატონო ირაკლი, პატივცემულო სტუმრებო, გულითადად მოგესალმებით დღევანდელ დღეს!

დღევანდელი დღე, დისკუსიის საგანი და თქვენი მუშაობის სულისკვეთება, ალბათ, მნიშვნელოვნად განპირობებულია იმ ადამიანით, რომელსაც ჩვენ ყველანი განსაკუთრებულ პატივს ვცემთ. როდესაც საზოგადოების, ეკლესიის, რელიგიური მიმდინარეობების, სახელმწიფოს ურთიერთობის შესახებ ვსაუბრობთ, არ შეიძლება არ აღვნიშნოთ, რომ, სწორედ საქართველოს კათოლიკოს-პატ-

რიარქმა, თავისი ცხოვრებითა და მოღვაწეობით, ურთულეს პერიოდში დიდად შეუწყობელი სახელმწიფოს, ეკლესიისა და საზოგადოების თანამშრომლობას, განსაზღვრა ამ თანამშრომლობის შინაარსი და მისი განხორციელების შესაძლებლობანი; ურთულეს პერიოდში, როდესაც ჩვენი საზოგადოებრივი სისტემები ინგრეოდა, როცა ეკონომიკა, დადგენილ ღირებულებათა სისტემა ირღვეოდა, სწორედ კათოლიკოს-პატრიარქი, ღვთის მადლით, გვერდით ედგა ერს და ცდილობდა აერიდებინა ურთულესი გამოწვევები და გვარიგებდა, როგორ დაგვეძლია ეს მძიმე ვითარება. შესაბამისად, ჩვენი დღევანდელი შეკრების სულისკვეთებაც მნიშვნელოვანწილად მისი ღვაწლით, მისი მოსაგრეობით არის განპირობებული, მაგრამ გადავხედოთ იმ რეალობას, რომლის წინაშეც ვდგავართ. მართლაც რთული გამოწვევების წინაშეა ყოველი ჩვენგანი, როგორც საზოგადოება მთლიანად, ასევე რელიგიური კონფესიები და სახელმწიფო. როცა გულწრფელად ვმსჯელობთ, ერთმანეთს ვუზიარებთ აზრს ჩვენი პრობლემების თაობაზე, ვხედავთ, რომ, თუმცა ყველას თავისი განვითარების გზა აქვს, სხვადასხვა საზოგადოებრივ ჯგუფებს, სხვადასხვა ეკლესიებს, ასევე სახელმწიფოს როგორც ასეთს, არის საკითხები, რომლებშიც ყველანი ვთახმდებით, არის საკითხები, რომლებიც ყოველი ჩვენგანის ზრუნვის საგანს წარმოადგენს. სწორედ ამ საკითხებზე მინდა მოგახსენოთ.

პირველ რიგში, ეს არის ჩვენს საზოგადოებაში არსებული აგრესიის მაღალი დონე, განსხვავებულის მიუღებლობა, მზაობა, რომ დათრგუნოს განსხვავებული, ხშირ შემთხვევაში გაანადგუროს კიდევ. საზოგადოების უმეტესობისთვის, ისევე, როგორც ეკლესიისთვის, სახელმწიფოსთვის მნიშვნელოვანია, რომ ჩვენი მოქალაქე ამ თვალსაზრისით არ იყოს ორიენტირებული აგრესიაზე და სხვის განადგურებაზე. ასევე მნიშვნელოვანია, რომ დაბნეული, ხშირად ღირებულებამოშლილი ჩვენი მოქალაქე არ იყოს უიმედოდ, არ იყოს ისეთ გარემოში, რომელშიც ხვალინდელი დღე უპერსპექტივო ჩანს, ხედავდეს თავისი

ყოფის, თავისი ცხოვრების ლოგიკურ მიზანს. რა თქმა უნდა, ეს არ არის დამოკიდებული მხოლოდ ეკონომიკურ თუ ყოფით პირობებზე, სულიერი უიმედობა ბევრად უფრო რთულია და, ბუნებრივია, ეკლესიაც, ძირითადად საზოგადოებრივი ჯგუფებიც და სახელმწიფოც მოწოდებული არიან იმისთვის, რომ ეს ყოფა მოქალაქისთვის იოლად გადასატანი გახადონ, მიზანი დაანახონ და დაუსახონ. რაც მთავარია, ჩვენთვის, ყველასთვის მნიშვნელოვანია, რომ ჩვენი საზოგადოება, ჩვენი მოქალაქენი ამ ნაკლებად აგრესიულ, მიზანზე ორიენტირებულ გარემოში არ კარგავდნენ შემოქმედების უნარს, და თავიანთი შემოქმედებით განაპირობებდნენ როგორც საკუთარი ოჯახის, ასევე საზოგადოებისა და სახელმწიფოს კეთილდღეობას. მიუხედავად იმისა, რომ დღეს საერთო მიზნები გვაძაბავს, სამწუხაროდ, ყოველთვის როდი ვაღწევთ სასურველს. ხშირად ვერ ვახერხებთ აგრესიული გარემოს უფრო პოზიტიური გარემოთი შეცვლას. ხშირად იმედგაცრუება, უიმედობა, ხვალინდელ დღეზე ხელის ჩაქნევა განპირობებულია ხოლმე იმით, რომ ადამიანი საბოლოო მიზანს ვერ ხედავს. ყოველივე ეს, საბოლოო ანგარიშით, ასუსტებს როგორც ჩვენს საზოგადოებას, ასევე ჩვენს სახელმწიფოს და ეკლესიას. ამიტომ თქვენი დღევანდელი მოღვაწეობა, თქვენი შემოქმედება უაღრესად მნიშვნელოვანია, რათა ამ ღირებულებებით გაერთიანებულებმა ერთად დავსახოთ და საზოგადოებას, ჩვენს მოქალაქეებს შევთავაზოთ ისეთი გზები, რომ უკეთესი, უფრო პერსპექტიული იყოს მათი ყოფა. საზოგადოების წინაშე არაერთხელ აღმინიშნავს, რომ ჩემს განსაკუთრებულ ინტერესს იწვევს დიონისე არიოპაგელი. სულ ახლახან გავეცანი ერთ წერილს, რომელშიც წმიდა დიონისე ძალიან საინტერესო კონკრეტულ ამბავს განიხილავს, როცა მღვდელი (ვფიქრობ, ალბათ მღვდელია, ზუსტად ვერ გეტყვით), რომელიც აღმოაჩენს, რომ მისი ეკლესიის მოძღვარი უღირსია, შეუვარდება, გამოაგდებს მას ეკლესიიდან და თვითონ დაიკავებს მის ადგილს. ამის თაობაზე დიონისე ამ ადამიანს ძალიან კონკრეტულ

შეგონებას უგზავნის, წერილობით, ეპისტოლარული ჟანრით. საინტერესოა, როგორ განიხილავს ამ აგრესიის, თუნდაც ლეგიტიმური აგრესიის საკითხს მაშინდელი ფილოსოფოსი, სასულიერო მოღვაწე, ადამიანი, რომლის ნაშრომებმაც, ფაქტობრივად, განაპირობა ევროპული ცივილიზაციის განვითარების მნიშვნელოვანი ვექტორი. წმიდა დიონისეორ საკითხს გამოჰყვოფს: პირველი, რაც ყველაზე მნიშვნელოვანია, ეს არის იერარქიის პატივისცემა, ამაზე აკეთებს განსაკუთრებულ აქცენტს.

იერარქიულად, მაშინაც კი, როდესაც მიგაჩნია, რომ მართალი ხარ, მაშინაც კი, როდესაც იცავ სიწმინდეებს, ამგვარი ქმედების უფლება არ გაქვს, რადგან იერარქიის დანგრევით ანგრევ წესრიგს, ხოლო წესრიგის დანგრევას კი შეიძლება განუსაზღვრელი ბოროტება მოჰყვეს.

ამიტომ ის არ აკრიტიკებს დემოფილეს იმის თაობაზე, რამდენად სწორად შეაფასა მან მოძღვრის შეცდომა, არა, იგი ამბობს, რომ რაც უნდა მცდარი იყოს მოძღვარი, უფლება არ გაქვს ამის გაკეთების, რადგან იერარქიულად მასზე დაბლა დგახარ. შემდეგი საკითხი, რომელსაც განიხილავს, ასეთია: იმ შემთხვევაშიც კი, როცა მართალი ხარ, გახსოვდეს ის მთავარი ღირებულება, რომ არ უნდა მოიშორო, არ უნდა განავდო ისიც კი, ვინც მიგაჩნია, რომ არასწორად მოქმედებს. მთელი შენი საქმიანობა იქით უნდა მიმართო, რომ შემობრუნო ის და მისცე ცოდვების, ან შეცდომების გამოსწორების უფლება.

ჩემთვის, ეს, მრავალი საუკუნის წინ დაწერილი წერილი, გარკვეულწილად მნიშვნელოვანი იმიტომ გახდა, რომ შესაძლოა აქაც იყოს პასუხი. იერარქიულობა, ინსტიტუტთა პატივისცემა, ჩვეულებრივი წესის არ მოშლა ერთ-ერთი წინაპირობაა აგრესიის შესუსტებისა საზოგადოებაში. როდესაც ინგრევა ძირითადი ინსტიტუტები, და ჩვენ, ქართველები ამას არაერთხელ შევსწრებივართ, ნგრევას მოჰყვება არა მხოლოდ თავისუფლება, არამედ მნიშვნელოვანი ზიანი იმ ადამიანებისთვისაც კი, ვინც ამ ნგრევაში არ მონაწილეობს. და

მეორე მომენტი: საზოგადოება ვერასდროს იტყვის უარს თავის მოქალაქეზე. შემცდარი, თუნდაც დამნაშავე, იგი მაინც ჩვენი საზოგადოების წევრია და საზოგადოებამ დიდი ძალისხმევა უნდა გასწიოს ასეთი ადამიანების შემოსაბრუნებლად და ჩვენი სახელმწიფოებრიობის ერთიანი სხეულის განსამტკიცებლად. წელს 100 წელი სრულდება ჩვენი ქვეყნის დამოუკიდებლობის კიდევ ერთხელ აღდგენის დღიდან, და საგულისხმოა, რომ საქართველოს არაერთხელ აღუდგენია დამოუკიდებლობა თავისი ისტორიის განმავლობაში. 100 წლის წინ ჩვენმა წინაპრებმა შექმნეს პირველი რესპუბლიკა და შექმნეს ძალიან მაღალი სტანდარტით, თავისუფლებაზე ორიენტირებული სახელმწიფოს მიზნებით.

თქვენი დღევანდელი მოღვაწეობა მნიშვნელოვანი წვლილია თავისუფალი სახელმწიფოს აღდგენის საქმეში, ასევე თქვენი გარჯა და ფიქრი საიმისოდ, თუ როგორ შევქმნათ უფრო ჰარმონიული საზოგადოება, თავისუფალი საზოგადოების შექმნის წინა პირობაა.

ყველას მაღლობას მოგახსენებთ ამ მაღალი მიზნის მისაღწევად ძალისხმევის ერთიანებისათვის.

განსაკუთრებული მაღლობა მინდა გამოვხატო იმ ადამიანის მიმართ, რომელმაც ამდენი წლის განმავლობაში სწორედ ამ ღირებულებებს მოახმარა თავისი ცხოვრება, თავისი გულისთქმა და თავისი მოღვაწეობა. საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქს, ილია II-ს მაღლობა იმისათვის, რომ ამ საკითხებზე ასე ღიად, ასე გულწრფელად შეგვიძლია საუბარი. გისურვებთ წარმატებებს მუშაობაში.

მარიამ ჯაში

კონფერენციის მოდერატორი, საქართველოს პარლამენტის განათლების, მეცნიერებისა და კულტურის კომიტეტის თავმჯდომარე

მაღლობას მოგახსენებთ, ბატონო პრეზიდენტო.

ქალბატონებო და ბატონებო, დღევანდელი საერთაშორისო კონფერენციის, კულტურული პროგრამის მთავარი ინიციატორი და მხარდამჭერი გახლავთ საქართველოს პრემიერ-მინისტრი ბატონი გიორგი კვირიკაშვილი. ბატონი პრემიერის და მთავრობის ადმინისტრაციის უშუალო ხელშეწყობით გვაქვს პატივი, ვუმასპინძლოთ ამ ჩვენთვის უაღრესად მნიშვნელოვან ღონისძიებას, და მიინდა მისასალმებელი სიტყვისთვის ბატონი გიორგი კვირიკაშვილი მოვიწვიო.

გიორგი კვირიკაშვილი

საქართველოს პრემიერ-მინისტრი

მოგესალმებით, მაღალუსამღვდელოესო მეუფე შიო, თქვენო აღმატებულებავ ბატონო პრეზიდენტო, თქვენო აღმატებულებავ ბატონო პარლამენტის თავმჯდომარე, მივესალმები წმიდა სინოდის წარმომადგენლებს, ეკლესიის წარმომადგენლებს, საქართველოს ხელისუფლების წარმომადგენლებს, სხვადასხვა რელიგიური კონფესიების წარმომადგენლებს, მივესალმები ძვირფას სტუმრებს.

ჩვენთვის უდიდესი პატივია, რომ ამ კონფერენციას მეგობარი ქვეყნებიდან ამდენი წარმომადგენელი ეწვია. მისასალმებელია, რომ საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის ავტოკეფალიის აღდგენის 100 წლისთავს ეძღვნება ასეთი, მართლაცდა, წარმომადგენლობითი, საერთაშორისო კონფერენცია. საერთოდ, რელიგიის საკითხებზე მსჯელობისა და კვლევებისთვის მეტად მნიშვნელოვანია ასეთი დიალოგის პლატფორმა, მით უფრო, რომ ქართული საღვთისმეტყველო სიტყვა და აზრი ყოველთვის საინტერესო იყო და არის ქრისტიანული სამყაროსთვის. ამიტომაც, ვფიქრობ, სრულიად ბუნებრივია, რომ სამეცნიერო კონფერენცია და დისკუსიები ისეთ აქტუალურ თემაზე, როგორცაა „რელიგია და საზოგადოებრივი ცხოვრება“, იმართება საქართველოში, სადაც სასულიერო და საერო სფეროებს შორის ჰარმონიული ურთიერთობის მრავალსაუკუნოვანი,

მდიდარი გამოცდილება არსებობს. საზოგადოებასა და ეკლესიას შორის ნდობასა და პატივისცემაზე დაფუძნებული ურთიერთობის ეს ტრადიცია და კულტურა ჩვენი ისტორიის ერთ-ერთი მთავარი მონაპოვარი და უძლიერესი საყრდენი გახლავთ, ამაზე დაშენებული საქართველოს სახელმწიფოებრიობა. ამაში განუსაზღვრელი წვლილი მიუძღვის ქართულ მართლმადიდებელ ეკლესიას, რომელიც ყოველთვის აქტიურად მონაწილეობდა ქვეყნის ცხოვრებაში და ერის მაკონსოლიდირებელ ძალას წარმოადგენდა.

ეკლესიის სიძლიერე, ეკლესიისა, რომელიც თხუთმეტი საუკუნე ქართველი ერის სულიერი წინამძღოლი, მორალური საყრდენი, გამაერთიანებელი ძალა იყო, გახდა სწორედ ის მიზეზი, რომ იმპერიამ გაილაშქრა მის წინააღმდეგ და გაუუქმა ავტოკეფალური მმართველობა. ამით, იმპერიული რეჟიმი შეეცადა, დაესუსტებინა ეკლესია, შეერყია ერის სიძლიერე და ეჭვქვეშ დაეყენებინა ეროვნული იდენტობა. საბედნიეროდ, ჩვენს წინაპრებს აღმოაჩნდათ უდიდესი ძალა თავგანწირული ბრძოლისთვის და ეს ბრძოლა 100 წლის წინ ავტოკეფალიის აღდგენით დაგვირგვინდა, რამაც ერის ცნობიერებაში გარდამტეხი როლი შეასრულა. 1917 წელს ქართული ეკლესიის დამოუკიდებლობის აღდგენით ისტორიული სამართლიანობა აღდგა, დავიბრუნეთ დედაეკლესია, რომლის წიაღშიც ჩვენი წინაპრები და სულიერი მამები საუკუნეების განმავლობაში ინახავდნენ სარწმუნოებას, დიდი რუდუნებით უფრთხილდებოდნენ იმ ღირებულებებს, რომლებზეც დგას ჩვენი ქვეყანა. ამას მოჰყვა 1918 წელს საქართველოს დემოკრატიულ რესპუბლიკად გამოცხადება, რომლის 100 წლის იუბილეს წელს ვგვიმობთ.

სწორედ ამ განსაკუთრებულ ისტორიას ეძღვნება ის შესანიშნავი გამოფენა, რომელიც მეუფე დანიელმა აქ შემოსვლისას დამათვალეობინა. მართლაცდა, უმდიდრესი და ურთულესი ისტორია გამოვიარეთ, რომლის პატივისცემა ყველა ჩვენგანის ვალია.

მოგეხსენებათ, საქართველო ბევრჯერ მდგარა განსაკუთრებული განსაცდელის

წინაშე და ასეთ დროს საქართველოს ეკლესია, ჩვენი მღვდელმთავრები და პატრიარქები ყოველთვის გამორჩეულ როლს ასრულებდნენ.

ამ მხრივ განსაკუთრებული ღვაწლი მიუძღვის მის უწმიდესობას, საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქს ილია მეორეს, ჩვენს სულიერ მამას, რომელიც 40 წელია საქართველოს ეკლესიას სათავეში უდგას და რომლის დამსახურება ჩვენი სამშობლოს წინაშე ფასდაუდებელია. მისი სიბრძნე და სიყვარულის უნარი უდიდესი პატივისცემით განაწყობს სხვადასხვა აღმსარებლობისა და ეროვნების ადამიანებს არა მარტო საქართველოში, არამედ მთელ მსოფლიოში. სწორედ ქართული მართლმადიდებელი ეკლესიის, პირადად მისი უწმიდესობის, საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის დამსახურება გახლავთ ჩვენი ტოლერანტობის ისტორიული ტრადიციის შენარჩუნება და განმტკიცება, რაც სხვადასხვა რელიგიის მიმართ პატივისცემას და საზოგადოებაში სხვადასხვა აღმსარებლობის წარმომადგენლთა მშვიდობიან თანაცხოვრებას განაპირობებს.

დარწმუნებული ვარ, დღევანდელი კონფერენცია საინტერესოდ წარიმართება, გაიმართება სიღრმისეული მსჯელობა თანამედროვეობისთვის ისეთ უმნიშვნელოვანეს და აქტუალურ საკითხებზე, როგორც არის რელიგიის და საზოგადოების ურთიერთობა. კიდევ ერთხელ მადლობას მოგახსენებთ და წარმატებულ კონფერენციას გისურვებთ.

.....

მარიამ ჯამი

კონფერენციის მოდერატორი, საქართველოს პარლამენტის განათლების, მეცნიერებისა და კულტურის კომიტეტის თავმჯდომარე

ბატონო პრემიერო, კიდევ ერთხელ მადლობას მოგახსენებთ უაღრესად დიდი მხარდაჭერისთვის. ვსარგებლობ შემთხვევით და კიდევ ერთხელ მადლობას ვუხდი მთავრობის ადმინისტრაციის, კულტურისა და სპორტის სამინისტროს წარმომადგენლებს კონფერენ-

ციის მხარდაჭერისთვის. მისასალმებელი სიტყვისთვის მინდა მოვიწვიო საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარე ბატონი ირაკლი კობახიძე.

.....

ირაკლი კობახიძე

პარლამენტის თავმჯდომარე

მოგესალმებით, დამსწრე საზოგადოება, ღრმა პატივისცემას გამოვხატავ უწმიდესის და უნეტარესის, ჩვენი პატრიარქის ილია II-ის მიმართ, ქედს ვიხრი მისი ღვაწლის წინაშე. მივესალმები პატრიარქის თანამოსაყდრეს, მეუფე შიოს, მივესალმები წმიდა სინოდის წევრებს, მივესალმები საქართველოს პრეზიდენტს, საქართველოს პრემიერ-მინისტრს, მივესალმები ღრმად პატივცემულ სტუმრებს.

დღეს ჩვენ შევიკრიბეთ კონფერენციაზე, რომელიც საქართველოს ისტორიაში ერთ-ერთ ყველაზე მნიშვნელოვან და გამორჩეულ თარიღს, საქართველოს სამოციქულო მართლმადიდებელი ეკლესიის ავტოკეფალიის აღდგენის 100 წლისთავს ეძღვნება. 100 წლის წინ, ქართველი ერისთვის უმძიმეს პერიოდში ქართული ეკლესიის გათავისუფლება ჩვენი დამოუკიდებლობისა და ეროვნული თავისუფლებისათვის ბრძოლის მთავარ მამოძრავებელ ძალად იქცა. ეკლესია ყოველთვის გამორჩეულ როლს ასრულებდა საქართველოს ისტორიაში. სასულიერო პირები ყოველთვის იდგნენ ჩვენი სახელმწიფოებრიობისა და თავისუფლებისათვის ბრძოლის წინა ხაზზე. ქვეყნისთვის ძალზე მძიმე პერიოდებში ჩნდებოდნენ მამები, რომლებიც საერო პირების მხარდამხარ იბრძოდნენ. სწორედ ისინი იყვნენ ლიდერები ბრძოლაში, რომელმაც დღემდე მოგვატანინა საქართველოს დამოუკიდებლობა და საქართველოს სახელმწიფოებრიობა.

ყველას გვახსოვს საქართველოს ისტორია და ვიცით, რომ ქართველმა მეფეებმა სწორედ ეკლესიისა და ქრისტიანული ღირებულებების ირგვლივ გააერთიანეს ქართული

სახელმწიფო. ეს კარგად იცოდნენ საქართველოს მტრებმაც. სწორედ ამიტომ იყო, რომ ქართული სახელმწიფოებრიობის ხელყოფისა და ერის წელში გატეხვის მცდელობა ყოველთვის ეკლესიასთან ბრძოლით იწყებოდა. ასე მოხდა ორი საუკუნის წინათაც.

1811 წელს რუსეთის იმპერატორმა, კონსტანტინოპოლის მეორე მსოფლიო საეკლესიო კრების მეორე კანონის უხეში ხელყოფით, საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალია გააუქმა.

106 წლის განმავლობაში, ერმა სულიერი წინამძღოლის — კათალიკოს-პატრიარქის გარეშე იცხოვრა, ხოლო ქართული ეკლესია, კანონიკური სამართლის დარღვევით, რუსეთის სინოდს დაექვემდებარა.

ეკლესიის დამოუკიდებლობისთვის ბრძოლამ შედეგი 106 წლის შემდეგ გამოიღო. ქართულმა ეკლესიამ აღიდგინა ავტოკეფალია და აირჩია კათალიკოს-პატრიარქი, წმიდა მღვდელმონაქვე კირიონ II, თუმცა ეკლესიის დამოუკიდებლობისთვის ბრძოლა ამით არ დასრულებულა. ათწლეულების მანძილზე ქართული ეკლესიის წინააღმდეგ ამოქმედებული საბჭოური მანქანით ქართული ეკლესია-მონასტრების დახურვის, სიწმინდეების ქვეყნიდან გატანისა და ქართული სამღვდლოების მიმართ რეპრესიების წინააღმდეგ გმირულად იბრძოდნენ ჩვენი ეკლესიის საჭეთმპყრობლები — ამბროსი ხელაია, კალისტრატე ცინცაძე, მელქისედეკ III, ეფრემ II და სხვა წმიდა მამები. ფასდაუდებელია მათი დამსახურება და ღვაწლი ჩვენი ერისა და სარწმუნოების წინაშე. ეს ადამიანები არიან ჩვენი ეროვნული სიმდიდრე და ეროვნული სიამაყის განსაკუთრებული მიზმი.

უფლის ნება იყო, რომ ოთხი ათწლეულის წინ საქართველოს ეკლესიას სათავეში ჩაუდგა უწმიდესი და უნეტარესი ილია II. სწორედ სრულიად საქართველოს კათალიკოს-პატრიარქის ილია II-ის დაუღალავი მოღვაწეობით, მსოფლიოს საპატრიარქომ 1990 წელს ოფიციალურად ცნო და აღიარა საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალურობა. საქართველოს ეკლესიის დამოუკიდებლობის

დასამტკიცებლად ჩვენი წინაპრების ხანგრძლივი ბრძოლა, საბოლოოდ, გამარჯვებით დაგვირგვინდა.

უწმიდესისა და უნეტარესის ღვაწლისა და დამსახურების შესახებ უამრავი რამ შეიძლება ითქვას და ეს კარგად იცის არა მხოლოდ ქართველმა ხალხმა, არამედ მთელმა ქრისტიანულმა სამყარომ. უწმიდესმა და უნეტარესმა თავისი ცხოვრებითა და მოღვაწეობით დაამტკიცა, რომ ქართველი ერი არასდროს შეურიგდება მისთვის ყველაზე ძვირფასის — სარწმუნოების დათმობას; დაამტკიცა, რომ ბრძოლა ყველაზე წმინდა, მამულიშვილური მიზნისთვის ყოველთვის გამარჯვებით მთავრდება. მინდა, ამისთვის, როგორც ქართველმა და მართლმადიდებელმა ქრისტიანმა, ქედი მოვიხარო უწმიდესისა და უნეტარესის წინაშე.

უნდა გვახსოვდეს, რომ ქართული ეკლესიის ისტორია ასახავს ჩვენი ერის ბრძოლისა და გამარჯვების მრავალსაუკუნოვან ისტორიას, რომლის საფუძვლიანი ცოდნა საქართველოს თითოეული მოქალაქის ვალია. არასდროს უნდა დავივიწყოთ ჩვენი წინაპრების, მამებისა და საზოგადო მოღვაწეების მიერ გაღებული მსხვერპლი. წარსულის დავიწყებით, უკეთეს აწყმოსა და მომავალს ვერ შევქმნით.

ბედნიერები ვართ, რომ ჩვენი ერის წიაღიდან იშვინენ გმირები, რომლებმაც საუკუნეთა სიღრმიდან ჩვენამდე მოიტანეს ყველაზე წმინდა: მამული, ენა და სარწმუნოება. და ბედნიერები ვართ, რომ ასეთი გმირები კვლავ ჩვენ გვერდით ცხოვრობენ.

მუდამ უნდა გვახსოვდეს, რომ ეკლესია მთავარი ბასტიონია ეროვნული ღირებულებების, თვითმყოფადობისა და დემოკრატიული ფასეულობების დასაცავად.

მინდა, კიდევ ერთხელ ქედი მოვიხარო თითოეული იმ სასულიერო და საერო პირის წინაშე, რომელმაც ჩვენი ქვეყნის ისტორიაში ერთ-ერთ ყველაზე უფრო მძიმე, ერისთვის სასიცოხლოდ მნიშვნელოვან ბრძოლაში გაიმარჯვა.

ყველას გილოცავთ ამ უმნიშვნელო-

ვანეს თარიღს, ქართული სამოციქულო ეკლესიის ავტოკეფალიის აღდგენის 100 წლისთავს. წარმატებულ კონფერენციას გისურვებთ.

.....

მარიამ ჯამი

კონფერენციის მოდერატორი, საქართველოს პარლამენტის განათლების, მეცნიერებისა და კულტურის კომიტეტის თავმჯდომარე

დიდი მადლობა ბატონო ირაკლი.

ჩვენთვის უდიდესი პატივი და ბედნიერებაა, რომ კონფერენციას მიესალმება მისი უწმიდესობის, პატრიარქის თანამოსაყდრე მეუფე შიო.

.....

მეუფე შიო

პატრიარქის თანამოსაყდრე

თქვენო აღმატებულებაგ ბატონო პრეზიდენტო, თქვენო აღმატებულებაგ ბატონო პრემიერ-მინისტრო, თქვენო აღმატებულებაგ ბატონო პარლამენტის თავმჯდომარეგ, ყოვლადუსამღვდელოესო მეუფენო, ძვირფასო ქალბატონებო და ბატონებო, გილოცავთ დღევანდელ დღეს!

დღეს აღვნიშნავთ ჩვენი ეკლესიის ავტოკეფალიის 100 წლისთავს. ავტოკეფალია არის ერთ-ერთი უმთავრესი პირობა ეკლესიისა და ერის განვითარებისა. როდესაც რელიგიისა და საზოგადოების ურთიერთობაზე ვსაუბრობთ, ეს, უპირველეს ყოვლისა, გულისხმობს ჩვენი ქვეყნის აზროვნების სფეროს, რისი განვითარებაც დამოუკიდებელი ეკლესიისა და ავტოკეფალიის გარეშე შეუძლებელია.

რა თქმა უნდა, პირველ რიგში დღეს ვფიქრობთ მისი უწმიდესობის, სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის როლსა და დამსახურებაზე ჩვენი ეკლესიის ავტოკეფალიის აღდგენის საქმეში. მადლობას ვუხდით მას. სამწუხაროდ, დღეს ვერ მობრძანდა და მაქვს პატივი მოგილოცოთ და დაგლოცოთ

მისი სახელით...

ერთ-ერთი მთავარი თემა თანამედროვე გამოწვევებია, მაგალითად ის, თუ როგორ უნდა შევინარჩუნოთ ცნობიერება ერისა, სულიერი ღირებულებები გლობალიზაციისა და პოსტმოდერნის ეპოქაში.

ბატონმა პრეზიდენტმა ახსენა დონისე არეოპაგელი და იერარქიისადმი დამოკიდებულება. მოგეხსენებათ, რომ ერთ-ერთი მთავარი თეზისი დღევანდელი პოსტმოდერნის ფილოსოფიაში არის უარის თქმა იერარქიულობაზე, რადგან ეს გარკვეულ დიქტატურად ითვლება; თვით ადამიანშიც კი, როდესაც ადამიანი საკუთარ გონებას ემორჩილება, ესეც კი უკვე გარკვეულ ვერტიკალურ ღირებულებად ითვლება, რაც მიუღებელი უნდა იყოს და რაც თრგუნავს თავისუფლებას. აი, აქამდეც კი მიდის თანამედროვე აზროვნების გარკვეული მიმართულება, რომელიც, სამწუხაროდ, სულ უფრო და უფრო მეტ ძალას იკრებს. ასევე სეკულარიზმის უმთავრესი თემაა დესაკრალიზაციის თემა, რომელიც დღეს ასევე ერთ-ერთ უმთავრესი მიმართულებაა. ყველა საზოგადოებრივ დარგში დესაკრალიზაცია აუცილებელ პირობად ითვლება, მაგრამ რეალურად ჩვენი ერი, თავისი აზროვნებით, იდეალისტი ერია. ჩვენი ერისთვის ყოველთვის პირველადი არის იდეა.

ჩვენი სახელმწიფო და ერი ჩამოყალიბდა როგორც ქრისტიანული ღირებულებების მატარებელი ერი და, სხვათა შორის, ჩვენი ის თანამემამულენი, რომლებიც ქრისტიანები არ არიან (ტრადიციულ რელიგიებს ვგულისხმობ), მათი აზროვნებაც ტრადიციულ ღირებულებებს ეფუძნება და ეს არის სწორედ იდეალისტური ღირებულებები.

ამიტომ თანამედროვე ტენდენციები, რომლებიც თავს გვახვევს დესაკრალიზაციის იდეოლოგიას, რა თქმა უნდა, დამღუპველია ჩვენი ერისთვის. დღევანდელი კონფერენციის უმთავრესი მიზანი, ალბათ, ის არის, რომ ვიფიქროთ იმაზე, თუ როგორ გავუმკლავდეთ ამ ყველაფერს, როგორ გავიზაროთ და რა დავუპირისპიროთ, რა თქმა უნდა, ჩვენი ღირებულებების საფუძველზე.

ძალიან მოხარული ვარ. ღმერთმა და-
გლოცოთ!

დიდ წარმატებას ვუსურვებ ამ კონ-
ფერენციას. დაე, იგი ჩვენი ერის შემდგომი
წინსვლისა და გამარჯვების საწინდარი ყოფი-
ლიყოს!

გიორგი კვესიტაძე

საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის პრე-
ზიდენტი

ღრმად ვარ დარწმუნებული, რომ ჩვენ
ყველას კარგად გვაქვს გააზრებული, თუ რა
დიდი მნიშვნელობის თარიღს აღვნიშნავთ.
ავტოკეფალიის აღდგენის 100 წლისთავი,
ალბათ, ჩვენი ქვეყნის ისტორიის დასაბამ თა-
რიღს თუ ჩამოუვარდება თავისი მნიშვნელო-
ბით. იმ ძალიან რთულ პერიოდში, რომელშიც
საქართველომ 70 წელი გაატარა, სწორედ ეკ-
ლესიამ, რომელმაც ავტოკეფალია აღიდგინა,
ძალიან ბევრი პრობლემა მოაგვარა: შეინარ-
ჩუნა ერი, იდენტურობა, ენა, და კიდევ ბევრი
სხვა რამ, რაც ესოდენ დამახასიათებელია
ჩვენთვის. დაახლოებით ერთი წლის წინათ
ერთმა ცნობილმა რუსმა მეცნიერმა მითხრა,
ბოლოს და ბოლოს, ქართველებმა უნდა აღი-
აროთ, რომ მეცნიერება და კულტურა საბჭოთა
რუსეთმა მოგცათო. მაშინვე ვუთხარი, წარმო-
დგენაც კი არა გაქვთ, ამას რომ ამბობთ, რო-
გორ ცდებით-მეთქი. ის კაცი საქართველოს
მიმართ სულაც არ იყო ცუდად განწყობილი.
რას გულისხმობთო, მკითხა. მეც ვუპასუხე,
საქართველოში კულტურას ათასწლოვანი და
უფრო დიდი ხნის ისტორია აქვს, ხოლო რაც
შეეხება მეცნიერებას, მეცნიერება საქართვე-
ლოში ყოველთვის ეკლესიაში ვითარდებო-
და, ეკლესია კი საბჭოთა კავშირმა აკრძალა,
ამიტომ მართებული არ იქნება, მეცნიერების
ისტორიის ათვლა აქედან დავიწყოთ-მეთ-
ქი. მეცნიერებათა აკადემიამ გამოსცა წიგნი,
სადაც აღწერილია, რომ საქართველოში მეც-
ნიერება სწორედ ეკლესიაში და ეკლესიასთან
ერთად ვითარდებოდა, და წარმოჩენილია ის
მიზეზები, თუ რატომ მოუხდათ დიდ ქართველ

მოღვაწეთ განმანათლებლობა არა მარტო
საქართველოში, არამედ თითქმის ყველა მე-
ზობელ ქვეყანაში და კიდევ უფრო შორს მისი
საზღვრებიდან. უკანასკნელ 100 წელიწადში
სწორედ ავტოკეფალია აღდგენილმა ეკლესი-
ამ შეაკავშირა და, შეიძლება ითქვას, გადა-
არჩინა ერი. ამაში, რასაკვირველია, უდიდესი
წვლილი ჩვენს პატრიარქს, ჩვენს უსაყვარლეს
და სრულიად შეუდარებელ ილია მეორეს მი-
უძღვის. მინდა ყველას მოგილოცოთ ეს ღირ-
სშესანიშნავი დღე, მინდა ყველამ ერთად ვი-
ზეიმოთ იგი და გავიხაროთ არა მარტო იმით,
რომ ვესწრებით ამ ზეიმს, არამედ იმით, რომ
ვმონაწილეობთ მასში.

ელმარ კუნი

ევროპის მეცნიერებისა და ხელოვნების აკა-
დემია, მსოფლიო რელიგიების ჯგუფი

თქვენო აღმატებულებაგ საქართველოს
პრეზიდენტო, პარლამენტის თავმჯდომარეგ,
პრემიერ-მინისტრო, თქვენო აღმატებულებაგ
მისი უწმინდესობის ილია II-ის წარმომადგენე-
ლო, ძვირფასო კოლეგებო, ქალბატონებო და
ბატონებო.

ნება მიბოძეთ მოგესალმოთ ჩვენი აკა-
დემიის პრეზიდენტის ფელიქს უნგერისა და ჩემი
ჯგუფის, მსოფლიო რელიგიების განყოფილების
სახელით. ჩვენთვის დიდი პატივია ამ სიმპოზი-
უმში მონაწილეობა, რომელიც საქართველოს
სამოციქულო მართლმადიდებელი ეკლესიის
ავტოკეფალიის აღდგენის 100 წლისთავისა და
თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის და-
არსების 100 წლისთავის საზეიმო აღნიშვნას
ედღვნება. ეს ორი დღესასწაული ერთმანეთთან
დაკავშირებული. ამდენად, გილოცავთ სიმ-
პოზიუმის თემად „რელიგიისა და მეცნიერების“
შერჩევას. ეს ნამდვილად საუკეთესო გზაა რე-
ლიგიასა და საზოგადოებრივ ცხოვრებას შორის
თანამშრომლობის გასაძლიერებლად.

რელიგია და სამოქალაქო საზოგადოება
თავიანთი არსით სულიერებასა და რაციონალო-
ბას ეფუძნება. როგორც ბიზანტიის იმპერატორმა
მანუელ II პალეოლოგოსმა დაახლოებით 800

წლის წინათ ბრძანა, „არაგონივრული მოქმედება, ღვთის სიტყვის (ლოგოსის) გარეშე მოქმედება, ეწინააღმდეგება ღმერთის ბუნებას“. ჩვენ ერთგულნი ვართ ამ ლოგოსის, ამდენად უნდა მოვიწვიოთ ჩვენი რელიგიებისა და სამოქალაქო საზოგადოების ყველა დაინტერესებული მხარე — პოლიტიკოსები, პედაგოგები და საზოგადოების ყველა ჯგუფი — კულტურების, ემოციებისა და რაციონალობის ამ დიალოგში მონაწილეობის მისაღებად, რათა მშვიდობასა და განვითარებაზე ორიენტირებული საზოგადოება ავაშენოთ.

კეთილდღეობის, წარმატებისა და მშვიდობის გასაღები არის ემოციის აღზრდა, სულიერება და ეკონომიკა. ამიტომ რელიგიისა და მეცნიერების დიალოგი ძირითადი სახელმძღვანელო პრინციპი უნდა იყოს ჩვენი საზოგადოების წარმატებული მომავლის მშენებლობის გზაზე.

რელიგია ასევე არსებითია სახელმწიფოს კონსტიტუციისთვის. როგორც პოლკირხოფი (სამართლის პროფესორი, გერმანიის ფედერალური კონსტიტუციური სასამართლოს ყოფილი მოსამართლე) მიიჩნევს, ყოველი საერო სამართლებრივი წესრიგი საჭიროებს უცვლელ ღვთაებრივ უფლებას, როგორც საფუძველს მიზნის განსასაზღვრად კეთილისა და ბოროტის შეცნობაში. არ უნდა მოხდეს ამის შეჩერება ადამიანის გადაწყვეტილებით. სახელმწიფოში რელიგიები იმის გარანტიას წარმოადგენს, რომ ეს არ მოხდეს.

ამიტომ ჩვენ, როგორც მეცნიერებისა და ხელოვნების ევროპული აკადემია, დიდად ვაფასებთ ამ საზეიმო თარიღების აღნიშვნას და ამასთან დაკავშირებით გამართულ სიმპოზიუმს. საქართველო მოგვცემს კარგი მმართველობის მაგალითს სულიერებისა და მეცნიერების ზეგავლენით და სამოქალაქო საზოგადოებაში ეკლესიებისა და რელიგიების როლის აღიარებით.

ღმერთმა დალოცოს საქართველოს ხალხი და თითოეული თქვენგანი.

.....

ემანუელ გდოუტოსი

ათენის აკადემია, აკადემიკოსი

დილა მშვიდობისა, პატივცემულო სტუმრებო, კოლეგებო და მეგობრებო.

ჩემთვის დიდი პატივია, რომ ვმონაწილეობ თბილისში გამართულ საერთაშორისო კონფერენციაში — „რელიგია და საზოგადოებრივი ცხოვრება“. როგორც ათენის აკადემიის წევრი, რომელიც საბერძნეთში ყველაზე პრესტიჟულ საგანმანათლებლო ინსტიტუციად არის მიჩნეული, მე აქ წარმოვადგენ პროფესორ კომადისს, რომელიც ზედმეტად დატვირთული სამუშაო გრაფიკის გამო ვერ ესწრება ამ სხდომას. კონფერენციაზე მოწვევისთვის იგი მაღლობას უხდის ათენში საქართველოს ელჩს, მის აღმატებულებას ბატონ იოსებ ნანობაშვილს და საორგანიზაციო კომიტეტს და კონფერენციას წარმატებულ და ნაყოფიერ მუშაობას უსურვებს.

მომეცა შესაძლებლობა შეხვედროდი მის აღმატებულებას საქართველოს პრეზიდენტს გასულ ხუთშაბათს მისი ვიზიტის დროს საბერძნეთში და დავსწრებოდი მის გამოსვლას ათენის უნივერსიტეტში. საქართველო მდიდარი კულტურული მემკვიდრეობის ქვეყანაა. ჩემი პირველი შეხვედრა გამოჩენილ ქართველ მეცნიერებთან ათენის ტექნიკურ უნივერსიტეტში სწავლის დროს მოხდა. დრეკადობის კომპლექსური ცვლადი მეთოდის თეორიას ვსწავლობდი კლასიკური სახელმძღვანელოთი „დრეკადობის მათემატიკური თეორიის ზოგიერთი ძირითადი ამოცანა“, რომლის ავტორიც გახლავთ ქართველი მათემატიკოსი ნიკო მუსხელიშვილი, რომელიც საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის წევრი და მისი პირველი პრეზიდენტი იყო 1941-დან 1972 წლამდე.

ჩვენი ქვეყნები ბევრ საერთო კულტურულ ღირებულებას იზიარებენ, რომლებიც ძირითადად ორთოდოქსული ქრისტიანობის იდეებს ეფუძნება. საბერძნეთში სახელმწიფო და ეკლესია ძალიან მჭიდროდ თანამშრომლობენ. ჩვენი ეკლესია გადამწყვეტ როლს ასრულებს საბერძნეთის საზოგადოებრივ ცხოვრებაში. ეროვნული დღესასწაულების უმეტესობა ქრისტიანულ დღესასწაულებს ემთხვევა. ამგვარად, ოტომანთა იმპერიისგან

გათავისუფლების დღე, 25 მარტი, ღვთისმშობლის ხარების დღესაწაულს ემთხვევა. სახელმწიფო მატერიალურ დახმარებასაც უწევს ეკლესიას: ღვთისმსახურთა ხელფასები სახელმწიფო ბიუჯეტიდან ფინანსდება.

ბოლო რამდენიმე წლის განმავლობაში საბერძნეთმა მძიმე ფინანსური კრიზისი გადაიტანა. ადამიანებმა დაკარგეს ნდობა პოლიტიკოსების მიმართ. მათი შეხედულებით სწორედ პოლიტიკოსებმა ჩაითრიეს ქვეყანა ფინანსურ კრიზისსა და განსაცდელში. ამ მძიმე ჟამს ეკლესიამ დიდი თანადგომა გამოიჩინა გაჭირვებულთა მიმართ.

ჩვენს ქვეყნებს საერთო ღირებულებები აქვთ. შემთხვევითი არ არის, რომ ბერძნების მითოლოგიურმა გმირმა იასონმა არგონავტები სწორედ კოლხეთისკენ (თანამედროვე საქართველოს შავი ზღვის სანაპირო) წაიყვანა ოქროს საწმისის მოსაპოვებლად. საქართველომ შეიფარა თურქებისგან დევნილი ბერძნები 1922 წლის მცირე აზიის ომში დამარცხების შემდეგ.

დასასრულ, მინდა გადმოგცეთ ათენის აკადემიის პრეზიდენტის სურვილი, რომ ათენის აკადემიამ და საქართველოს მეცნიერებათა აკადემიამ ითანამშრომლონ მომავალში. დარწმუნებული ვარ, რომ ამგვარი თანამშრომლობა სასიკეთო შედეგს იქონიებს ორივე ქვეყნის მეცნიერთათვის.

ძალიან დიდი მადლობა.

.....

ეუნულა მადათლი

აზერბაიჯანის მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის ფილოსოფიის ინსტიტუტის დირექტორის მოადგილე სამეცნიერო საკითხებში

ძვირფასო თავმჯდომარე, პატივცემულ კონფერენციის მონაწილეებო!

ჩემთვის დიდი პატივია ვიმყოფებოდე აქ, ძმურ ქვეყანაში, საქართველოში, ამ ღირსშესანიშნავ იუბილეზე და ვესალმებოდე გამორჩეულ სახელმწიფო მოღვაწეებსა და სახელმწიფოს მეთაურებს, პარლამენტის ხელმძღვანელებს, ეკლესიის პატივსაცემ მესვე-

ურებს, ასევე მეცნიერების, განათლებისა და კულტურის ცნობილ მოღვაწეებს.

მე აქ ვიმყოფები, რათა წარმოვადგენო აკადემიკოსი აკიფ ალიზადე, აზერბაიჯანის მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის პრეზიდენტი, ამ დიდებულ ღონისძიებაზე, რომელიც საქართველოს მართლმადიდებელი სამოციქულო ეკლესიის ავტოკეფალიის აღდგენის 100 წლისთავს და საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის მეთაურის, მისი უწმიდესობის ილია II-ის დაბადების 80 წლისთავს ეძღვნება. ჩვენი ეროვნული აკადემიის პრეზიდენტის და მრავალდისციპლინარული სამეცნიერო შტატის სახელით ჯანმრთელობას, მშვიდობას, კეთილდღეობასა და ბედნიერებას ვუსურვებ მის უწმიდესობას ილია II-ს და საქართველოს და მის ხალხს.

ძვირფასო კონფერენციის მონაწილენო! ჩვენი ხალხები საუკუნეებია ერთმანეთის გვერდიგვერდ ცხოვრობენ და მუდმივი კონტაქტი აქვთ. შეიძლება ითქვას, რომ ლამაზი თბილისი და საქართველო აზერბაიჯანელების სამშობლოცაა. თბილისმა, რომელიც ყველა დროში მნიშვნელოვან როლს ასრულებდა კავკასიის პოლიტიკურ და კულტურულ ცხოვრებაში, ასევე დიდი გავლენა მოახდინა აზერბაიჯანში სოციო-პოლიტიკური აზროვნების, მედიისა და კულტურის განვითარებაზე განსაკუთრებით მეცხრამეტე საუკუნის დასასრულსა და მეოცე საუკუნის დასაწყისში. თბილისი იყო კავკასიის პოლიტიკური, ადმინისტრაციული და კულტურული ცენტრი მეფის რუსეთის დროსაც და აღსანიშნავია ის ფაქტიც, რომ აზერბაიჯანის დემოკრატიული რესპუბლიკა ასევე აქ, თბილისში, გამოცხადდა 1918 წლის 28 მაისს. აზერბაიჯანის დემოკრატიული რესპუბლიკის პირველი ხელმძღვანელი ფათალი ხან ხოსკვი და რამდენიმე პოლიტიკური ფიგურა აქ არიან დაკრძალულნი. საბჭოთა რუსეთის მიერ განხორციელებული ოკუპაციის შემდეგ, აზერბაიჯანის კომუნისტი პრემიერ-მინისტრის ნარიმან ნარიმანოვის, ჩვენი დიდი მწერლების მირზა ფათალი ახუნდოვის, აბასგულუ ბაქიხანოვის და რამდენიმე სხვა გამორჩეული პიროვნების ბედიც ასევე

მჭიდროდ იყო დაკავშირებული ამ ქალაქთან.

1991 წელს საბჭოთა კავშირის დაშლისა და ჩვენი დამოუკიდებლობის აღდგენის შემდეგ ჩვენს სახელმწიფოებს და ხალხებს შორის თანამშრომლობის ახალი პერსპექტივები გაჩნდა. აღსანიშნავია ის ფაქტი, რომ განსვენებული პრეზიდენტის ჰეიდარ ალიევის დასახულ ურთიერთსარგებლიანობაზე დაფუძნებულ მტკიცე მეგობრობისა და ურთიერთობის პოლიტიკას საქართველოსთან დღესაც ისევე განუხრელად განაგრძობს პრეზიდენტი ილჰამ ალიევი.

ძვირფასო საზოგადოებავ! დღეს აზერბაიჯანი და საქართველო დაკავშირებული არიან არა მხოლოდ ნავთობსადენებითა და გაზსადენებით თუ რკინიგზით, არამედ მჭიდრო მეგობრული ურთიერთობითაც, რომელმაც საუკუნეთა გამოცდას გაუძლო. ჩვენი სახელმწიფოებისა და ხალხების ახლო მეგობრობა შეიძლება განვიხილოთ როგორც ურთიერთსასიკეთო მეგობრული ურთიერთობის საუკეთესო მაგალითი მსოფლიოს ზოგიერთი ქვეყნისთვის. ჩვენი რელიგიური ლიდერების ურთიერთობა და ჩვენი საზოგადოებების მჭიდრო კავშირი ასევე სანიშნავია.

საყურადღებოა ის ფაქტი, რომ ჩვენს ქვეყანაში მცხოვრები ქართველები მშვიდობიანად ცხოვრობენ და თანაარსებობენ აზერბაიჯანელებთან და თავისუფლად ასრულებენ თავიანთ რელიგიურ მსახურებას ეკლესიებში, რაც აზერბაიჯანის მთავრობის მულტიკულტურალიზმის პოლიტიკის შედეგია, რომელსაც იგი განუხრელად ახორციელებს. იგივე შეიძლება ითქვას საქართველოში მცხოვრებ აზერბაიჯანელებზე, მათაც თავისუფლად შეუძლიათ ილოცონ მეჩეთებში. ამგვარად, ხაზგასმით უნდა აღინიშნოს, რომ ორივე ქვეყნის რელიგიურ თემებს განსაკუთრებული წვლილი შეაქვთ ჩვენი ხალხების მშვიდობიან თანაარსებობასა და კეთილდღეობაში.

საზოგადოდ, მინდა დამსწრე საზოგადოების ყურადღება მივაპყრო იმ ფაქტს, რომ აზერბაიჯანი ყოველთვის პოზიტიურ როლს ასრულებდა სხვადასხვა ცივილიზაციათა ურთიერთობაში. ისტორიულად იგი მუდამ

წარმოადგენდა ხიდს აზიასა და ევროპას შორის გეოგრაფიული და კულტურული თვალსაზრისით, ხოლო დღევანდელ რეალობაში — პოლიტიკური თვალსაზრისითაც. აზერბაიჯანი იყო და არის ქვეყანა, სადაც სხვადასხვა რელიგიებისა და ეროვნების წარმომადგენლები ძმურ ატმოსფეროში ცხოვრობენ. ისტორიის ყველა პერიოდში აზერბაიჯანელმა ხალხმა სხვა ერებისა და რელიგიების მიმართ ტოლერანტობისა და კეთილგანწყობის მაგალითი უჩვენა მსოფლიოს.

ძვირფასო კონფერენციის მონაწილენო! ჩემი მოხსენების დასასრულ კიდევ ერთხელ მინდა გამოვთქვა ჩვენი სიხარული იმ წარმატებებთან დაკავშირებით, რომლებსაც საქართველოს დამოუკიდებელმა სახელმწიფომ მიაღწია, და აღვნიშნო, რომ გვსურს ჩვენი მეზობელი ქვეყანა განვითარებულ და ძლიერ სახელმწიფოდ ვიხილოთ. ასევე მინდა თქვენ, კონფერენციის მონაწილეთ, ნაყოფიერი და სასარგებლო მუშაობა ვისურვოთ.

პლენარული სხდომა

საქართველოს სამოციქულო მართლმადიდებელი ეკლესიის ავტოკეფალიის აღდგენის ასი წლისთავი

როინ მეტრეველი

საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ვიცე-პრეზიდენტი

ქრისტიანობის გავრცელებამ I საუკუნიდან და სახელმწიფო რელიგიად გამოცხადებამ IV საუკუნის პირველი ნახევრიდან ხელი შეუწყო ქვეყნის კონსოლიდაციასა და გაძლიერებას, ერთიანი ქართველი ხალხის ჩამოყალიბებას. თავისთავად, ქრისტიანობის სახელმწიფო სარწმუნოებად მიღება საქართველოს მაღალ განვითარებაზე მეტყველებდა¹.

საეკლესიო სფეროში მეფე ვახტანგ გორგასლის გადადგმული უმნიშვნელოვანესი ნაბიჯი იყო კათოლიკოსობის დაწესება. ამ აქტით მეფე აძლიერებდა ქვეყნის დამოუკიდებლობას და ზრდიდა სამეფო ხელისუფლების გავლენას ეკლესიაზე. ვახტანგმა გადაწყვიტა, კათოლიკოსად მასთან დაახლოებული სამღვდელ პირი პეტრე მიეწვია. ქართველი მეფის თხოვნის შესაბამისად, ანტიოქიის პატრიარქის მიერ კათოლიკოსად ნაკურთხი პეტრე ქართლში ჩამოვიდა. ვახტანგ გორგასალმა საეპისკოპოსოები დააარსა კლარჯეთში ახიზს, არტანუჯის ერუშეთს, ჯავახეთში წუნდას, მანგლისში, ბოლნისში, რუსთავეში, ნინოწმინდაში, ჭერემში, ჩელეთში, ხორნაბუჯში, უჯარმაში და ხუნანში აგარაკს.

ამგვარად, V საუკუნიდან მოყოლებული საქართველოს სამოციქულო ეკლესია საკათალიკოსო და ავტოკეფალური ეკლესიაა.

ქართულ ისტორიოგრაფიაში აღიარებულია, რომ ჯერ კიდევ IX-X საუკუნეებში, ვიდრე ფეოდალური საქართველო პოლიტიკუ-

რად ერთიანდებოდა, განმტკიცდა ქართველი ხალხის კულტურული ერთობა. ეს კი, თავის მხრივ, საქართველოს ცალკეული სამეფო-სამთავროების გაერთიანების წინა პირობა გახდა. მნიშვნელოვანი იყო ის ფაქტი, რომ ბერძნული ენა² ეკლესიაში ქართულმა შეცვალა. გიორგი მერჩულემ გრიგოლ ხანძთელის ცხოვრებაში წარმოადგინა საქართველოს კულტურული მთლიანობის ფორმულა: ერის ერთობას ეკლესიასთან ერთად ენის ერთობაც განაპირობებდა.

IX საუკუნიდან ქართული ენა საქართველოს მთელ ტერიტორიაზე მწერლობის, ღვთისმსახურების, საზოგადოებრივი ცხოვრების ყველა მიმართულების, ზოგადად კულტურის ენად იქცა. გიორგი მერჩულემ ხმამაღლა განაცხადა: „ქართლად ფრიადი ქუეყანა აღირაცხების, რომელსაცა შინა ქართულითა ენითა ჟამი შეიწირვის და ლოცვაჲ ყოველი აღესრულების“. აღსანიშნავია, რომ გიორგი მერჩულე ტერმინ „ქართლში“ მხოლოდ იბერიას არ გულისხმობს, არამედ ფრიად ქუეყანას, მთელ საქართველოს³.

X საუკუნის მიწურულს და XI საუკუნის დამდეგს საქართველო პოლიტიკურად ერთიანი ქვეყანაა. საქართველოს მეფე აერთიანებს როგორც აღმოსავლეთ, ისე დასავლეთ საქარ-

1 საქართველოს ისტორიის ნარკვევები, II, თბ., 1973, გვ. 64-76.

2 ბიზანტიის გავლენით ბერძნული ენა გაბატონებული იყო ეკლესიაში, განსაკუთრებით დასავლეთ საქართველოში.

3 პ. ინგოროყვა, გიორგი მერჩულე, თბ., 1959, გვ. 221.

თველოს. ერთიანი საქართველოს მეფეთა სრული ტიტულატურა ამგვარად ჟღერს: მეფე აფხაზთა, ქართველთა, რანთა, კახთა, სომეხთა, შირვანშა და შაჰანშა. პოლიტიკურად ერთიან ქვეყანაში ეკონომიკის აღმავლობა და კულტურული წინსვლა დაიწყო.

სწორედ ამ პერიოდში, XI საუკუნის დასაწყისში, საქართველოს ეკლესიის მეთაურს კათოლიკოსის წოდებასთან ერთად პატრიარქიც ეწოდა. ამიერიდან, საქართველოს სამოციქულო მართლმადიდებელი ეკლესიის სათავეში კათოლიკოს-პატრიარქები დგანან.

ქრისტიანობამ, მართლმადიდებელმა ეკლესიამ, უდიდესი როლი შეასრულა საქართველოს ცხოვრებაში. ასე იყო XIX საუკუნის დასაწყისამდე. 1801 წელს საქართველოს პოლიტიკური დამოუკიდებლობის დაკარგვის შემდეგ რუსეთის ხელისუფლებამ იერიში ეკლესიაზე მიიტანა. 1811 წელს გააუქმეს კათოლიკოს-პატრიარქის თანამდებობა და საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალია. საქართველოს ეკლესია რუსეთის სინოდის საეგზარქოსოდ გადაკეთდა. 1814 წელს დასავლეთ საქართველოს (აფხაზეთის) საკათალიკოსო გაუქმდა. XIX საუკუნის მიწურულისთვის მთელი სამხრეთი კავკასია, ჩრდილოეთი კავკასია და კასპიის ზღვის აღმოსავლეთი მხარე საეგზარქოსოში შედიოდა.

ყოველივე ამას ერთი მიზანი ჰქონდა – საქართველოში ცარიზმის გაბატონება.

ავტოკეფალიის აღსადგენად მთელი საუკუნის მანძილზე იბრძოდა ქართველი ხალხი და ამ ბრძოლაში ჩაბმული იყვნენ გამოჩენილი საზოგადო მოღვაწენი და საეკლესიო პირნი.

1917 წლის თებერვალში რუსეთში რევოლუცია მოხდა. შეიცვალა სახელმწიფოებრივი მმართველობის ფორმა და შინაარსი. რომანოვების საიმპერატორო ტახტი და იმპერია სახალხო მმართველობამ შეცვალა. შეიქმნა რუსეთის რესპუბლიკა. ამით ისარგებლეს ქართველმა მოღვაწეებმა, საეკლესიო და საერო პირებმა და 1917 წლის 12 მარტს მცხეთაში, სვეტიცხოვლის ტაძარში საეკლესიო კრება მოიწვიეს, რომელმაც საქართველოს

მართლმადიდებელი სამოციქულო ეკლესიის ავტოკეფალიის აღდგენა მოითხოვეს. აღინიშნა, რომ 1811 წელს არასწორად (არაკანონიკურად) წაართვეს საქართველოს ეკლესიას დამოუკიდებლობა (ავტოკეფალია), ამასთან, რუსეთის მმართველობის ახალ ფორმას, სწორედ საქართველოს ეკლესიის კანონიკური ავტოკეფალურობა შეესაბამებოდა. შეიქმნა საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის დროებითი მმართველობა გურია-ოდიშის ეპისკოპოსის ლეონიდე ოქროპირიძის (შემდგომში კათოლიკოს-პატრიარქი) თავმჯდომარეობით. ნიშანდობლივია, რომ რუსეთის დროებითმა მთავრობამ ცნო საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალია (1917 წლის 27 მარტი).

1917 წლის 8-17 სექტემბერს, სიონის საკათედრო ტაძარში საქართველოს მართლმადიდებელი სამოციქულო ეკლესიის კრება გაიმართა, რომელმაც კათოლიკოს-პატრიარქის არჩევის საკითხი განიხილა. კენჭისყრაში ორი მღვდელმთავარი მონაწილეობდა: კირიონ საძაგლიშვილი და ლეონიდე ოქროპირიძე. თერთმეტი ხმის უპირატესობით ეპისკოპოსმა კირიონმა გაიმარჯვა. სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქად მისი ინტრონიზაცია 1917 წლის 1 ოქტომბერს, მცხეთობა⁴ დღეს მოხდა.

კირიონს მოუხდა ჯერ რუსეთის უწმიდესი სინოდის, შემდეგ კი სრულიად რუსეთის საეკლესიო კრების წინასწარ თათბირზე საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალურობის დაცვა. მან ოთხი მოხსენება წარადგინა:

1. Грузинский церковный вопрос (историко-канонические основания);
2. Что вынуждает Грузию добиваться восстановления автокефалии своей церкви;
3. Какой Иверии дарована автокефалия в XI веке;
4. Национальный вопрос в церкви.

განხილვა მარცხით დამთავრდა. კირიონმა შექმნა მონოგრაფია «Культурная

⁴ დღესასწაული კვართისა საუფლოისა და სვეტიცხოვლისა ღვთივბრწყინვალისა და მირონმდინარისა.

роль Иверии в истории Руси».

საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქად აღსაყდრების შემდეგ კირიონმა ცხოველი მუშაობა გააჩაღა, რათა საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალიის აღიარება საერთაშორისო მასშტაბით მომხდარიყო. აღსანიშნავია, რომ 1918 წლის 26 იანვარს, დავით აღმაშენებლის ხსენების დღეს, როცა თბილისის უნივერსიტეტი გაიხსნა, კირიონმა უნივერსიტეტის ეკლესიაში საზეიმო პარაკლისი გადაიხადა. 1918 წლის 27 ივნისს მარტყოფის მონასტერში მყოფი კირიონი ტყვიით მოკლული ნახეს საკუთარ საწოლში (საქმე არ გამოუძიებიათ).

1918 წლის 24 ოქტომბერს საქართველოს ეკლესიის კათოლიკოს-პატრიარქად ლეონიდე ოქროპირიძე აირჩიეს. უნდა აღინიშნოს, რომ საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის ავტოკეფალიის აღდგენა არც ერთმა მართლმადიდებელმა ეკლესიამ არცნო. 1917 წლის 29 დეკემბერს მოსკოვისა და სრულიად რუსეთის პატრიარქმა, უწმიდესმა ტიხონმა გამოგზავნა საგანგებო წერილი, რომელშიც საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალიის გამოცხადებას საეკლესიო კანონების (ანტიოქიის კრების მიერ მიღებული მე-9, მე-13 და მე-16 წესების) დარღვევად მიიჩნევდა, რის გამოც რუსეთის ეკლესიამ კავშირი გაწყვიტა საქართველოს ეკლესიასთან და ასე გაგრძელდა 1943 წლამდე.

კათოლიკოს-პატრიარქმა ლეონიდე 1919 წლის 5 აგვისტოს საპასუხო წერილი გაუგზავნა რუსეთის პატრიარქს, რომელშიც დაასაბუთა 1811 წელს ავტოკეფალიის გაუქმების უკანონობა, მაგრამ ამას შედეგი არ მოჰყოლია. 1921 წლის 11 ივნისს კათოლიკოს-პატრიარქი ლეონიდე იმხანად საქართველოში გავრცელებული ეპიდემიის დროს შავი ჭირით გარდაიცვალა.

1921 წლის 15 სექტემბერს გელათის მონასტერში გაიმართა საეკლესიო კრება, რომელმაც კათოლიკოს-პატრიარქად სოხუმ-ჭყონდიდის მღვდელმთავარი ამბროსი (ხელაია) აირჩია. ამბროსი ხელაია 1921 წლის 25 თებერვლის შემდეგ აშკარად გამოხატავდა

უკმაყოფილებას ეკლესიის დევნის, ქართული ენის შეზღუდვის, ქართული მიწების გასხვისების გამო. 1922 წელს კათოლიკოს-პატრიარქმა ამბროსიმ საგანგებო მემორანდუმი გაუგზავნა გენუის კონფერენციას⁵. პატრიარქი მოითხოვდა საქართველოდან წითელი არმიის ნაწილების გაყვანას, რეფერენდუმის ჩატარებას. მას მიაჩნდა, რომ საქართველოს სახელმწიფო მოწყობა ქართველი ხალხის ინტერესების შესაბამისად უნდა მომხდარიყო. გენუის კონფერენციამ მემორანდუმი არ განიხილა და, შესაბამისად, მას არც შედეგი მოჰყოლია. ამბროსი ხელაია სათანადო ორგანოებმა დაჰკითხეს, პასუხისგებაში მისცეს და 1924 წლის 19 მარტს სასამართლომ საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქს 7 წლით, 9 თვითა და 23 დღით თავისუფლების აღკვეთა მიუსაჯა. სასამართლოზე წარმოთქმული საბოლოო სიტყვა ამბროსიმ ასე დაასრულა: სული ჩემი ეკუთვნის ღმერთს, გული საქართველოს, გვამს კი, რაც გინდათ ის უყავითო. რამდენიმე თვეში პატრიარქი ამბროსი ამნისტიით გაათავისუფლეს⁶. იგი 1927 წლის 29 მარტს გარდაიცვალა.

1927 წლის 21-27 ივნისს ჩატარდა საქართველოს IV საეკლესიო კრება, რომელმაც კათოლიკოს-პატრიარქად ცხუმ-აფხაზეთის მიტროპოლიტი ქრისტეფორე ციციშვილი (ქრისტეფორე III) აირჩია. მის დროს ეკლესიამ ლოიალობა გამოიჩინა ხელისუფლების მიმართ, ღვთისმსახურებისას დაიწყო მთავრობის მოხსენიება; გარკვეული ურთიერთობა დამყარდა რუსეთის საეპარქიო სამმართველოსთან. ქრისტეფორე III 1932 წლის 10 იანვარს გარდაიცვალა.

1932 წლის 21 ივნისს პატრიარქად მანგლელი მიტროპოლიტი კალისტრატე ცინცაძე აკურთხეს. მისი აღსაყდრება 24 ივნისს გაი-

5 გენუის კონფერენცია მიმდინარეობდა 1922 წლის 10 აპრილიდან 14 მაისამდე; მიუძღვნა ცენტრალური და აღმოსავლეთ ევროპის ეკონომიკის აღდგენის საკითხებს.

6 მ. ხუციშვილი, ს. ლევიშვილი, კვლავ ამბროსი ხელაიას საქმის გამო, მნათობი, 1989, გვ. 9.

მართა მცხეთაში, სვეტიცხოვლის საკათედრო ტაძარში. კალისტრატე ცინცაძემ დიდი ამაგი დასდო ქვეყნის კულტურას. იგი მხარში ედგა კულტურის მოღვაწეებს.

აღსანიშნავია, რომ 1943 წლის ოქტომბერში კათოლიკოს-პატრიარქმა კალისტრატემ სიონის ტაძარში საღმრთო ლიტურგია შეასრულა რუსეთის პატრიარქის, სერგის მიერ წარმოგზავნილ სტავროპოლისა და პიატიგორსკის მღვდელმთავარ ანტონთან ერთად⁷. ეს მოვლენა საფუძველად დაედო საქართველოსა და რუსეთის ეკლესიებს შორის კეთილი ურთიერთობის აღდგენას. რუსეთის წმიდა სინოდმა მიიღო გადაწყვეტილება საქართველოს მართლმადიდებელი სამოციქულო ეკლესიის ავტოკეფალიის ცნობის შესახებ. აღდგა ექვთარისტული ურთიერთობა რუსეთისა და საქართველოს ეკლესიებს შორის. ნიშანდობლივია, რომ რუსეთის სინოდმა გადაწყვიტა: «...Признать молитвенное и евхаристическое общение между обеими автокефальными Церквями Сестрами, Русской и Грузинской, к нашей общей радости восстановленным... Просить святейшего Патриарха, католикоса Грузии, приняв православные русские приходы в Грузинской ССР в свое архиепископское окормление, предоставить им сохранять в своей богослужбной и приходской практике те порядки и обычаи, которые они наследовали от Русской церкви... принимать к своему разрешению церковные дела и православных русских приходов, находящихся в Армени»⁸.

1943 წლის 21 ნოემბერს ლიტურგიის დროს პატრიარქმა სერგიმ პირველად მოიხსენია საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი კალისტრატე. აღსანიშნავია, რომ 1942 წლის

7 ნოემბერს კათოლიკოს-პატრიარქმა კალისტრატემ, რუსეთის პატრიარქის ტახტის მოსაყდრემ, მიტროპოლიტმა სერგიმ (შემდგომში პატრიარქი), კიევის მიტროპოლიტმა ნიკოლოზმა (იარუშევიჩი) საიუბილეო მილოცვა გაუგზავნეს იოსებ სტალინს⁹ ოქტომბრის რევოლუციის 25-ე წლისთავთან დაკავშირებით.

1952 წლის 5 აპრილს საქართველოს ეკლესიის IX კრებაზე (სიონის საკათედრო ტაძარი) საქართველოს ეკლესიის კათოლიკოს-პატრიარქად ურბნელი მიტროპოლიტი მელქისედეკ ფხალაძე აირჩიეს. ინტრონიზაცია იმავე წლის 7 აპრილს (ყოვლადწმიდა ღვთისმშობლის ხარების დღეს) მცხეთის სვეტიცხოვლის საპატრიარქო ტაძარში გაიმართა. მისი პატრიარქობის დროს თბილისის სიონში აღდგა ქართული წირვა-ლოცვა¹⁰ და ქართული გალობა. პატრიარქი მელქისედეკი 1960 წლის 10 იანვარს გარდაიცვალა.

1960 წლის 20 თებერვალს საქართველოს ეკლესიის X კრებამ კათოლიკოს-პატრიარქად ეფრემ II (სიღამონიძე) აირჩია. მისი თაოსნობით მცხეთაში სასულიერო სასწავლებელი გაიხსნა, რომელიც 1963 წელს სემინარიად¹¹ გადაკეთდა; ეფრემ II-ის დროს საქართველოს სამოციქულო ეკლესია ეკლესიათა მსოფლიოს საბჭოში შევიდა. კათოლიკოს-პატრიარქი ეფრემ II 1972 წლის 7 აპრილს გარდაიცვალა. 1972 წლის 1 ივნისს საქართველოს XI საეკლესიო კრებამ საქართველოს პატრიარქად დავით VI (დევდარიანი) აირჩია. მისი საპატრიარქო ტახტზე აღსაყდრების მსახურება (ინტრონიზაცია) 2 ივლისს მცხეთის სვეტიცხოვლის საპატრიარქო ტაძარში გაიმართა.

1977 წლის 9 ნოემბერს კათოლიკოს-პატრიარქი დავით VI გარდაიცვალა.

განსაკუთრებით აღსანიშნავია შე-

7 Грузинская православная церковь, Православная энциклопедия, XIII, М., 2006, стр. 222.

8 Журнал Московской Патриархии., М., № 3, 1944, Сергей Страгородский, Патриарх Московской, Обращение к православным русским, живущим в Грузии, стр. 10.

9 სტალინი და კალისტრატე სემინარიიდან იცნობდნენ ერთმანეთს.

10 აქ ღვთისმსახურება ოცი წლის განმავლობაში რუსულად მიმდინარეობდა.

11 ატარებდა გაბრიელ ეპისკოპოსის სახელს.

მოქმედელი მღვდელმთავრის ილიას მონაწილეობა მსოფლიო მართლმადიდებელი ეკლესიების წარმომადგენელთა შეხვედრაში კუნძულ როდოსზე (1964 წ.). აქ მან საქართველოს მართლმადიდებელი სამოციქულო ეკლესიის ავტოკეფალიის საერთაშორისო მასშტაბით ცნობის საკითხი დააყენა. საქმე ისაა, რომ, მართალია, 1917 წლის 12 (25) მარტს საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალია აღდგენილად გამოცხადდა, მაგრამ არც ერთმა სახელმწიფომ არ ცნო იგი (ამის შესახებ ზემოთაც აღინიშნა). რუსეთის ეკლესიამ მხოლოდ 1943 წელს აღიარა საქართველოს ეკლესიის დამოუკიდებლობა. საერთაშორისო მასშტაბით კი არც ანტიოქიის, არც იერუსალიმის, არც ალექსანდრიის ეკლესიებმა არ ცნეს საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალურობა. ზოგიერთმა ეკლესიამ (მაგ., პოლონეთის) ქართული ეკლესიის ავტოკეფალია მხოლოდ დე ფაქტო აღიარა. საგულისხმოა, რომ 1961 წელს პირველ სრულიად მართლმადიდებელთა თათბირზე საქართველოდან მხოლოდ ორი სასულიერო პირი მიიწვიეს. ეს იმას ნიშნავდა, რომ საქართველოს ეკლესია ავტონომიურად იყო მიჩნეული და არა ავტოკეფალურად, წინააღმდეგ შემთხვევაში ქვეყნის სამი წარმომადგენელი უნდა მიეწვიათ. ელადის ეკლესიის გამოცემულ კალენდარშიც საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესია ავტონომიურად (კონსტანტინოპოლის ეკლესიაზე დაქვემდებარებულად) იყო მოხსენიებული. ეს საკითხი პასუხგაუცემელი დატოვეს ბელგრადისა და ჟენევის საეკლესიო თათბირებსა და კონფერენციებზე.

და აი, საქართველოს მართლმადიდებელი სამოციქულო ეკლესიის სახელით, დაასახუთა რა ავტოკეფალიის კანონზომიერება, ილიამ (შიოლაშვილი) მთელი სიმწვავეით დააყენა მისი საერთაშორისო მასშტაბით ცნობის აუცილებლობის საკითხი. როდესაც მეცნიერული დასაბუთებით ვერაფერს გახდა, მეუფე ილიამ უკიდურეს ზომას მიმართა, პროტესტის ნიშნად მან სხდომა დატოვა. ამას დიდი ხმაური მოჰყვა. თუ მსოფლიო საპატრიარქოსთვის მეუფის პროტესტი დამაფიქრებელი იყო, სხვა

მხარისთვის (მხედველობაში გვაქვს იმ დროის სახელმწიფოს სხვადასხვა ორგანოები) ეს ქმედება კრიტიკის საგანი გახდა. საქმე ისაა, რომ როცა პატრიარქი ეფრემ II გარდაიცვალა, 1972 წელს უმაღლეს დადგა ახალი კათოლიკოს-პატრიარქის არჩევის საკითხი. საყოველთაო აზრით, როგორც მრევლის, ისე წმიდა სინოდის და საერთოდ სამღვდელოების აზრით, ერთადერთი კანდიდატი უკვე ქვეყანაში აღიარებული, საზოგადოებაში პოპულარული, ღრმად განსწავლული და თავისი ასაკისთვის (მაშინ 39 წლის იყო) საკმაოდ გამოცდილი მიტროპოლიტი ილია (შიოლაშვილი) იყო.

ისიც უნდა ითქვას, რომ საქართველოს ეკლესიის კათოლიკოს-პატრიარქის ტახტზე ილიას (შიოლაშვილი) კანდიდატურა ერთსულოვნად მიიღო ქვეყნის ხელისუფლებამ (როგორც წესი, მთავრობას, ხელისუფლებას საქმის კურსში აყენებენ ამგვარი გადაწყვეტილების მიღებისას). აქ გაუთვალისწინებელი რამ მოხდა.

ილიას (შიოლაშვილი) კათოლიკოს-პატრიარქად არჩევის წინააღმდეგ გამოვიდა საბჭოთა კავშირის მინისტრთა საბჭოს რელიგიათა საქმის სამმართველო და კერძოდ, მისი რწმუნებული. წინააღმდეგობის მოტივად როდოსის შეკრებაზე ილია შიოლაშვილის პროტესტი დასახელდა. იმხანად შეუძლებელი გახდა ამ წინააღმდეგობის გადალახვა და მიტროპოლიტი ილიას (შიოლაშვილი) არჩევა კათოლიკოს-პატრიარქად რამდენიმე წლით გადაიდო.

1977 წლის 25 დეკემბერს, სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქად უწმიდესი და უნეტარესი ილია II აკურთხეს. 43 წლის ილია II დიდი ენერგიით შეუდგა ფართო მასშტაბის საქმიანობას.

განსაკუთრებით უნდა აღინიშნოს ილია II-ის მიერ გადადგმული მნიშვნელოვანი ნაბიჯები საერთაშორისო ურთიერთობების გაუმჯობესებისათვის.

პატრიარქმა კვლავ გააგრძელა გასული საუკუნის 60-იან წლებში დაწყებული საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალიისთვის ბრძოლა. საქართველოში ვიზიტად ჩამოვიდ-

ნენ მსოფლიო მართლმადიდებელი საპატრიარქოების პირველი პირები, მათ შორის კონსტანტინოპოლის, ალექსანდრიის, ანტიოქიის, იერუსალიმის პატრიარქები. ამ ურთიერთობით, რომლის სულისჩამდგმელი კათოლიკოს-პატრიარქი ილია II იყო, საქართველოს ეკლესიამ მსოფლიოს მართლმადიდებელ ეპარქიებთან ძველი ტრადიციული სულიერი კავშირი აღიდგინა. 1979 წელს ილია II თავად ეწვია კონსტანტინოპოლის საპატრიარქოს. მან კვლავ დააყენა საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის ავტოკეფალიის საკითხი და მოითხოვა, რომ ეს საქმე ერთხელ და სამუდამოდ გადაწყვეტილიყო¹². ბრძოლამ თავისი ნაყოფი გამოიღო: მსოფლიოს საპატრიარქოები დარწმუნდნენ, რომ საქართველოს ეკლესია თავისი ტრადიციების ერთგულია და შესწევს უნარი, კუთვნილი ადგილი დაიკავოს მსოფლიოს მართლმადიდებლურ სამყაროში¹³.

თერთმეტწლიანი თავგამოდებული მცდელობა და ძალისხმევა დასჭირდა იმას, რომ საქართველოს სამოციქულო მართლმადიდებელი ეკლესია მსოფლიოს ავტოკეფალურად ედარებინა. 1990 წლის 23 იანვარს კონსტანტინოპოლის (მსოფლიო) საპატრიარქოს წმიდა სინოდის სხდომაზე საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალიის საერთაშორისო მასშტაბით ცნობის საკითხი განიხილეს. 1990 წლის 4 მარტს კონსტანტინოპოლის პატრიარქმა დიმიტრიოს I-მა სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქს, უწმიდესსა და უნეტარეს ილია II-ს გადასცა საგანგებო სიგელი, რომელიც საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალურობას ადასტურებს.

კონსტანტინოპოლის საპატრიარქო ტახტი (რომელსაც უფლება აქვს, ჩაერთოს ღვთის წმიდა ეკლესიების მოთხოვნილებაში, გამოიჩინოს ...მზრუნველობა და დააკმაყოფილოს ისინი) საქართველოს უწმიდესი მართლმადიდებელი ეკლესიის ავტოკეფალიის

ცნობისა და მტკიცების სიგელით ადასტურებდა, რომ საქართველოს საზღვრებში შემაჯავრობა წმიდა და მართლმადიდებელმა ეკლესიამ უძველესი დროიდან მიიღო თვითმმართველი და თავისუფალი გამგებლობა და, შესაბამისად, საეკლესიო მმართველობითი ორგანიზაცია. მსოფლიო საპატრიარქომ ცნო საქართველოს უწმიდესი ეკლესია იმავე სტრუქტურითა და ორგანიზაციით, როგორც უძველესი დროიდან ჰქონდა.

ამგვარად, ფაქტობრივად დადასტურდა და დაკმაყოფილდა მსოფლიოს საპატრიარქოსადმი საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის, უწმიდესისა და უნეტარესის ილია II-ის ჯერ კიდევ 1979 წელს წაყენებული მოთხოვნები: ეცნოთ საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალია V საუკუნიდან; დაედასტურებინათ ეკლესიის მეთაურისთვის პატრიარქის წოდება XI საუკუნიდან. საქართველოს ეკლესიამ რეალური ავტოკეფალია სწორედ ილია II-ის თავდადებული ბრძოლის შედეგად მოიპოვა.

12 ჯვარი ვაზისა, I, 1979, გვ. 79.

13 საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი, თბ., 2000, გვ. 2017.

ჭეშმარიტი და ფსევდოსეკულარიზმი

ჭიათურისა და საჩხერის მიტროპოლიტი დანიელი (დათუაშვილი)

ცნება სეკულარიზმის ეტიმოლოგია სათავეს იღებს ლათინური სიტყვიდან სეკულ — რაც ნამგალს ნიშნავს. ნამგალს შეუძლია როგორც ჯეჯილის, ასევე სარეველა ბალახის მოჭრა. სეკულარიზმმა თავისი საწყისი მნიშვნელობიდან სივრცის უარყოფითი გავლენისაგან განთავისუფლების იდეა აიღო. სეკულარიზმი თავისუფალია ყოველგვარი მსოფლმხედველობრივი დატვირთვისაგან. იგი პროფანულ ანუ საერო სივრცეს ათავისუფლებს არა რელიგიურობისგან, არამედ ისეთი რელიგიური ინსტიტუტებისგან, რომლებიც ხელს უშლიან ღვთაებრივისა და ადამიანურის თანაარსებობას.

XX საუკუნის ცნობილი მართლმადიდებელი ღვთისმეტყველი პროტოპრესვიტერი იოანე მეინდორფი სტატიაში „ქვეყნიერების სეკულარიზაცია — ქრისტიანული იდეა“ წერს: „ქრისტიანობის ერთ-ერთი დამახასიათებელი სიახლე იყო ის, რომ მან განახორციელა კოსმოსის დემისტიციფირება, თუ გნებავთ, სეკულარიზება“.

წარმართული სარწმუნოება, რომელიც აღმერთებდა მატერიალური სამყაროს სხვადასხვა მოვლენებს, ფაქტობრივად ტყვეობაში ამყოფებდა პროფანულ სივრცეს. კერპთაყვანისმცემლობის მხილებით ქრისტიანულმა მსოფლმხედველობამ ფართო შემოქმედებითი ასპარეზი გაუხსნა საერო სფეროს, თანამედროვე ცივილიზაციის სამეცნიერო და კულტურული მიღწევები ქრისტიანობის მიერ განხორციელებული სეკულარიზაციის შედეგია.

ქრისტიანობამ კაცობრიობას შესთავაზა არა მონური რელიგიურობა, არამედ თავისუფალი არჩევანის საფუძველზე ღვთაებრივისა და ადამიანურის, სასულიეროსა და საეროს, საკრალურისა და პროფანულის ჰარმონიული კავშირი ანუ სინერგია.

პირველ საუკუნეებში სინერგიას სერიოზული დაბრკოლება შეუქმნა რომის იმპერიამ. სრულ უფლებობასა და სასტიკ დევნაში მყოფი ეკლესიას შეზღუდული ჰქონდა საერო სივრცეში თავისუფალი მოქმედება. სინერგიულმა პროცესმა სრულყოფის მაღალ საფეხურს ქრისტიანული სახელმწიფოების შექმნის შემდგომ მიაღწია. თუმცა სულიერი ამაღლებისაკენ სწრაფვას გამარჯვებასთან ერთად მარცხიც ახლდა. იყო ცალკეული შემთხვევები როგორც ეკლესიაზე სახელმწიფოს ზემოქმედების, ასევე პირიქით. ქრისტიანულ სამყაროში სასულიერო და საერო სფეროებს შორის ურთიერთობის გადახედვა მონარქიული მმართველობის დემოკრატიულით ჩანაცვლებამ განაპირობა. მსოფლმხედველობრივი ნეიტრალიტეტის მქონე დემოკრატიული მმართველობის პირობებში არაბუნებრივი აღმოჩნდა რელიგიური ინსტიტუტების ძველი ფორმები; შესაბამისად დაიწყო სეკულარიზაციის პროცესი ანუ საერო სფეროს გათავისუფლება მისთვის შეუფერებელი რელიგიური ინსტიტუტებისგან.

სინერგიულ პროცესს ერთნაირად აზიანებს როგორც არაადეკვატური რელიგიური ინსტიტუტების არსებობა პროფანულ სივრცეში, ასევე საკრალურ სფეროში პოლი-

ტიკური ინსტიტუტების თვითნებური ქმედება. შესაბამისად, სეკულარიზმი გულისხმობს არა მარტო პროფანული სივრცის დაცვას შეუფერებელი რელიგიური ინსტიტუტებისგან, არამედ საკრალური სივრცის გათავისუფლებას პოლიტიკური ზემოქმედებისგან.

ჭეშმარიტი სეკულარიზმი საზოგადოებრივ სივრცეში სასულიერო და საერო სფეროების ინსტიტუციური მოწესრიგების მისიას ასრულებს. იცავს რა ინსტიტუციურ საზღვრებს, სეკულარიზმი, ერთი მხრივ, ხელს უწყობს საზოგადოებრივ თანხმობასა და მშვიდობას, ხოლო მეორე მხრივ, ჯანსაღ ნიადაგს ქმნის სასულიერო და საერო სფეროებს შორის ჰარმონიული კავშირისა და თანამშრომლობისთვის, ანუ სინერჯისთვის.

ჭეშმარიტი ინსტიტუციური სეკულარიზმის არსი კარგად ჩანს უფლის სიტყვებში: „მიეცი თ კეისრისა კეისარსა და ღმრთისა ღმერთსა“. (ლუკა, 20.25).

ადამიანის ბუნება აერთიანებს სულიერ და მატერიალურ სამყაროს. საზოგადოებრივი სივრცის დაყოფა საკრალურ და პროფანულ სფეროებად პირობით ხასიათს ატარებს. ორივე სფერო ერთიანი საზოგადოების სხვადასხვა მხარეს წარმოადგენს. მათი თავისებურებების განცალკევებული შესწავლა ხელს უწყობს საზოგადოების გამთლიანებასა და ჰარმონიულ არსებობას.

ჭეშმარიტი სეკულარიზმი სასულიერო და საერო ინსტიტუტებს ფუნქციითა აღრევისაგან, ურთიერთჩარევისა და ურთიერთზემოქმედებისგან იცავს. ქრისტიანულ ქვეყნებში დემოკრატიულ მმართველობაზე გადასვლის პროცესში რელიგიური ინსტიტუტების ცვლილება სწორედ ჭეშმარიტი სეკულარიზაციის წყალობით განხორციელდა.

ბოლო საუკუნეებში აღმოცენებულმა მოდერნულმა ფილოსოფიამ ჭეშმარიტების საზომად ადამიანი გამოაცხადა. გაჩნდა ადამიანის გონების ამოუწურავი შესაძლებლობების რწმენა, კაცობრიობის მიერ ღვთისგან დამოუკიდებლად დედამიწაზე თავისუფლების, სამართლიანობისა და საყოველთაო კეთილდღეობის დამყარების რწმენა.

მოდერნულმა ფილოსოფიამ რელიგია პიროვნების კერძო სფეროდ გამოაცხადა, და ამით საჯარო სივრცის დესაკრალიზაციის იდეას მისცა ბიძგი. მსოფლმხედველობრივი ნეიტრალიტეტის აღიარების მიუხედავად, დემოკრატიულმა სახელმწიფო ინსტიტუტებმა მოდერნული ფილოსოფიის იდეა დესაკრალიზაციის შესახებ რეალობად აქციეს.

ბოლო საუკუნეებში ჭეშმარიტი სეკულარიზმი, რომელიც ინსტიტუციურად საკრალურ და პროფანულ სფეროებს აწესრიგებდა, ფსევდოსეკულარიზმმა, არარელიგიური მსოფლმხედველობის რელიგიასთან ბრძოლის იარაღმა ჩაანაცვლა.

XX საუკუნის 60-იან წლებში ცნობილი მართლმადიდებელი საეკლესიო მოღვაწე დეკანოზი ალექსანდრე შიმეძანი სეკულარიზმის შესახებ წერდა: „ამჟამად მთელი მსოფლიო სეკულარული გახდა. უკეთეს შემთხვევაში იგი ადამიანს ეუბნება: „თუ გინდა, გწამდეს, მაგრამ არავითარ შემთხვევაში არ ჩარიო რელიგია ცხოვრების არც ერთ სფეროში — არც მეცნიერებაში, არც ხელოვნებაში, არც პოლიტიკაში, არც მეურნეობაში. აქ არ არის რელიგიის ადგილი“. რელიგიის ბედზე ამ სეკულარულ მსოფლიოში, სადაც რელიგია იმდენად აკრძალული არ არის (რადგან ბოლოს და ბოლოს, რწმენის, ლოცვის, ღმერთთან პირადი ურთიერთობის აკრძალვა შეუძლებელია), რამდენადაც მოკვეთილია ცხოვრების ყველა სფეროსგან, მორწმუნეებიც და ურწმუნოებიც უნდა დაფიქრდნენ, რატომ? გამიჯვნა, რაც საფუძვლად უდევს სეკულარიზმს, და რაც რელიგიას განდევნის „კერძო“ სფეროში, ადრე თუ გვიან იწვევს ადამიანის დამონებას, და დავამატებ, იმგვარ დამონებას, რომლის დროსაც ურწმუნო დამონებულია განუზომლად უფრო მეტად, ვინემ მორწმუნე, რადგან ის, რასაც თანამედროვე ენაზე ეწოდება ტოტალიტარიზმი, არის სეკულარიზმის პირდაპირი და გარდაუვალი შედეგი“ (ა. შიმეძანი, რელიგია და საზოგადოება: რელიგია საჯარო სივრცეში).

ფსევდოსეკულარიზმი ცდილობს ჭეშმარიტი სეკულარიზმის შარავანდელით წარმოგვიდგეს და თავი პროგრესისა და ჰუმანი-

ზმის მსახურად მოგვაჩვენოს, მაგრამ მისი მსოფლმხედველობრივი ხასიათი საპირისპირო შედეგს იწვევს. ფსევდოსეკულარიზმის მიერ საჯარო სივრციდან რელიგიის განდევნას საზოგადოებრივ ჯგუფებს შორის დაპირისპირება და პოლარიზაცია მოსდევს. მისი ერთ-ერთი უმძიმესი შედეგი რელიგიური ფანატიზმის ახალი ფორმის – საერთაშორისო ტერორიზმის აღმოცენება გახლავთ.

ცნობილი ამერიკელი სოციოლოგი, წარსულში სეკულარიზმის ერთ-ერთი აპოლოგეტი პიტერ ლუდვიგ ბერგერი თავის წიგნში „უკუქცეული სეკულარიზმი“ (1996 წ.) წერდა: „ის, ვინც უგულვებლყოფს რელიგიის მნიშვნელობას თანამედროვე ურთიერთობების ანალიზისას, ამას სჩადის თავისი შიშისა და რისკის გამო“. 2001 წლის 14 ნოემბერს გერმანელმა ფილოსოფოსმა იურგენ ჰაბერმასმა, როცა მას მშვიდობის პრემიას ანიჭებდნენ, ბრძანა: „სეკულარულმა უმრავლესობამ მნიშვნელოვან საკითხებზე არ უნდა მიიღოს გადაწყვეტილება მანამ, სანამ არ მოუსმენს ოპონენტებს, რომლებიც თავიანთი რელიგიური რწმენის გამო უფლებამუდახულად გრძობენ თავს უმრავლესობის მხრიდან“.

წიგნში „სეკულარიზაციის დიალექტიკა“ იგი განავრცობს აზრს იმის თაობაზე, რომ ხელისუფლების მიერ სეკულარული მსოფლმხედველობის ყველა ადამიანზე გავრცობა შეუთავსებელია სახელმწიფოს იდეოლოგიურ ნეიტრალურობასთან, რადგან იგი ვერ უზრუნველყოფს ყოველი მოქალაქის თანაბარ ეთიკურ თავისუფლებას. ამ მოსაზრების საფუძველზე იგი ასკვნის: „არარელიგიურმა ადამიანებმა, რამდენადაც ისინი სახელმწიფოს მოქალაქეები არიან, პრინციპულად არ უნდა უარყონ ჭეშმარიტების პოტენციაში სამყაროს რელიგიური აღქმა და არ უნდა წაართვან მორწმუნე მოქალაქეებს უფლება, რელიგიური ცნებების მეშვეობით თავიანთი წვლილი შეიტანონ საზოგადოებრივ დისკუსიაში“.

2012 წელს მისი უწმიდესობის ილია II-ის აღსაყდრების 35 წლისთავისადმი მიძღვნილ კონფერენციაზე „შემობრუნება სუ-

ლიერებისაკენ“ იგივე აზრი სეკულარიზმის შესახებ გამოთქვა საქართველოს პარლამენტის მაშინდელმა თავმჯდომარემ ბატონმა დავით უსუფაშვილმა: „არასწორი დასკვნა კეთდება, თითქოს ლიბერალური დემოკრატია გულისხმობს სეკულარიზაციას რელიგიასა და სახელმწიფოს შორის მსოფლმხედველობრივ დონეზე, მსოფლმხედველობრივ დონეზე რელიგიისა და სახელმწიფოს სეკულარიზაცია ეს არის ახალი ტოტალიტარიზმის დასაწყისი, გარდაუვალი დასაწყისი“.

დღეს მსოფლიოს მშვიდობის სადაზავო მდგომი ინტელექტუალური ელიტის საუკეთესო წარმომადგენლები აცნობიერებენ რელიგიურ და არარელიგიურ საზოგადოებრივ ჯგუფებს შორის თანამშრომლობის აუცილებლობას და ეძებენ ჭეშმარიტი ინსტიტუციური სეკულარიზმის საერთაშორისო ასპარეზზე დაბრუნების გზებს.

თანამედროვე ფილოსოფია საკაცობრიო ცივილიზაციის ისტორიაში განასხვავებს ორ უმთავრეს მიმართულებას: აღმოსავლურსა და დასავლურს. აღმოსავლურ კულტურაში აშკარაა გულისა და ინტუიციის, ხოლო დასავლურში გონებისა და ინტელექტის პრიმატი. ამ ორი მიმართულების ურთიერთგამიდრება მსოფლიოს ჰარმონიული განვითარების მთავარ მამოძრავებელ ძალას წარმოადგენს.

სიყვარული სიბრძნის გარეშე ბრმაა, ხოლო სიბრძნე სიყვარულის გარეშე ამაოებაა. ჯანსაღი აზრის დეფიციტი რელიგიურ ფანატიზმს წარმოშობს, ხოლო გულის გაციება – ანტირელიგიურ რადიკალიზმს.

ცივილიზაციათა შორის დიალოგის მრავალსაუკუნოვანი ტრადიციის მქონე საქართველომ შესაძლოა კულტურული მედიატორის როლი შეასრულოს როგორც აღმოსავლეთისა და დასავლეთის, ასევე სამხრეთისა და ჩრდილოეთის ქვეყნებს შორის ურთიერთობაში. ამგვარი დიალოგის წარმართვაში ყოველთვის გამორჩეული იყო საქართველოს ეკლესიისა და მისი წინამძღოლების როლი.

დღესაც ცივილიზაციათა შორის დიალოგის ერთ-ერთი მოთავე და ხელშემწყობია სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატ-

რიარქი ილია II. მის 40-წლიან საპატრიარქო მოღვაწეობაში განსაკუთრებულად გამოვლინდა ჩვენი ეროვნული იდენტობისთვის დამახასიათებელი მშვიდობისმყოფელი ბუნება, როგორც ქვეყნის შიგნით, ასევე მის ფარგლებს გარეთ.

საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი ილია II ბრძანებს: „ჩვენ ვცხოვრობთ წინააღმდეგობებით აღსავსე დროში, რთული პროცესები მიმდინარობს მთელ მსოფლიოში: ერთი მხრივ, დიდი ნაბიჯები იდგმება წინ მეცნიერებასა და ტექნიკაში, მაგრამ სულიერების თვალსაზრისით აშკარა უკუსვლა გვაქვს. ძალიან მოკლე ხანში ჩვენ თვალწინ კაცობრიობა დაუცველი გახდა, ადამიანი კიდევ უფრო გულგრილი და სხვისი ტკივილისადმი ინდიფერენტული, ცოდვა კი გამრავლებული და ლეგალიზებული. ...ვიდრე ხელისუფლებები არ გააცნობიერებენ ღვთის რწმენის მნიშვნელობას და საზოგადოებაში მის დანერგვას ხელს არ შეუწყობენ, მდგომარეობა არ გამოსწორდება“ (საპატრიარქოს უწყებანი, 2016.).

გამოვთქვამთ იმედს, რომ კრიტიკულ ვითარებაში მყოფი თანამედროვე მსოფლიო სულიერი და ფიზიკური ძალების გაერთიანებით გადალახავს მის წინაშე არსებულ დაბრკოლებებს და სამშვიდობო გზას დაადგება.



რელიგია და მეცნიერება

მსოფლმხედველობის სტრუქტურული მრავალგანზომილებიანობა: ფილოსოფიური, მეცნიერული, რელიგიური, ემპირიული და მხატვრული კომპონენტები

არქიმანდრიტი **ადამი (ახალაძე)**, მედიცინის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი

ცოდნა და რწმენა თვითმიზანი კი არ არის, არამედ გზა ჭეშმარიტებისა და ღვთისაკენ მიმავალი.

ილია მეორე,

სრულიად საქართველოს
კათოლიკოს-პატრიარქი

რწმენა და ცოდნა ფუნდამენტური კატეგორიებია ჭეშმარიტების შემეცნების არაერთგვაროვანი და წინააღმდეგობებით აღსავსე გზის გავლისას. ამ გზის ხასიათსაც და შედეგსაც ჩვენი მსოფლმხედველობა განსაზღვრავს. ამიტომაც წარმოდგენილ ნაშრომში მიზნად დავისახეთ ჩამოვაცალიბოთ მსოფლმხედველობის ჩვენიუნი გაგების — მისი სტრუქტურული მრავალგანზომილებიანობის კონცეფციის საფუძვლები (ძირითადი დებულებები).

რწმენისა და ცოდნის — ამ ორი უმნიშვნელოვანესი ცნების დეფინიცია, ტრანსდისციპლინური გააზრება და შერწყმა-შეჯერება, ასევე მათი ურთიერთმიმართებების კვლევა მსოფლმხედველობრივი ხასიათის ინტელექტუალური პროცესებია. ეს კი იმას ნიშნავს, რომ ჩამოთვლილი საკითხების რეფლექსიაც, აკადემიური შესწავლაც და მეცნიერული კვლევაც ისე უნდა წარიმართოს, რომ ყველა წარმოშობილ და დასმულ შეკითხვას

იმგვარად ვუპასუხოთ, როგორც ვპასუხობთ ადამიანის — ბიოლოგიური, სოციალური, კულტურული და სულიერი არსების — ყოფიერებასთან, ცხოვრებასა და მოღვაწეობასთან, სამყაროში ადამიანისთვის განკუთვნილ ადგილსა და ადამიანის დანიშნულების გაგებასთან დაკავშირებულ კითხვებს. აკი მსოფლმხედველობა განსაზღვრავს ადამიანის მოღვაწეობის არსსაც, ხასიათსაც, მოწესრიგებულობასაც, მიზანმიმართულებასაც და შინაარსსაც. როგორცაა ჩვენი „მე“ და მისი პოზიცია, ისეთივეა ჩვენი მსოფლაღქმა.

მოვლენათა — როგორც ფენომენთა, ასევე ნომენთა სულიერ-ზნეობრივ-ფილოსოფიურ არსზე როდესაც ვმსჯელობთ, თვალსაჩინო ხდება „მარტოხელა“ გონიერების სისუსტე, რომელიც რწმენის, ასევე ფილოსოფიური დისკურსისა და მხატვრულ სივრცეში პროეცირების გარეშე არ არის საკმარისი სამისოდ, რათა განჭვრიტოს პოლიტიკის, თა-

ნამედროვე ტექნოლოგიების, ბიომედიცინის, მსოფლიო ეკონომიკის, ეკოლოგიის წინაშე არსებული ეთიკური დილემები.

უნდა ითქვას, რომ რწმენისა და ცოდნის ურთიერთმიმართების საკითხს განსაკუთრებული ბედი ერგო კაცობრიობის ისტორიაში.

ამ საკითხთან მიმართებაში ადამიანები იმთავითვე სხვადასხვა თვალსაზრისს იზიარებდნენ. ახლა ეს გარდაუვალი გახდა იმ მიზეზით, რომ რწმენას და ცოდნას მუდმივად უპირისპირებენ ერთმეორეს. ტერტულიანემ ნათელი შეიტანა ამ გაყოფაში, როდესაც დასვა კითხვა: „რა საერთო აქვს ათენს იერუსალიმთან?“ მისთვის ფილოსოფია ქრისტიანობის ანტაგონისტი იყო. ავგუსტინეც და ანსელმიც ამ ტრადიციას მისდევდნენ. საინტერესოა, რომ ისლამურ კულტურაში გონება მეფობდა. ავიცენა და ავეროესი (იბნ რუშდი) შუა საუკუნეებში ამკვიდრებდნენ აზრს, რომ გონებას მივყავართ აბსოლუტურ ჭეშმარიტებამდე, ხოლო რწმენა მოკლე გზაა იმათთვის, ვინც არაა დაჯილდოვებული განსაკუთრებული გონებრივი ტალანტებით. რაც შეეხება თომა აკვინელს, იგი ამტკიცებდა, რომ ჭეშმარიტებამდე მივყავართ როგორც რწმენას, ისე გონებას, თუმცა მიაჩნდა, რომ ერთსა და იმავე ადამიანს არ შეუძლია ერთდროულად სწამდეს კიდევ და ჭეშმარიტებასაც შეიმეცნებდეს გონების მეშვეობით. ასე რომ, თომა აკვინელის დოქტრინა ცოდნასა და რწმენას ერთმანეთისგან ამორებს და საფუძველსაც ქმნის მათი დაპირისპირებისთვის.

ჩვენ გვერდი ვერ ავუარეთ ამ ისტორიულ ექსკურსს და ახლა გვინდა აღვნიშნოთ, რომ იმის მცდელობა, ან მხოლოდ რწმენის, ან მხოლოდ ცოდნის მხარე დაიკავონ, კვლავაც გრძელდება, რისი შედეგიცაა არაერთი მარცხი ამ უმნიშვნელოვანესი საკითხის ანალიზსა და შეფასებაში.

გავიხსენოთ, რომ XX საუკუნის ფილოსოფიაში ახლებურად დადგა ცოდნისა და რწმენის მიმართების საკითხი, რომელიც მარქსისტულ იდეოლოგიაში ერთმნიშვნელოვნად იყო გადაჭრილი ცოდნის სრული პრიმატის

სასარგებლოდ. რელიგიურ რწმენას არც ნაციონალ-სოციალისტები, არც სოციალ-დემოკრატები და არც ბურჟუაზიულ იდეოლოგთა უმეტესობა წყალობდა.

XX საუკუნეში დასავლეთში შეხედულება მეცნიერების ბუნებაზე პრინციპულად შეიცვალა: უარყოფილ იქნა არა მარტო ასახვის მარქსისტული დიალექტიკურ-მატერიალისტური თეორია, არამედ მეცნიერული კანონების მარადიულობაც და ურყეობაც.

კიდევ ერთი: მეცნიერული რაციონალურობის კლასიკური ტიპი ობიექტის შესწავლისას უკუაგდებდა ყველაფერს, რაც კი შემეცნების სუბიექტთან, ადამიანთან, მეცნიერთან იყო დაკავშირებული. შეფასებისა და ღირებულებების სამყარო მეცნიერებისგან გარიყული იყო. მხოლოდ XX საუკუნეში შეიცვალა მდგომარეობა, როცა აღიარეს, თუ რა ღრმად და ყოველმხრივია ჩაწული ადამიანის სამყარო ანუ სუბიექტური სამყარო მეცნიერების მორფოლოგიურ და ფუნქციურ სტრუქტურებში.

რაკი მეცნიერებამ უარი თქვა იმ ძველ პრეტენზიაზე, რომ მხოლოდ იგია სინამდვილის ერთადერთი ჭეშმარიტი ამსახველი, რელიგიურმა რწმენამ (ასევე ფილოსოფიამაც და ხელოვნებამაც) დაიბრუნა ის ადგილი, რომელიც ერთ დროს კანტის მცდელობით დაიშკვიდრა. შესაძლებელი გახდა მეცნიერებისა და რელიგიის წარმომადგენელთა თანასწორუფლებიანი დიალოგი, რომლის მიზანი მართებული მსოფლგაგების ჩამოყალიბებაა.

როგორც ვხედავთ, რწმენისა და ცოდნის ურთიერთმიმართების შეფასების საზღვრები, როგორც ამა თუ იმ მსოფლმხედველობის გამოვლინება, სცილდება მეცნიერული დისკუსიის ფარგლებს.

მართალია, მეცნიერება, ერთი მხრივ, და ფილოსოფიური, რელიგიური, მხატვრული აზროვნება, მეორე მხრივ, არსებობდა განსხვავდებიან ერთმანეთისაგან და თანამედროვე კულტურის ორ პოლუსსაც კი წარმოადგენენ, მაგრამ, მათ შორის არ არსებობს გადაულახავი ზღვარი. პირიქით, მათ ბუნებაში არსებობს ის საყრდენი, რომელზედაც ამ ორი

მხარის დაახლოების ტენდენციები აღმოცენდა. ასე მოხდა ილია მართლის (ჭავჭავაძის), ფ. დოსტოევსკის, ლუკა ვოინო-იასენეცკის, გაბრიელ ეპისკოპოსის, ალფრედ უაითჰედის და მრავალთა სხვათა შემოქმედებაში.

მაშ, საკითხი, თუ რა არის მსოფლმხედველობა, როგორია მისი ანატომია ან სახესხვაობები, არსებობის კანონზომიერებანი, მნიშვნელოვანია, რადგან იგი განსაზღვრავს ჩვენი მსჯელობის, დიალოგის, პოლილოგის, დისკუსიის თუ დისკურსის ხასიათს.

თავიდან რომ დაგვეწყო, უნდა დაგვესვა შეკითხვა: რა არის მსოფლმხედველობა?

მსოფლმხედველობა ინდივიდუუმის ან სოციუმის ფუნდამენტური კოგნიტური ორიენტაციაა, რომელიც მოიცავს სამყაროსა და მასში ადამიანის ადგილის შესახებ ცოდნას — შეხედულებებს, შეფასებებს, ხატოვან წარმოდგენებს, დამოკიდებულებებს გარე სამყაროსა და საკუთარი თავისადმი, ასევე ამ შეხედულებებით განპირობებულ ცხოვრებისეულ პოზიციებს, მრწამსს, იდეალებს, შემეცნებისა და მოღვაწეობის პრინციპებს, ღირებულებით-იერარქიულ განწყობას.

დღეს ფილოსოფოსები გამოყოფენ მსოფლმხედველობის შემდეგ კომპონენტებს:

1. ცოდნა: ნებისმიერი მსოფლმხედველობის უპირველესი შემადგენელი. რაც უფრო ფართოა ცოდნის არეალი, მით უფრო არგუმენტირებულია და გააზრებული ადამიანის ცხოვრებისეული პოზიცია;
2. გრძნობები (ემოციები);
3. ღირებულებები: მათი აღქმა ხდება საკუთარი მიზნების, მოთხოვნილებების, ინტერესების, ცხოვრების აზრის გაგების პრიზმით;
4. საქციელი — საკუთარი შეხედულებებისა და იდეების პრაქტიკული, ქცევითი გამოვლინებები;
5. მრწამსი — ცოდნისა და ნების ერთიანობა, მოიცავს პირად და საზოგადოებრივ შეხედულებებს, რომლებსაც სხვა ადამიანები ან უპირობოდ იღებენ, ან ეჭვით. მრწამსი ერთდროულად მასების მამოძრავებელი ძალაცაა და განსაკუთრებულად იდეური ადამიანების ცხოვრების დვრიტაც;
6. ხასიათი — პირადი თვისებების ერთობლიობა, რომელიც ხელს უწყობს მსოფლმხედველობის ჩა-

მოყალიბებასა და განვითარებას. ხასიათის გამოვლინების სფეროებია: (ა) ნებელობა (დამოუკიდებელი გააზრებული მოქმედების უნარი), (ბ) რწმენა (მოიცავს საკუთარი თავისა და სხვა ადამიანებისადმი დამოკიდებულებას; აქ არ იგულისხმება რელიგიური რწმენა) და (გ) იჭვნეულობა (კრიტიკულობა, ცოდნიდან და ღირებულებებიდან გამომდინარე).

ამ კომპონენტების გააზრება საჭიროა იმ საკითხებზე მსჯელობისას, რომელთაც ქვემოთ შემოგთავაზებთ.

ჩვენ უკვე ვთქვით, რომ დიალოგის მიზანი უნდა იყოს მართებული მსოფლგაგების ჩამოყალიბება. რა იგულისხმება მართებულში? ეს კითხვა ლოგიკურია, მით უმეტეს, რომ ჩვენ ყველანი ვცხოვრობთ ან უნდა ვიცხოვრობოთ მულტიკულტურულ და პლურალისტულ საზოგადოებაში.

მართებული მსოფლმხედველობა სულაც არ გულისხმობს მსოფლმხედველობის დიქტატს, პრიმატს ან, ღმერთმა დაგვიფაროს, ასე ვიფიქროთ — სრულყოფილებას! — არამედ მეთოდოლოგიურად გამართულობას.

აკი მსოფლმხედველობა განსაზღვრავს ინდივიდუუმისა და სოციუმის აზროვნებას, მის სოციალურ და ფსიქოლოგიურ განწყობებს. თავისუფალი სოციუმი ირჩევს აქტიურ საზოგადოებრივ პოზიციას, ხოლო მონობას შეგუებული — პასიურს.

რაც უფრო მრავლისმომცველია მსოფლმხედველობა, რაც უფრო ფართოა რეალობის აღქმის ჰორიზონტი და რაც უფრო თავისუფალია ადამიანის ცნობიერება, მით უფრო მასშტაბურად, მით უფრო გლობალური კატეგორიებით აზროვნებს და სუნთქავს ასეთი სოციუმი. ხოლო, თუ სოციუმის აზროვნების ჰორიზონტი პირადი ცხოვრებისა და ინტერესების ჩარჩოებითაა ჩანაცვლებული, ეს თავისუფლებიდან მონობისკენ მიმართულ ტენდენციებზე მიუთითებს.

თავისუფალი და სულიერი სრულყოფილებისკენ მსწრაფი ინდივიდუმიცა და სოციუმიც ფლობს ძალას იაზროვნოს ქვეყნის, პლანეტის, სამყაროს მასშტაბებით! თუ ასეთი ადამიანები არიან ქვეყანაში, თუ ასე სუნთქავს

საზოგადოების სხვადასხვა ჯგუფი (სოციუმი), ასეთ ქვეყანასა და ერს (ხალხს) დიდი მომავალი ექნება — იგი აღასრულებს თავის ისტორიულ მისიასაც და სულიერ მისიასაც!

ასე რომ, მსოფლმხედველობა არ შეიძლება ხსნიდეს სინამდვილის მხოლოდ ერთ მხარეს და უგულვებელყოფდეს მეორეს; პირიქით, იგი უნდა ხსნიდეს რეალობის როგორც მატერიალურ, ისე იდეალურ ასპექტებს.

მსოფლმხედველობა მრავალგანზომილებიანი კატეგორიაა. ჩვენ გამოვყავით რელიგიური, ფილოსოფიური, მეცნიერული, ემპირიული და მხატვრული განზომილებანი. ე. წ. მართებული მსოფლმხედველობა უნდა „მუშაობდეს“ ყველა განზომილებაში, ანუ უნდა იძლეოდეს შესაძლებლობას, ნებისმიერი ფენომენი ან ნოუმენი განვიხილოთ თითოეულ ამ განზომილებაში, რადგან სხვაგვარად ჩვენი წარმოდგენა მით უფრო ნაკლულევანი იქნება, რაც უფრო ნაკლებ განზომილებას მოიცავს მსოფლმხედველობრივი დისკურსი.

აქვე უნდა აღვნიშნოთ, რომ ვერ დავეთანხმებით მსოფლმხედველობათა კლასიფიკაციას, როცა გამოყოფენ სხვადასხვა სახის — ფილოსოფიურ, მითოლოგიურ, რელიგიურ, ყოფით, მხატვრულ და ა. შ. მსოფლგაგებას. ჩვენი მეთოდოლოგიური მიდგომა გულისხმობს მსოფლმხედველობის შიგნით არსებულ, სტრუქტურულ მრავალგანზომილებიანობას, ანუ მსოფლგაგება უნდა შეიცავდეს ამა თუ იმ ფენომენსა და ნოუმენზე იმგვარი წარმოდგენის შექმნის შესაძლებლობას, რომელიც ერთდროულად სარწმუნოებრივ-რელიგიურ, ფილოსოფიურ, მეცნიერულ, მხატვრულ და გამოცდილებით-ემპირიულ ცოდნათა სინთეზის საფუძველზე იქნება გააზრებული.

თუკი მსოფლმხედველობა მარტოდენ ერთ განზომილებაში „მუშაობს“, იგი არასრულფასოვანია, რადგან ასეთ შემთხვევაში, ვთქვათ, სამყარო შეიძლება განიხილებოდეს მხოლოდ რელიგიური ან მეცნიერული მსოფლმხედველობის პოზიციებიდან, ხოლო ყოფიერება ემპირიულ ან მხატვრულ მსოფლმხედველობაზე დაყრდნობით, მაგრამ ადამიანი ხომ ორ სხვადასხვა რეალობაში კი არა, ერთ

მთლიან რეალობაში არსებობს და მოღვაწეობს. მსოფლმხედველობა უცილობლად უნდა მოიცავდეს როგორც კოსმოლოგიურ (გარემომცველი სამყაროს შესახებ), ასევე ანთროპოლოგიურ (ფსიქოლოგიურ, მეტაფსიქოლოგიურ, სოციალურ, კულტურულ, რელიგიურ და ა. შ.) განზომილებებს.

ლიტერატურა:

ილია მეორე (დუდუშაურ-შიოლაშვილი), სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი. ეპისტოლენი, სიტყვანი, ქადაგებანი. — წიგნი 1. — საქართველოს საპატრიარქოს გამომცემლობა. — თბ.: 1997, გვ. 296.

ადამი (ვახტანგ ახალაძე), არქიმანდრიტი. რწმენისა და ცოდნის ჰარმონიზაცია: კულტურული კონტექსტი. — მესამე საერთაშორისო კონფერენცია „მეცნიერება და რელიგია“. — თბ., 4-5 ნოემბერი, 2014, გვ. 80-81.

ადამი (ვახტანგ ახალაძე), არქიმანდრიტი. იერუსალიმი და ათენი (სარწმუნოება და მეცნიერება: ინტეგრაციის მცდელობანი). — გელათის მეცნიერებათა აკადემიის ჟურნალი, 2007, №3, გვ. 10-28.

ადამი (ვახტანგ ახალაძე), არქიმანდრიტი. სარწმუნოებრივ და მეცნიერულ მსოფლმხედველობათა ინტეგრაციის შესაძლებლობანი ფუნდამენტურ ბიოეთიკაში. — გელათის მეცნიერებათა აკადემიის ჟურნალი, 2003, №10, გვ. 23-55.

ადამი (ვახტანგ ახალაძე), არქიმანდრიტი. რწმენისა და ცოდნის ურთიერთმიმართების საკითხები სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის ილია მეორის ეპისტოლეებში. — რელიგია, 2002, №10-11-12, გვ. 13-23.

Adam Vakhtang Akhaldze, Archimandrite. Georgian Patriarchate King Tamar University in the National and International Dimensions of Culture, Education and Health Care. — International Week 2018, “Science in Motion”, 11th-15th of June. Abstracts. — Catholic University of Applied Sciences, Freiburg, Germany, 2018. — P. 15-16.

Lipe D. L. Faith and Knowledge. — <https://www.apologeticspress.org/rr/reprints/Faith-and-Knowledge.pdf>. — May 11, 2018.

Welton M. Jurgen Habermas on “Faith and Knowledge”. — <https://www.counterpunch.org/2015/06/26/jurgen-habermas-on-faith-and-knowledge/>. — May 2, 2018.

მეცნიერება და შუა საუკუნეების დასავლეთის ქრისტიანული ეკლესია

თეიმურაზ ბუაძე

თეოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი

რელიგია და მეცნიერება ჩვენი საზოგადოებრივი ყოფის, კულტურისა და ცივილიზაციის განმსაზღვრელი ყველაზე მნიშვნელოვანი ფაქტორებია. სხვადასხვა ეპოქაში, ცივილიზაციასა და კულტურაში ერთმანეთისგან განსხვავებული, მრავალფეროვანი შეხედულებები ჰქონდათ ღმერთზე, ადგილზე, სადაც რელიგიურსა და სეკულარულს შორის არსებულმა ზღვარმა უნდა გაიაროს, მეცნიერული ცოდნის შესაძენად ვარგის მეთოდებზე და, ზემოთქმულიდან გამომდინარე, რელიგიასა და მეცნიერებას შორის არსებულ თუ შესაძლებელ, სასურველ თუ დაუშვებელ ურთიერთემოქმედების ფორმებზე. ამ მრავალფეროვნების მიუხედავად მიგვაჩნია, რომ რელიგიისა და მეცნიერების ურთიერთმიმართების საკითხის არსებითი განხილვისთვის საკმარისი იქნება თუ სიტყვა „რელიგიაში“ ქრისტიანობას ვიგულისხმებთ, „მეცნიერებაში“ კი — საბუნებისმეტყველო მეცნიერებებს, რადგან, მეცნიერება, ამ სიტყვის თანამედროვე, მოდერნული გაგებით, XVI–XVII საუკუნეების ქრისტიანულ ევროპაში ჩამოყალიბდა და, რელიგიასა და მეცნიერებას შორის ვითომდა „კონფლიქტური ურთიერთმიმართების“ თეზისის მხარდამჭერები, როგორც წესი, სიტყვა „მეცნიერებაში“ უფრო საბუნებისმეტყველო მეცნიერებებს გულისხმობენ, ვიდრე ჰუმანიტარულს.

ამ თეზისის მხარდამჭერთა აზრით, მეცნიერების განვითარება ყველაზე მეტად შუა საუკუნეების ევროპაში შეფერხდა, ვინაიდან ამ პერიოდში იქ ქრისტიანულ ეკლესიას

დომინანტური პოზიცია ეკავა. მათ დაასვენეს, რომ შეფერხების მთავარი მიზეზი სარწმუნოება იყო. ისინი ამტკიცებენ, რომ მეცნიერება ანტიკურ საბერძნეთში ჩაისახა და იქ თავისუფლად ვითარდებოდა; V საუკუნიდან დაწყებული მთელი ათასი წლის განმავლობაში, ეკლესიის უარყოფითი გავლენის გამო, მეცნიერებაში არაფერი მნიშვნელოვანი არ მომხდარა და ხელახალი აღორძინება მხოლოდ მას შემდეგ დაიწყო, რაც ეკლესიის გავლენამ შესუსტება იწყო, ანუ XVI საუკუნიდან. ამ მოსაზრების მიმდევარნი მეცნიერების შემაფერხებელ მთავარ ფაქტორად წმინდა წერილის ავტორიტეტს და ქრისტიანული რწმენის დოგმებს მიიჩნევენ. ეს შეხედულებები კრიტიკას ვერ უძლებს ისტორიული, ფაქტოლოგიური და კონცეპტუალური თვალსაზრისით. ვინაიდან წმინდა წერილის ავტორიტეტი და დოგმები ამ საკითხის ყველაზე არსებითი ნაწილია, ჯერ მათ განვიხილავთ და მერე დანარჩენსაც შევხებით.

წმინდა წერილი არ შეიძლება ჩაითვალოს წიგნად, რომელიც სამყაროს შესახებ მეცნიერულ ცოდნას იძლევა. ამ მისიას ესა თუ ის კონკრეტული მეცნიერება ასრულებს. მეცნიერება გვასწავლის, როგორაა მოწყობილი სამყარო, წმინდა წერილი კი — როგორი უნდა იყოს ჩვენი დამოკიდებულება სამყაროსადმი. საუკუნეების წინ ცნობილი ფრაზის მიხედვით: „მეცნიერება გვამცნობს, როგორაა ცა მოწყობილი, წმინდა წერილი კი ზეცაში მოხვედრის გზას გვიჩვენებს“. თუ ამ აზრის საილუსტრაციოდ კონკრეტულ მაგალითსაც მოვიშველიებთ,

ამ მიზნით შეიძლება მატარებლების მოძრაობის განრიგი მოვიყვანოთ. რაც უნდა ზედმიწევნით შევისწავლოთ ეს განრიგი, ის თავისთავად ვერ მიგვითითებს, კონკრეტულად სად უნდა გავემგზავროთ. გადაადგილების მიმართულებას, მიზანს — ჩვენი ნება განსაზღვრავს, განრიგი კი ჩვენგან დამოუკიდებელ წესრიგს გამოხატავს. ამის ანალოგიურად, წმინდა წერილი ღვთაებრივ ნებაზე საუბრობს, რომელსაც ჩვენი ნება უნდა დავუქვემდებაროთ, მეცნიერება კი სამყაროში გაბატონებული წესრიგის აღმოჩენას ცდილობს. აქედან გამომდინარე, წმინდა წერილი და მეცნიერება ერთმანეთს კი არ ეწინააღმდეგება, არამედ ერთმანეთს ავსებს. ამ აზრის გამოხატულებაა „ერთი ჭეშმარიტების“ და „ორი წიგნის“ კონცეფციები, რომლებსაც ნეტარ ავგუსტინესთან ვხედავთ. პირველის თანახმად, არ შეიძლება ჭეშმარიტება, რომელსაც წმინდა წერილი აცხადებს, წინააღმდეგობაში მოდიოდეს ჭეშმარიტებასთან, რომელსაც მეცნიერება და ფილოსოფია ეძიებს. მათ შორის თანხმობის დადასტურება რწმენით განათებული რაციონალური გონების მოვალეობაა. ეს მიზანი ყოველთვის მიღწევადია, რადგან ჭეშმარიტება მხოლოდ ერთი შეიძლება იყოს. მეორე კონცეფციის მიხედვით, სამყაროს შემოქმედი მერთი ორი ურთიერთდამატებითი გზით უცხადებს თავს ადამიანს. ესენია: წმინდა წერილი, რომელიც მაცხოვრის ნებას, განგებულებას გვიცხადებს, და „სამყაროს წიგნი“, რომელიც გვეხმარება შემოქმედის სიბრძნე დავინახოთ, რაც მის მიერ შექმნილი კანონზომიერებების მეცნიერულ აღმოჩენებში ვლინდება. სამყაროში მოქმედი თავისუფალი ღვთაებრივი ნება და განგებულება არ გულისხმობს სამყაროში არსებული ღვთის მიერვე შექმნილი კანონების გაუქმებას. ზუსტად ამ აზრის გამოხატულებაა შუა საუკუნეებში გავრცელებული ზომიერი ნატურალიზმის პრინციპი, რომელიც ე. წ. „პირველი და მეორე კაუზალობის“ ანუ მიზეზობრიობის პრინციპს ეფუძნება. ამ მოძღვრების თანახმად, სამყაროს პირველადი მიზეზი ღმერთია და იგი თავის ნებას, მოქმედებას ამ სამყაროში მის მიერვე დადგენილი

კანონების საშუალებით აღასრულებს. ეს იმას ნიშნავს, რომ ყველაფერი, რაც სამყაროში ხდება, შეგვიძლია ერთდროულად დავახასიათოთ, როგორც, ერთი მხრივ, ღვთის ნების ან დაშვების გამოხატულება და, მეორე მხრივ, როგორც სამყაროში არსებული კანონების შედეგი. აქედან გამომდინარე, ეკლესია მეცნიერებაში წმინდა წერილის მოწინააღმდეგეს კი არ ხედავდა, არამედ ღრმად იყო დარწმუნებული მათი თანხმობის შესაძლებლობაში. ავტორიტეტულ თეოლოგებს თავიდანვე მიაჩნდათ, რომ ყოველთვის შეიძლებოდა წმინდა წერილის ისეთი ინტერპრეტირება და მეცნიერული ფაქტების ისეთი ფორმულირება, რომ გამოცხადებითი ჭეშმარიტება და მეცნიერება ერთმანეთთან წინააღმდეგობაში არ მოსულიყო. წმინდა წერილის ტექსტი უმეტესწილად სამიტის პასაჟისგან შედგება, რომლებიც მორალურ, პრეფიგურაციულ და ანაგოგიურ აზრს ატარებს. პირველი ტიპის პასაჟები მორალური სრულყოფის გზას გვიჩვენებს, მეორე ბიბლიური პერსონაჟების (ისუ ნავე, ისააკი, იოსები და ა. შ.) ისეთ ისტორიებს გადმოგვცემს, რომლებიც წინასწარ განასახიერებს მომავალ მესიას და მესამე ნათელს ჰფენს ცათა სასუფეველის საიდუმლოებებს. რაც შეეხება მეცნიერების ინსტრუმენტალისტურ გაგებას, ამ კონცეფციის მიხედვით, მეცნიერების უმთავრესი ფუნქცია მეცნიერული ფაქტების ახსნა, პრაგმატული თვალსაზრისით ეფექტურ ინსტრუმენტად ქცევაა და არა აბსოლუტური ჭეშმარიტების ფლობა. ამ კონცეფციის თანახმად, რაც უნდა ზუსტად იყოს დადგენილი მეცნიერული ფაქტები, არც ერთ მეცნიერულ თეორიას არ შეიძლება აბსოლუტური ჭეშმარიტების პრეტენზია ჰქონდეს. ფაქტები რჩება, მაგრამ გამუდმებით იცვლება თეორიები, ერთი ძველდება და მის ადგილს ახალი იკავებს. აქედან გამომდინარე, წმინდა წერილის განმარტებისას თეოლოგი იძულებული არაა დაეთანხმოს ან უაპელაციოდ უარყოს რომელიმე კერძო მეცნიერული თეორია. რაკი ყველა კონკრეტული მეცნიერული თეორია რეალობასთან მხოლოდ მეტ-ნაკლებად მიახლოებულ მოდელს გვთავაზობს და არც ერთ მათგანს აბსო-

ლუტური ჭეშმარიტების ფლობის პრეტენზია არ შეიძლება ჰქონდეს, შეუძლებელია ვინმემ ამტკიცოს, რომ მეცნიერება ზოგადაა წინააღმდეგობაში გამოცხადებით ჭეშმარიტებასთან, იმ შემთხვევაშიც კი, როცა კონკრეტული მეცნიერული თეორია სრულ თანხმობაში არაა წმინდა წერილის გარკვეული ადგილის რომელიმე კონკრეტულ ინტერპრეტაციასთან.

მცდარია შეხედულებაც, რომლის თანახმად, მეცნიერება ანტიკურ სამყაროში დაიბადა და იქ თავისუფლად ვითარდებოდა, შემდგომში კი ეკლესიამ ათასი წლის განმავლობაში შეაფერხა მისი წინსვლა. სინამდვილეში, ანტიკური სამყარო, იქნება ეს ძველი საბერძნეთი, ეგვიპტე, ინდოეთი თუ ჩინეთი, არ იცნობს მეცნიერებას ამ სიტყვის თანამედროვე გაგებით, მიუხედავად იმისა, რომ იმ ეპოქაში ბევრი მეცნიერული ფაქტის აღმოჩენა შეძლეს (გამონაკლისი მხოლოდ მათემატიკაა, რადგან ის ლოგიკას ეფუძნება და არა ექსპერიმენტს). ანტიკურ სამყაროში მხოლოდ ნატურფილოსოფია არსებობდა. თავად ეს სიტყვა მიუთითებს მის არსზე. ის ბუნებაზე დაკვირვებას და მერე მასზე ფილოსოფოსობას ნიშნავს. ნატურფილოსოფია ეფუძნება არა მეცნიერულ ექსპერიმენტს, არამედ ფილოსოფიურ სპეკულაციას, არისტოტელეს სილოგისტურ ლოგიკას, რომლის ფუნდამენტური წანამძღვრები, ანუ პოსტულატები, თეოლოგიური ხასიათისაა. მაგალითად, ანტიკურ სამყაროში ასტრონომია თეოლოგიის ნაწილი იყო. მიუხედავად იმისა, რომ იმ ეპოქაში მდიდარ ასტრონომიულ ცოდნას ფლობდნენ და კარგად ეხერხებოდათ მისი პრაქტიკული მიზნებისთვის გამოყენება, იქ ასტრონომია მაინც ვერ ჩამოყალიბდა მეცნიერებად. ამას ხელი მსოფლმხედველობრივმა ფაქტორებმა შეუშალა. მაშინ ყველას, თვით არისტოტელესა და პტოლემესაც კი სწამდათ, რომ ციური სხეულები ღვთაებები იყვნენ და მათ მოძრაობას ობიექტური, ფიზიკური კანონები კი არ განაგებდა, არამედ ღვთაებათა ნება და თეოლოგიური პრინციპები. სწორედ ეს შეხედულებები გახდა ასტროლოგიური ცრურწმენების საფუძველი. ცხადია, ამ პირობებში შეუძლე-

ბელი იყო ასტრონომიის მეცნიერებად ჩამოყალიბება ამ სიტყვის თანამედროვე გაგებით. ქრისტიანობამ მოიტანა იმის სწავლება, რომ ამ სამყაროში ყველაფერი ქმნილებაა, რომ ამ თვალსაზრისით მზე, მთვარე, პლანეტები და ვარსკვლავები არ განსხვავდება საგნებისგან, რომლებსაც დედამიწაზე ვხედავთ და რომ ყველგან ღვთისგან დადგენილი ფიზიკური კანონები მოქმედებს. სწორედ ამან მისცა საშუალება კოპერნიკს, გალილეის, ნიუტონს და სხვებს, ასტრონომია მეცნიერებად ექციათ.

ელინისტურ ეპოქაში და თვით შუა საუკუნეების მუსლიმან ფილოსოფოსებსა და მეცნიერებს შორის გაბატონებული იყო არისტოტელეს „ფიზიკის“ ნატურფილოსოფიური პრინციპები. არისტოტელეს უზარმაზარი ავტორიტეტის გამო, სწორედ მისი შეცდომები აფერხებდა მეცნიერების განვითარებას. მაგალითად, ის მხოლოდ ფილოსოფიურ სპეკულაციებზე დაყრდნობით ამტკიცებდა, რომ მძიმე საგნები უფრო სწრაფად ვარდება მიწაზე, ვიდრე მსუბუქი, რომ ვაკუუმში არ არსებობს, „ბუნებას სიცარიელის ეშინია“, საგნები მხოლოდ მაშინ მოძრაობს, როცა მათზე გარეგანი ძალა მოქმედებს და ა. შ. XIII საუკუნეში დასავლეთის ეკლესიამ ოფიციალურად დაგმო არისტოტელეს მეტაფიზიკის გარკვეული პრინციპები, რამაც მკვეთრად შეასუსტა დიდი ფილოსოფოსის ავტორიტეტი, ეჭვქვეშ დააყენა მისი ნატურფილოსოფიის დებულებები და ბიძგი მისცა კვლევის ექსპერიმენტული მეთოდის ანუ მოდერნული მეცნიერების დაბადებას (ექსპერიმენტული მეთოდი თანამედროვე მეცნიერების პიონერებს არისტოტელესეული ნატურფილოსოფიური დებულებების უარსაყოფად სჭირდებოდათ). თანამედროვე, მოდერნული საბუნებისმეტყველო მეცნიერებები ექსპერიმენტს და მათემატიკურ მოდელირებას ეფუძნება. ისევე როგორც მეცნიერული ექსპერიმენტი, ასევე ბუნების შესასწავლად მათემატიკის გამოყენება ქრისტიანულ ევროპაში დაიწყო (პლატონი პრინციპულად უარყოფდა მიწიერი ფენომენების შესწავლისთვის მათემატიკის გამოყენებას. მისი აზრით, მათემატიკური ენით სარგებლობა მხოლოდ

მეცნიერ სხეულებსა და იდეალურ სამყაროზე საუბრისასაა მიზანშეწონილი). ეკლესია არათუ მტრად არ ეკიდებოდა ახალ მეცნიერებას, არამედ პირიქით, ხელს უწყობდა მის განვითარებას, რადგან მასში მოკავშირეს ხედავდა ანტიკური სამყაროდან შემორჩენილი ოკულტიზმის, მაგიის, ასტრონომიისა და ალქიმის წინააღმდეგ ბრძოლაში. ნატურფილოსოფიური და მეცნიერული ტექსტების შესწავლა შუა საუკუნეების საუნივერსიტეტო თეოლოგიური განათლების აუცილებელი შემადგენელი ნაწილი იყო. ამან გამოიწვია ის, რომ იმ ეპოქაში მეცნიერების დიდი ნაწილი სასულიერო დასს მიეკუთვნებოდა. მაგალითად, სასულიერო პირები იყვნენ როჯერ ბეკონი და კოპერნიკი, გალილეი და კეპლერი კი ოცნებობდნენ, სასულიერო პირები გამხდარიყვნენ, მაგრამ ცხოვრებისეულმა გარემოებებმა ამაში ხელი შეუშალათ. მოდერნული მეცნიერების ფილოსოფიურმა და მეთოდოლოგიურმა საფუძვლებმა სრული სახე XVI საუკუნეში მიიღო. ეს შემთხვევითი არაა, რადგან ამ დროს ეკლესია დიდი ძალისხმევით ებრძოდა რენესანსის მიერ რეანიმირებულ წარმართობას და მასთან დაკავშირებულ ოკულტიზმს. ეს ის პერიოდია, როდესაც კათოლიკური ეკლესიის კონტრეფორმაცია ლუთერის პროტესტანტიზმს უპირისპირდება, რასაც რელიგიური საკითხებისადმი ინტერესი და რელიგიური აზრის გამოცოცხლება მოჰყვა. ამიტომ უმართებულოა აზრი, თითქოს მეცნიერების დაბადება რწმენის შემცირების პირდაპირი შედეგი იყო.

ახლა, როცა თანამედროვე მეცნიერებამ ჩამოყალიბებული, ტრადიციული ფორმა მიიღო, ის შეიძლება ყველგან განვითარდეს, მაგრამ მისი წარმოშობისას განსაკუთრებული მსოფლმხედველობრივი გარემო იყო საჭირო. აუცილებელი გახლდათ, რომ იმ ეპოქაში გაბატონებულ შეხედულებებს და ინსტიტუციებს სანქცია მიეცათ მისი განვითარებისთვის. მეცნიერება მხოლოდ იქ შეიძლება კულტურის ნაწილად, ძლიერ სოციალურ ძალად იქცეს, სადაც მეცნიერული კვლევა დისიდენტურ მოქმედებად არ აღიქმება. ასეთი გარემო ქრისტიანული კრეაციონიზმის სწა-

ვლებამ მოიტანა, რომლის თანახმად, სამყარო თავისუფალი ნებით, სიყვარულით შექმნა არაფრისგან ერთმა, პიროვნულმა ღმერთმა. ეს სწავლება თავისთავად გულისხმობს, რომ სამყარო რეალურია, განსხვავებულია თავად შემოქმედისგან და ობიექტურ კანონებს ექვემდებარება. რაკი შემოქმედი ერთადერთი მოყვარული ღმერთია, სამყარო სხვადასხვა ღვთაების ახირებაზე კი არაა დამოკიდებული, არამედ უნივერსალურ, უცვალებელ, გონივრულ კანონებს ექვემდებარება, ამასთან, ადამიანები ისეთი უნარებით არიან აღჭურვილი, რომ მათ ამ კანონების აღმოჩენა ძალუძთ (ქრისტიანობისგან განსხვავებით ბუდისტები და ინდუისტები სამყაროს ილუზიად მიიჩნევენ; გნოსტიკოსებისთვის მატერიალური სამყარო ბოროტების განსახიერებაა. ამ კონტექსტში ძალიან ძნელია, თუ არა შეუძლებელი, ობიექტური, უცვალებელი, მეცნიერული კანონის კონცეფციის გაჩენა; რაკი პანთეისტები ერთმანეთთან აიგივებენ სამყაროს და მის შემოქმედს, ტრადიციულ პანთეისტურ კულტურაში მეცნიერული ექსპერიმენტი მკრეხელობად უფრო აღიქმება, ვიდრე კვლევის მეთოდოლოგიად; არაქრისტიანული მისტიციზმი (შამანიზმი, კაბალა და ა. შ.) ასწავლის, რომ ყველა საგნის ან არსების უკან დამოუკიდებელი სული ან ანგელოზი დგას, რომელიც მის ბედს განაგებს. ცხადია, ასეთი ტრადიცია ხელს არ უწყობს მეცნიერების წარმოშობას, რადგან იქ ფიზიკა, ზოოლოგია, ბიოლოგია და ა. შ. ანგელოლოგიის ან დემონოლოგიის განშტოება გამოდის). ამასთან, რაკი ყოვლისშემძლე ღმერთმა თავისუფალი ნებით შექმნა სამყარო, ეს უკანასკნელი, კაცმა რომ თქვას, შეიძლება სხვაგვარიც ყოფილიყო. ეს ნიშნავს, რომ სამყაროს შესწავლა მხოლოდ მასზე დაკვირვებით, ექსპერიმენტებითაა შესაძლებელი და არა უმაღლესი მეტაფიზიკური პრინციპებიდან მხოლოდ ლოგიკური დასკვნების გამოტანით, როგორც ამას ნატურფილოსოფია აკეთებს. როგორც უკვე აღვნიშნეთ, სწორედ ზემოთ ჩამოთვლილი გარემოებების გამოა, რომ თანამედროვე მეცნიერება მხოლოდ ქრისტიანულ ევროპაში დაიბადა და არა სხვა-

გან, მიუხედავად იმისა, რომ მაშინ ქრისტიანული ევროპა თითქმის არ გამოირჩეოდა სხვა ცივილიზებული ხალხებისგან მეცნიერული ფაქტების ცოდნის თვალსაზრისით.

მოხსენების დასასრულ გვინდა შევნიშნოთ, რომ რელიგიისა და მეცნიერების დაპირისპირება არც ერთი მათგანისთვის არაა სასურველი. თუ მორწმუნე მეცნიერულ ცოდნას უპირისპირდება, იგი ფანატიკოსად, ობსკურანტისტად იქცევა. მეორე მხრივ, რელიგიის მიერ ინსპირირებული ზნეობრივი ფასეულობების გარეშე, ტექნოლოგია შეიძლება უადრესად საშიშ ძალად მოგვევლინოს. ამის მაგალითად ატომური ბომბის გამოყენების ამბავიც გამოდგება. ამ თვალსაზრისით შეიძლება სხვა, ძალიან მეტყველი მაგალითიც მოვიყვანოთ. დენთი ჩინელებმა ევროპელებზე თითქმის ათასი წლით ადრე აღმოაჩინეს, მაგრამ იქ არავის აზრად არ მოსვლია მისი სამხედრო მიზნებით გამოყენება, რადგან ჩინური საზოგადოება რელიგიური ფასეულობების მიხედვით ცხოვრობდა. ჩინელები დენთს მხოლოდ ფეიერვერკების მოსაწყობად იყენებდნენ რელიგიურ დღესასწაულებზე, მაშინ როდესაც, ცოცხალ რელიგიურ რწმენას მოკლებულმა ევროპულმა საზოგადოებამ დენთში, უპირველეს ყოვლისა, მტრის განადგურების ეფექტური იარაღი დაინახა.

ლიბერალური თეოლოგიის ძირითადი წანამძღვრები

12.2.2018 კონფერენციაზე გაკეთებული მოხსენების: „რელიგია და მეცნიერება“ მიხედვით, 15:00 –17:00

დანიელ ფონ ვახთერი

ლიხტენშტაინი, ფილოსოფიის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი

ლიბერალური თეოლოგია

ამ წერილში მინდა თქვენი ყურადღება მივაპყრო რელიგიის და მეცნიერების ურთიერთმიმართების იდეას, რომელიც იმის მთავარ წარმომქმნელ მიზეზს წარმოადგენს, რასაც დასავლეთში „ლიბერალური თეოლოგია“ ეწოდება. ამ ტერმინში ვგულისხმობ მეცხრამეტე საუკუნეში გავრცელებულ მიმდინარეობას, რომელიც საკუთარ თავს „ქრისტიანულ თეოლოგიას“ უწოდებდა, თუმცა უარყოფდა მრავალ დოქტრინას, დღემდე ფუძემდებლურად რომ ითვლება ქრისტიანობაში, და, რომლის წარმომადგენლებიც იყვნენ ფრიდრიხ შლეიერმახერი (1768–1834), ერნსტ ტროელტხი (1865–1923), და რუდოლფ ბალტმანი (1884–1974). კერძოდ, ამ მიმართულების ძირითადი დებულება გულისხმობს იმას, რომ აღარ უნდა გვწამდეს სასწაულების ან, უფრო ზოგადად, ღვთაებრივი ჩარევის.

ღმერთისა და ხსნის დოქტრინები, რომლებსაც ტრადიციული ქრისტიანული თეოლოგია ქრისტიანულ რწმენაში ძირითადი მნიშვნელობის მატარებლად მიიჩნევს, რასაც შემდგომ ავხსნი, უარყოფილია ლიბერალურ თეოლოგიაში. ამგვარად, განსხვავება ტრადიციულ ქრისტიანულ თეოლოგიასა და ლიბერალურ თეოლოგიას შორის საკმაოდ დიდია. შესაძლოა ლიბერალურმა თეოლოგმა ჩათვალოს, რომ სწორედ მან აღმოაჩინა ქრისტიანული დოქტრინების ჭეშმარიტი არსი და ამიტომაც შეცვალა მათი ინტერპრეტაცია, მაგრამ რა კუთხითაც უნდა შევხედოთ ამას,

ცვლილება საკმაოდ დიდი გამოდის.

ლიბერალურმა თეოლოგიამ არსებითად შეცვალა ყველა ძირითადი მიმართულების პროტესტანტული ეკლესია, გერმანული პროტესტანტული ეკლესიებით დაწყებული და მოგვიანებით თვით რომის კათოლიკური ეკლესიით დამთავრებული. რაც იმას მოწმობს, რომ ამ ეკლესიების წარმომადგენელი თეოლოგების და მღვდელმსახურების უმრავლესობამ გაიზიარა ლიბერალური თეოლოგია. გადაჭარბებული არ იქნება თუ ვიტყვით, რომ ლიბერალური თეოლოგიის გარეშე მოსახლეობის დიდი სეგმენტის რელიგია და აზროვნება სხვა მიმართულებით წარიმართებოდა, შესაბამისად, შესაძლოა, ისტორიაც სხვაგვარად განვითარებულიყო.

ფრიდრიხ შლეიერმახერი, მეცხრამეტე საუკუნის ეკლესიის მამა

ფრიდრიხ შლეიერმახერს ზოგჯერ მეცხრამეტე საუკუნის ეკლესიის მამად მოიხსენიებენ და ეს სამართლიანიცაა, რადგან, მართალია ბევრი მისი წინამორბედიც უარყოფდა ტრადიციულ ქრისტიანულ დოქტრინას, მაგრამ სწორად მან დაამკვიდრა ლიბერალური თეოლოგია გერმანული უნივერსიტეტების თეოლოგიის ფაკულტეტებზე და გერმანიის ეკლესიებში. 1787 წლის 21 იანვარს შლეიერმახერმა, იმ დროს ევანგელისტური სემინარიის სტუდენტმა, მამამისს მისწერა, რომ აღარ შეუძლია იმის დაჯერება, თითქოს იესო

იყო „მარადიული, ჭეშმარიტი ღმერთი“ და რომ „თავისი სიკვდილით ჩვენი ცოდვები გამოისყიდა“. უფრო გვიანდელ წერილებში იგი უფრო მკაფიოდ აყალიბებს ტრადიციული ქრისტიანული დოქტრინის უარყოფის მიზეზებს. მისთვის მთავარი მიზეზი ის იყო, რომ სასწაულის არსებობის რწმენა შუთავსებელია მეცნიერებასთან.

„თუ გაითვალისწინებ თანამედროვე საბუნებისმეტყველო მეცნიერების განვითარების დონეს, რა მოლოდინი გაქვს [...] ჩვენს პროტესტანტულ ქრისტიანობასთან დაკავშირებით? ვფიქრობ, მოგვიწევს იმ აზრის გარეშე არსებობა, რომელსაც კვლავ, ჩვეულებისამებრ, ქრისტიანობის არსის განუყოფელ ნაწილად განიხილავენ. [...] სასწაულის კონცეფცია თავისი ახლანდელი სახით ვეღარ იარსებებს“.

შლეიერმახერის აზრით, თუ ეკლესია განაგრძობს იმის მტკიცებას, რომ სამყაროს განვითარების პროცესში ხორციელდებოდა ღვთაებრივი ჩარევა, ეს შუთავსებელი აღმოჩნდება მეცნიერებასთან და შესაბამისად მისი დოქტრინა უსაფუძვლო, ხოლო ეკლესია არარელევანტური გახდებოდა, თეოლოგია კი დაკარგავდა თავის ადგილს უნივერსიტეტებში. ამგვარად, შლეიერმახერისთვის ქრისტიანული დოქტრინის უარყოფის და ლიბერალური თეოლოგიის ჩამოყალიბების მთავარი არგუმენტი იმის ღრმა რწმენაა, რომ სასწაულის ცნება შუთავსებელია მეცნიერებასთან. ტროელტსს, ბალტმანს და კიდევ ბევრ სხვას ჰქონდათ მსგავსი არგუმენტები. ისინი აცხადებდნენ, რომ ადამიანი „ვეღარ“ ირწმუნებს სასწაულებს.

ვინაიდან შლეიერმახერს არ უნდოდა მხოლოდ იმის თქმა, რომ ქრისტიანული დოქტრინა ყალბია და ამიტომ უარსაყოფი, მან შეცვალა ძველი ქრისტიანული დოქტრინების მნიშვნელობა და ისეთი ახალი მნიშვნელობა მიანიჭა მათ, რომ ისინი აღარ შეიცავდა იმას, რისიც თავად არ სჯეროდა. კერძოდ, ეს დოქტრინები აღარ აცხადებდა პრეტენზიას ღვთაებრივი ჩარევის არსებობაზე.

სასწაულები და ღვთაებრივი ჩარევა

ამჯერად მინდა გამოვთქვა მოსაზრება, რომ არ არსებობს რაციონალური მიზეზი იმისთვის, რომ ღვთაებრივი ჩარევა შეუძლებლად ან მეცნიერებასთან შეუთავსებლად მივიჩნიოთ. ამისთვის, პირველ რიგში უნდა გავაცნობიეროთ ის, თუ რას წარმოადგენს ღვთაებრივი ჩარევა, ამიტომაც ვერ უნდა გავიზროთ მიზეზმედევობრივი პროცესის არსი, რადგანაც ღვთაებრივი ჩარევა მიზეზმედევობრივ პროცესში ჩარევას წარმოადგენს. მიზეზმედევობრივი პროცესის მაგალითებია ბილიარდის მგორავი ბურთი და მოქცევის ტალღა. მიზეზმედევობრივ პროცესს გარკვეული მიმართულება აქვს. ბილიარდის ბურთი დროის t1 მონაკვეთში ისეა მიმართული, რომ დროის t2 მონაკვეთში ლუზაში უნდა აღმოჩნდეს. დროის t1 მონაკვეთში ბილიარდის ბურთის მოძრაობა იმგვარადაა დაპროგრამებული, რომ გარკვეული დროის შემდეგ, თუ მას არაფერი შეაფერხებს, ის განსაზღვრულ ადგილზე აღმოჩნდება. ჩილეში 2010 წლის 27 თებერვალს UTC-ით 6:39 საათზე ძლიერი მიწისძვრა მოხდა, მიწისძვრიდან ხუთ წუთში წარმოქმნილმა ტალღამ ადღომის კუნძულისკენ აიღო გეზი, რათა UTC-ით 12:05 საათზე თავს დასტყდომოდა მას. საგნის, მოვლენის დროში არსებობა მიზეზმედევობრივ პროცესს წარმოადგენს. ბილიარდის ბურთის მდებარეობა დროის t1 მონაკვეთში განაპირობებს მის მდებარეობას დროის t2 მონაკვეთში. საგნები და მოვლენები მიზეზმედევობრივ პროცესს წარმოადგენენ.

ღვთაებრივი ჩარევა არის ღმერთის პირდაპირი მონაწილეობა მოვლენათა მსვლელობაში, რომელიც იმისგან განსხვავებული შედეგს გვაძლევს, რაც მოსალოდნელი იყო მათი მიზეზმედევობრივი განვითარების შემთხვევაში. ამგვარად ეს არის მოვლენა, რომელსაც ახორციელებს ღმერთი და, რომელიც წყვეტს მოვლენათა მიზეზმედევობრივ დამოკიდებულებას. უფრო ზუსტად, ღვთაებრივი ჩარევა არის ღმერთის პირდაპირი მონაწილეობა მოვლენათა მსვლელობაში, რომელიც

შეუთავსებელია იმ მოვლენასთან, რომლის-კენაც მივყავართ მიზეზშედეგობრივ პროცესს.

როდესაც ღმერთმა პეტრეს წყალზე გავლის შესაძლებლობა მისცა, მან ის წყლის ზედაპირზე იმგვარად მოათავსა, რომ წყალზე გაჩერებულიყო და არ ჩაძირულიყო მიზეზშედეგობრივი პროცესის შესაბამისად, რომელსაც გრავიტაციის ძალა მართავს. როდესაც ღმერთმა მკვდრეთით აღადგინა იესო, მის სხეულს სიცოცხლე შეუნარჩუნა ნაცვლად იმისა, რომ მიზეზშედეგობრივი პროცესის თანახმად, ის მკვდრი ყოფილიყო და გახრწნილიყო.

სასწაული ერთგვარ ღვთაებრივ ჩარევას წარმოადგენს. ღვთაებრივი ჩარევა არის ის, რის საშუალებითაც ღმერთს ვიდაცისთვის რაღაცის ჩვენება სურს. სხვა სახის ღვთაებრივი ჩარევა იქნება, მაგალითად, ღმერთის მიერ გარკვეული ტიპის ცხოველის შექმნა, რომლის არსებობა არ იყო განპირობებული მიზეზშედეგობრივი პროცესით. შლეიერმახერი და სხვა ლიბერალი თეოლოგები სასწაულს შეუძლებლად ან მეცნიერებასთან შეუთავსებლად მიიჩნევენ იმიტომ, რომ ეს ღვთაებრივი ჩარევაა. არის კი ღვთაებრივი ჩარევა თავსებადი მეცნიერებასთან?

სასწაული როგორც „ბუნების კანონის დარღვევა“

სასწაულის მეცნიერებასთან შეუთავსებლობის იდეის დასაცავად ყველაზე იმედის მომცემი გზა იმის მტკიცებაა, რომ ბუნების კანონები ღვთაებრივი ჩარევის შესაძლებლობას გამორიცხავს. ამგვარად დევიდ იუმმა განაცხადა, რომ სასწაულის არსებობა „ბუნების კანონების დარღვევა“ იქნებოდა. თუ ეს დებულება მართებულია, მაშინ ეს ძლიერი არგუმენტი გახდებოდა სასწაულების წინააღმდეგ, ვინაიდან ყველაფერი იმას მოწმობს, რომ ბუნების კანონები, რომლებიც დღეისთვის არის ცნობილი — ექსპერიმენტულად და დაკვირვების გზით — ამავდროულად სასწაულების არსებობის საწინააღმდეგო მტკიცებულებად გამოდგებოდა. ეს მტკიცებულება იმის გამო-

ხატულება იქნებოდა, რომ არავითარი ეგრეთ წოდებული სასწაული არ არსებობს ჩვენ მიერ ამ სასწაულის დამოწმობის გარეშე. მაგალითად, ჩვენ არ დავგვირდებთ იმის გარკვევა, თუ რამდენად სარწმუნოა მოციქულების მონათხრობი აღმდგარი იესოს ხილვის შესახებ, რამდენად სარწმუნოა მონათხრობი იმის შესახებ, თუ რა თქვეს მოციქულებმა და ა.შ. ჩვენ, უბრალოდ, გვექნებოდა მარტივი, სხარტი და მძლავრი არგუმენტი ყოველგვარი სასწაულის წინააღმდეგ. იუმი საკუთარ არგუმენტს ასეთად მიიჩნევდა: სასწაული არის ბუნების კანონების დარღვევა; და როგორც მყარი და უცვლელი გამოცდილება, რომლებზეც დამყარებულია ეს კანონები, ანუ მტკიცებულება სასწაულის წინააღმდეგ, თვით ფაქტიდან გამომდინარე, არის ისეთივე ყოვლისმომცველი, როგორც გამოცდილებაზე დაფუძნებული ნებისმიერი არგუმენტი, რომელიც კი შეიძლება წარმოვიდგინოთ.

ეს დაფუძნებულია იმ მოსაზრებაზე, რომ ბუნების კანონები მოიცავს ფორმის ცვლილების თანამიმდევრობის მუდმივობას: ნებისმიერი x ტიპის მოვლენას მოსდევს y ტიპის მოვლენა.

ამასთან იუმი დასძენს, რომ გარკვეულ მოვლენებს (ყოველთვის ან აუცილებლად) გარკვეული მოვლენები მოსდევს.

ამგვარად, ყველა მოვლენა წარმოადგენს მუდმივი თანამიმდევრობის ელემენტს და ყველა მოვლენა იმართება ბუნების კანონებით. ახლა გავიხსენოთ, რომ ღვთაებრივი ჩარევა არის ღმერთის პირდაპირი ჩარევით განხორციელებული მოვლენა, რომელიც ხდება იმ მოვლენის ნაცვლად, მიზეზშედეგობრივი პროცესის შედეგად რომ უნდა მომხდარიყო, თუ არა ღმერთის ჩარევა. ეს გულისხმობს, რომ ღვთაებრივი ჩარევა არის z ტიპის მოვლენა, რომელიც შედეგად მოსდევს x ტიპის მოვლენას მაშინ, როდესაც, ჩვეულებრივ x ტიპის მოვლენას y ტიპის მოვლენა მოსდევს. ამგვარად, ზემოთ მოყვანილი მოსაზრებების საფუძველზე შეგვიძლია ვთქვათ, რომ ღვთაებრივი ჩარევა არის ბუნების კანონების დარღვევა. ეს ისეთი მოვლენაა, რომელიც,

ბუნების კანონების თანახმად, არ შეიძლება მოხდეს.

რას გვიმტკიცებს ბუნების კანონები?

მოდით შევამოწმოთ ის მოსაზრება, რომ სასწაული არის ბუნების კანონების დარღვევა. რას გვიმტკიცებს ბუნების კანონი? მაგალითად, რას გვიმტკიცებს გრავიტაციის კანონი?

ასო F , განტოლების მარცხენა მხარეს, აღნიშნავს ნიუტონისეულ ძალას. განტოლების მარჯვენა მხარეს მოცემულია სხეულის მასები, მათ შორის არსებული მანძილი და გრავიტაციული კონსტანტა. კანონის თანახმად, მოცემულ ორ სხეულს შორის არსებობს მიზიდულობის ძალა, რომელიც მათ ერთმანეთისკენ იზიდავს. მარტივად რომ ვთქვათ, გრავიტაციის კანონის თანახმად, ორი სხეული ერთმანეთს გარკვეული ძალით იზიდავს და ეს მიზიდულობა დამოკიდებულია მათ მასაზე, მათ შორის არსებულ მანძილზე და გრავიტაციულ კონსტანტაზე. უფრო ზოგადად, კანონები წარმოადგენს შემდეგი ფორმის დებულებას: x ტიპის სიტუაციებში მოქმედებს y ტიპის ძალები.

არის თუ არა ღვთაებრივი ჩარევა ამ კანონების დარღვევა? ირღვევა თუ არ ის, რასაც კანონი გვიმტკიცებს? ბუნების კანონების თანახმად, არსებობს გარკვეული ძალები, რომლებიც გარკვეულ სიტუაციებში მოქმედებს. ღვთაებრივი ჩარევა არღვევს მათ მხოლოდ და მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ აუქმებს ამ ძალების მოქმედებას. მაგრამ ეს ასე არ არის. თუ ღმერთი პეტრეს წყლის ზედაპირზე სიარულის შესაძლებლობას აძლევს, გრავიტაციის ძალა, რომელიც მას იზიდავს, არსად გამქრალა, ის განაგრძობს მოქმედებას. მაგრამ ღმერთი, ამ ძალის საწინააღმდეგოდ, პეტრეს წყალზე სიარულის საშუალებას აძლევს მიუხედავად იმისა, რომ გრავიტაციის ძალა, რომელიც მას იზიდავს, მოქმედებას განაგრძობს. შესაბამისად ღვთაებრივი ჩარევა არ წარმოადგენს ბუნების კანონების

დარღვევას. მოვლენათა მსვლელობაში რომ ჩაერიოს, ღმერთს არ სჭირდება რამე ძალის გაუქმება, რადგანაც მას ამ ძალების საწინააღმდეგო მოქმედება შეუძლია. ეს ცხადი ხდება იმ ფაქტიდანაც, რომ ძალები ერთმანეთზე ზემოქმედებს. თუ არსებობს სხეულზე მოქმედი ძალა F , იგი გამოიწვევს ამ სხეულის აჩქარებას $a=F/m$, თუ არ არსებობს მასზე მოქმედი სხვა ძალა. იგი ვერ გამოიწვევს მის ამ სახით აჩქარებას თუ, მაგალითად, მასზე იმოქმედებს სხვა ძალა, ადამიანი, ცხოველი, არამატერიალური სუბსტანცია, ან ღმერთი.

ჯონ სტიუარტ მილი წერდა: ვინაიდან მიზეზშედეგობრიობის ყველა კანონი ზემოქმედებას გულისხმობს, მათი ჩამოყალიბება უნდა მოხდეს მხოლოდ ტენდენციების მტკიცებულებითი ფორმით და არა ფაქტობრივი შედეგის მიხედვით.

როდესაც მილი კანონების ჩამოყალიბებას „არა ფაქტობრივი შედეგის“ მიხედვით, არამედ მტკიცებულებითი ფორმით ითხოვდა, მას მხედველობაში ჰქონდა ის, რომ ბუნების კანონები იმას როდი გვიმტკიცებს, თითქოს ყველა s ტიპის მოვლენებს აუცილებლად მოსდევს y ტიპის მოვლენები. ანუ, კანონები არ გულისხმობს თანამიმდევრობის მუდმივობას. თანამიმდევრობის მუდმივობის რწმენა არ არის გამყარებული კანონებით და დაკვირვებით, ეს ფილოსოფოსების მოგონილი ცნებაა, რომელიც არ დასტურდება გამოცდილებით. თანამიმდევრობას არ გააჩნია რეგულარულობა ვინაიდან, თუ ერთ შემთხვევაში x ტიპის მოვლენას შეუძლია გამოიწვიოს y ტიპის შედეგი, სხვა დროს, როდესაც x ტიპის მოვლენა ხდება, შესაძლებელია არსებობდეს ისეთი რამ, რაც არ დაუშვებს y ტიპის შედეგის დადგომას. ის, რაც კანონებიდან გამომდინარეობს, არის შემდეგი ფორმის პირობითი წინასწარმეტყველება: თუ სიტუაციაზე ზემოქმედებას ახდენს მხოლოდ x ტიპის ძალა და სხვა არაფერი, მაშინ, უეჭველად, მივიღებთ y ტიპის შედეგს.

ის, რომ არსებობს ძალებზე კონტრ-ზემოქმედების შესაძლებლობა, მატერიალურ სამყაროსთან ურთიერთობის ყოველდღიური გამოცდილებიდან ვიცით. დეტერმინისტი

ფილოსოფოსები, ისეთები, როგორც იყვნენ თომას ჰობსი და იმანუელ კანტი, თვლიდნენ, რომ ფიზიკური მიზეზშედეგობრიობა უწყვეტ პროცესს წარმოადგენს. ჰობსი აცხადებდა: „ყველა მოვლენა გამოწვეულია წინამორბედი მოვლენების აუცილებლობით“. კანტი, თავის მიზეზშედეგობრივ პრინციპს შემდეგნაირად აყალიბებს: „ყველა მოვლენა განპირობებულია მარადიული კანონების შესაბამისი მიზეზით“. ეს არ არის მართებული, რადგანაც შესაძლებელია ნებისმიერი მიზეზშედეგობრივი პროცესი გაწყდეს. ის არ შეიძლება გაწყდეს შემთხვევის წყალობით, არამედ მხოლოდ მიზეზობრივი ზემოქმედების შედეგად. ფიზიკური პროცესი შეიძლება გაწყდეს ადამიანის ან ცხოველის, სხვა ფიზიკური პროცესის ზემოქმედების შედეგად. მაშასადამე, ის შეიძლება გაწყდეს ღმერთის ჩარევის შედეგადც.

დეტერმინისტებმა შეიძლება გვიპასუხონ, რომ თუ პროცესის შეჩერება ხდება სხვა ფიზიკური პროცესის მეშვეობით, ესე იგი მათი ურთიერთგადაკვეთა აგრეთვე დეტერმინირებული უნდა იყოს. აქ სამართლიანი იქნებოდა იმის თქმა, რომ ეს ურთიერთგადაკვეთა ბუნების კანონებით იმართება. თუმცა, იმის შესაძლებლობა, რომ ერთი პროცესი შეიძლება შეწყდეს სხვა პროცესის ზემოქმედების შედეგად, იმას მიგვანიშნებს, რომ ფიზიკური პროცესის შეწყვეტა შესაძლებელია. ფიზიკური პროცესი წყდება მაშინ, როდესაც არსებობს ისეთი რამ, რაც ამ პროცესს შეაჩერებს. პროცესების დიდი მასშტაბი არ ნიშნავს იმას, რომ მათი შეჩერება შეუძლებელია, ან ისინი მეტად აუცილებელია, ვიდრე უფრო მცირე მასშტაბის პროცესები, უბრალოდ, მათ შესაჩერებლად უფრო მეტი ძალისხმევაა საჭირო.

აქედან შეგვიძლია დავასკვნათ, რომ ღვთაებრივი ჩარევა არ არღვევს ბუნების კანონებს, რადგანაც ბუნების კანონები მხოლოდ იმას გვაუწყებს, თუ რა ძალები მოქმედებს და რა გარემოში. ძალებზე შესაძლებელია კონტროლქმედება, რომელსაც მიმართავენ სხვა ფიზიკური ძალები, ადამიანები ან ცხოველები და, რაღა თქმა უნდა, ღმერთი. კანონების თანახმად, ძალები მოქმედების უნარს ინარჩუნებ-

ს. სასწაულის შემთხვევაში ღმერთი ძალების მოქმედებას კი არ აუქმებს, არამედ მათ საწინააღმდეგოდ მოქმედებს. მაშასადამე, სასწაულები არ წარმოადგენს ბუნების კანონების დარღვევას.

ღვთაებრივი ჩარევის შესახებ კითხვას პასუხი ვერ გაცემა მხოლოდ ბუნების კანონების, ან რამე მეტაფიზიკური პრინციპების საფუძველზე. მასზე პასუხის გაცემა შესაძლებელია მხოლოდ ცალკე აღებული ღვთაებრივი ჩარევის შესწავლის გზით.

ლიბერალური თეოლოგები გვარწმუნებენ ქრისტიანული დოქტრინის რევიზიის აუცილებლობაში, ვინაიდან მეცნიერება გამოორიცხავს ღვთაებრივი ჩარევის რწმენას. მაგრამ მეცნიერება და რაციონალიზმი ამას არ გულისხმობს. ღვთაებრივი ჩარევა მშვენივრად ეთანხმება ბუნების კანონებსაც და მეცნიერებასაც. შესაბამისად, არ არსებობს რამე მიზეზი, რომ უარი ვთქვათ ბიბლიურ და ტრადიციულ ქრისტიანულ დოქტრინებზე.

ლიტერატურა:

Lülmann, C. 1907. Schleiermacher, Der Kirchenvater Des 19. Jahrhunderts. Tübingen: Mohr.

Mill, John Stuart. 1843. A System of Logic Ratiocinative and Inductive. New York: Harper, 1882. <http://gutenberg.org/etext/27942>.

Schleiermacher, Friedrich. 1829. 'Sendschreiben an Lücke'. Theologische Studien Und Kritiken 2: 254–284, 481–532.

Schleiermacher, Friedrich. 1860. Aus Schleiermacher's Leben, Erster Band. Berlin: Georg Reimer.

Wachter, Daniel von. 2015. 'Miracles Are Not Violations of the Laws of Nature Because Laws Do Not Entail Regularities'. European Journal for Philosophy of Religion 7 (4): 37–60.

რელიგიურ და სეკულარულ დისკურსთა თანაარსებობის მოდელი — წმინდა ანთიმოზ ივერიელი

ანასტასია ზაქარიაძე

ფილოსოფიის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი

თანამედროვე დასავლელი თეოლოგების წინაშე დგება თანადროულობის სულიერი კრიზისიდან გამოყვანისა და დასავლური ეკლესიის გადარჩენის ამოცანა. ისმის კითხვა — როგორ მოხდა, რომ სულიერებისა და კულტურის გამოვლინებებმა — რაციონალობამ, მოდერნიზაციამ, ლეგიტიმურობამ დასავლეთში უნივერსალური მნიშვნელობა შეიძინა? ფილოსოფოსი და სოციოლოგი მაქს ვებერი რელიგიის სოციოლოგიაში ქმნის სპეციალურ ნაშრომს „პროტესტანტული ეთიკა და კაპიტალიზმის სული“, რომელშიც ცდილობს დაასაბუთოს, რომ პროტესტანტიზმის ეთიკის დამსახურებაა ღირებულებათა ახალი სისტემის — სიცოცხლის ახალი სანქციონირებული სტილის, ქცევის ახალი ტიპის დამკვიდრება. (Weber. 2005:216). ინდივიდის კონცენტრირება უნდა მოხდეს მიზანმიმართულ შრომაზე, მომჭირნობაზე, გათვლაზე, თვითკონტროლზე; თვითცნობიერებას დამყარებულ პერსონულ ღირსებაზე, მოვალეობებისა და პასუხისმგებლობების მკაცრ დაცვაზე. „შინაგანი ასკეზა“, რომელსაც პროტესტანტები მისდევდნენ, მთავარ ბერკეტად იქნა დასახული ახალი პიროვნების აღზრდის საქმეში, ახალი ღირებულებების დაფუძნებაში. ამის გარეშე, რელიგიური დისკურსი რაციონალიზაციისა და მოდერნიზაციის გზას ვერ გაივლის. რელიგიური დისკურსის სეკულარიზაციის პროცესის ნათელი მაგალითი ადრეულ ამერიკულ განმანათლებლობაში, კერძოდ, ბენჯამინ ფრანკლინის განმანათლებლურ სქემაში გვხვდება. ამ მოდელში მთავარი ფიგურანტია ბედნიე-

რებისკენ, როგორც უმაღლესი სიქველისკენ, მიზანმიმსწრაფი ადამიანი. ეს მოდელი ემყარება ცამეტ მორალურ სიქველეს, რომლებსაც უნდა მისდიოს ადამიანმა, რათა დასახულ მიზანს — “happy end”-ს მიაღწიოს. ეს სიქველეებია: თავშეკავება, დუმილი, წესრიგი, გადაწყვეტილების მიღების უნარი, გულწრფელობა, ქველმოქმედება, სამართლიანობა, შრომისმოყვარეობა, მომჭირნეობა, სისუფთავე, სიღინჯე, პატიოსნება და თავმდაბლობა. ამ უკანასკნელ სიქველეს ფრანკლინი ახასიათებს შემდეგი სიტყვებით: მიბაძეთ იესოს და სოკრატეს¹. ეს ერთგვარი სრულყოფილების ტესტია. ფრანკლინის თვითდახვეწის პროექტი შესაშური ოსტატობით უთავსებს ერთმანეთს სრულყოფილებისადმი სწრაფვის განმანათლებლურ იდეალს და პურიტანული ფილოსოფიისთვის დამახასიათებელ თვითკრიტიკის იდეას. ფრანკლინი გვასწავლის — უნდა

1 ამ საკითხზე უფრო ვრცლად იხილეთ კვლევებში: Isaacson, Walter (2003). Benjamin Franklin: An American Life. New York: Simon & Schuster; Brands, H.W (2010). The First American: The Life and Times of Benjamin Franklin. Dr. Alan Houston (2008). Benjamin Franklin and the Politics of Improvement. Yale U.P. J. A. Leo Lemay (2008). The Life of Benjamin Franklin, Volume 3: Soldier, Scientist, and Politician, 1748-1757. U. Pennsylvania press და ფრანკლინის ავტობიოგრაფიაში — Franklin, Benjamin. (2007, fir.ed.1900,) The Autobiography of Benjamin Franklin: Poor Richard's Almanac and other papers. New York: A.L. Burt Co., გვ.38.

ისწრაფვოდ სრულყოფილებიდან და თან მუდმივად თვითკრიტიკული იყო. ეს გზა ფრანკლინმა საკუთარ გამოცდილებით განიცადა და განვლო. ფრანკლინის ე. წ. სრულყოფილების თეორია XX საუკუნის ცნობილი ბიპევიორიზმის თეორიის ნიშნებს ატარებს.

განმანათლებლობის ეპოქიდან მოყოლებული ამგვარი მცდელობანი, საბოლოო ანგარიშით, XX საუკუნის დასაწყისში პაულ ტილიხის ქრისტიანული ორთოდოქსიის რევიზიის ცდების წყალობით ლიბერალური ქრისტიანობის სახეს იღებს. თეოლოგიურ თეორიათა ორიენტაციები მეტაფიზიკურ-ფილოსოფიურიდან მკვეთრად იხრება პრაქტიკულ-სოციოლოგიურისაკენ. მცდელობანი ძირითადად მიმართულია იმისკენ, რომ თეოლოგია თანადროულ სოციო-კულტურულ სიტუაციას მოერგოს. რელიგიისა და სეკულარიზაციის პროცესის ადეკვატური სურათის ასახვის ამბიციური მიზნის მიუხედავად, ამერიკელი თეოლოგების მცდელობანი ჩიხში ექცევა. ასეთია, მაგალითად, მაიკლ ნოვაკისა და ჰარვეი კოქსის მცდელობა, სეკულარული ქალაქის პრაგმატიზებული ღმერთის დახმარებით კრიზისიდან გამოიყვანონ დასავლური თეოლოგია². ყველა ამ თეორიაში „გადმოგდებული“,

სამყაროში უსაყრდენოდ დარჩენილი ადამიანი მხოლოდ საკუთარ თავსაა მინდობილი.

დასავლური განმანათლებლობის ჩამოყალიბების ადრეულ ეტაპზე, მართლმადიდებელი ღვთისმეტყველი და ფილოსოფოსი წმინდა ანთიმოზ ივერიელი რთული ამოცანის წინაშე დადგა — მას უნდა დაეძლია და გადაეღებინა იმ პერიოდის პრიორიტეტული სააზროვნო ველის — განმანათლებლობის — სიძნელებები. „გონების ბატონობის“ ეპოქა — რაციონალიზმი — რენესანსიდან მოყოლებული ზოგადკულტურულ ფენომენად მკვიდრდება. იგი მსჭვალავს მეცნიერებას, ფილოსოფიას, ლიტერატურას, ხელოვნებას, ყოველდღიურ ყოფას, სახელმწიფო მმართველობის ინსტიტუციებს, თეოლოგიას. სპეციალიზაცია და პროფესიონალიზმი ამ პროცესის ნიშნებია.

ეპოქის მოთხოვნაა იმგვარი სოციალური სისტემის შექმნა, რომელიც, ერთი მხრივ, გულისხმობს რაციონალურ გათვლას, ტექნიკური ცოდნისა და მეცნიერების ფართო გამოყენებას და იმავდროულად, სამართლიანობის შენარჩუნებას.

კანტის ცნობილი გამოთქმაა, რომ განმანათლებლობა არის ადამიანის გამოსვლა არასრულწლოვანების ასაკიდან, ამიერიდან ადამიანმა მხოლოდ საკუთარ გონებაზე დაყრდნობით უნდა დაიწყოს ცხოვრება. გონება ხდება აბსოლუტური მმართველი, რომლისთვისაც მისადებია მხოლოდ სადი განსჯითა და ბუნების კანონებით ახსნილი ვითარებანი. ეპოქის მთავარი დარტყმის ვექტორი ტრადიციულ ღირებულებებზე, ტრადიციულ რელიგიურ იერარქიასა და კანონიკაზე, სახელმწიფო მმართველობის არსებულ ფორმებზეა მიმართული. ღირებულებათა ტრადიციული სქემის რღვევა მიმდინარეობს ყველა სფეროში: თეოლოგიაში თეიზმს უნდა ჩაენაცვლოს დეიზმი და ათეიზმი; ღმერთის დასაბუთება უნდა მოხდეს გონების ფარგლებში (ბერკლი, კანტი); სოციალურ-პოლიტიკურ ცხოვრებაში აბსოლუტური მართვის ფორმები უნდა ჩაანაცვლოს დემოკრატიულმა, უნდა მოხდეს ოფიციალური საეკლესიო მმართველო-

2 ნოვაკს შემოაქვს ტერმინი „დემოკრატიული კაპიტალიზმის სული“. მასში ნოვაკი მოიაზრებს სამი ფაქტორის ერთობლიობას. ესენია: სააზრო ეკონომიკა, ადამიანის ძირითადი, ბაზისური უფლებები: სიცოცხლის, ბედნიერებასა და თავისუფლების უფლება, და თავისუფლებისა და საყოველთაო სამართლიანობის იდეალებზე დაფუძნებული ინსტიტუტები. ნოვაკს სწამს, რომ ამ მოდელის ფარგლებში შესაძლებელია იმ სირთულის დაძლევა, რომლის წინაშეც დღეს დგას რელიგიური დისკურსი. კოქსი ამბობს: „თეოლოგიური პატიოსნება გვაიძულებს ვადიაროთ, რომ „ღმერთი მოკვდა“ (Cox:1966.228). თეოლოგიურმა პრინციპმა „ღმერთი არსებობს“ საზრისი დაკარგა, უწინარეს ყოვლისა, სოციალურ მიზეზთა გამო; მისი მშობლიური წიადი რურალური კულტურაა, თანამედროვე ქალაქურ სოციო-კულტურულ პრაქტიკაში იგი სრულიად ზედმეტია. ურბანული ცივილიზაციის წარმოშობა და ტრადიციული რელიგიის შესუსტება — აი, ჩვენი ეპოქის ორი ნიშანი და ორი ურთიერთდაკავშირებული ტენდენცია.

ბის რეფორმირება.

გონებისა და ცოდნის ეპოქაში წმინდა ანთიმოზის ამოცანაა წმინდა მამათა სწავლების საფუძველზე დააფუძნოს განმანათლებლობის ახალი პარადიგმა. ამისათვის ის იმგვარად უნდა შემოვიდეს ამ ახალი დისკურსის ველზე, რომ მისი კომუნიკაცია მისაღები და გასაგები იყოს ეპოქისათვის. სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, ღირებულებათა ტრადიციული სისტემა სიცოცხლის ახალ სანქციონირებულ სტილს უნდა მოერგოს და ამ გზით განხორციელდეს ამოცანა — არა ქცევის ახალი ტიპის დამკვიდრება, არამედ ზნეობრივის კლასიკური აბსოლუტიზმის ფარგლებში მოქცევა.

ბერძენი ინტელექტუალები ანთიმოზ ივერიელს სიცოცხლეშივე აღიარებდნენ როგორც დიდ მოაზროვნე თეოლოგს. შემორჩენილია მის თანამედროვეთა შეფასებები³. აი, მაგალითად, რას ამბობდა მის შესახებ რუმინეთის მთავრის, წმინდა კონსტანტინე ბრინკოვიანუს კარზე მოღვაწე განთქმული მწიგნობარი გიორგი მაიორტა: „ბერძენი ივერიელების ქვეყნიდან ღმერთმა გამოგვიგზავნა ნათელი — უნგრო-ვლახეთის მიტროპოლიტი ანთიმოზი“.

წმინდა ანთიმოზ ივერიელის საგანმანათლებლო პარადიგმის ცენტრშია სხვადას-

ხვა ხერხით ცოდნის გავრცელება — მრევლის განათლება. ამ მიზნისთვის იგი, უწინარეს ყოვლისა, ქადაგებას იყენებს. წმინდა ანთიმოზ ივერიელის ქადაგებებიდან ნათლად ჩანს როგორც ახალი და ძველი აღთქმის ტექსტების, წმინდა მამების სწავლების, ასევე მისი თანადროული სამეცნიერო ტექსტების — საბუნებისმეტყველო, სამედიცინო და ფილოსოფიური შრომების ღრმა და საფუძვლიანი ცოდნა. მას ხშირად მოჰყავს არისტოტელეს, პლატონის, ნეოპლატონიკოსებისა და ანტიკური ხანისა და სხვა პერიოდის ფილოსოფოსების ციტატები. ასევე ჩანს მისი განსწავლულობა ეკლესიისა და მსოფლიოს ისტორიაში. მისი ქადაგებებიდან ადამიანები არა მხოლოდ სულიერებას, არამედ ბუნებისმეტყველებას, ფილოსოფიას და მედიცინასაც კი ეზიარებოდნენ.

საგანმანათლებლო საქმიანობის მეორე ვექტორი გულისხმობს მონასტრის ფარგლებში სასწავლო დაწესებულების გახსნას. ანთიმოზ ამ მიზნით აარსებს სკოლას. ანთიმოზ ივერიელის მონასტრის ტიპიკონის მე-6 თავში მკაფიოდ არის გაწერილი, თუ რა სისტემით უნდა მოხდეს ბავშვთა განათლება. უპოვარ ბავშვთა განათლებას უპირატესობა ენიჭება.

„სამ ღატაკ ბავშვს, რომელთაც სურთ სწავლა, ყოველწლიურად კვებისათვის მიეცეთ ექვს-ექვსი ბანი; ასევე საადღგომოდ მიეცეთ ორზლოტიანი ჩოხა, თითო პერანგი, თითო წყვილი წალი. და ეს სამი ბავშვი ასაკით არ უნდა იყოს არც ათ წელზე უმცროსი, არც თხუთმეტ წელზე უფროსი. ეს მოწყალეობა მათ უნდა ეძლეოდეთ ოთხი წლის განმავლობაში; რადგან ამ დროის განმავლობაში ბავშვმა შესაძლებელია სლავურიცა და ბერძნულიც შეისწავლოს, ხოლო შემდეგ მათ ადგილზე მიიღონ სხვები. თუ რომელიმემ ბერად გახდომა და მონასტერში დარჩენა მოისურვა — მიიღონ! სასწავლო წიგნები ბავშვებს გადასცეს მონასტერმა. განათლების დასრულების შემდეგ იღუმენმა ყველას უნდა გადასცეს თითო წერილი: თუ ვინმე დააპირებს დაოჯახებას, შეძლოს მოსვლა და ქორწილისათვის დახმარების, 15 ტალერის, მიღება“ (ანთიმოზ ივერიელი. დი-

3 კვლევები ანთიმოზ ივერიელის ცხოვრებისა და შემოქმედების შესახებ უპირატესად რუმინულენოვან აკადემიურ სივრცეშია. მათ შორის გამოვყოფთ გარბიელ შტემპლის, არქიმანდრიტ მიქაელ სტანჩიუს, პოპესკუს, ბრატულესკუს და სხვათა ნაშრომებს. საქართველოში ინტერესი ამ დიდი მოღვაწის მიმართ უპირატესად ისტორიოგრაფიულ ხასიათს ატარებდა. 2008 წლიდან იწყება წმინდა ანთიმოზ ივერიელის ნაღვაწის ინტენსიური კვლევა, მისი თხზულებების თარგმნა და თეოლოგიური ნააზრების მეცნიერული შესწავლა (იხ. ი. ბრაჭული, ა. ზაქარიასიძე, ვ. რამიშვილი, ა. ქშუტაშვილი, დ. ჯალაღონია, „ანთიმოზ ივერიელი — ქართულ-ევროპული დიალოგი“ და ორტომეული კრებული „საქართველო და ევროპული სამყარო — კულტურულ-ფილოსოფიური დიალოგი“), ანთიმოზ ივერიელის ღვაწლის, თანამედროვე ევროპულ მკვლევართა კვლევის შედეგების ახლებურად წარმოჩენა.

დაქეები 2016: 203).

საინტერესო ფაქტია, რომ ანთიმომ ივერიელის ანდერძით მონასტერი ვალდებული იყო კურსდამთავრებული სემინარისტებისათვის, მათი დაოჯახების დროს, მიეცა ე.წ. მზითევი, ხოლო მღვდლად კურთხევის შემთხვევაში მონასტერს თავისი კურსდამთავრებულებისთვის ცალკე უნდა მიეცა სრული სამღვდლო შესამოსელი, ბარძიმ-ფეშხუმი და ზოგადად, ღვთისმსახურებისთვის საჭირო ყველა ნივთი, „ხოლო თუ რომელიმე მღვდლად გახდომას დააპირებს, მას მიეცეს ცალკე სხვა 13 ტალერი; აქედან 8 ტალერი დიაკონად და მღვდლად კურთხევისთვის, 5 ტალერი კი დარჩეს ხელზე იმისათვის, რომ თავად გადაიხადოს პანაშვიდი“ (ანთიმომ ივერიელი. დიდაქეები 2016: 204).

წმინდა ანთიმომი განათლებულ დაოჯახებულ მღვდელს ავალებს, ასწავლოს ბავშვებს საგნები და საეკლესიო წესები ისე, როგორც ეს სწავლა-განათლების გეგმითაა დადგენილი; ხოლო ბავშვებს ევალებათ, მოვიდნენ ეკლესიაში: მწუხრზე, ცისკარზე და წირვაზე; „ხოლო თუ რომელიმეს სურს, მომავალში გახდეს მღვდელი, მას მღვდელმსახურების წესიც უნდა შეასწავლონ“ (ანთიმომ ივერიელი. დიდაქეები 2016: 204).

წმინდა ანთიმომ ივერიელი განსაკუთრებულ ყურადღებას უთმობს სასულიერო პირების განათლების საკითხს. მის „ტიპიკონშიც“ და „კანონთა თავებშიც“ ცალკე მუხლები ეძღვნება ამ საკითხს. იგი დასაბუთებულად ამტკიცებს, რომ ყოველგვარი ბოროტების სათავე არის გაუნათლებლობა.

„რადგან თქვენ შორის ბევრია გაუნათლებელი მღვდელი, არც თქვენ იცით მათი შედგენა და არც რიგითმა ქრისტიანებმა იციან, თუ როგორ გასწავლონ მათი დაწერა. ამის გამო ჩნდება ამდენი ჩხუბი, სასამართლო, დავა, ფიცის დადება, შეჩვენების წერილების წერა და ბევრი სხვა ბოროტება. ამიტომ ვადგენთ ანდერძების შედგენის წესს, რომელიც უნდა შესრულდეს“ (ანთიმომ ივერიელი. დი-

დაქეები. 2016: 251).

ანთიმომ ივერიელი თავის აშენებულ ყოველთა წმიდათა სახელობის მონასტერში აარსებს რუმინეთში პირველ საჯარო ბიბლიოთეკას. წიგნად ფონდში ეგზემპლარების უმრავლესობა ანთიმომ ივერიელის პირადი შენატანია. „ტიპიკონში“ იგი ცალკე თავს უძღვნის საბიბლიოთეკო ფონდის დაცვის საკითხს.

ანთიმის საგანმანათლებლო სოციალური პროექტის ძირითადი ვექტორი ბეჭდვითი საქმიანობაა, რაც განმანათლებლობის ეპოქის მთავარი ინოვაციაა. წიგნების უმრავლესობა ანთიმომ ივერიელის სახსრებით ითარგმნა და დაიბეჭდა ბუქარესტის, სნაგოვოს, რიმნიკის, ტარგოვიშტეს სტამბებში. ვლახეთში მოღვაწეობის 26 წლის განმავლობაში წმინდა ანთიმომმა გამოსცა 64 წიგნი: აქედან 4 წიგნის ავტორი თავადაა, 10 წიგნისთვის წინასიტყვაობა დაწერა, 6 წიგნს შენიშვნები და კომენტარები დაურთო, 5 წიგნისთვის ლექსები შეთხზა, 6 წიგნი ბერძნულიდან, არაბულიდან, ძველი სლავურიდან თარგმნა რუმინულად. განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ამ მიმართულებით ანთიმომ ივერიელის ღვაწლი საკუთარი სამშობლოს წინაშე. ცნობილი ფაქტია, რომ ანთიმომ ივერიელი 1708 წელს საქართველოში თავის ერთ-ერთ საუკეთესო მოწაფეს მიხაი იშტვანოვიჩს გზავნის და ქართულენოვანი სტამბის სრულ მოწყობილობას, უკვე დაბეჭდილ ოდიკებს, სხვადასხვა ხატებისა და ორნამენტების მატრიცებს ატანს. 1709 წლიდან დაწყებული მიხაი იშტვანოვიჩმა თბილისში დაბეჭდა არაერთი საღვთისმსახურო წიგნი: სახარება, ფსალმუნი, ლოცვანი, ჟამნი, კონდაკი, ანუ წმინდა ანთიმომ ივერიელი ზრუნავდა საიმისოდ, რომ ქართველ ხალხს მეტი სულიერი საზრდო ჰქონოდა და ამის მნიშვნელოვან წყაროდ მწიგნობრობა და განსაკუთრებით, ლოცვა მიიჩნდა. ამიტომაც პირველი წიგნები, რომლებიც ანთიმომის გამოგზავნილ სტამბაში დაიბეჭდა, იყო სახარება, სამოციქულო და სხვა საღვთისმსახურო

წიგნები. ამასთან, წიგნების გარდა ანთიმომ ივერიელის სტამბაში ოდიკებიც იბეჭდებოდა⁴.

ყოველ წელიწადს მონასტერი ვალდებული იყო ებრუნა რამდენიმე გაჭირვებულ დასაოჯახებელ ვაჟსა და გოგონაზე. ტანსაცმლისა და თანხის სახით მონასტერს სრულად უნდა გაემზოთებინა ისინი. განსაკუთრებული ყურადღება ექცეოდა უპოვართა დახმარებას — როგორც თანხით, ასევე საკვებით; დეტალურადაა გაწერილი შიშველთა შემოსვისა და უპოვარ ქალიშვილთა გათხოვების, ასევე სხვა ქვეყნიდან ჩამოსულ იმ უცხოელთა დახმარების წესები, „რომლებიც ამ ქვეყანაში გაჭირვების გამო ჩამოვლენ“. მონასტერს ევლება მათი შენახვა და დაპურება; ეს წესი დღესაც სავალდებულოა მონასტრისათვის. „თავადაც ვხედავთ წმინდა სახარებაში, რომ უფალი ჩვენი იესო ქრისტე არავის ჩათვლის ზეციური სასუფეველის მკვიდრად, თუ მან ამქვეყნიურ ცხოვრებაში კეთილი საქმენი არ მოიმოქმედა: ღარიბთათვის არ გაიღო მოწყალეობა, მშიერი არ დააპურა, მწყურვალენი არ დაარწყულა, შიშველნი არ შემოსა, უცხონი არ ანუგეშა, ავადმყოფნი და პატიმარნი არ მოიკითხა“ (ანთიმომ ივერიელი. დიდაქეები. 2016: 205).

წმინდა ანთიმომი ზრუნავს საპყრობილის ტუსაღთათვის. მონასტერის ვალდებულებაა „მთელი წლის განმავლობაში, ორმოცდათორმეტივე შაბათ-კვირის ყოველ შაბათს, საპყრობილეში მყოფთათვის გამოიყოს“ (ანთიმომ ივერიელი. დიდაქეები. 2016: 205) გარკვეული თანხა.

საგულისხმოა, რომ ავადმყოფთა მონახულების წესი ვრცელდება, როგორც სავა-

ლდებულო, უძღურებაში მყოფ ყველა ადამიანზე — „იღუმენი, მღვდელმონაზონნი და მღვდელნი, როგორც კი შეიტყობენ რომელიმე ადამიანის, შინაურისა თუ უცხოს, ქალისა თუ კაცის, ამ, თუ სხვა უბნის მაცხოვრებლის ავადმყოფობის შესახებ, ვალდებულნი იქნებიან, რომ მიაკითხონ თვითონ, ან გაუგზავნონ ვინმე გამოცდილი მღვდელი, რომელიც შეძლებს ავადმყოფს ნუგეში სცეს“ (ანთიმომ ივერიელი. დიდაქეები. 2016: 211).

ამავე დროს „კანონთა თავებში“ წმინდა ანთიმომი უკრძალავს სამღვდლო პირებს ზოგადი ზნეობრივი ნორმებისგან დაცლილ საერო საქმიანობას — „გიბრძანებთ თქვენ, მღვდლებსა და დიაკვნებს, ნუ ჩაერევით საერო საქმეებში — სიცრუეში, ცბიერებაში, მლიქვნელობაში, ფიცში, ცრუ დაპირებებში და სხვა მსგავს საქმეებში, რომლებსაც ხალხში შემოაქვთ შფოთი და ეჭვი; განსაკუთრებით მოერიდეთ ვაჭრობას, რადგან მისგან სასჯელს მიიღებთ“. (ანთიმომ ივერიელი. დიდაქეები. 2016: 246). და იქვე დასძენს: „არც ერთმა მღვდელმა არ გაბედოს თავისი სახლიდან ღვინის გაყიდვა, არც ცოლსა და არც მსახურებს დაავალოს ეს საქმე. ხოლო თუ ვინმე დაარღვევს ამ ბრძანებასა და ჩაიდენს ამ უღირსსა და უსჯულო საქმეს, სამუდამოდ წაერთმევა მღვდლობის მადლი და უბირი გლეხების რიგში განწესდება“ (ანთიმომ ივერიელი. დიდაქეები. 2016: 247). ანთიმომისეულ პროექტში ერთ-ერთი მთავარი აქცენტი კეთდება საერო ხელისუფალთაგან მონასტრის აბსოლუტურ თავისუფლებაზე, მის ხელშეუვალობასა და სრულ დამოუკიდებლობაზე. „მონასტერი სრულად თავისუფალი იყოს: იგი არავის უნდა ემორჩილებოდეს და მასზედ არავინ უნდა მბრძანებლობდეს — არც ქვეყნის მთავარი, არც მღვდელთმთავარი, რომელიც ჩემ შემდეგ დადგება, და არცერთი თავადი“ (ანთიმომ ივერიელი. დიდაქეები. 2016: 210).

ანთიმომ ივერიელის შემუშავებული პარადიგმის უპირატესობა ემყარება წმინდა მამების სწავლებაზე დაფუძნებულ ხედვას, რომ ადამიანური ყოფიერების ძირითად ვექტორებს განაპირობებს და განსაზღვრავს

4 1707 წელს იერუსალიმის პატრიარქ ხრისანტ ნოტარას სახელზე გაგზავნილი წერილი წარმოადგენს პირველწყაროს, რომელშიც ანთიმომ ივერიელი წერს, რომ ამზადებს მატრიცას ქართულენოვანი ოდიკის დასაბეჭდად. წერილში საუბარია ქართულენოვან ოდიკზე, რომელიც საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიისთვის იბეჭდებოდა. სამწუხარო ფაქტია, რომ დღემდე ანთიმოს მიერ დაბეჭდილ ოდიკს ვერ მივაკვლიეთ. არსებობს ზეპირი გადმოცემა, რომ ის ხელოვნების ისტორიის მუზეუმის საცავებში უნდა ინახებოდეს.

ქრისტე. მისი აზროვნების საფუძველი ღვთის შეცნობა, სამყაროს და ცხოვრების არსის წვდომაა, ხოლო მისი სიცოცხლის ძირითად მისწრაფებად, მის დანიშნულებად მიჩნეულია სულის ხსნა.

„ანთიმოზ ივერიელის მონასტრის ტიპიკონის“ შესავალში, პირველივე გვერდზე წმინდანი გვაუწყებს თავისი საღვთისმეტყველო და პრაქტიკულ-მოძღვრული საქმიანობის საკვანძო დებულებას, რომელიც კრავს მის ნააზრევს და სამაგალითოს ხდის თანამედროვე გამოწვევების დასაძლევად. „სიკეთე სიკეთედ არ ჩაითვლება, თუ მას კეთილად არ აღასრულებ“ (ანთიმოზ ივერიელი. დიდაქეები. 2016: 200). ამ პოზიციის გასამყარებლად წმინდა ანთიმოზი ქადაგებებსა და სხვა თხზულებებში სხვადასხვა ადგილას ხშირად იმოწმებს წმინდა წერილს, მოციქულთა საქმეებს და წმინდა მამათა თხზულებებს. „პავლემ უწყოდა, რომ კეთილი საქმეები ადამიანს სულის ცხონებაში ეხმარება; ამიტომაც ებრაელთა მიმართ ეპისტოლეს მე-13 თავში, იგი გვასწავლის, არ დავივიწყოთ და ყოველთვის მოშურნეობით შევასრულოთ მისი დარიგება: „ხოლო კეთილისა საქმესა და ზიარებასა ნუ დაივიწყებთ, რამეთუ ესევეითარნი მსხუერპლნი სათნო არიან ღმრთისა“ (ანთიმოზ ივერიელი. დიდაქეები. 2016: 200).

წმინდა ანთიმოზ ივერიელის სოციალური პროექტი ქრისტიანული დისკურსის ველზე სეკულარიზმთან თანაარსებობის წარმატებულ ნიმუშად წარმოგვიდგება.

ლიტერატურა:

ანთიმოზ ივერიელი (2016), დიდაქეები და სხვა თხზულებები. თბ.: დობერა.

ბრაჭული, ი. ზაქარიაძე, ა რამიშვილი, ვ. ქშუტაშვილი, ა. დ. ჯალაღონია (2016), ანთიმოზ ივერიელი — ქართულ-ევროპული დიალოგი. თბ.: დობერა.

საქართველო და ევროპული სამყარო — კულტურულ-ფილოსოფიური დიალოგი. ტ. I (2008), თბილისი:

თსუ გამომცემლობა.

საქართველო და ევროპული სამყარო — კულტურულ-ფილოსოფიური დიალოგი. ტ. II (2017), თბილისი: თსუ გამომცემლობა.

Cox, Harvey Gallagher (1965), *The Secular City: Secularization and Urbanization in Theological Perspective*; Collier Books, 25th anniversary edition 1990.

Cox, Harvey Gallagher & Callahan, Daniel (1966), *The Secular City Debate*, New York: Macmillan.

Brands, H.W (2010), *The First American: The Life and Times of Benjamin Franklin*.

Houston, Alan (2008), *Benjamin Franklin and the Politics of Improvement*. Yale U.P. J. A.

Isaacson, Walter (2003), *Benjamin Franklin: An American Life*. New York: Simon & Schuster.

Lemay, Leo (2008), *The Life of Benjamin Franklin, Volume 3: Soldier, Scientist, and Politician, 1748–1757*. U. of Pennsylvania Press.

Novak, Michael (1982), *The Spirit of Democratic Capitalism*. Harvard.

Pinckaers, Servais (1995), *The Sources of Christian Ethics*. Washington, D.C.: Catholic University of America Press.

Franklin, Benjamin (2007, fir.ed.1900), *The Autobiography of Benjamin Franklin: Poor Richard's Almanac and other papers*. New York: A.L. Burt Co.,

Ștrempele, Gabriel (1997), *Antim Ivireanul*. București: Editura Academiei Române.

Preot Nicolae Șerbănescu (1956), *Antim Ivireanul tipograf*, în rev: "B.O.R." nr. 8- 9/1956. p.690-760;

Brătulescu, Victor, (1956), *Antim Ivireanul miniaturist și sculptor*, în rev. Biserica Ortodoxă Română, LXXIV nr. 8-9, p. 766-774;

Popescu, Teodor (1956), Antim Ivireanul, apostol și mucenic al dreptei credințe, în „Biserica Ortodoxă Română”, LXXIV p. 853-863.

Davies, Paul (1995), The Synthetic Path, in The Third Culture, ed. by John Brockman .New York: Simon and Schuster.

O'Toole, Roger (1984), Religion: Classical Sociological Approaches. Toronto: McGraw Hill.

Tennent, Timothy C. (2007), Theology in the Context of Christianity. How The Global Church Is Influencing. The Way We Think About And Discuss Theology. Zondervan.

Thiselton, Anthony C. (2009), The Living Paul: An Introduction to the Apostle and his Thought. London: Society for Promoting Christian Knowledge.

Weber, Max (2005), The Protestant Ethic and the Spirit of Capitalism. New York: Taylor & Francis e-Library.

საღვთისმეტყველო და საერო საგანთა თავსებადობის პრობლემა ბერძნულ-ალექსანდრიულ ქრისტიანულ სკოლაში

ავთანდილ ასათიანი

პედაგოგიკის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი

ალექსანდრიის საგანმანათლებლო ისტორიაში გამორჩეული ადგილი უკავია წარმართულ-ელინურ, იუდეურ და ქრისტიანულ სკოლებს. ელინური სკოლა ყველაზე ძველია და მუსეონს უკავშირდება. ასევე ძველია იუდეველთა სკოლა, ხოლო ქრისტიანული სკოლა ასპარეზზე გამოდის მაშინ, როცა ბერძნული და იუდეური სკოლები იდეურმა კრიზისმა მოიცვა. თუმცა, ასეთ განზოგადებას ბევრი არ იზიარებს და ქრისტიანული სკოლის არსებობას საერთოდ ეჭვქვეშ აყენებს.

პტოლემეების ეპოქის ალექსანდრიის წარმართულ სკოლას მკვლევარი ჟ. სიმონე ახასიათებს როგორც პირველ ეკლექტიკურ, პირველ მისტიკურ და პირველ პანთეისტურ სკოლას.

იუდეურ-ალექსანდრიული რელიგიური სკოლის წარმომადგენლები არიან არისტოტელოსი და ფილონი. სწორედ ფილონი ალექსანდრიელი ითვლება იუდეურ-ალექსანდრიული სკოლის მიმართულების განმსაზღვრელად. იგი ყველაზე ახლოსაა ალექსანდრიის ქრისტიანულ სკოლასთან. სწორედ მისი იდეები წარმოადგენს იუდაიზმიდან ქრისტიანობაში გარდამავალ საფეხურს.

ებრაული ტრადიციის გავლენას ქრისტიან სწავლულებზე ადასტურებს მკვლევარი გისელერი, მანვე გამოყო ალექსანდრიული ღვთისმეტყველების ორი არსებითი ნიშანი, რომელსაც იზიარებენ როგორც ქრისტიანები, ისე იუდეველები: ანთროპომორფიზმის უარყოფა ღმერთის შესახებ მოძღვრებაში და მტკიცება პირადი თავისუფლების თაობაზე

ადამიანის შესახებ მოძღვრებაში.

ალექსანდრია იქცა აღმოსავლეთისა და დასავლეთის მსოფლმხედველობათა და ახლოების ადგილად. როგორც მკვლევარი ე. ვაშრო აღნიშნავს, ალექსანდრიზმის მიზანი იყო არა მხოლოდ შემრიგებლობა რელიგიურისა და ფილოსოფიურისა, არამედ აღმოსავლურისა და დასავლურის ერთიანობა მსოფლმხედველობის ყველა სფეროში. ქრისტიანობა იდგა იმ აუცილებლობის წინაშე, რომ აეთვისებინა ბერძნული ცივილიზაციის მიღწევები, „ისე, რომ არ გამქრალიყო აღმოსავლეთიდან“. ამიტომ ქრისტიანმა ფილოსოფოსებმა იუდეურ-ალექსანდრიული აზროვნების მემკვიდრეობა მიიღეს ისე, როგორც აღმოსავლური და დასავლური ელემენტების სინთეზი და არა როგორც მხოლოდ ბიბლიური აპოლოგეტიკის გამოცდილება.

თუმცა ყველაზე მყარი საფუძველი, რაც ქრისტიანულ სწავლებას წარმართულ ფილოსოფიასთან და იუდაიზმთან დაპისპირებაში ძალას მატებდა, განკაცებული და მკვდრეთით აღმდგარი მაცხოვარი იყო. სწორედ ამან განაპირობა, რომ „სწავლულებმა, რომლებიც ხელმძღვანელობდნენ ალექსანდრიულ ქრისტიანულ სკოლას, დაიწყეს რელიგიის ღვთიურობისა და ჭეშმარიტების მტკიცება“.

რომის სახელმწიფო აღმზრდელი ბიტი სისტემის საპირისპიროდ, ადრეული ქრისტიანული პედაგოგიკის რელიგიურ-აღმზრდელი ბიტი იდეები გავრცელდა ანტიკურ სამყაროში, რაც საწყის ეტაპზე იუდაისტური პედაგოგიკის ფარგლებში მიმდინარეობდა.

ამასთანავე გასათვალისწინებელია, რომ ალექსანდრიის ქრისტიანულ სკოლას (სავარაუდოდ 179 წელს დაუარსებიათ) მდიდარი ელინისტური განათლების ტრადიციები უძღოდა წინ, რომლებიც აქ დიდხანს შეუნარჩუნებიათ. ევსების ისტორიით დასტურდება, რომ ქრისტიანულ სწავლებასთან ერთად, აქ ძალიან ადრე (II საუკუნის დასაწყისში) დაუწყიათ თავისუფალი საგნების სწავლება, რაც იმას ნიშნავს, რომ მაშინდელი სწავლულები ცდილობდნენ ცოდნისა და რწმენის ჰარმონიული სინთეზისათვის მიეღწიათ.

როგორც ანტიკური ეპოქის ფილოსოფოსები (სოკრატე, პლატონი), ისე ქრისტიანული ეკლესიის მამები განსაკუთრებულ ყურადღებას აქცევდნენ განათლების მეშვეობით ჭეშმარიტებასთან ზიარებას. ცხადია, ადრეული ქრისტიანობის კავშირი იუდაიზმის პედაგოგიკასთან ეჭვს არ იწვევს, რადგან მათ შორის იგრძნობა პრიორიტეტების აშკარა თავსებადობა, რაც უპირატესად ვლინდება მასწავლებლების სტატუსის აღიარებაში, აღზრდის რელიგიურ მიმართულებასა და პიროვნების ცნობიერების ირაციონალურ გაგებაში.

ქრისტიანობას და ანტიკურობას საერთო გადაკვეთის წერტილები და იდეალები აქვს, თუმცა მათ შორის განსხვავება გაცილებით დიდია. ქრისტიანობამ ბავშვის შესახებ სრულიად განსხვავებული ხედვები განავითარა. ანტიკურ პედაგოგიკაში ბავშვი არასრულფასოვან არსებად იყო მიჩნეული, ხოლო ქრისტიანობამ პირიქით, კატეგორიულად უარყო უსუსური ბავშვის მიმართ დანაშაულებრივი ინფანტიციდი. თუკი სოფისტებმა ანტიკური სამყაროს ადამიანი „ყოველივეს საზომად“ გამოაცხადეს, ქრისტიანობამ სამყაროს შემოქმედად ღმერთი აღიარა. ქრისტიანული ტრადიციის თანახმად, იდეალური აღზრდა მდგომარეობს არა მხოლოდ ცოდნის მიღებაში, არამედ ღვთის ხატებასა და მსგავსებაში ანუ ღვთიური განგებულობის შესაბამისად ცხოვრებაში. ახალ აღთქმაში სხეულისა და სულის წინააღმდეგობის შესახებ პითაგორელების დოქტრინის საპირისპიროდ უარყოფილია

ის იდეა, რომ „სხეული მტერია სულისა“. ამის თაობაზე მოციქულმა პავლემ განსხვავებული აზრი გამოთქვა: „არა უწყითა, რამეთუ ჳორცნი ეგე თქუენნი ტაძარნი თქუენ შორის სულისა წმიდისანი არიან“ (I კორ. ნ:19). ამრიგად, თუკი ანტიკურმა აზროვნებამ სამყაროს ცენტრში დააყენა ადამიანის მიწიერი არსებობა, მისგან განსხვავებით, ქრისტიანობამ მარადიული ადამიანური ღირებულებების პრიმატი აღიარა. ელინისტური სამყაროს ისეთ იდეალებს, როგორცაა განათლების კულტი, ფილოსოფია, ლამაზი და ჯანსაღი სხეული და თვითდამკვიდრება — ქრისტიანული ეკლესიის მამებმა დაუპირისპირეს სულის გადარჩენა, თანადგომა, მიტევება, სიყვარული, მორჩილება, ასკეტიზმი და სხვა ქრისტიანული სათნოებანი.

ქრისტიანულ აღზრდაში გამოიკვეთა რწმენის უპირატესობა ცოდნაზე. ამასთან ერთად, განსაკუთრებულ ყურადღებას აქცევდნენ სწავლების კავშირს რელიგიურ-ზნობრივ აღზრდასთან და კარგად აცნობიერებდნენ შრომისმოყვარეობის აღზრდის მნიშვნელობას. სწორედ ამას ადასტურებს პავლე მოციქულის სიტყვები: „უკუეთუ ვისმე არა უნებს საქმის, ნუცა ჭამნ“ (II თეს. 3:10). სახარებაში ახლებურად არის ახსნილი ძველი აღთქმის მცნებებიც: „არა ვაც კლა“, „არ იპარო“, „გიყვარდეს მოყვასი...“ და სხვ., რომლებიც ბიბლიურ იუდაიზმში არა მარტო ეთიკურ სენტენციებს, არამედ იურიდიული ძალის ნორმებს წარმოადგენდა. სწორედ ამიტომაც არის ძველი აღთქმის პედაგოგიკა კანონის ანუ რჯულის პედაგოგიკა. მისგან განსხვავებით, ახალი აღთქმის პედაგოგიკა ანუ ქრისტიანული პედაგოგიკა — რწმენისა და სიყვარულის პედაგოგიკაა.

ანტიკური პედაგოგიკის კრიზისის პირობებში, ქრისტიანობა აშკარად აღმოჩნდა განათლების შინაარსის განსაზღვრის დილემის წინაშე. გადასაწყვეტი იყო კარდინალური პედაგოგიკური პრობლემები: 1. რამდენად საჭირო იყო ქრისტიანისათვის ბერძნულ-რომაულ კლასიკურ განათლებაში დამკვიდრებული შვიდი თავისუფალი ხელოვნების (ტრი-

უმ-კვადრივიუმი) შესწავლა? 2. შესაძლებელი იყო თუ არა, ამ მეცნიერებებთან წმინდა წერილის შეთავსება? სწორედ ამ კითხვებზე პასუხის გაცემა იქცა მთავარ პრობლემად ადრექრისტიანული დიდაქტიკისათვის: გამოითქვა აშკარად უარყოფითი, კომპრომისული და ცალსახად დადებითი მოსაზრებები. სწორედ ამას ადასტურებს ამ ეპოქის ფილოსოფოსის ფილონ ალექსანდრიელის (ძვ. წ. 28-21 წწ. — ახ. წ. 41-49 წწ.) შეხედულებები. მას მოსწონს ის თხზულებები, რომლებიც ხელს უწყობს იუდაიზმიდან ქრისტიანობაში იდეურ გადასვლას.

ალექსანდრიის სკოლაში უპირატესობა ენიჭებოდა პლატონის მეთოდოლოგიას. ალექსანდრიული თეოლოგიისათვის მთავარ პრობლემას წარმოადგებდა ადამიანსა და ღვთაებას შორის ურთიერთობა, რაც მრწამსისათვის რაციონალურ საფუძველს გულისხმობდა, ხოლო სწავლების მეთოდად ბიბლიის ალევორიული ახსნა იყო მიჩნეული. სასულიერო და საერო საგანთა თავსებადობა ბერძნულ-ალექსანდრიულ ქრისტიანულ სკოლაში აშკარად დასტურდება პანტენის, კლიმენტი ალექსანდრიელის და ორიგენეს მოღვაწეობითა და შეხედულებებით.

პანტენი 179-190 წლებში სათავეში ედგა ალექსანდრიის ქრისტიანულ სკოლას. სწორედ პანტენი მოიხსენება წყაროებში აღნიშნული სკოლის პირველ წარმომადგენლად. დიდი ხნის განმავლობაში ალექსანდრიის სკოლას მისივე სახელით მოიხსენიებდნენ.

პანტენმა განსაზღვრა ალექსანდრიის სკოლის მიმართულება, რაც გამოიხატებოდა ფილოსოფიის უტილიზაციაში და რელიგიურ სწავლებასთან მეცნიერული ცოდნის სოლიდარობაში. მისი მიმართველობის პერიოდში კატეხისტური სკოლის კურსი გამოიხატებოდა წმიდა წერილის განმარტებასა და რწმენის დოგმატების გადმოცემაში. ასევე მას მიეწერება ალექსანდრიის სკოლაში სტოიკური ფილოსოფიის კურსის, პითაგორეს, ეპიკურეს, პლატონის და სკეპტიკოსების თხზულებების სწავლება. პანტენის ძალისხმევით ალექსანდრიულმა სკოლამ დიდაქტიკურ პრიორიტეტად

აქცია ღვთისმეტყველებისა და ფილოსოფიის რაციონალური გააზრება, რაც რწმენისა და ცოდნის ერთიანობის გზით მიმდინარეობდა.

მისმა სახელოვანმა მოწაფემ კლიმენტი ალექსანდრიელმა კარგად შეთავსა ბიბლიური და ანტიკური საგანმანათლებლო-აღმზრდელობითი პრინციპები. მისი აზრით, მთავარი პედაგოგი იესო ქრისტეა, რომელიც სამართლიანობის, სიყვარულის, მოკრძალების, თვინიერების, მაღალი სულიერების, ჰუმანურობისა და მართალი ცხოვრების განსახიერებაა. კლიმენტის აზრით იდეალური განათლება გულისხმობს სამ ჰიპოსტაზს: სამართლიანი ჩვევების დაუფლებას, ქრისტიანული ქცევის წესების აღზრდას და ვნებების უკუგდებას. კლიმენტის კონცეფციით საერო და საღვთისმეტყველო საგნებს თანაბარი მნიშვნელობა ენიჭება.

კლიმენტის თეოლოგიურ მემკვიდრეობაში განსაკუთრებული ადგილი ეთმობა რწმენისა და ცოდნის, შემეცნებისა და სწავლების ფილოსოფიური პრობლემების კვლევას. მისი აზრით, ფილოსოფია ბერძნებმა ძველი აღთქმიდან აიღეს, რადგან მას ღმერთი ფლობდა, შემდეგ ანგელოზებმა იგი ადამიანებს გადასცეს. დიდი მადლია, რომ ფილოსოფია ბერძნებს ეწყალობათ: „ფილოსოფია... არის ჭეშმარიტების ცხადი ხატი, ელინთათვის ბოძებული საღვთო ძღვენი“ (სტრომატა I,20,1). ამდენად, კლიმენტი ალექსანდრიელს მიაჩნია, რომ, რადგან ფილოსოფია ღვთიური წარმოშობისაა, მას შეიძლება დაეფუძნოს ქრისტიანობა, ხოლო სწავლება-შემეცნების თვალსაზრისით იგი მოსამზდებელი ანუ „ქვედა საფეხურია“ ჭეშმარიტი (ქრისტიანული) ცოდნის დასაუფლებლად.

კლიმენტი ალექსანდრიელმა განსაკუთრებული წვლილი შეიტანა კატეხისტური სკოლის სწავლების შინაარსის სრულყოფაში. მან ფილოსოფიასთან ერთად მნიშვნელოვანი ყურადღება დაუთმო ასტრონომიის და გეომეტრიის შესწავლის მნიშვნელობას, რაც იმხანად კატეხისტური სკოლისათვის მართლაც უპრეცედენტო მოვლენას წარმოადგენდა. კლიმენტის აზრით, „ასტრონომიის გზით

გონებრივად დედამიწიდან ზე ადის ადამიანი, მალღდება იგი ცამდე, თანამოიქცევა წრებრუნვაში და მარადიულად იმეცნებს როგორც საღვთო (საიდუმლოებებს), ასევე (სამყაროს) ურთიერთშეწყობილობას“ (სტრომატა, VI,80,3). ასეთივე დამოკიდებულება აქვს კლიმენტი ალექსანდრიელს გეომეტრიის მიმართ, რადგან მისი აზრით, სწორედ გეომეტრია „გრძნობათაგან გონისეულთავენ გადავიყვანს“ (სტრომატა, VI,90,4).

კლიმენტი ალექსანდრიელმა სათავე დაუდო ანტიერეტიკულ მწერლობას, მეცნიერული სახით სწორედ მან ჩამოაყალიბა დოგმატური და ზნეობრივი ღვთისმეტყველება. მის პირად დამსახურებად უნდა ჩაითვალოს რწმენისა და ცოდნის ურთიერთმიმართების გარკვევა, ფილოსოფიის როლის და ადგილის განსაზღვრა, მისი თავსებადობა ქრისტიანობასთან.

საღვთისმეტყველო და საერო საგანთა თავსებადობას სწავლებაში განსაკუთრებული ყურადღება მიაპყრო ორიგენემ. მან ხანმოკლე დროში შეცვალა დამოკიდებულება საერო საგნების, პირველ რიგში ფილოსოფიის სასარგებლოდ. მისი გავლენით ალექსანდრიულმა ქრისტიანულმა სკოლამ გააფართოვა სასწავლო საგანთა არეალი და მასში რელიგიური საგნების გარდა საერო საგნების სწავლებაც შეიტანეს. მსმენელთა მიღებაში არსებული შეზღუდვებიც მოიხსნა, სკოლა ყველა მსურველისათვის ღია გახდა. საერო საგნების მიმართ ორიგენეს ინტელექტუალური ინტერესის ზრდამ, ხელი შეუწყო ქრისტიანებსა და წარმართებს შორის დიალოგისა და ურთიერთპატივისცემის ატმოსფეროს დამკვიდრებას, რასაც „ინტელექტუალურ სამოთხეს“ უწოდებს მისი ნამოწაფარი, ნეოკესარიის ეპისკოპოსი წმ. გრიგოლ საკვირველმოქმედი. „...ჩვენთვის არაფერი იყო აკრძალული, ისეხებდა წმ. მამა, არაფერი იყო დაფარული, ვსარგებლობდით შესაძლებლობით, მოგვესმინა ყოველგვარი სიტყვა, ბარბაროსული და ელინური, საიდუმლო და ცხადი, ღვთაებრივი და ადამიანური“ (წმ. გრიგოლის „მიმართვიდან“ ორიგენესადმი).

ორიგენეს მოწაფეები, სანამ უშუალოდ ბიბლიის შესწავლას დაიწყებდნენ, მანამდე გადიოდნენ მოსამზადებელ კურსს, რომელიც დიალექტიკის, ფიზიკის, მათემატიკის, გეომეტრიის და ასტრონომიის შესწავლას გულისხმობდა. ამის შემდეგ ისწავლებოდა ფოლოსოფია და ღვთისმეტყველება.

ორიგენეს მთავარ აპოლოგეტურ შრომას წარმოადგენს მისი წიგნი „ცელსის წინააღმდეგ“, რომელიც ნათელი მაგალითია პოლემიკისა განათლებულ ქრისტიანსა და წარმართს შორის. როგორც წარმართი, ისე ქრისტიანი, თავისუფლად აყალიბებენ თავიანთ შეხედულებებს, რაც იმაზე მიუთითებს, რომ ალექსანდრიული ქრისტიანული სკოლა პლურალისტული აზროვნების კერასაც წარმოადგენდა.

კვლევის მეთოდებში ორიგენე არ არის შემზღუდული. თუ ბიბლიის განმარტებისას იგი ალევგორიულ გზას ანიჭებდა უპირატესობას, ღვთისმეტყველებაში ნეოპლატონურ კატეგორიებს მიმართავდა. სწორედ ამას ადასტურებს მისი კლასიკური ნაწარმოები „ლოცვის შესახებ“, რომელშიც ღმერთთან ერთობის გზები სწორედ ნეოპლატონური კატეგორიებით არის განხილული. ამიტომ დაბეჯითებით შეიძლება ითქვას, რომ ორიგენე შეეცადა ელინური სააზროვნო კატეგორიებით მოეხდინა ქრისტიანული სარწმუნოების სისტემატიზებული განმარტება. ამ გზას უფრო ადრე დაადგა კლიმენტი ალექსანდრიელი, რომლის სწავლება გნოსტიციზმისკენ იხრებოდა. თუ კლიმენტი ალექსანდრიელი მორალისტია, ორიგენე ღვთისმეტყველი, ეგზეგეტიკოსი, აპოლოგეტი და ასკეტური ცხოვრების მასწავლებელია. მისთვის ქრისტიანები იყოფიან ორ კატეგორიად: ერთნი – მორწმუნენი, ხოლო მეორენი – სწავლულნი, თუმცა ყოველი ქრისტიანი სამყაროს შეცნობას უნდა ესწრაფოდეს.

ალექსანდრიის სკოლის მიზნის შესახებ ასეთ ფორმულირებას იძლევა თვით კლიმენტი ალექსანდრიელი: „სრულყოფილი და მიზანმიმართული ცოდნის ძირითადი საფუძვლების შექმნა, რომელიც განუყოფლად უკავშირდება უმაღლეს ზნეობრივ თვისებებს“. აქე-

დან გასაგებია, რომ სკოლა განკუთვნილი იყო ყველა მსურველისთვის, ამზადებდა არა მხოლოდ ეკლესიის მსახურთ, არამედ ზოგადად ქრისტიანებს. პირველ საფეხურზე სკოლის პროგრამა ითვალისწინებდა ისეთი თავისუფალი (ზოგადსაგანმანათლებლო) მეცნიერებების შესწავლას, როგორცაა: გრამატიკა, დიალექტიკა, ლოგიკა, გეომეტრია, ასტრონომია, ბუნებისმეტყველება, ალბათობა და პითაგორეს რიცხვთა თეორია. ორიგენე ასაბუთებს აგრეთვე საერო მწერალთა შემოქმედების საჭიროებას და მიუთითებს, რომ როცა მოწაფეს უშუალოდ არ შეუძლია წმიდა წერილის აზრის წვდომა და მისი მშვენიერების აღქმა, მან უნდა ისწავლოს საერო მწერალთაგან, ანუ „მზეს წყალში ხედავდეს“ და თავისი სულიერი თვალის ჯერ არაქრისტიან მწერლებზე ავარჯიშოს.

ამრიგად, ალექსანდრიის ადრექრისტიანულ სკოლაში არა მარტო დასაშვებია იყო შვიდი თავისუფალი ხელოვნების (ტრივიუმ-კვადრივიუმის) სწავლება, არამედ აღიარებული იყო მათი პროპედევტიკული მნიშვნელობა და სრული თავსებადობა საღვთისმეტყველო საგნების სწავლებათან.

ლიტერატურა:

ლოსევი ა. ფ., 1960.

ალექსანდრიული სკოლა // ფილოსოფიის ენციკლოპედია (რუსულ ენაზე). ტ. 1. მოსკოვი.

Simone J., 1845.

Historie de l'école d'Alexandrie. V 1-2. Paris.

Gieseler J. C. L., 1831.

Lehrbuch der Kirchengeschichte. 3-e Ausg. Bonn.

Vacherot E., 1846.

Histoire critique de l'école d'Alexandrie. V. 1-3. Paris.

Prat J.-M., 1843.

Histoire de l'eclectisme alexandrin considere dans sa lutte avec le christianisme. Vol. I. Lyon.

ასათიანი ა., 2007.

ნარკვევები ქრისტიანული პედაგოგიკის ისტორიიდან, ტ., I. თბილისი.

იეროფანიების ფენომენის გაგებისათვის

ირაკლი ბრაჭული

ფილოსოფიის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი

„იეროფანია“ თანამედროვე მითისა და რელიგიის ფილოსოფიის ფუნდამენტური ცნებაა. ქართულად ითარგმნება როგორც „ხატჩენა“, ან „სასწაულჩენა“. ასე უწოდებენ საკრალურის გამოვლენას კულტურისა და ადამიანური ყოფიერების ძირითად ფორმებში გამოვლენილ „წმინდას“. რუდოლფ ოტტომ მის აღსანიშნავად გამოიგონა ტერმინი „ნუმი-ნოზური“, ხოლო მირჩა ელიადეს შრომების და ნაწარმოებების წყალობით გავრცელდა თანამედროვე ფილოსოფიურ წრეებში. ქვემოთ შევეცდებით განვმარტოთ ამ მნიშვნელოვანი ფენომენის, უფრო სწორად ამ ფენომენის შესახებ ცნების არსებითი შინაარსი.

დელიოზის დაკვირვებით დასავლური აზროვნების კომპლექსი შინაგან დასრულებას უნივერსალურ პრაგმატიზმში პოულობს. პრაგმატიზმში ფილოსოფიური აზრის მოქცევა საღი აზრისა და ყოველდღიურობის ვარაუდთა ფარგლებში. ზემოაღნიშნული რვა პოსტულატის გამოვლენით მხილებულია „დიადი ლოგიკური ილუზია“: ამოცანათა გამოთვლითი კომბინატორიკისადმი ნდობა; უფრო სწორად, ცრურწმენა, რომ საზრისი მხოლოდ საღი აზრის doxa-დან ნავარაუდევის ორეულია. შეკითხვა ყოველთვის კოპირებულია სავარაუდო ან შესაძლო პასუხებიდან. შეკითხვა ემყარება წინასწარ ვარაუდს, რომ პასუხები არსებობს სხვა ცნობიერებაში. ასეთი ფორმის კითხვებია: რომელი საათია? როდის დაიბადა ცეზარი? დელიოზი მიუთითებს, რომ ეს თვალსაზრისი ხედვის არედან უშვებს იმას, რაც ყველაზე მთავარია აზროვნებაში — ესაა აზრის აქტის გენეზისი, ანუ აზრის დაბადების უნარის გამოყენება. გვაიძულებენ დავიჯეროთ, რომ

ამოცანები მოცემულია მზა სახით და რომ ისინი ქრება პასუხებში, გადაწყვეტებში. ეს ინფანტილური ცრურწმენაა. მისი სოციალური წანამძღვარი ჩვენ გვტოვებს ბავშვებად, არასრულწლოვან, ზრდასრულობამდე არმიხსულ არსებებად. „ეს სასწავლო ჟურნალი აუცილებლად მოითხოვს მასწავლებელს“, რომელიც მუდმივად იძლევა ამოცანებს და მათ „ამოხსნას“, გადაწყვეტილებას ქულების რეიტინგით აფასებს. ყოველდღიური პრობლემებისა და საღი აზრის ვარაუდები ანუ ბუნებრივი ილუზიების გადატანა ფილოსოფიურ ფანტომებში ნიშნავს აზრის მოქცევას იგივეობათა ძალაუფლებაში.

წარმოდგენის ძალა მსგავსებათა სახეებით ახშობს გამეორებათა ძალებს. ეს არის პლატონიზმის არსი. პლატონის „ანამნეზის“ მიხედვით, მოგონებაში ნავარაუდევის კოპირება ახდენს ხელახლა შობის, მარადიული დაბრუნების ძალების ჩახშობას. ამგვარად იკვეთება თანამედროვე ფილოსოფიის ამოცანა — „აზრის დამბადებელი“ აზროვნება. რას წარმოადგენს ასეთი აზროვნება და როგორ უნდა განვითარდეს იგი სამყაროში?

განსხვავება და გამეორება ნიცშესა და კირკეგორის ონტოლოგიის მსგავსი თემებია. გამეორების საყოველთაო და აუცილებელი მუდმივობა, რითაც ხასიათდება ბუნებრივი და მორალური კანონები, შესაძლოა უფრო ღრმა და იდუმალი ვიბრაციების „შინაგანი გამეორების“ მხოლოდ ანარეკლი იყოს. ნეტარი ავგუსტინეს და პასკალის თანახმად: „თავი გაცვლის ორგანოა, ხოლო შეყვარებული გული გამეორების ორგანო“. „ცოდნა ძალაა! (ბეკონი), რომელიც ბუნების ძალების გამოყენების

საშუალებას გვაძლევს, ხოლო „გულის გამეორებები“ სასწაულების ძალაა.

გონებისთვის გამეორება საშინელი პარადოქსია, რომელიც ცნებებით უნდა შევკრას. ჰეგელისებურ გაგებაში ცნება თავისუფალი ქმნადი სუბსტანცია, სუბიექტი და ღვთაებაა; თავის თავში მისტიკური ყოვლადძლიერების შემცველი უსასრულო დაუბოლოებელი დასკვნაა, ანუ სინთეზია, რომლის არსებას ქმნის დაბრუნება და გამეორება. სინთეზი მოხსნა/შენახვის პროცესია. თეზისი იხსნება ანტითეზისში. თეზისიცა და ანტი-თეზისიც, ორივე, სინთეზში მოხსნილი სახით კვლავ აღსდგება. წინსვლა ამავე დროს უკუდაბრუნებაა საკუთარი ერთიანობის საფუძველში. ცნების შინაგანი სიცოცხლე და ღვთაებრიობა, მისი გენეზისი არის საკუთარ საფუძველშივე უკუდაბრუნების მსვლელობა. ცნების წარმომქმნელ სინთეზში არსი და აზრი ჩაიძირება და ინახება იგივეობაში. ერთიანობა ჰეგელისთვის, საბოლოო ანგარიშით, იგივეობაა“ (წერეთელი : 153).

დელიოზის ონტოლოგიაში იგივეობების საფუძველია ერთი ნივთის მეორეთი შენაცვლება. მისი სოციალური ეკვივალენცია ბარტერული გაცვლა. გამეორებადობა ახასიათებს ისეთ ქცევებს, რომლებიც მიზანშეწონილია შეუცვლელობის პირობებში. ასეთია: ჩუქება და წართმევა. თუ გაცვლა ზოგადის კრიტერიუმია, გამეორების კრიტერიუმია ჩუქება ან წართმევა. იობის გოდებაში იკვეთება აზრი: ღმერთმა მაჩუქა, წამართვა და კვლავ დამიბრუნა ის, რაც შეუცვლელია და გაუცვლელია. ამაზეა დამყარებული აბრაამის მიერ ისააკის მსხვერპლშეწირვა. აბრაამისთვის ისააკი იყო ღმერთის საჩუქარი (მადლი), ე.ი. განსხვავებული, ექსტრემი ყოველგვარი კანონის (ზოგადი ეკვივალენციის) გარეშე; ისააკის მსხვერპლშეწირვაც არ იყო ბარტერული გაცვლა, არამედ ხდომილება (misterium trebedum, საშინელი საიდუმლო) ყოველგვარი ცნებითი სინთეზის გარეშე, სადაც კლასიფიკაცია ხდება იგივეობრივი ნიშნების მიხედვით. ეს იყო დიფერენსის სიდიადის ზეიმი და გეობა იგივეობათა ინდიფერენტიზმზე.

დელიოზსა და ელიადეს აახლოებს არა მარტო წერის „ინტუიციური მანერა“, არამედ ტერმინოლოგიური ნომენკლატურაც. ელიადე და დელიოზი თანავეტორები არასოდეს ყოფილან, მაგრამ აზროვნების ათვლის წერტილს გამოთქვამდნენ სიტყვით repetitione (ქართ. გამეორება, „გამეორებადობა“)¹. მათი ონტოლოგიების კვალს მივყავართ ნიცემდე, რომელმაც „მარადიული კვლავდაბრუნების მითი ფილოსოფიაში კვლავ აქტუალური გახადა“. თანამედროვე აზროვნებაში დაბრუნებული ციკლური განახლების ონტოლოგია მიგვანიშნებს, რომ „მარადიული დაბრუნების ცოდნა მკაცრად ეზოთერიკული ცოდნაა“. ასეთი ცოდნის ქადაგნი „ნუმინოზური ფიგურები“, ქარიზმატული აღორძინების იეროფანტები შეიძლება იყვნენ.

დელიოზ-ელიადეს წარმოსახვით „მედიტაციუმში“ ადამიანურ სიტუაციას განასახიერებს „სიცოცხლის ხე“. ელიადესთან მონიშნულია უწყვეტი განახლების სიმბოლიზება ფესვდეროვან სიცოცხლის ხეში. მის ბინარულ ორეულს მონიშნავს დელიოზის „ხე-რიზომა“, უღერო, ნაშალი ფესვები. ორივე ქაოსმკვეთი ცნობიერების მოდელებია. მათში ჩანს ბინარული წყვილების მეშვეობით კავშირის დამყარების უელემენტარულესი, მაგრამ აუცილებელი მახასიათებლები. მაგიური სიტუაციის ფუნქცია ხომ ის არის, რომ შეაერთოს ბინარული ოპოზიციები, შეიყვანოს ცოცხალი აღთქმის კონტინუუმში. „ამ მხრივ არქაულად თანამედროვე აზროვნებას შორის განსხვავება არ არსებობს, ერთი და მეორეც შედგება ერთნაირი ელემენტებისაგან, განსხვავებული თანაფარდობით“ (კ. ლევი-სტროსი).

ელიადემ რელიგიისა და მითის გასაღები იპოვა „ცენტრალურ მისტერიაში“, სამყაროს პერიოდული განახლების რიტუალში, რაც მისი აზრით, საწყისური (orijin) დროის საკრალური ამბის გამეორებაა (repeticione);

1 სიტყვა „გამეორებადობა“ მათი წიგნების სათაურებშიც აისახა. იხ. მიჩა ელიადე „მარადიული დაბრუნების მითი. არქეტიპი და გამეორებადობა“ (1947); J. Deleuz, *deference et Repetition* (1968).

მითები აღწევენ საკრალურის (გებუნებრივის) რიტუალურ შეჭრას სამყაროში; ელიადე ამას უწოდებს იერიფანიებს (სასწაულჩენებს), რაც განსაზღვრავს და აფუძნებს ადამიანურ სიტუაციას სამყაროში (ელიადე : 12)

დელიოზთან აზროვნება ქმნის კონცეპტებსა და კონცეპტუალურ პერსონაჟებს, რომლებიც ტალღების მსგავსად აღმოცენდებიან და ინთქმებიან ... და კვლავ ბრუნდებიან „იმანენციის ქარგაში“. ოლონდ, „გამეორება“ არ აბრუნებს იგივეობებსა და მსგავსებებს. „კვლავდაბრუნება“ მომდინარეობს განსხვავებულობათა (diference) სამყაროდან; გამეორება იშორებს ყველაფერ ზედმეტს, რაც არახალია. განსხვავება/იგივეობების ძველი დიროტომიების მიღმა აზროვნება თავისუფლდება საერთოობისა და მუდმივობის ჰეგემონიისგან; კაუზალობის მანკიერი წრებრუნვიდან; თანაბრობისა და საშუალოობის პროზიდან გადადის განსხვავებულობათა პოეზიისაკენ, უჩვეულობათა ცხოველმყოფელი სასწაულჩვენებისკენ (იერიფანიებისკენ). განსხვავება/იგივეობების ძველი პოზიტიური სინთეზები იცვლება რიზომატულად გაფართოებადი უწყვეტი დისფუნქციური სინთეზებით.

„იზროვნო ფილოსოფიურად ყოველთვის ნიშნავს, იარო ჯადოსნური გზით“, ამბობს დელიოზი. იგი მსჯელობს კონცეპტის „კურთხევაზე“. ამგვარი კურთხევა ხდება „გამეორებით“ (repeticione). ყოველი გამეორება ცვლის და აახლებს გამეორებულს, ამით იმიჯნება მსგავსის განურჩევლობისა და იგივეობათა სიმულირებისგან. ამ ნიღბით მოქმედებს გამონაკლისის ხდომილება სასწაულჩენის სახით.

მირჩა ელიადეს მიერ თემატიზებული ადამიანის ქცევა საკრალურის მიმართ ვლინდება სხვადასხვა შრეებსა და რეესტრებში, ბოჯერ ფარულად და მკრთალად, მაგრამ მათში მინც იკვეთება „მითოსური წანამძღვრები“, იერიფანიის (სიწმინდისჩენის) მოდელები. დელიოზის repeticione და ელიადეს „ინიციაცია“ ერთმანეთს უახლოვდება. „ყველაფერი ბრუნდება იმიტომ, რომ არაფერია თანაბარი. ყველაფერი ცურავს საკუთარ

განსხვავებაში, თავის თავთანაც კი დაუმთხვევლობასა და უთანაბრობაში“. არ ბრუნდება ის, რაც განურჩევლობაში დაინთქმება (დელიოზი 1968: 295).

ელიადეს „არათანადროული ფიქრით“ ადამიანური სიტუაციის განახლება მომავალში დაუკავშირდება ციკლურობის დროში ანუ „გამეორებების კულტურაში“ ისტორიული დროის რეინტეგრაციის მცდელობას. ეს იმაზე იქნება დამოკიდებული თუ რამდენად შეძლებს ადამიანი კვლავდაბრუნების არქაულ ონტოლოგიაში „ჩართოს შემოქმედებითი სპონტანობა, საკუთარი თავის შექმნის თავისუფლება“.

ჰაიდეგერი „ყოფიერება და დროს“ 75-ე პარაგრაფში „ისტორიულობა და მსოფლიო-ისტორია“ აჯამებს მარადიული კვლავდაბრუნების ეგზისტენციალურ თეორიას. აღსანიშნავია, რომ ჰაიდეგერის მიხედვით, მუნყოფიერების გაბედულება სიკვიდილისთვის თავის თავთან დაბრუნებაა, ისევე როგორც ნიცშეს ზარატუსტრას სნეულებიდან გამოჯანმრთელება იგივესთან კვლავდაბრუნებას ნიშნავს. გამეორება არის თავისი თავის გადაცემა მემკვიდრეობისადმი (ტრადიციისადმი). მხოლოდ სიკვიდილში გასწრება ანუ სასრულობის სრული წვდომა შეგვიყვანს ჩვენივე ბედის სიმარტივეში, ანუ დაბრუნება მემკვიდრეობით მიღებული, მაგრამ მინც ჩვენივე არჩეულის შესაძლებლობისადმი. თავის თავთან დაბრუნებული გაბედულება არის გამეორება ე.ი. ყოფილი შესაძლებლობის დაბრუნება. ესაა „ერთგულება გამეორებისადმი“. გამეორება, რომელიც თავის თავს გადასცემს ბედს, მომავლიდან წარმოიშვება. „ისტორიას“ ფესვი მომავალში აქვს გადგმული. ასეთი გამეორება თავის ეგზისტენცში ჩართულად ინარჩუნებს დაბადებასა და სიკვიდილს, და იმას, რაც მათ „შორისაა“. ამგვარ თვითგადაცემაში ხდება დროით-ექსტატიური დაბრუნება თავის „ყოფილისადმი“. დაბადება შეიყვანება ეგზისტენცში როგორც დაბრუნება თავისი სიკვიდილის გაუსწრებ შესაძლებლობასთან.

გამეორებისადმი ერთგულება (ანუ ძრწოლისადმი მზადყოფი გაბედულება) არის

ეგზისტენციის გამეორებითი შესაძლებლობის წინაშე მოწიწება. ჰაიდეგერის მიხედვით, ესაა „ერთადერთი ეგზისტენციალური ავტორიტეტი“. „ყოფიერება და დროში“ ვკითხულობთ: „გაბედულება აკონსტიტუირებს ეგზისტენციის ერთგულებას საკუთარი თავისადმი. ერთგულება, როგორც ძრწოლისადმი გაბედულება, ამავე დროს არის მოწიწება იმ ერთადერთი ავტორიტეტის წინაშე, რომელიც შეიძლება არსებობდეს თავისუფალი ეგზისტენციისათვის ე.ი. ეგზისტენციის გამეორებადი შესაძლებლობის წინაშე“ (ჰაიდეგერი 1989: 578-579).

არასაკუთრივობაში მცხოვრები ეგზისტენციისათვის გამეორება არის წამების ერთად შეკვრა, ონტოლოგიურად კი პირიქითაა. წამები წარმოიშვა „მომავლისეულად ყოფილი გამეორების ეგზისტენციალურად განვრცობილი დროითობიდან“. ამ ძალზედ რთულ და რთულად გამოთქმული ვითარების გაგებას გვიადვილებს სიტყვა „გამეორება“. ნათლად გამოთქმულია აზრი, რომ არასაკუთრივობაში მცხოვრებს არ შეუძლია ყოფილი გაიმეოროს. იგი ბრმაა მარადიული კვლავდაბრუნებისათვის; იგი მხოლოდ წარსულის ნაშთებს, ნარჩენებს აგროვებს. მას აწმყოდან ეძახის დაკარგული წარსული.

წამის ეგზისტენციალური თეორია გულისხმობს ვითარებას, როცა ყველა დრო შეკუმშულია „ერთ დრო-წამში“ (წერტილში). ესაა უსასრულოდ შეკუმშვადი და გაფართოებადი დრო. დრო ძალზე მრავალია: წერის დრო, ადამიანის დრო ... რატომღაც ერთი რომელიმე დრო სუბიექტური, ხოლო ყველა დანარჩენი ობიექტური? ერთი ხანიერი, ხოლო მეორე უხანო? უმოკლესი და უხანგრძლივესი? დრო კუმშვადი და არაგაფართოებადია. მას განსხვავებული ფიგურული აგებულება შეიძლება ჰქონდეს. ბავშვმა, რომელმაც სამი წელი იცოცხლა, სრულიად არ იცოცხლა უფრო ნაკლებ ხანს, ვიდრე 80 წლის მოხუცებულმა; მათი „წუთისოფელი“, როგორც ასეთი, თანაბარია მარადისობა-უსასრულობის წინაშე. ოღონდ მათი სასრულობა სხვადასხვა შინაარსსა და საზრისს შეიცავს. დრო-არა-დროის სინთეზი არის აქტუალური უსასრულო-

ბა. დროს უნდა ჰქონდეს დასასრული. მაგრამ რა იქნება დასასრულის შემდეგ? ისევ დრო ხომ არა? (ლოსევი 2018: 106).

ელიადე შენიშნავს, რომ ფილოსოფოსობა უკავშირდება უძველეს მისტერიებს; განწმენდა აუცილებელი პირობაა ფილოსოფიური ინიციაციისათვის (ხელდასხმისათვის) ანუ უბნაეს ვითარებათა მჭვრეტელობისათვის. პლატონის „ფედონში“ სწავლისა და ცოდნის შეძენის კონცეფცია ისეა ორგანიზებული და მოტივირებული ღვთაებებთან ერთიანობის სურვილით, რომ ექსტაზურ-რიტუალურ ინიციაციად წარმოგვიდგება... ფილოსოფოსი არის იეროფანტი (დარჩია 1998: 124).

ყოველივე ზემოთქმული, საბოლოო შეჯამებისა და დასკვნების გამოტანის საშუალებას თუ არა, ყოველ შემთხვევაში, რამდენიმე მნიშვნელოვანი მინიშნების გაკეთების საშუალებას მაინც იძლევა. ზეკაცის ფიგურაში, რომელიც გამოხატავს ახალი დროის კაცობრიობის არსს (მ. ჰაიდეგერი) და უკანასკნელ ასწლეულში ფილოსოფიური აზრის გამავლევის როლს ასრულებს, თავს იჩენს ჰერმენევტიკის იეროფანიული და ენერგეტიკული მხარეების ისეთი თანაფარდობა, სადაც ხდება არა მარტო ინტერპრეტაციათა კონფლიქტი, არამედ თავად ინტერპრეტაციის კონფლიქტი (პ. რიკიორი); აღნიშნული „მხარეები“ (და შესაბამისი კონცეპტ-პერსონაჟები) შეიძლება ფილოსოფიური ჰერმენევტიკის მოქმედ სინთეზებად და მუდმივ ანტითეზებად განვიხილოთ.

ნიცშეს მიერ „ზეკაცში“ მონიშნული ორი არსებითი კონტური: ძალაუფლებისადმი ნება და მარადიული კვლავდაბრუნება იგივესი, შლაიერმახერისა და დილთაის სიცოცხლის რომანტიკულ ჰერმენევტიკაში ჩამოყალიბდა როგორც ტექსტების კონგენიალური გამგების ფიგურა, რომლის პრინციპი სიცოცხლის პროცესის ენერგეტიკული ზრდით, ცნობიერების შინაგანი ცხოვრების, შინაგანი დროის შეუზღუდავი „გაბეგრებით“, გამდირდებით, ზეუხვი, ზეჭარბი, ზემძლავრი ცნობიერების ფორმირებით გამოიხატება. ძალაუფლების ზრდისა და იგივეს მარადიული უკუმშევების

ჰერმენევტიკა ახალ შესაძლებლობებს ავლენს ჰუსერლის ფენომენოლოგიაში, კერძოდ, „ეიდეტურ ინტუიციის“ და ბერგსონის „შეკუმშული დროის“ (La Dure) ჰიპოთეზაში. თავისებურადაა შესაძლებლობანი გამოვლენილი ტექნოლოგიური თამაშის ფიგურაში, სოფიოპრაქსისში და ა.შ. მათში ჩანს ნიცშესეული „შემოქმედი ნიჰილიზმის“, პოსტნიჰილიზმის ნიშნები.

დილთაისეული ენერგეტიკული პარადიგმის რევერსია გავების თეორიასა და პრაქტიკაში, რაზეც XX საუკუნის დიდმა ჰერმენევტიკოსებმა ჰ. ვ. ვადამერმა და პოლ რიკიორმა მიუთითეს, „მარადიული კვლავდაბრუნების“ ახალი ონტოლოგიური შესაძლებლობების პოსტულირებად შეიძლება ჩაითვალოს. ფილოსოფიურ სიბრტყეზე ამ შესაძლებლობათა რეფერენციების როლს არსულეზენ მირჩა ელიადესა და ჟილ დელიოზის ფილოსოფიური საუბრები „განსხვავება და გამეორების“ (Diference et repetision) შესახებ. ამგვარი განსხვავება/გამეორების ექსპლიციტური მითითებებია მოხაზული ჰაიდეგერის „ყოფიერება და დროში“. იგულისხმება „გამეორებისადმი მოწიწების“ ეგზისტენციალური ანალიზი. ამ მითითებების პოსტმოდერნულმა ექსკლივაციებმა ხელი შეუწყო დროის ნარატიული აღწარმოების აქტუალიზაციას და მეტაისტორიულად გადაქცევას. ამავე სიბრტყეზე თანამედროვე „ქუჩის“ (საჯარო სივრცის), სიმულაკრუმის დაბრუნება საწყისურ ურდოში და მისი ხელახლა შობა მეტაისტორიაში.

ზეკაცის ფიგურები ჰერმენევტიკული თვითგამორკვევის პროცესში მიმართებაში შედიან „ონტოლოგიურ ნატყორცნთან“ (დელიოზი); სადაც აზრი ვაფიგურებისკენ მისწრაფვის და გაურბის თვითორგანიზებას ტრადიციული ცნებით იგივეობებში და აფექტთა მხატვრულ პერცეპტებში. შესაბამისად იცვლება თავად „პარადიგმულობაც“. ის თავისუფლდება პლატონური ფილოსოფიისთვის დამახასიათებელი „ნიმუშურობიდან“. შესაბამისად ზეკაცის ფიგურები აღარ შეიძლება იყვნენ აქტუალური არც როგორც ნიცშეს ზარატუსტრას აპოკრიფები და სიმულაციები,

არც როგორც ნებისმიერი თვითმოდელირების პროექტები. უფრო მნიშვნელოვანი ჩანს შემდეგ მომენტზე აქცენტირება — ზეკაცის ფიგურებში აზრი თან სდევს ონტოლოგიურ სინგულარობებს („ერთხელ:ხდომილებებს“), რომლებიც „ამოიტყორცნება“ და უკუმითქცევა თავისუფლების სხვადასხვა ხარისხში.

თანამედროვე ჰერმენევტიკულ სიტუაციაში პლატონის ფილოსოფიისთვის დამახასიათებელი მარადიული „მოდელები“ ვეღარ ბატონობს თავისუფალ განსხვავებულობაზე. ეს შეიძლება მივიჩნიოთ თავისუფლების აქამდე უცნობი ტენდენციების გამოვლინებად და მათი ფილოსოფიური არტიკულაციების მცდელობად. არც საჭიროა და არც შესაძლებელია ამ „ტენდენციების“ კვლავდაბრუნება პლატონური, თომისტური ან ჰეგელიანური ტიპის ფილოსოფიური სისტემების ფოლადის გალიებში; ისევე როგორც, არც შესაძლებელია და არც საჭიროა ადამიანური ყოფიერების არსებითი სტრუქტურების თვითმოდელირება. ჰერმენევტიკული კონცეპტების შინაგანი ორბროვნება მიგვანიშნებს, რომ საჭიროა და შესაძლებელია ადამიანისა და თავისუფლების ახლადგამოვლენილ ონტოლოგიურ შესაძლებლობებს შორის ჰერმენევტიკული ველის აღმოჩენა, მათ შორის დიალოგის გამართვა.

ლიტერატურა:

დელიოზი 1968: Deleuze Gille, Différence et Répétition, Paris, PUF, 1968.

ელიადე 2017: ელიადე, მირჩა, მარადიული კვლავდაბრუნების მითი, არქეტიპები და გამეორება, თარგმ. მ. გომელაურმა, „ალეფი“, თბილისი 2017.

ჰაიდეგერი 1989: ჰაიდეგერი მარტინ. ყოფიერება და დრო, თარგმანი გურამ თევზაძისა, თბილისი, 1989.



ეკლესია და სახელმწიფო

საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალიის აღდგენის კანონიკური საფუძვლები

ელდარ ბუბულაშვილი

ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი

საქართველოს ეკლესიამ V ს-ის მეორე ნახევარში მიიღო ავტოკეფალია. VII-X სს-ში უცხოეთის ზოგიერთი ეკლესია ეჭვის ქვეშ აყენებდა ქართული ეკლესიის დამოუკიდებლობას, მაგრამ იგი საეკლესიო კანონიკური თვალსაზრისით იმდენად მყარი იყო, რომ მისი გაუქმების ყოველი მცდელობა უშედეგოდ დასრულდა. საქართველოს ეკლესია დამოუკიდებლობის სტატუსს XVIII ს-ის ბოლომდე ინარჩუნებდა. მისი მწყემსმთავარი თავდაპირველად კათოლიკოსად იწოდებოდა, შემდგომ — პატრიარქად, ხოლო X ს-ში „ყოვლისა აღმოსავლეთის“ პატრიარქად იხსენიება.

XIX ს-ის დასაწყისში რუსეთის ცარიზმის მიერ ქართლ-კახეთისა და იმერეთის სამეფოებს გაუქმების შემდეგ 1811 წლის 30 ივნისის განკარგულებით გაუქმდა საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალია და იგი რუსეთის უწმინდესი სინოდის შემადგენელ ნაწილად იქცა. ავტოკეფალიის გაუქმება ცარიზმის პოლიტიკური ძალადობის შედეგი იყო, რაც საქართველოს ეკლესიის და ქართველი ხალხის დასტურის გარეშე განხორციელდა. აღნიშნული აქტი საეკლესიო სამართლის უხეშ დარღვევას წარმოადგენდა.

მძიმე იყო ავტოკეფალიის გაუქმებით გამოწვეული შედეგები: წირვა-ლოცვა სლავურ საეკლესიო ენაზე დაკანონდა, ეპარქიებისა და ქართველი სასულიერო პირების რაოდენობა შემცირდა, ეკლესიის მმართველად დანიშნულმა რუსმა ეგზარქოსებმა ქართული ენა არ იცოდნენ, სასულიერო სასწავლებლებიდან იღვევებოდა ქართული ენა, უძველეს

ქართულ გალობას გაქრობის საფრთხე შეექმნა.

ქართველი საზოგადოება და სამღვდლოება ავტოკეფალიის დაკარგვას არ შერიგებია და XIX საუკუნის დამლევსა და XX ს-ის დასაწყისში აქტიურად იბრძოდა დაკარგული დამოუკიდებლობის აღდგენისთვის. თვითმპყრობელობის დამხობამდე (1917 წ. 27 თებერვალი) მისი მიღწევა შეუძლებელი შეიქნა. 1917 წლის 12 (25) მარტს, მცხეთაში, სვეტიცხოვლის ტაძარში ქართველმა სამღვდლოებამ ეპისკოპოს ლეონიდე ოქროპირიძის ხელმძღვანელობით 10000-იანი მრევლის წინაშე საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალია აღდგენილად გამოაცხადა. ლეონიდემ წაიკითხა ეკლესიის დამოუკიდებლობის აღდგენის ოქმი, რომლის დედანზეც 600-მდე ხელმოწერაა [საქართველოს საპატრიარქოს არქივი: 2-55].

საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალიის აღდგენის ოქმი საინტერესოა საეკლესიო კანონიკური თვალსაზრისით. მასში აღნიშნულია, რომ შეცვლილმა პოლიტიკურმა ვითარებამ, კერძოდ კი დროებითი მთავრობის შექმნამ განაპირობა ეკლესიის უკანონოდ გაუქმებული ავტოკეფალიის აღდგენა. დოკუმენტში დაფიქსირებულია: „საჩქაროდ განგრძობილ იქმნეს საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალური მართვა-გამგეობა“ [ოქმი 1917:1; ნიკოლაძე 1917:231]. ამავე გადაწყვეტილებით საქართველოს ეკლესიის მწყემსმთავრის არჩევამდე გურია-სამეგრელოს ეპისკოპოს ლეონიდეს თავმჯდომარეობით

საქართველოს ეკლესიის დროებითი მმართველობა დაარსდა და აღმასრულებელი კომიტეტიც შეიქმნა. ახალი მმართველობის წევრებად სამღვდელოების გარდა საერთო პირებიც აირჩიეს. ეპისკოპოსი ლეონიდე ასევე კათოლიკოს-პატრიარქის მოსაყდრედ ითვლებოდა. დროებით მმართველობას ეკლესიის მწყემსმთავრის არჩევამდე ახლადადგენილი დამოუკიდებელი ეკლესიის მართვა და ავტოკეფალური უფლებების დამკვიდრებისთვის ბრძოლა ევალებოდა.

ახალმა საეკლესიო მმართველობამ საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალიის აღდგენა წერილობით აცნობა როგორც ადგილობრივ, ისე რუსეთის დროებით მთავრობას, რუსეთის სინოდს და ნაევგზარქოსალ პლატონს (როჟდენსვენსკი). პლატონი არცნობდა საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალიის აღდგენას და პეტროგრადიდან შესაბამის ინსტრუქციებს ელოდა. საქართველოს ეკლესიის დროებითმა მმართველობამ საქართველოს ტერიტორიაზე არსებულ ეპარქიის სამღვდელოებას მოუწოდა, კავშირი გაეწყვიტათ ნაევგზარქოსალ პლატონთან, საქართველო-იმერეთის სინოდალურ კანტორასთან, დახმარებისათვის ახლადშექმნილი ეკლესიის დროებითი მმართველობისთვის მიემართათ, წირვა-ლოცვა ქართულ ენაზე ჩაეტარებინათ და ლოცვებში საქართველოს ეკლესიის დროებითი მმართველი და კათოლიკოს-პატრიარქის მოსაყდრე ლეონიდე მოეხსენებინათ [საქართველოს საკათალიკოსო 1917:3].

საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალიის აღდგენას მიესალმნენ როგორც ადგილობრივი, ისე პეტროგრადის დროებითი მმართველობა, და გამოთქვეს იმედი, რომ არსებული ვითარების გათვალისწინებით აღნიშნული საკითხი სახელმწიფოს კანონიერების ჩარჩოში მოექცეოდა.

1917 წლის 27 მარტს რუსეთის დროებითმა მთავრობამ ცნო საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალიის აღდგენა, მაგრამ მიუთითა, რომ იგი „...აღიარებს საქართველოს ეკლესიის ქართულ ეროვნულ ხასიათს და მის მოქმედებას ტერიტორიით არ საზღვრავს“. ამ

გადაწყვეტილების საფუძველზე დროებითი მთავრობა უფლებას აძლევდა ქართველ სამღვდელოებას, მოკლე დროში შეემუშავებინათ შესაბამისი დებულება, რომელსაც ხელისუფლებას წარუდგენდნენ დასამტკიცებლად. აღნიშნული დებულების დამტკიცებამდე საქართველოში საეკლესიო მმართველობა ძველი ფორმით უნდა დარჩენილიყო. თუმცა, გადაწყვეტილებაში ცალსახად იყო მითითებული, რომ საბოლოოდ დამფუძნებელ კრებას უნდა გადაეწყვიტა, თუ რა ადგილს დაიკავებდა საქართველოს ეკლესია მომავალ რუსეთის სახელმწიფოში [საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალია 1917ა:2].

რუსეთის დროებითი მთავრობის აღნიშნული გადაწყვეტილება მიუღებელი იყო საქართველოს ეკლესიისთვის, რადგან საეკლესიო კანონიკური თვასაზრისით შეუძლებელია ეკლესიის მოწყობა ეროვნული ნიშნის მიხედვით, რასაც ფილეთიზმი ეწოდება და რაც დაგმო 1872 წლის კონსტანტინოპოლის საეკლესიო კრებამ [პაპუაშვილი 2008:430; დადაშქელიანი 2011:25-26]. დროებითი მთავრობის ზემოაღნიშნული გადაწყვეტილება განპირობებული იყო იმით, რომ ნაევგზარქოსალმა პლატონმა, თბილისის რუსული სამღვდელოების და რუსული სამრევლოების სახელით, სინოდს და რუსეთის დროებითი მთავრობის თავმჯდომარეს აცნობა, რომ სურდათ საქართველოში არსებული არაქართული სამრევლოები ცალკე გამოყოფილიყო [ამიერკავკასიის რუსობა და საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალობა 1917:3].

საქართველოს ეკლესიის დროებითმა მმართველობამ 1917 წლის 29 მარტს საგანგებო კრებაზე მიღებულ რეზოლუციაში დადებითად შეაფასა ის ფაქტი, რომ რუსეთის დროებითმა მთავრობამ ცნო საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალიის აღდგენა, მაგრამ იქვე ხაზგასმით აღნიშნა, რომ საქართველოს ეკლესიის აღიარება ეროვნული ნიშნით გადაჭრით ეწინააღმდეგება საეკლესიო კანონებს, და რომ ეს „ვერ უზრუნველყოფს ქართველების საეკლესიო კეთილდღეობას და ამ მხარეში მოსახლე რუსობასთან მშვიდობი-

ან ცხოვრებას, ვინაიდან რუსეთის ეკლესიის მებრძოლ წარმომადგენელთ ფართო გზა ეხსნებათ, რათა ქართველთა შორის შექმნან შესაძლებლობა რუსეთის ეკლესიისაკენ გადამბრებისა, ამასთანავე ფაქტიურად შეზღუდონ და დაამცრონ საქართველოს ეკლესია“. რეზოლუციაში აღნიშნული იყო, რომ საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალია აღიარებული უნდა ყოფილიყო ტერიტორიულ საფუძველზე „საქართველოს უძველეს საკათალიკოსო ფარგლებში“, არაქართველ მართლმადიდებლებს ენიჭებოდათ „სრული თავისუფლება საეკლესიო თვითგამორკვევისა... ავტონომიური ეპისკოპოსის სახით“, რომელიც საეკლესიო კანონებით საქართველოს ეკლესიას დაექვემდებარებოდა. თუ კი გათვალისწინებული არ იქნებოდა ქართველთა მოთხოვნა, მაშინ „საქართველოს ეკლესია უფლებას იტოვებს მსოფლიო ეკლესიის წინაშე განაცხადოს, რომ იგი პასუხს არ აგებს ამ ქვეყნის საეკლესიო ცხოვრებაში არანორმალურ მოვლენებზე“. რეზოლუციით „რუსეთის სახელმწიფოში საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის უფლებრივი მდგომარეობა თანასწორი უნდა ყოფილიყო რუსეთის მართლმადიდებელი ეკლესიის მდგომარეობასთან“ [საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალია 1917ბ:3]. საქართველოს ეკლესიის დროებითი მმართველობის სხდომაზე მიღებული ეს გადაწყვეტილება 1917 წლის 29 მარტს გაეგზავნა რუსეთის დროებითი მთავრობის თავმჯდომარეს, სინოდის ობერ-პროკურორს და კავკასიის კომისარიატს. საქართველოს ეკლესიის დროებითი მმართველობის მოთხოვნა საეკლესიო კანონიკას ეყრდნობოდა.

ქართველ სასულიერო პირთა კანონიერ მოთხოვნას გამომხაურება არ მოჰყოლია. რუსეთის დროებითმა მთავრობამ საეკლესიო საკითხების მოსაწესრიგებლად შესაბამისი ინსტრუქციებით 1917 წლის ივნისის დასაწყისში საქართველოში პეტერბურგის უნივერსიტეტის პროფესორი ვ. ბენეშევიჩი გამოგზავნა. იგი რამდენჯერმე შეხვდა საქართველოს ეკლესიის დროებითი მმართველობის წევრებს და ავტოკეფალიის მოწინააღმდეგე თბილის-

ში მოღვაწე რუს სასულიერო პირებს და მათ მრევლს. დროებითი მთავრობის მოთხოვნით საქართველოს ეკლესიის დროებითმა მმართველობამ შეიმუშავა „საქართველოს ეკლესიის უფლებრივი მდგომარეობის დებულებანი“, რომელიც 1917 წლის 17 აპრილს ვ. ბენეშევიჩს წარუდგინა. აღნიშნული დოკუმენტი, რომელიც 14 პუნქტისაგან შედგება, გარკვეულწილად, დროებითი მთავრობის მითითებებს ითვალისწინებდა. პირველი პარაგრაფის თანახმად, საქართველოს ეკლესიის წევრად მიიჩნეოდა ქართველი ეროვნების მართლმადიდებელი მრევლი, როგორც საქართველოს საკათალიკოსოს ფარგლებში, ისე მის ფარგლებს გარეთ. ამავე პარაგრაფის შენიშვნაში აღნიშნულია, რომ აფხაზებსა და ამიერკავკასიის ოს სამრევლოებს უფლება ეძლეოდათ, თავიანთი სურვილისამებრ საქართველოს ეკლესიის წევრები გამხდარიყვნენ, რაც მათი ისტორიული თანაცხოვრებით იყო განპირობებული. დებულების მეორე პუნქტით, მართალია არაქართველი მართლმადიდებლები საქართველოს ეკლესიის წევრებად არ ითვლებოდნენ, მაგრამ ქართველი სამღვდელოება ვალდებული იყო დაეკმაყოფილებინა მათი სარწმუნოებრივი მოთხოვნები, თუ კი ისინი მიმართავდნენ მას. თავის მხრივ, არაქართველ სასულიერო პირებს მოეთხოვებოდათ, იგივე ფუნქცია შეესრულებინათ ქართველი მრევლის მიმართ, მაგრამ ეკლესიას უფლება არ ჰქონდა ისინი თავიანთი მრევლის წევრებად ჩაეთვალა. ამ პარაგრაფის შენიშვნაში აღნიშნულია, რომ მიმმართველთ უფლება არ აქვთ, მოითხოვონ, რომ მათი სარწმუნოებრივი მოთხოვნები მშობლიურ ენაზე დაკმაყოფილდეს.

მომდევნო პარაგრაფში აღნიშნულია, რომ საქართველოს ეკლესია შედგება ეპარქიებისა და სამრევლოებისგან. მათი რაოდენობის დადგენა საგანგებოდ დამტკიცებული სიით უნდა მომხდარიყო. დებულების მიხედვით, საქართველოს ეკლესიის მწემსმთავარი უნდა მოხსენიებულიყო ტიტულით „მცხეთისა და ტფილისის მთავარეპისკოპოსი, კათალიკოს-პატრიარქი სრულიად საქართველოსი“,

რომელიც პირდაპირი, თანასწორი, საყოველთაო და ფარული კენჭისყრით უნდა აერჩიათ. დებულების პროექტში არჩევითობის ცნების შემოტანა ცარიზმის დამხობის შემდეგ საზოგადოებაში ფართოდ ფეხმოკიდებული დემოკრატიზმით უნდა აიხსნას. დებულების თანახმად კათოლიკოსი შეიძლება არჩეულიყო როგორც სასულიერო, ისე საერო პირთაგან, მაგრამ კურთხევამდე იგი საერო ხელისუფლებას უნდა დაემტკიცებინა. საქართველოს ეკლესიის მწემსმთავრის რეზიდენციად თბილისი ცხადდებოდა. მას ეძლეოდა უფლება მიმოწერა ჰქონოდა ავტოკეფალურ ეკლესიებთან და სახელმწიფო დაწესებულებებთან. კათოლიკოს-პატრიარქს და მასთან არსებულ საკათალიკოსო საბჭოს უფლება ეძლეოდა, საეკლესიო კანონებზე დაყრდნობით შეემუშავებინა ეკლესიის მართვა-გამგეობის წესი, რომელიც სახელმწიფო კანონმდებლობას არ უნდა დაპირისპირებოდა. დებულებით საქართველოს ეკლესიას რუსეთის სახელმწიფოში იგივე უფლებები უნდა ჰქონოდა, როგორც რუსეთის მართლმადიდებელ ეკლესიას. დებულების შემდგომ პარაგრაფში აღნიშნულია, რომ საქართველოს საკათალიკოსოს დაქვემდებარებული ყველა დაწესებულება, სახელმწიფოში საეკლესიო საკითხის გადაწყვეტამდე, ყოფილი საეგზარქოსოს ბიუჯეტიდან უნდა დაფინანსებულიყო, ხარჯთაღრიცხვის შედგენა, სახელმწიფოს შესაბამის უწყებებში მისი წარდგენა და განკარგვა საქართველოს ეკლესიის მწყემსმთავარს უნდა განეხორციელებინა. დებულების პროექტით საქართველოს ეკლესია ითვლებოდა იურიდიულ პირად, რომელსაც უძრავ-მოძრავი ქონების შეძენის, განკარგვისა და გასხვისების უფლება ჰქონდა. ყოფილი საეგზარქოსოს ქონება, არაქართული სამრევლოების ქონების გარდა, საქართველოს ეკლესიის კუთვნილებად ცხადდებოდა. ცალკე პარაგრაფი ეთმობოდა საქართველოს ეკლესიის სასულიერო სასწავლებლებს, რომლებსაც რუსეთის სახელმწიფოში ისეთივე უფლებები უნდა ჰქონოდათ, როგორც რუსეთის ეკლესიის სასულიერო სასწავლებლებს. ბოლო პარაგრაფში აღნიშნული იყო,

რომ საქართველოს საკათალიკოსოს ყველა დაწესებულებაში და მათ შორის სასულიერო სასწავლებლებში საქმის წარმოება და სწავლა ქართულ ენაზე უნდა ყოფილიყო.

აღნიშნული დებულება, პირველი პარაგრაფის გარდა, საეკლესიო კანონიკის გათვალისწინებით არის შედგენილი. დებულების ზოგიერთ პარაგრაფს ნათლად ატყვია მეფის ხელისუფლების დამხობის შემდეგ დამკვიდრებული დემოკრატიზმის გავლენა. პირველი პარაგრაფის გამო დებულებას საქართველოს ეკლესიის დროებითმა მმართველობამ დანართი დაურთო, რომელშიც აღნიშნულია, რომ იძულებულნი არიან გაითვალისწინონ დროებითი მთავრობის მითითებანი ეროვნული ნიშნის მიხედვით ავტოკეფალიის ცნობის თაობაზე, „მაგრამ, თავის მხრივ, არავითარ პასუხისმგებლობას არ კისრულობს ისტორიისა და მსოფლიო ეკლესიის წინაშე ამ ანტიკანონიკური პრინციპის შემოტანისათვის, რომელიც შეერთებულია მრავალს პრაქტიკულის ხასიათის უხერხულობასთან და თანაც სანქციას აძლევს მართლმადიდებლობითი ეკლესიის მიერ უარყოფილ ფილეთიმზს“ [საქართველოს ეკლესიის უფლებრივი მდგომარეობის დებულება 1917:3].

ვ. ბენეშევიჩმა ზემოაღნიშნული დებულება მოიწონა, ხელი მოაწერა და დასამტკიცებლად ტელეგრაფით გადაუგზავნა პეტროგრადში დროებით მთავრობას. იგი ქართველ სამღვდლოებს არწმუნებდა, რომ პეტროგრადში დაბრუნებისას მხარს დაუჭერდა საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალიის აღდგენას ტერიტორიული ნიშნის მიხედვით, თუმცა გულწრფელი სულაც არ ყოფილა. დასტურდება, რომ იგი უარყოფითად იყო განწყობილი საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალიის აღდგენისადმი. მას პეტროგრადში შეუტყობინებია, რომ მის ჩასვლამდე დებულება არ დაემტკიცებინათ [ცინცაძე 2001:192].

დროებითი მთავრობა არ ჩქარობდა აღნიშნული დებულების დამტკიცებას. საქართველოს ეკლესიის დროებითი მმართველობისა და კათოლიკოს-პატრიარქის მოსაყდრის ლეონიდეს სახელზე საქართველოს სხვადა-

სხვა კუთხიდან, რუსეთის ქალაქებიდან და უცხოეთიდან გამოგზავნილ ტელეგრამებში დაფიქსირებული იყო უარყოფითი დამოკიდებულება დროებითი მთავრობისა და პროფ. ვ. ბენეშევიჩის ვიზიტის მიმართ.

ავტოკეფალიის აღდგენისთანავე საქართველოს ეკლესიის დროებითი მმართველობა აქტიურად შეუდგა მუშაობას საორგანიზაციო საკითხების მოსაგვარებლად. აღადგინეს წირვა-ლოცვის ქართული ტრადიცია, სამღვდლოებას, ეკლესიის მსახურებს და მგალობლებს შესაბამისი ინსტრუქციები მისცეს. დიდი ზემოთ აღინიშნა 1917 წლის ხარების, ბზობის და აღდგომის დღესასწაულები. 1 მაისს კი წმ. თამარ მეფის ხსენების დღეს საზეიმო წირვა ჩატარდა.

საქართველოს ეკლესიის დამოუკიდებლობის გამოცხადებისთანავე ამის წინააღმდეგ გამოდიოდნენ თბილისის რუსი სამღვდლოება და მათი წაქეზებით, რუსული სამრევლოები. უნდა აღინიშნოს, რომ ავტოკეფალიის აღდგენას მხარი დაუჭირეს არაქართველებმა: აფხაზებმა, ოსებმა, სომხებმა, უღინებმა. უღინები იმასაც მოითხოვდნენ, რომ საქართველოს ეკლესიის წევრები გამხდარიყვნენ. 1917 წლის 30 მარტს გაზეთ „საქართველოში“ გამოქვეყნდა თბილისის სასულიერო სემინარიის არაქართველი, ძირითადად რუსი ეროვნების პედაგოგების მისალმება, რომელშიც აღნიშნული იყო: „გულით ვუსურვებთ ქართულ ეკლესიას თავისუფალ და დამოუკიდებელ განვითარებას ქართული საეკლესიო მეცნიერების და სარწმუნოებრივი აზროვნების ასაყვავებლად“ [საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალია 1917ა:3]. ავტოკეფალიის აღდგენას აგრეთვე მხარს უჭერდა პეტროგრადში გამომავალი გაზეთი „პეტროგრადის უწყებანი“, სადაც XIX ს-ის ბოლოდან საქართველოს ეკლესიის შესახებ საინტერესო პუბლიკაციები ქვეყნდებოდა. ამავე გაზეთში ხშირად იბეჭდებოდა ქართველთა გულშემატკივრის ნ. დურნოვოს წერილები, რომლებშიც იგი ამხელდა ცარიზმის საეკლესიო პოლიტიკას. ნ. დურნოვო წინააღმდეგი იყო, რომ დროებით მთავრობას ეროვნული ნიშნით ელიარებინა საქა-

რთველოს ეკლესიის ავტოკეფალია და მხარს უჭერდა ეკლესიის ტერიტორიული ნიშნით მოწყობას. ავტოკეფალიას თანაუგრძობდა ნოვგოროდის მთავარეპისკოპოსი, მოსკოვის სასულიერო აკადემიის ყოფილი რექტორი, ისტორიის დოქტორი და სახელმწიფო საბჭოს ყოფილი წევრი არსენი (სტადნიცკი) და უფის ეპისკოპოსი ანდრია (უხტომსკი). ეს უკანასკნელი 1911-1913 წლებში სოხუმის ეპარქიის მღვდელმთავარი იყო. იგი გაზეთ «Новая время»-ში გამოქვეყნებულ სტატიაში აღნიშნავდა, რომ საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალიის „აღდგენით აღსრულდა სამართლიანობის აქტი მართლმადიდებელი ეკლესიის მიმართ“. იგი ავტოკეფალიის აღდგენას „დიდ მოვლენად“ მიიჩნევდა [ცინცაძე 2001:226].

ავტოკეფალიის მოწინააღმდეგე თბილისის რუსი სამღვდლოების ინიციატივით 1917 წლის 22 მაისს ჩატარებულ ყრილობაზე ამიერკავკასიაში ცალკე საეკლესიო მმართველობის დაწესება მოითხოვეს. მათი მიმართვის საფუძველზე 1917 წლის 11 ივლისს სინოდის ობერ-პროკურორის წარდგინებით ამიერკავკასიაში რუსული ეკლესიის დროებითი წესები დამტკიცდა. ამ გადაწყვეტილებით არსდებოდა კავკასიის საეგზარქოსო, რომელსაც ყოფილ საეგზარქოსოს საზღვრებში არსებული არაქართული სამრევლოები დაექვემდებარებოდა. კავკასიის ეგზარქოსის რეზიდენციად თბილისი გამოცხადდა, მას კი თბილელი მიტროპოლიტის და კავკასიის ეგზარქოსის ტიტული მიენიჭა [Еропов 1917:28]. დროებითი მთავრობის აღნიშნული გადაწყვეტილება საეკლესიო სამართლის უხეშ დარღვევას წარმოადგენდა და ეწინააღმდეგებოდა საეკლესიო კანონიკურ საფუძველზე საქართველოს ეკლესიის მოწყობას. ყოველივე ეს ცხადყოფს, რომ დროებითა მთავრობამ ვერ დაამტკიცა სინოდის მიერ შემუშავებული დროებითი დებულება ამიერკავკასიაში რუსული სამრევლოების შესახებ და შემდეგ შეიმუშავა დროებითი დებულება საქართველოს ეკლესიის შესახებ, რომელსაც საფუძვლად უნდა დასდებოდა საქართველოს ეკლესიის დროებითი მმართველობის მიერ შემუშავებუ-

ლი დებულება [Егоров 1917:28].

1917 წლის 25 ივლისს დროებითმა მთავრობამ დაამტკიცა „რუსეთის სახელმწიფოში საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის მდგომარეობის დროებითი წესები“, რომელშიც მანამდე შემუშავებული დებულების ზოგიერთი პუნქტი შეცვლილი სახით იყო წარმოდგენილი. ვერაფერი გააწყოს 1917 წლის ივნისში საქართველოს ეკლესიის დროებითი მმართველობის მიერ პეტერბურგში გაგზავნილმა ქართულმა დეპუტაციამ (ეპისკოპოსი ანტონი (გიორგაძე), დეკანოზი მ. კელენჯერიძე, დეკანოზი ვ. ცინცაძე და სხვა) და რუსეთის მთავრობაში მოღვაწე ქართველმა პოლიტიკოსებმა (ნ. ჩხეიძე, ი. წერეთელი) საიმისოდ, რომ რუსეთის დროებით მთავრობას ქართველი სამღვდელოებისთვის სასიკეთო გადაწყვეტილება მიეღო.

პირველი სამი პუნქტი დადგენილები-სა, რომელსაც ხელს მინისტრ-თავმჯდომარე ა. კერენსკი და სინოდის ობერ-პროკურორი ა. კარტაშევი აწერდნენ, ზოგადი ხასიათისაა. პირველი პუნქტით დროებითი დებულების წესები დამტკიცდა. ამავე დადგენილების მეორე პუნქტით იქმნებოდა განსაკუთრებული კომისია დროებითი მთავრობის მიერ დამტკიცებული წევრებით, რომელსაც უნდა დაედგინა, თუ რა ნაწილი უნდა გამოჰყოფოდა საქართველოს ეკლესიას საეგზარქოსოს ქონებიდან. დადგენილების მესამე პუნქტში აღნიშნული იყო, რომ სარწმუნოების სამინისტროს ჩამოყალიბებამდე სინოდის ობერ-პროკურორს საქართველოს ეკლესიის მიმართ ისეთივე უფლება ენიჭებოდა, როგორც ადრე ჰქონდა საეგზარქოსოში. ეს ბოლო პუნქტი საქართველოს ეკლესიას ისევ რუსეთის სინოდის განკარგულებაში აქცევდა, რაც, ბუნებრივია, ქართველი სამღვდელოებისა და ქართველი საზოგადოების უკმაყოფილების მიზეზი გახდა.

რაც შეეხება დამტკიცებულ დებულებას, უნდა ითქვას, რომ საქართველოდან გაგზავნილი დებულების პროექტი უცვლელი სახით არ დამტკიცებულა. მან ძირეული ცვლილება განიცადა იმ თვალსაზრისით, რომ

უფრო ნათლად წარმოეჩინათ საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალიის მოწყობა ეროვნული ნიშნის მიხედვით. დამტკიცებული დებულების პირველი პუნქტი შეესატყვისება დებულების პროექტის შესაბამის პუნქტს, რომლის მიხედვით საქართველოს ეკლესიის მრევლის წევრად ითვლებოდა ეროვნებით ქართველი მართლმადიდებელი რუსეთის სახელმწიფოს საზღვრებში. მესამე და მეოთხე პუნქტები სრულად შეესაბამებოდა დებულების პროექტის იმ პუნქტებს, რომლებიც სარწმუნოებრივი მოთხოვნების დაკმაყოფილებას, ეპარქიებისა და სამრევლოების მოწყობას ეხებოდა. მეორე პუნქტით აფხაზებს და ამიერკავკასიის ოსებს სურვილისამებრ შეეძლოთ საქართველოს ეკლესიის წევრები ყოფილიყვნენ. ქართულ პრესაში გამოქვეყნებულ პუბლიკაციებში ოსები ამოღებულია და მათ ნაცვლად მითითებულია „ამიერკავკასიის მრევლები“, ზოგან კი მხოლოდ აფხაზებია მოხსენებული, რაც გარკვეულ გაუგებრობას ქმნის. გამოქვეყნებულ რუსულ მასალებში გარკვევითაა მითითებული ამიერკავკასიის ოსები («закавказских осетин») [Егоров 1917:36]. დამტკიცებული დებულებით საქართველოს ეკლესიის მწყემსმთავარი იხსენიება არა სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქად, მცხეთა-თბილისის მთავრეპისკოპოსად, როგორც დებულების პროექტში იყო, არამედ „სრულიად ქართველთა და მცხეთის არქიეპისკოპოსად“. ამ გადაწყვეტილებით საქართველოს ეკლესიის იურისდიქციაში არ შედიოდნენ საქართველოში მცხოვრები არაქართველი მართლმადიდებლები. საქართველოს ეკლესიის მწყემსმთავრის ტიტულატურიდან თბილისი ამოიღეს. ამასთან დაკავშირებით გაზეთი „საქართველო“ აღნიშნავდა: „ქართული ეროვნული სინდისი ვერ მოითმენდა ასეთ უკანონობას და შეურაცხყოფას და სინოდს იმას მოახსენებს, რომ მას უფლება აღარ აქვს ავტოკეფალური ქართული ეკლესიის საქმეებში ჩარევის“ [ავტოკეფალიის დამტკიცება 1917:2].

დამტკიცებული დებულების მეორე პუნქტით საქართველოს ეკლესიის მწყემსმთავრის ადგილსამყოფლად მიჩნეულია თბი-

ლისი. ქართულ პრესაში გამოქვეყნებულ დებულებაში ამის შესახებ არ არის მითითებული. ეს მხოლოდ რუსულ ენაზე გამოქვეყნებულ წყაროებში ფიქსირდება [Ерогов 1917:36]. საქართველოს ეკლესიის მწყემსმთავრის რეზიდენციად თბილისის დასახელება მისაღები იყო, თუმცა, საქართველოს ეკლესიის მწყემსმთავრის ტიტულატურაში, როგორც აღინიშნა, თბილისი მოხსენიებული არ ყოფილა. უფრო მეტიც, დროებითი მთავრობის 1917 წლის 11 ივლისის გადაწყვეტილებით ამიერკავკასიის არაქართველი მღვდელმთავარი თბილისის მიტროპოლიტად იწოდებოდა და მის რეზიდენციად სახელდებოდა თბილისი. აღნიშნულიც ფილეთიმოს განეკუთნება, რადგან საეკლესიო სამართლით აკრძალულია ერთსა და იმავე ქალაქში ორი ერთნაირი აღმსარებლობის მღვდელმთავრის ადგილსამყოფლის არსებობა. დამტკიცებულ დებულებაში შეზღუდული იყო უცხოეთის ავტოკეფალურ ეკლესიებთან კათოლიკოს-პატრიარქის ურთიერთობა, რომელიც მას რუსეთის საგარეო სამინისტროს შუამდგომლობით უნდა განეხორციელებინა. დებულების 9-13 პუნქტები სრულ თანხმობაშია დებულების პროექტთან, რომელიც საკათალიკოსოს ფინანსებს, მის იურდიულად პირად ცნობას, სასულიერო სასწავლებელთა სტატუსის, მათი ფუნქციონირების და ქართულ ენაზე საქმის წარმოების საკითხებს ეხება. დამტკიცებული დებულების ბოლო მე-14 პუნქტით, რომელიც დებულების პროექტში არ იყო წარმოდგენილი, ეკლესიას ქორწინების რეგისტრაციის დროს სამოქალაქო კანონებით უნდა ეხელმძღვანელოს.

დამტკიცებული დებულების ანალიზი გვიჩვენებს, რომ დროებითმა ხელისუფლებამ არათუ გაითვალისწინა ქართველი სამღვდელოებისა და საზოგადოების მოთხოვნები, არამედ დებულების ძირითად პუნქტებში ისეთი შესწორებებიც შეიტანა, რომ კიდევ უფრო გამოეკვეთა ეკლესიისგან გმობილი ფილეთიმო. აღნიშნული დებულება მოკლებული იყო კანონიკურ საფუძვლებს და რუსეთის ხელისუფლების ნებას გამოხატავდა [დადაშქელიანი 2011:26]. ქართველმა სამღვდელოებამ და

ქართველმა საზოგადოებამ კვლავ გამოხატეს უარყოფითი დამოკიდებულება დამტკიცებული დებულების მიმართ. აღნიშნული დებულება, როგორც მისი სახელწოდებიდან ჩანს, დროებითი იყო. მას დამფუძნებელი კრების მოწვევამდე უნდა ემოქმედა. დამფუძნებელი კრება, რომელიც 1918 წლის იანვარში უნდა გამართულიყო, მიიღებდა სარწმუნოების კანონს, რომლითაც დარეგულირდებოდა საქართველოს ავტოკეფალური ეკლესიის ადგილი რუსეთის დემოკრატიულ სახელმწიფოში. დებულების დამტკიცების მიუხედავად საქართველოს ეკლესიის დროებითი მმართველობა არ აპირებდა მის მიხედვით ეკლესიის მოწყობას.

კანონიკურ საფუძვლებზე ეკლესიის მოწყობის მიზნით, 1917 წლის 15 აგვისტოს კათოლიკოს-პატრიარქის მოსაყდრე, გურია-სამეგრელოს ეპისკოპოსი ლეონიდე თბილელ მიტროპოლიტად დაადგინეს. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ ეს წოდება ახლად აღადგინეს მას მერე, რაც რუსეთის სინოდმა ერთი საუკუნის წინ გააუქმა. საქართველოს ეკლესიის დროებითი მმართველობის ეს გადაწყვეტილება მეტად გონივრული იყო, რადგან საეკლესიო კანონმდებლობით კავკასიის ეგზარქოსი ვეღარ ჩაითვლებოდა თბილელ მიტროპოლიტად, თუმცა მომხდარი ფაქტი სინოდმა არ გაითვალისწინა და იმავე დღეს ნაეგზარქოსალი პლატონი თბილელ მიტროპოლიტად დაინიშნა. საქართველოს ეკლესიის დროებითმა მმართველობამ იმავე წლის 23 აგვისტოს მშვიდობიანი გზით დაიკავა ყოფილი ეგზარქოსის შენობა. მართალია, ამის გამო სინოდმა უკმაყოფილება გამოთქვა, მაგრამ საქმე ის გახლდათ, რომ აღნიშნული შენობა XIX ს-ის შუა ხანებში ქართველი სამღვდელოების თანხებით იყო შეძენილი.

ავტოკეფალიაგამოცხადებული საქართველოს ეკლესიის ორგანიზაციულ-სტრუქტურული საკითხების ჩამოყალიბებაში დიდი როლი შეასრულა 1917 წლის 8-17 სექტემბერს თბილისში გამართულმა პირველმა საეკლესიო კრებამ, რომლის მუშაობაში საქართველოს სხვადასხვა კუთხის სამრევლოებიდან

კენჭისყრით არჩეული საერო და სასულიერო დეპუტატები მონაწილეობდნენ. კრების გადაწყვეტილებით შეიქმნა ახალი ეპარქიები, აირჩიეს ახალი მღვდელმთავრები და სხვა. კრებამ პირდაპირი და ფარული კენჭისყრით კათოლიკოს-პატრიარქად კირიონ II (საძაგლიშვილი) დაადგინა. ახლადარჩეულმა კათოლიკოსმა კირიონმა საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალიის აღდგენის შესახებ ეპისტოლეები გაუგზავნა აღმოსავლეთის პატრიარქებს, რომის პაპს და სომხეთის კათოლიკოსს. კრებამ დაამტკიცა მართვა-გამგეობის დებულება, რომელიც საეკლესიო კანონიკურ სამართალს ეფუძნებოდა. აღსანიშნავია, რომ საეკლესიო კრების მომზადება და მასზე განხილული საკითხების გადაწყვეტა დემოკრატიზმის პრინციპებით ხდებოდა, რაც უეჭველია იმის გავლენა იყო, რომ 1917 წლის თებერვლის რევოლუციის შემდეგ რუსეთის ყოფილ იმპერიაში ფართოდ გავრცელდა დემოკრატიზმი. საქართველოს ეკლესიის დროებითი მთავრობა ცდილობდა, საერო ცხოვრების გავლენით ეკლესიაშიც დაემკვიდრებინა დემოკრატიული პრინციპები, თუმცა ამის განხორციელებისას საეკლესიო კანონიკური ნორმები არ უნდა დარღვეულიყო.

პირველ საეკლესიო კრებაზე მიღებულ ეკლესიის მართვა-გამგეობის დებულებაში გათვალისწინებული არ იქნა სინოდის მიერ დამტკიცებული ეკლესიის მოწყობის პრინციპი. მართვა-გამგეობის ახალი დებულებით საქართველოს ეკლესიის სტრუქტურული ჩამოყალიბება ტერიტორიული პრინციპით მოხდა და მის იურისდიქციაში ქართველებთან ერთად არაქართველი მრევლიც შედიოდა. საქართველოს ეკლესიის მწყემსმთავარი იწოდებოდა მცხეთის მთავარეპისკოპოსად და სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქად, რომლის რეზიდენციად თბილისი გამოცხადდა. 1919 წელს თბილისის სამიტროპოლიტოს გაუქმების შემდეგ კათოლიკოს-პატრიარქი მცხეთა-თბილისის მთავარეპისკოპოსად ითვლებოდა. საეკლესიო კრების გადაწყვეტილებამ საქართველოს ეკლესიის მოწყობა კანონიკურ ფარგლებში მოაქცია.

აღნიშნული გადაწყვეტილებით უკმაყოფილო იყვნენ დროებითი მთავრობა და რუსეთის საეკლესიო კრების ჩატარების შემდეგ სრული უფლებებით აღდგენილი რუსეთის ეკლესია. თბილისში დამკვიდრებული კავკასიის ეგზარქოსის მეშვეობით ისინი ანტისაეკლესიო პოლიტიკას დაუფარავად აგრძელებდნენ. საქართველოს სახელმწიფოებრიობის აღდგენის (1918 წლის 26 მაისი) შემდეგაც თბილისში არსებული კავკასიის საეგზარქოსო ანტისახელმწიფოებრივ პოლიტიკას ატარებდა, რის გამოც 1920 წლის თებერვალში იგი გაუქმებულად გამოცხადდა და საქართველოს დემოკრატიული ხელისუფლების გადაწყვეტილებით საეგზარქოსოს წევრებმა დატოვეს ქვეყნის ტერიტორია [ბუბულაშვილი 2008:33]. მანამდე კი, 1917 წლის 29 დეკემბერს რუსეთის მიტროპოლიტმა ტიხონმა (ბელიაევი) მუქარის ეპისტოლე გამოუგზავნა ქართველ მღვდელმთავრებს და საეკლესიო კანონების დარღვევასა და სქიზმაში დასდო ბრალი. მართალია, კათოლიკოს ლეონიდე ოქროპირიძის (1919-1921 წწ.) სახელით 1919 წლის 5 აგვისტოს მოსკოვისა და სრულიად რუსეთის ახლადარჩეულ პატრიარქ ტიხონს საეკლესიო სამართალზე დამყარებული არგუმენტირებული პასუხი გაუგზავნეს, მაგრამ კარგა ხნის განმავლობაში ამ ორ ეკლესიას ურთიერთობა გაწყვეტილი ჰქონდა. მხოლოდ 1943 წელს რუსეთის ეკლესიამ ცნო საქართველოს ეკლესიის აღდგენილი ავტოკეფალიის კანონიერება და მათ შორის კვლავ დამყარდა ექვარისტიული კავშირი [ბუბულაშვილი 2003: 54-55].

საქართველოს ეკლესიის დამოუკიდებლობის შემდგომ ბედზე დიდი გავლენა მოახდინა 1918 წლის 26 მაისს ქართული სახელმწიფოებრიობის აღდგენამ. მართალია, ხელისუფლების სათავეში მოსული ათეისტური სოციალ-დემოკრატიული მთავრობა კეთილგანწყობილი არ ყოფილა საქართველოს ეკლესიის მიმართ, მაგრამ ქვეყნის დამოუკიდებლობის გამოცხადების შემდეგ ეკლესიის იურისდიქციის საზღვრები სახელმწიფოს საზღვრებს ემთხვეოდა და ქართველებთან ერთად მის მრევლს არაქართველებიც შეად-

გენდენ. გარდა ამისა, ამ შემთხვევაში ახლადგასაბჭოებულ რუსეთის მთავრობას და რუსეთის ეკლესიას არ შეეძლო ჩარეულიყვნენ საქართველოს ეკლესიის საშინაო საქმეებში.

ლიტერატურა:

დადაშქელიანი 2011: დადაშქელიანი ი. 2011, საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის ავტოკეფალია (კანონიკურ-სამართლებლივი ანალიზი), თბილისი

საქართველოს საპატრიარქოს არქივი: საქართველოს საპატრიარქოს არქივი, საქმე №645.

ოქმი 1917: „საქართველო“, 1917, №59, 15 მარტი

ნიკოლაძე 1918: ნიკოლაძე ნ. 1918, საქართველოს ეკლესიის ისტორია, ქუთაისი
საქართველოს საკათალიკოსო 1917: საქართველო, 1917, №62, 18 მარტი

საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალია 1917ა: საქართველო, 1917, №71, 30 მარტი

საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალია 1917ბ: საქართველო, 1917, №72, 31 მარტი

პაპუაშვილი 2008: პაპუაშვილი ნ. 2008, კორნელი კეკელიძე პირველ საეკლესიო კრებაზე და ამ კრების ორი კანონიკური დოკუმენტის ატრიბუტაციის საკითხი, ქრისტიანულ-არქეოლოგიური ძიებანი, I, თბილისი

ამიერკავკასიის რუსობა და საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალობა 1917, 1917, №71, 30 მარტი

საქართველოს ეკლესიის უფლებრივი მდგომარეობის დებულება 1917: საქართველო, 1917, №90, 27 აპრილი

ცინცაძე 2001: ცინცაძე ვ. 2001, ჩემი მოგონებებიდან, თბილისი

Егоров 1917: Егоров В. 1917, К истории провозглашения Грузинами автокефалии своей в 1917 году, Москва

ბუბულაშვილი 2008: ბუბულაშვილი ე. 2008, საქართველოს სამოციქულო ეკლესია, თბილისი

ბუბულაშვილი 2003: ბუბულაშვილი ე. ეკლესიასა და სახელმწიფოს შორის ურთიერთობის ზოგიერთი საკითხი 1918-1921 წლებში, ლოგოსი, №1, თბილისი

ბრძოლა საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალიის ცნობისა და აღიარებისათვის — XX ს.

თამარ მესხი

ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი

საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალია და მისი მამამთავრის საპატრიარქო ტიტული არაერთგზის გამხდარა საკამათო ხან ანტიოქიის და ხან რუსეთის საპატრიარქოებთან. ეს საკითხები გასული საუკუნის 70-იანი წლების მიწურულს ისევ დადგა საქართველოს ეკლესიის დღის წესრიგში. სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქმა ილია II-მ მსოფლიო საპატრიარქოსგან ოფიციალურად მოითხოვა საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის მიერ უძველესი დროიდან მოპოვებული ავტოკეფალიის აღიარება და ამის დამადასტურებელი საბუთები.

საქართველოს ეკლესიის მეთაურის მცდელობამ შედეგი გამოიღო. 1990 წლის 4 მარტს, მართლმადიდებლობის ზეიმზე, კონსტანტინოპოლში (სტამბოლში) საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქ ილია II-ს შესატყვისი დოკუმენტები გადაეცა. თუმცა, ეს არც ისე ადვილი მისაღწევი აღმოჩნდა. შეხვედრები და მოლაპარაკება თორმეტი წელი (1978-1990) გაგრძელდა. ამ ხნის განმავლობაში კონსტანტინოპოლის ეკლესიიდან საქართველოს ეკლესიას არაერთი ოფიციალური წარმომადგენელი ეწვია. წილად მხვდა ბედნიერება, ამ მოლაპარაკებათა თვითმხილველი და მონაწილე ვყოფილიყავი, რადგან ყველა იმ მოლაპარაკებაზე ვთარჯიმნობდი და კონსტანტინო-

პოლის საპატრიარქოსთან მიმოწერასაც მე ვუძღვებოდი¹, მაგრამ ახლა ყურადღებას სულ სხვა საკითხზე შევაჩერებ.

დაბეჯითებით შეიძლება ითქვას, რომ ავტოკეფალიის აღიარების საკითხი საქართველოს ეკლესიის დღის წესრიგში არასოდეს დადგებოდა, 1811 წელს რუსეთის ეკლესიას რომ არ გაეუქმებინა. ამის თქმის უფლებას გვაძლევს თუნდაც ტრაპიზონის მიტროპოლიტ ქრისანთოსის (1913-1938; 1938-1940 — ათენისა და სრულიად ელადის მთავარეპისკოპოსი) მოხსენებითი ბარათი, რომელიც მან 1920 წლის 15 ივლისს წარუდგინა კონსტანტინოპოლის საპატრიარქოს წმიდა სინოდს და იმავე წელს დაიბეჭდა მსოფლიო საპატრიარქოს ოფიციალურ ჟურნალში «*Ἐκκλησιαστικὴ Ἀλήθεια*».

მიტროპოლიტ ქრისანთოსის მოხსენებითი ბარათი ეხება წმიდა ნინოს როლს ქართველთა მოქცევაში. მიტროპოლიტი საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალიას ეჭვქვეშ არ აყენებს, მაგრამ მიაჩნია, რომ საქართვე-

1 იმ მოლაპარაკებებსა და სიგელების მოპოვებასთან დაკავშირებით იხ.: თამარ მესხი, „სცანით ჭეშმარიტი და ჭეშმარიტებამან განგათავისუფლუნს თქვენ“, ჟურნ. „ჯვარი ვაზისა“, 1990, №3, 18-24; განმეორებით: 2009, № 1, 177-186.

ლოს ეკლესიას ავტოკეფალია უნდა მიეღო და-ახლოებით 1054 წელს. ამასთან, აღწერილია, თუ როგორი თავდადებით იცავდა ქრისტიანობას საქართველოს ავტოკეფალური ეკლესია რვა საუკუნის განმავლობაში, ვიდრე 1811 წლის 11 ივლისის განჩინებით, რუსეთის ეკლესია მის ავტოკეფალიას გააუქმებდა და ეგზარქოსს დაუნიშნავდა. აღნიშნულია ისიც, თუ როგორ მოხდა საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალიის აღდგენა 1917 წლის 12 (25) მარტს და რა რეაქცია მოჰყვა ამას რუსეთის ეკლესიის მხრიდან.

ამჯერად ყურადღებას გავამახვილებთ მიტროპოლიტ ქრისანთოსის მოხსენებითი ბარათის დასკვნით ნაწილზე, სადაც აღწერს, თუ რა მდგომარეობაში იხილა მან საქართველოს ეკლესია 1919 წლის ნოემბერში და რაში ხედავდა გამოსავალს:

„1917 წლის 14 ივნისს რუსეთის ეკლესიამ სახელდახელო კანონი გამოსცა რუსეთის ეკლესიის კავკასიაში მმართველობის საკითხებთან დაკავშირებით. თბილისში თავის წარმომადგენლად ჰყავს ელისავეტოპოლის ეპისკოპოსი თეოფილაქტე, რომლის იურისდიქციაშიც შედიან კავკასიაში მცხოვრები მართლმადიდებელი რუსები და ყველა სხვა, ვისაც კი ამის სურვილი აქვს. ამრიგად, ამ გეოგრაფიულ არეალში ანტიკანონიკურად მოქმედებს ორი ერთმანეთისგან დამოუკიდებელი ეროვნული ეკლესია... ჩემი მოკრძალებული აზრია, – განაგრძობს მიტროპოლიტი, – უპირატესობის მქონე კონსტანტინოპოლის ეკლესიის სერიოზული და შემრიგებლური ჩარევა (რაც ისტორიის მანძილზე ასეთ ექსტრემალურ სიტუაციებში შედეგიანი აღმოჩნდა როგორც რუსეთის, ასევე საქართველოს ეკლესიისათვის) მოაწესრიგებს ამ გაუგებრობას, დაარწმუნებს რუსეთის ეკლესიის წმიდა სინოდს, ცნოს საქართველოს ეკლესია იმ სტატუსით, რომელიც მას ასი წლის წინ ჰქონდა, როგორც ავტოკეფალურ ეკლესიას, თუკი, რა თქმა უნდა, ორივე მხრიდან იქნება ეს კეთილი სურვილი, მით უფრო ახლა, როდესაც მორწმუნე ქართველმა ერმა აღადგინა თავისი სა-

ხელმწიფოებრივი სტატუსი“².

ამრიგად, წარმოდგენილი ამონარიდიდან ნათლად ჩანს, რომ ტრაპიზონის მიტროპოლიტისთვის საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალიის საკითხი სადავო სულაც არ იყო, მეტიც, ქრისანთოსი მსოფლიო საპატრიარქოს სინოდს მოუწოდებდა, შემრიგებლის როლი ეთამაშა რუსეთისა და საქართველოს ეკლესიებს შორის, რათა აღმდგარიყო საქართველოს ეკლესიის სტატუსი იმ ფარგლებში, რომელიც მას 1811 წლამდე ჰქონდა.

მაშინ, როდესაც საქართველოს ეკლესია, მისი უწმიდესობის ილია II-ის ხელმძღვანელობით, ავტოკეფალიასთან დაკავშირებით კონსტანტინოპოლის ეკლესიასთან მოლაპარაკებას აწარმოებდა, სამწუხაროდ, ჩვენთვის უცნობი იყო როგორც ტრაპიზონის მიტროპოლიტის საქართველოს ეკლესიაში სტუმრობის ფაქტი, ასევე მისი მოხსენებითი ბარათი. ამაზე არც ბერძნულ მხარეს გაუმახვილებია ყურადღება.

მოხსენებით ბარათში წარმოდგენილი თვალსაზრისი შესაძლოა ზოგმა კონსტანტინოპოლის საპატრიარქოს ერთი მიტროპოლიტის თვალსაზრისად აღიქვას, ზოგმა კი – სამეცნიერო სტატიად. სწორი შეფასებისათვის, ჯერ ის ეპოქა უნდა გავიხსენოთ, როდესაც ბარათი დაიწერა, შემდეგ კი – როგორ და რატომ დაიწერა.

მიტროპოლიტი ქრისანთოსი 1919 წლის 3 ნოემბერს ბათუმში ჩამოვიდა. საქართველოში მისი ჩამოსვლის მიზანი პონტოელი ბერძნების მდგომარეობის გაცნობა და მათთვის შესაძლო დახმარების აღმოჩენა იყო.

მოგეხსენებათ, პირველი მსოფლიო ომის დაწყებისთანავე ოსმალეთის იმპერიაში მცხოვრები ბერძნები მრავალმხრივ შეავიწროვეს თურქებმა და ქურთებმა, იძულებული გახადეს, თავიანთი საცხოვრებელი დაეტო-

2 Ἄρθρα καὶ Μελέται Χρυσάνθου, Ἀρχιεπισκόπου Ἀθηνῶν τῶν ἀπὸ Τραπεζοῦστος (1911-1949), ὑπὸ Γ. Ν. Τασοῦνη (βιβλίου τριτοῦ), Ἀθήνα, 1997, 305-306.

ვებინათ და კავკასიაში ან რუსეთის სამხრეთ ოლქებში დასახლებულიყვნენ. 1917 წლის რევოლუციის შემდეგ ბერძნების მიმართ მტრულად განეწყვნენ ბოლშევიკები, რადგან 1917 წელს საბერძნეთი ანტანტის ქვეყნების მოკავშირე გახდა და, მათ სასარგებლოდ, მონაწილეობა მიიღო სამხედრო ოპერაციაში უკრაინიდან ბოლშევიკების განსადევნად. ამიტომ ბერძნების უმეტესობა თავშესაფრის საძებნელად საქართველოსკენ გამოემურა. იმ დროს არც საქართველო იმყოფებოდა სახარბიელო მდგომარეობაში. საქართველოს დამოუკიდებლობა ბეწვზე ეკიდა და თავად ელოდა დახმარებას ევროპიდან³.

საბერძნეთის ხელისუფლებამ შექმნილი მდგომარეობიდან გამოსავალი იმაში ნახა, რომ ლტოლვილთათვის ადგილზევე გაეწია დახმარება და მათი შერჩევითი რეპატრიაცია მოეხდინა. ამიტომ 1919 წლის ივნისში საქართველოში წარმოგზავნა საგანგებო დიპლომატიური მისია, რომელსაც ცნობილი ბერძენი მწერალი ნიკოს კაზანძაკისი ხელმძღვანელობდა. 1919 წლის 11 აგვისტოს პონტოელი ბერძნებით დატვირთული პირველი გემი კიდევაც დაიძრა საბერძნეთისკენ. მათთან ერთად გაემგზავრა ნ. კაზანძაკისიც. მისიის წევრები კი საქართველოში დარჩნენ და საქმიანობა იანის სტავრიდაკისის ხელმძღვანელობით განაგრძეს.

1919 წლის 29 ნოემბერს ი. სტავრიდაკისმა კონსტანტინოპოლიდან მიიღო დეპეშა, რომლითაც საბერძნეთის უმაღლესი კომისარი ე. კანელიპულოსი ავალებდა, მოეძებნა საქართველოში მყოფი მიტროპოლიტი ქრისანთოსი და გადაეცა მისთვის მსოფლიო საპატრიარქოს წმიდა სინოდის საგანგებო დავალება: 1. ენახა, თუ რა მდგომარეობაში იმყოფებოდა საქართველოს ეკლესია, რო-

3 მიუხედავად ამისა, საქართველოს მთავრობას 2 000 000 მანეთი გამოუყვია ლტოლვილთა დასახმარებლად, განურჩევლად ეროვნებისა, Το Έργον των Αποστόλων του Υπουργείου Περιθάλψεως» (Πόντος, Κωνσταντινούπολης, Σμύρνη, Μακεδονία), Εν Αθήναις 1920, 27.

მელსაც ის-ის იყო აღედგინა ავტოკეფალია; 2. „მსოფლიო საპატრიარქოს სახელით და საქართველოს ეკლესიისადმი შესაფერისი პატივისცემის გამოვლინებით“, დაერწმუნებინა საქართველოს ეკლესიის მესვეურნი მსოფლიო საპატრიარქოს კეთილგანწყობაში. საპატრიარქოს დუმილი კი მიმოწერის შეფერხებით და კონსტანტინოპოლის პატრიარქის მოულოდნელი გადადგომით აეხსნა⁴.

ბუნებრივია, ჩნდება კითხვა: რა წერილსა და „დუმილზეა“ საუბარი დეპეშაში?

საქმე ისაა, რომ სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქმა კირიონ II-მ 1917 წლის ოქტომბერში კონსტანტინოპოლისა და აღმოსავლეთის სხვა მართლმადიდებელ საპატრიარქოებს (ალექსანდრიის, ანტიოქიისა და იერუსალიმის) გაუგზავნა წერილები, რომლებითაც აცნობა საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის ავტოკეფალიის აღდგენა და თანალოცვა და თანადგომა მოითხოვა. სამწუხაროდ, პასუხი არც ერთი საპატრიარქოსგან არ მოსულა. რუსეთის ეკლესია კი კონსტანტინოპოლისა და ანტიოქიის პატრიარქების სახელით ავრცელებდა ცრუ ეპისტოლეებს, თითქოს ისინი ქართველებს რუსეთის საპატრიარქოსადმი მორჩილებას ურჩევდნენ⁵.

4 ამასვე ავალებდა სინოდი საქართველოში მოღვაწე დიპლომატიური მისიის ხელმძღვანელს ი. სტავრიდაკისს, Βιογραφικά αναμνήσεις του Χρυσάνθου Αρχιεπισκόπου Αθηνών του από Τραπεζούντας, 1881-1949, Αθήναι 1970, 272.

5 „... საქართველოს თავისთავად ეკლესიას მე არ ვცნობ და არც შემიძლია ვცნობდე, რადგან 100 წელზე მეტია, რაც მართლმადიდებელი ქართველები რუსეთის ეკლესიის მფარველობის ქვეშ იმყოფებით, (...) თქვენი ავტოკეფალია შესაძლებელია მხოლოდ რუსეთის ეკლესიასთან შეთანხმებით... მამაშვილურად გირჩევთ, მოუსმინოთ თქვენს მწყემსს“ (იგულისხმება რუსეთის პატრიარქი — თ. მ.) — თითქოს აცხადებდა კონსტანტინოპოლის პატრიარქი გერმანე V, ხოლო ანტიოქიისა და სრულიად აღმოსავლეთის პატრიარქის, გრიგოლ IV-ის სახელით გავრცელდა ასეთი წერილი: „უგუნურო ქართველებო! დაგავიწყდათ, რამდენ წელს ტკბებოდით

სინამდვილეში აღმოსავლეთის მართლმადიდებელი ეკლესიების დუმილი იმდროინდელმა საერთაშორისო ვითარებამ და საქართველოს ეკლესიაში დატრიალებულმა ტრაგიკულმა ამბებმა განაპირობა: საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი კირიონ II წერილის გაგზავნიდან რამდენიმე თვეში ვერაგულად მოკლეს (1918 წლის 27 ივნისს). შემდეგი კათოლიკოს-პატრიარქი ლეონიდე მხოლოდ 1919 წლის 23 თებერვალს აირჩიეს. მთელი ამ ხნის განმავლობაში საქართველოს ეკლესიაში შფოთი და ურთიერთდაპირისპირება მძვინვარებდა. გავრძელდა კირიონ II-ის მომხრეთა მკვლელობა⁶. ცხადია, აღმო-

მყუდროებით, სიწყნარითა და სიმშვიდით რუსეთის მართლმადიდებელი სამეფო ტახტის საფარველსა ქვეშე? თქვენ არასოდეს ყოფილხართ ავტოკეფალური. თქვენს შორის ყოველთვის იყო ურთიერთმძულვარება და შფოთი, რომელთა აღზოცვა გვიხდებოდა ჩვენ, თქვენდა სასიკეთოდ გარჯილთ. მაგრამ, ოდეს დავსუსტდით და აღარ ძალგვიძდა ხელი მოგვემართა თქვენთვის, მაშინ მწყემსთა მწყემსმა აღამაღლა სანთელი ჩრდილისა, — ახალი მფარველი ყველა მართლმადიდებლისათვის, მათ შორის თქვენთვისაც. და, აი, ახლა, როდესაც ეს სახელმწიფო დასნეულდა, უმადური შვილების მსგავსად ხელი აღმართეთ რუსეთის ეკლესიაზე. როგორ იფიქრეთ, თანაგიგონობდით და ვიქნებოდით თანამზრახველნი თქვენმიერი უკანონო აღტყინებისა? გირჩევთ, გონს მოდით და სინანულით მიმართეთ თქვენს უწმიდეს მამას — სრულიად რუსეთის პატრიარქ კირტიხონს, ქრისტეს მიერ ჩვენ საყვარელ ძმასა და თანამლოცველს“, K. Георгиевский [კ. ცინცაძე], По поводу архипастырского подлога. „Грузия“, 1, II, N 5; კალისტრატე ცინცაძე, ქადაგებები და სიტყვები, გამოსაცემად მოამზადა, შესავალი და გამოკვლევა დაურთონ. პაპუაშვილმა, თბ., 2014, 216-218.

6 1918 წლის სექტემბერში მოწამლეს (საკუთარმა სიძემ) ქუთათელი მიტროპოლიტი ანტონი (გიორგაძე), 1918 წლის 15 ოქტომბერს საკუთარ სახლთან მოკლეს მღვდელი ტიმოთე ბაკურაძე (კირიონ II-ის საარჩევნო ავტაციის მეთაური პროვინციებში), 1919 წლის 6 ივნისს არმაზის მონასტერში მოკლეს ბერმონაზვნები მირიანი (ბეჟაური) და გერმოგენი..., ს. ვარდოსანიძე, სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატ-

სავლეთის მართლმადიდებელი ეკლესიები, შეძლებისდაგვარად, აკვირდებოდნენ საქართველოს ეკლესიაში განვითარებულ მოვლენებს და პასუხის გამოგზავნას არ ჩქარობდნენ. სავარაუდოდ, საქართველოს ეკლესიაში მშვიდობის დამყარებას ელოდნენ, მაგრამ ამასობაში ვითარება მათ ეკლესიებშიც გამწვავდა.

ოსმალეთის იმპერია ყოფნა-არყოფნის ზღვარზე იდგა. ამან გავლენა მოახდინა მის ტერიტორიაზე არსებულ მართლმადიდებელ საპატრიარქოებზეც. მათი უმთავრესი საზრუნავი ეკლესიისა და მრევლის გადარჩენა იყო. რაც შეეხება კონსტანტინოპოლის საპატრიარქოს, ხსენებულ პრობლემებთან ერთად, მას ისიც დაემატა, რომ 1918 წლის 31 ოქტომბერს პატრიარქი გერმანე V (1913-1918) გადადგა⁷. აი, ამ ვითარების ახსნას და განმარტებას სთხოვდა კონსტანტინოპოლის ეკლესიის წმიდა სინოდი ტრაპიზონის მიტროპოლიტს.

მიტროპოლიტმა ქრისანთოსმა სინოდის დავალება შეასრულა. თავის მემუარებში იგი აღნიშნავს: „რამდენჯერმე ვეწვიე საქართველოს ეკლესიას, მსოფლიო საპატრიარქოსთვის დავწერე ვრცელი მოხსენებითი ბარათი, რომლითაც მხარს ვუჭერ საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალიას. ვეწვიე პრემიერ-მინისტრს და საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრს. სასულიერო პირებიც და პოლიტიკოსებიც ძალიან სიმპათიურები არიან. ასევე, დავალებული მქონდა, დამეცვა ისინი კათოლიკეთა პროპაგანდისაგან, რაც ძალიან გააქტიურდა. ამიტომ ვთხოვე საქართველოს ეკლესიას, მჭიდრო კავშირი დაემ-

რიარქი უწმიდესი და უნეტარესი კირიონ II (1855-1918 წ.წ.), თბ., 2014, 126.

7 1918 წლის 31 ოქტომბერს კონსტანტინოპოლში ინგლისისა და საფრანგეთის ჯარები შევიდნენ. იმ დღეს კონსტანტინოპოლის ხანდამული პატრიარქი გერმანე V ომში დაღუპულთა პანაშვიდს იხდიდა. პროვოკატორებმა ტაძარში არეულობა მოაწყვეს. პატრიარქს გულის შეტევა მოუვიდა და ტაძარში უგონოდ დაეცა, რამდენიმე დღეში კი გადადგა. 1920 წლის დეკემბერში გერმანე V გარდაიცვალა.

ყარებინა მსოფლიო საპატრიარქოსთან⁸.

რაკი მიტროპოლიტ ქრისანთოსის მოხსენებითი ბარათი მსოფლიო საპატრიარქოს ოფიციალურ ორგანოში დაიბეჭდა, უნდა ვივარაუდოთ, რომ კონსტანტინოპოლის ეკლესიის სინოდმა ქრისანთოსის თვალსაზრისს მხარი დაუჭირა, თუმცა, ჯერჯერობით ის ვერ გავარკვევთ, მოახდინა თუ არა რაიმე რეაგირება, ანუ, მისწერა თუ არა ამის შესახებ ოფიციალური წერილი რუსეთის ეკლესიას.

ასე იყო თუ ისე, სულ რაღაც ერთ წელიწადში, 1921 წლის 25 თებერვალს, საქართველომ დამოუკიდებლობა დაკარგა. ათეისტური იმპერიის შემადგენლობაში მოქცეულ საქართველოს ეკლესიას ავტოკეფალიის აღიარებაზე ზრუნვა კი არა, მართლმადიდებელ ეკლესიებთან მიმოწერაც შეეზღუდა.

უკეთეს მდგომარეობაში არც კონსტანტინოპოლის ეკლესია აღმოჩნდა. როდესაც მიტროპოლიტი ქრისანთოსი საქართველოში ჩამოვიდა (1919 წლის ნოემბერი), კონსტანტინოპოლი ინგლისისა და საფრანგეთის ჯარებს ჰქონდათ ოკუპირებული. დაქვრივებულ საპატრიარქო ტახტს საბერძნეთის ჯარის ორი ქვედანაყოფი იცავდა. იმავე 1919 წელს მუსტაფა ქემალ-ფაშამ (ათათურქმა) დააარსა თურქეთის ეროვნული კონგრესი, რომელმაც 1919-1922 წლებში მთელი თურქეთი დაიმორჩილა, ქვეყნიდან განდევნა ბერძნები და სომხები, 1923 წელს კი კონსტანტინოპოლიც დაიბრუნა და საფუძველი ჩაუყარა თურქეთის რესპუბლიკას. მსოფლიო საპატრიარქო ახალი გამოწვევების წინაშე დადგა – ურთიერთობა უნდა მოეგვარებინა ახალ ხელისუფლებასთან.

პირველმა მსოფლიო ომმა ანტიოქიისა და იერუსალიმის საპატრიარქოებსაც შეუქმნა პრობლემები. 1917 წლის დეკემბერში პალესტინა ინგლისელებმა დაიპყრეს. იერუსალიმის საპატრიარქოში ისევ გამწვავდა ე.წ. „არაბული პრობლემა“⁹, რომლის მიზანიც

იერუსალიმის საპატრიარქოს სტატუს კვოს გაუქმება იყო.

1918 წელს სირიაში საფრანგეთის ჯარი შევიდა. ქვეყნის ერთი ნაწილი ერაცის სამეფოს შეუერთდა, მეორე ნაწილს კი საფრანგეთის მისია ავტოკეფლებდა (1920 წლიდან ერთა ლიგა), რამაც ხელი შეუწყო კათოლიკეთა გაძლიერებას; ფეხი მოიკიდეს პროტესტანტებმაც; დაიწყო მართლმადიდებელთა პროსელიტიზმი. სირიის მოსახლეობის უმეტესობას მუსლიმი არაბები, თურქები და დრუზები წარმოადგენდნენ, ცხოვრობდნენ აგრეთვე იუდეველები. და რაც მთავარია, იმ დროისათვის ქრისტიანებს სირიასა და ლიბანში 8 საპატრიარქო ჰქონდათ¹⁰. ანტიოქიის ისტორიული მართლმადიდებელი საპატრიარქო ყოფნა-არყოფნის ზღვარზე იდგა.

ერთი სიტყვით, მსოფლიოში მიმდინარე ისტორიული ქართველების გამო, საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალიის აღიარების საკითხმა სამოცდაათი წლით გადაიწია.

საქართველოს ეკლესიის ისტორიას და მის ავტოკეფალიას საგანგებო გამოკვლევები მიუძღვნეს: სარდის მიტროპოლიტმა მაქსიმემ (1965), ათენის უნივერსიტეტის პროფესორმა ვ. ფიდასმა (1980), შვეიცარიის მიტროპოლიტმა დამასკინოსმა (1986) და ა.შ. არც ბერძენი სასულიერო პირები და არც ისტორიკოსები არ უარყოფენ იმას, რომ საქართველოს ეკლესია ავტოკეფალური იყო. ოღონდ, მათი თვალსაზრისის თანახმად, საქა-

ნახევარში რუსების მიერ გაჩაღებულმა პანსლავისტურმა მოძრაობამ, რომელიც მიზნად ისახავდა, განედევნათ ბერძნები სირიიდან და პალესტინიდან, არაბულენოვან ბერძნებსა და სხვა ქრისტიანებში კი შოვინისტური გრძობები გაედვივებინათ, რათა იერუსალიმის ეკლესიის მმართველობა მათ ხელში გადასულიყო. თავიდან ინგლისელებმა ბერძნებს დაუჭირეს მხარი, მაგრამ შემდეგ ყოველ ღონეს ხმარობდნენ, რომ წმინდა მიწაზე არსებული status quo გაუქმებულიყო, Ζηζιούλας Ιω. Δ., Ίερουσαλήμ, Εκκλησιαστική Ιστορία, Θρησκευτική και Ήθική Έγκυκλοπαίδεια, τ. 6ος, Αθήναι, 1965, 839.
¹⁰ Κουινάρις Γερ. Ι., Αντιόχεια, Θρησκευτική και Ήθική Έγκυκλοπαίδεια, τ. 2ος, Αθήναι, 1963, 903.

8 Βιογραφικά Ἀναμνήσεις τοῦ Χρυσάνθου Ἀρχιεπισκόπου Ἀθηνῶν τοῦ ἀπὸ Τραπεζούντος (1881-1949), Ἀθήναι 1970, 272.

9 ამ პრობლემას სათავე დაუდო XIX საუკუნის II

რთველოს ეკლესიამ ავტოკეფალია XI საუკუნის შუა წლებში მიიღო¹¹ და არა V საუკუნეში, როგორც ეს ქართულ საეკლესიო ტრადიციას შიდა დამკვიდრებული. სწორედ ამ თარიღის ჩაწერა აღმოჩნდა საკამათო იმ მოლაპარაკებებებზე, რომლებსაც საქართველოს ეკლესია, მისი უწმიდესობის ილია II-ის ხელმძღვანელობით, მსოფლიო საპატრიარქოსთან აწარმოებდა. საბოლოოდ, კონსტანტინოპოლის საპატრიარქო გაგებით მოვეიდა საქართველოს ეკლესიის ტრადიციას და დოკუმენტში ჩაიწერა: „სინოდის გადაწყვეტილებითა და სულიწმიდით განათლებულნი, ვაცხადებთ საქართველოს უწმიდეს ეკლესიას იმავე თვითმმართველი სტრუქტურითა და ორგანიზებით, რაც უძველესი დროიდან გააჩნდა და რაც დამოწმებულია აგრეთვე ბალსამონის მიერ, რომელიც წერდა: „... ამბობენ, რომ დღეთა მათ შინა უწმიდესისა პატრიარქისა ღვთაებრივი ქალაქისა დიდისა ანტიოქიისა უფალ პეტრესი, გამოტანილ იქნა სინოდური დადგენილება, რომ იქმნეს თავისუფალი და ავტოკეფალური ეკლესია იბერიისა“.

ამრიგად, 1990 წლის 4 მარტს საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალიის დამადასტურებელი დოკუმენტების მიღება საქართველოს ეკლესიის დიდი გამარჯვება იყო. ამიერიდან მის ხელყოფას ვეღარავინ შეძლებს.

ლიტერატურა:

ვარდოსანიძე ს., სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი უწმიდესი და უნეტარესი კირიონ II (1855-1918 წ. წ.) თბ., 2014.

კალისტრატე ცინცაძე, თხზულებანი ორ წიგნად, წ. II, ისტორიული ცნობა ქართული ეკლესიის ავტოკეფალიის შესახებ: მწიგნობრობა ქართული 10, 2010.

კალისტრატე ცინცაძე, ქადაგებები და სიტყვები, გამოსაცემად მოამზადა, შესავალი და გამოკვლევა დაურთო ნ. პაპუაშვილმა, თბ., 2014.

მესხი თ., „სცანით ჭეშმარიტი და ჭეშმარიტებამან განგათავისუფლნეს თქვენ“, ჟურნ. „ჯვარი ვაზისა“, 1990, №3, 18-24; განმეორებით: 2009, №1, 177-186.

К. Георгиевский [კ. ცინცაძე], По поводу архипастырского подлога, «Грузия», 1, II, N 5.

Βιογραφικαὶ Ἀναμνήσεις τοῦ Ἀρχιεπισκόπου Ἀθηνῶν Χρυσάνθου τοῦ ἀπὸ Τραπεζούντος (1881-1949), Ἀθήναι, 1970.

Ζηζιούλας Ιω. Δ., Ἱερουσαλήμ, Ἐκκλησιαστικὴ Ἱστορία, Ἱεροσολιμικὴ καὶ Ἱθικὴ Ἐγκυκλοπαίδεια, τ. 6ος, Ἀθήναι, 1965, 839-843.

Κοινδάρης Γερ. Ι., Ἀντιόχεια, Ἱεροσολιμικὴ καὶ Ἱθικὴ Ἐγκυκλοπαίδεια, τ. 2ος, Ἀθήναι, 1963, 878-908.

Χρυσάνθου, Ἀρχιεπισκόπου Ἀθηνῶν τοῦ ἀπὸ Τραπεζούντος (1911-1949), Ἄρθρα καὶ Μελέται, ὑπὸ Γ. Ν. Τασούδη (Βιβλίον τρίτον), Ἀθήναι, 1977.

Τὸ Ἔργον τῶν Ἀποστόλων τοῦ Ἰπουργείου Περιθάλψεως» (Πόντος, Κωνσταντινούπολις, Σμύρνη, Μακεδονία), Ἐν Ἀθήναις 1920.

11 ასეთი თვალსაზრისი გამოუთქვამს არაერთ ქართველ მკვლევარსაც, მათ შორის, საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქს კალისტრატე ცინცაძეს. იხ.: კ. ცინცაძე, წ. II, ისტორიული ცნობა ქართული ეკლესიის ავტოკეფალიის შესახებ: მწიგნობრობა ქართული 10, 2010, 7-136.

სვეტიცხოვლის ისტორიული მისია

მანანა გაბაშვილი

ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი

სვეტიცხოვლის ისტორიული მისია განსაკუთრებულია. საქართველოს მთავარი საკათედრო ტაძარი, მეორე იერუსალიმად წოდებული, ერთიანობის სიმბოლოცაა და დიდი მატრიანეც, სადაც ქვეყნის ცხოვრების ყველა ისტორიული ეტაპი ხელოვნებისთვის ნიშანდობლივი ხერხებითა და წარწერებითაა გადმოცემული.

ქრისტეს კვართის საქართველოში დადასტურება (საეკლესიო ტრადიციის, ქართული და უცხოური წყაროების თანახმად) მას არა მხოლოდ საქართველოსთვის, არამედ ზოგადად ქრისტიანული სამყაროსთვის განსაკუთრებულ მნიშვნელობასა და საერთაშორისო დატვირთვას სძენს, ტაძრის მისიას კიდევ უფრო მეტ მასშტაბს ანიჭებს.

სვეტიცხოვლის ტაძარი როგორც საეკლესიო, ასევე საერო ინფორმაციის მატარებელია, რაც ფრესკებითა და ფასადზე წარმოდგენილი ულამაზესი, მხატვრული თვალსაზრისით საინტერესო ჩუქურთმებითა და სიმბოლოებით გამოიხატება. ისინი ორ კატეგორიად უნდა დაიყოს – დაფარული და ღია ინფორმაციის მატარებლებად.

სვეტიცხოველი ყველა დროსა და ეპოქაში უდიდესი ისტორიული მოვლენების (მეფედ კურთხევის ცერემონიალი, კათალიკოსის ხელდასხმა და სხვ.) ადგილსაც წარმოადგენდა. 1917 წლის 12 მარტს სვეტიცხოველში საქართველოს ავტოკეფალიის აღდგენა, რომლის 100 წლისთავს ქართველი ერი დიდი მადლიერებით აღნიშნავს, ღირსშესანიშნავია იმიტაც, რომ ამჟერადაც საქართველოს პოლიტიკური დამოუკიდებლობის აღდგენის წინსწრებით მოხდა. ამით კიდევ ერთხელ დადასტურდა ქართული ეკლესიის მებრძოლი

ბუნება, რაც რეგიონის თავისებურებითა და სირთულით აიხსნება.

ამდენად, სვეტიცხოველი მებრძოლი ხასიათის ტაძარია, რაც საქართველოს ისტორიის არაერთ პერიოდში დადასტურდა. ეს ეხება ქართული ტრადიციების შენახვისა და ენის საკითხს, მასზე ზრუნვასა და მის დაცვას, რაც ზოგადად სვეტიცხოვლისა და მასთან დაკავშირებული ისტორიის საერთო კონტექსტშია განსახილველი. მხედველობაში გვყავს ტაძრის ის მესვეურნი, რუსეთის მიერ საქართველოს დაპყრობის შემდეგ (1801წ.) რუსული ეკლესიისა და რუსული ენის ექსპანსიას რომ ებრძოდნენ, რაც ზოგჯერ გამირობის ტოლფასი იყო.

სხვადასხვა დროს მტრების ბრძოლა საქართველოსთან სვეტიცხოველთან ბრძოლასაც ნიშნავდა, იარაღით თუ იდეოლოგიურად, რამაც ტაძარი და მისი ფრესკები არაერთხელ დააზიანა. XIX საუკუნეში სახელმწიფოებრიობის დაკარგვის შემდეგ, სვეტიცხოვლის ზოგიერთი ფრესკა შეგნებულ თუ შეუგნებელ ქმედებებს, უხარისხოდ და დაუდევრად შესრულებულ რესტავრაციას შეეწირა. მიუხედავად ამისა, XVII საუკუნემდე არსებული მცირე და ფრაგმენტული მასალით შესაძლებელია მოვლენათა უწყვეტი ჯაჭვის აღდგენა, მსგავსად „ქართლის ცხოვრებისა“, სადაც საქართველოს საეკლესიო და საერო ისტორიის უწყვეტი თხრობაა მოცემული.

სვეტიცხოვლის ფრესკებში დასმულ საკითხთა წრე დიდია და ზოგს დღესაც არ დაუკარგავს თავისი აქტუალურობა. ეს არის ეროვნული იდეოლოგია და სიმბოლიკა, ქართული ეკლესიის ადგილი და როლი საქართველოს ცხოვრებაში, ზოგადად მართლმადიდებლურ სამყაროში, საქართველოს პოლიტიკური

ორიენტაციის საკითხი, საზღვაო თემატიკა და სხვ. ამდენად, სვეტიცხოველი საინტერესოა მასში წარმოჩენილი მრავალი საკითხის (საშინაო თუ საგარეო პოლიტიკის) თვალსაზრისით, სადაც რელიგიური და საერო მოტივები ერთმანეთშია გადაჯაჭვული. შესაბამისად, სვეტიცხოველი საქართველოს ისტორიის ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს წყაროდაც უნდა მივიჩნიოთ. აქედან გამომდინარე, ბუნებრივია, რომ სვეტიცხოველში დაცული მასშტაბური ინფორმაცია და მასთან დაკავშირებული საკვლევე თემატიკა მეცნიერთა ფართო სპექტრს იზიდავს. ისინი სრულიად სხვადასხვა დარგის წარმომადგენლები არიან – რელიგიის მკვლევარნი, ისტორიკოსები, არქიტექტორები, ხელოვნებათმცოდნეები, თეატრმცოდნეები, მუსიკათმცოდნეები, ასტრონომები, ფილოლოგები, მათ შორის ხალხური და კლასიკური ცეკვის სპეციალისტებიც, რომლებმაც თეორიულად შეისწავლეს და სცენაზე დადგეს კიდევაც სვეტიცხოვლის ფრესკის ცეკვნი (ვ. ჭაბუკიანი, ლ. გვარამაძე, ა. თათარაძე...).

ბუნებრივია, რომ სვეტიცხოველი სხვადასხვა ქვეყნის მომლოცველთ თუ საქართველოს ისტორიითა და კულტურით დაინტერესებულ მეცნიერებსა და სტუმრებს იზიდავს. ტაძარი ამ თვალსაზრისითაც საქართველოს ისტორიისა და კულტურის დიდი პროპაგანდისტია, თუმცა ისტორიკოსთა მიერ სათანადოდ არ არის შესწავლილი.

ყველა ზემოაღნიშნული ფაქტორის გათვალისწინებით ამგვარი აზრი დაგვებადა – ვფიქრობთ, სვეტიცხოველი შეიძლება „ქართლის ცხოვრებას“ შევადაროთ და ამ შედარების საშუალებას როგორც აღნიშნული საისტორიო მათიანის, ისე სვეტიცხოვლის მთლიანობაში გააზრება იძლევა. მათი მსგავსება ურთულეს რეგიონში (აღმოსავლეთისა და დასავლეთის გზასაყარზე) მდებარეობითაცაა განპირობებული. ამასთან ორივე ქვეყნის ისტორიისა და პრობლემებისადმი სახელმწიფოებრივ მიდგომას, ეროვნულ იდეოლოგიას, მტერთან შეურიგებლობას განასახიერებს. სვეტიცხოველი იმის ილუსტრაციადაც შეგვი-

ძლია მივიჩნიოთ, თუ როგორ ატარებს დაბალანსების პოლიტიკას ურთულეს რეგიონში – აღმოსავლეთისა და დასავლეთის გზასაყარზე მდებარე ქვეყანა, რადგან ტაძარში ხელოვნებისთვის ნიშანდობლივი ხერხებითაა ეს ხაზი წარმოდგენილი. სვეტიცხოველი მსოფლიოსთან თანაარსებობასაც წარმოაჩენს, როგორც რელიგიური, ისე პოლიტიკური და დიპლომატიური თვალსაზრისით, რაზეც მასში დადასტურებული ზოგიერთი ფრესკა და ქართულ, ბერძნულ და არაბულ ენებზე შესრულებული წარწერებიც მეტყველებს.

კიდევ ერთი ნიუანსია, რაც სვეტიცხოველს „ქართლის ცხოვრებასთან“ აახლოებს. ეს არის სვეტიცხოვლის კავშირი საზღვარგარეთის ქართულ სავანეებთან, მათ შორის ათონის წმინდა მთასთან, რაც ამ ტაძრის საერთაშორისო პროცესებში რელიგიური თუ საერო კუთხით ჩართულობის კიდევ ერთი დადასტურებაა. მნიშვნელოვანია აგრეთვე სვეტიცხოვლის კავშირი ტაო-კლარჯეთის ცენტრებთან, ანტიოქიის საპატრიარქოსთან, არაბულენოვან მართლმადიდებლურ სამყაროსთან და სხვა¹.

ცნობილია, რომ სვეტიცხოვლის ფრესკების უდიდესი ნაწილი XVII საუკუნეს ეკუთვნის. ამიტომ როდესაც ამ ტაძარსა და „ქართლის ცხოვრებას“ შორის პარალელებს ვავლებთ, გასათვალისწინებელია, თუ რა ვითარებაა XVII საუკუნეში და როგორია ამ ეპოქაში „ქართლის ცხოვრებისა“ და სვეტიცხოვლისადმი დამოკიდებულება.

XVII საუკუნე ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი პერიოდია საქართველოს ცხოვრებაში. მას შემთხვევით როდი უწოდებენ რენესანსის ხანას. უმნიშვნელოვანესია, რომ სწორედ ამ დროს განსაკუთრებული ყურადღება ეთმობა ისტორიას, წარსულთან კავშირის აღდგენას. მაშინდელი მოღვაწენი აქცენტს ისტორიაზე, როგორც უმნიშვნელოვანესი პატრიოტული დატვირთვის მქონე დარგზეც აკეთებენ, ასევე მასთან დაკავშირებულ ერო-

1 ნ. ჩიხლაძე, სვეტიცხოვლის მოხატულობანი, კრებული, „სვეტიცხოველი“, 2010, გვ. 237.

ვხვდებით იდეოლოგიაზე, რასაც დიდი მნიშვნელობა ჰქონდა საქართველოსთვის სახიფათო მაჰმადიანური გარემოცვის პირობებში². ასეთ დროს დიდი იყო განათლების როლიც, რაზეც არაერთ სტატიიაში განსაკუთრებით ვამახვილებთ ყურადღებას და აღვნიშნავთ, რომ ურთულეს რეგიონში მდებარე საქართველოსთვის ცოდნა არანაკლები მნიშვნელობის იარაღია, რომლის გარეშეც ძნელია სწორი ანალიზის გაცემა და მოვლენების პროგნოზირება, მით უმეტეს, რომ განათლება ყოველთვის მჭიდროდაა დაკავშირებული ქვეყანაში შექმნილ ვითარებასთან და პოლიტიკასთან. ამითაც ვხსნით ბაგრატიონების განათლებასა და ამ სამეფო დინასტიის მიერ საქართველოს ისტორიის სხვადასხვა ეტაპზე განათლების გამოყენებას, თუნდაც ფეოდალური საქართველოს გაერთიანების დროს (Xს.) და სხვა³. არც ის არის შემთხვევითი, რომ მცირე რენესანსად წოდებულ ხანაში, XVII საუკუნეში, ასპარეზზე ქართველი ენციკლოპედისტები გამოვიდნენ.

სულხან-საბადან მოყოლებული ისინი მთელი XVII და XVIII საუკუნეების მანძილზე იღვწიან და ქვეყანაში ინტელექტუალურ ამინდს ქმნიან, რასაც პრაქტიკული საფუძვლებით ამაგრებენ. ამ საერთო ატმოსფეროში ჩართულია სვეტიცხოველიც, რომელიც სასულიერო თუ საერო განათლების ერთ-ერთ პროპაგანდისტად გვევლინება. ნიშანდობლივია აგრეთვე, რომ ამავე ეპოქაში განსაკუთრებული ყურადღება ეპყრობა „ქართლის ცხოვრებას“ და იწყება მუშაობა ისტორიულ მოვლენებს შორის არსებული წყვეტის ამოსავსებად „ახალი ქართლის ცხოვრების“ შექმნის მიზნით. მაგრამ გარდა წმინდა მეცნიერული მიდგომისა, გაცნობიერებული იყო „ქართლის ცხოვრების“ დიდი იდეოლოგიური დატვირთვა, ხალხში მისი გავრცელებისა და პროპაგანდის აუცილებლობა და ამ გზით ხალხის საქა-

რთველოს ისტორიასთან დაახლოება.

XVII საუკუნეშიც „ქართლის ცხოვრება“ ყველაზე მეტად საკითხავი წიგნი იყო. ყველას უნდოდა ეს დიდი მატრიანე ხელთ ჰქონოდა. ცნობილია მარიამ დედოფლის წვლილი „ქართლის ცხოვრების“ პოპულარიზაციისა და გავრცელების საქმეში. მისივე მითითებით გადაიწერა „ქართლის ცხოვრება“ (მარიამისეული „ქართლის ცხოვრება“). ყურადღებას იპყრობს შემდეგი ფაქტიც. „ქართლის ცხოვრებაზე“ მზრუნველი მარიამ დედოფალი სვეტიცხოველზე მზრუნველადაც გვევლინება, და მის სახელს (როსტომ მეფესთან ერთად) ჩამონგრეული გუმბათის შეკეთებაც უკავშირდება და სხვ. ასევე მარიამ დედოფალთანაა დაკავშირებული ტაძრის წარწერები, რაც ასევე ეხმიანება „ქართლის ცხოვრებას“.

ამდენად დასტურდება როგორც „ქართლის ცხოვრების“, ისე სვეტიცხოვლის მიმართ თანაბრად გამოვლენილი ყურადღება, რაც მოწმობს, თუ რამდენად გააზრებული ჰქონდათ მაშინდელ ქართველებს სვეტიცხოვლის მნიშვნელობა და „ქართლის ცხოვრებასთან“ მისი კავშირი, რაც ასევე არ არის გამორიცხული. ყოველივე ეს საქართველოს ისტორიის მთლიანობაში გააზრებასაც გულისხმობს. ვფიქრობთ, სვეტიცხოვლის ზოგიერთ ფრესკაზე „ქართლის ცხოვრების“ პირდაპირი გავლენაც უნდა დავინახოთ.

სვეტიცხოველი თავისი შინაარსით XVII საუკუნის გამოწვევებს პასუხობს, რითაც უმნიშვნელოვანეს ისტორიულ მისიას ასრულებს. მაგრამ არის მთელი რიგი თემები და პრობლემები, რომლებზეც სვეტიცხოველში განსაკუთრებული აქცენტი კეთდება. ამ მხრივ უმნიშვნელოვანესად მიგვაჩნია სვეტიცხოვლის სამხრეთი კედლის საკმაოდ დიდ სივრცეზე საზღვაო თემატიკის წარმოჩენა შავი ზღვიდან დაშორებულ ქართლის რეგიონში, თანაც მთავარ საკათედრო ტაძარში, რაც ყოველთვის გაკვირვებას იწვევდა და რისი ახსნაც უჭირდათ. ისიც ცნობილია, რომ საქართველოში არსად მსგავსი ფრესკა არ გვხვდება. წლების განმავლობაში ეს კითხვები ჩვენც გვქონდა. სწორედ საზღვაო თემატიკაზე

2 ვ. გაბაშვილი, ვახუშტი ბაგრატიონი, თბილისი, 1969, გვ. 28-43, 130-142.

3 მ. გაბაშვილი, განათლება და დავით კურაპალატის პოლიტიკა, „ლოგოსი“, თბილისი, 2008.

მუშაობამ მიგვიყვანა ამ ფრესკამდე და მისი ახსნის მცდელობამდე. საზოგადოდ საზღვაო საკითხებზე მუშაობამ, რაშიც ქართულ ისტორიოგრაფიაში დიდი ხარვეზი არსებობდა, დაგვანახა, თუ რამდენად აიხსნება საზღვაო ინტერესებითა და პოლიტიკით საქართველოს ისტორიის ესა თუ ის საკითხი. ეს აიხსნებოდა თუნდაც დასავლეთ საქართველოს ქალაქების ეკონომიკურ მდგომარეობასა და კეთილდღეობაზე, რაც შავ ზღვაზე არსებულ ვითარებაზე იყო დამოკიდებული.

ასე მაგალითად, X საუკუნეში ხმელთაშუა ზღვაზე არაბეთ-ბიზანტიის მეტოქეობის შედეგად შავი ზღვა ჩაიკეტა, რამაც შეაფერხა გარე სამყაროსთან, განსაკუთრებით ევროპასთან დასავლეთ საქართველოს ქალაქების ურთიერთობა. მხოლოდ XI-XIII საუკუნეებში, როდესაც შავ ზღვაში იტალიელები – ვენეციელები და გენუელები შემოვიდნენ და თავიანთი ფაქტორიები დაარსეს, შავ ზღვას დასავლეთისკენ და მსოფლიოს სხვა დიდი ცენტრებსკენ გზა გაეხსნა⁴.

XVII საუკუნეშიც, როდესაც სვეტიცხოვლის ფრესკები იქმნებოდა, შავ ზღვაზე ოსმალები ბატონობდნენ და ამ ზღვას „ოსმალთა ტბასაც“ უწოდებდნენ. ოსმალები, ყველა დამპყრობლის მსგავსად, ქართველების შავი ზღვიდან განდევნას ცდილობდნენ. ქართველები მტრის ამ მოძალეობას სხვადასხვა გზით ებრძოდნენ, როგორც იარაღით, ისე პოლიტიკითა და დიპლომატიით. გარკვეულ სიტუაციაში ოსტატურად იყენებდნენ ოსმალებისთვის პერიოდულად შექმნილ მძიმე ვითარებას, რაც ოსმალების სერიოზულ შეშფოთებას იწვევდა. ასეთ დროს დიდი მნიშვნელობა ჰქონდა შავი ზღვის თემატიკის წინ წამოწევისა და პროპაგანდას, რასაც ვფიქრობთ, კიდევ აკეთებს სვეტიცხოვლის ჩვენთვის საინტერესო ფრესკა, რაც ამ ტაძრის მისიის ერთ-ერთ მნიშვნელოვან ფუნქციად უნდა მივიჩნიოთ. ამით აქცენტი, თანაც მთავარ საკათედრო ტაძარში, ქართველების ზღვისადმი განსაკუთრებულ

დამოკიდებულებასა და მნიშვნელობაზეც კეთდება. ვფიქრობთ, მას ისეთივე დატვირთვა აქვს, როგორც „ვეფხისტყაოსანში“ ფართოდ წარმოდგენილ ზღვისა და ზღვაოსნობის თემას, რაც ასევე დიდხანს იყო იგნორირებული. თავისთავად მრავლისმეტყველია ის ფაქტი, თუ რამდენად ღრმად იცნობს შოთა რუსთაველი ზღვაოსნობასა და ზღვაოსნობასთან დაკავშირებულ საკითხებს. გასათვალისწინებელია ისიც, რომ საზღვაო ტერმინოლოგიის დიდი ნაწილი ქართულია⁵. ამდენად ქარწყლდება მოსაზრება ქართველების ზღვისადმი გაუცხოების თაობაზე. მხედველობაშია მისაღები, რომ „ვეფხისტყაოსანი“ „ქართლის ცხოვრებასთან“ ერთად ერთ-ერთ ყველაზე მეტად საკითხავ წიგნს წარმოადგენდა და ამ გზითაც ქართველების სხვადასხვა თაობას მუდმივი კონტაქტი ჰქონდა ზღვასთან, საზღვაო თემებთან, საზღვაო მოგზაურობასთან, საზღვაო ტრანსპორტთან, ვაჭრობასთან და სხვ. ეს ჩანს მდიდარი არქეოლოგიური, ეთნოგრაფიული, ნუმიზმატიკური და ფოლკლორული მასალიდან, მითებიდან (არგონავტების შესახებ და სხვა).

საზღვაო თემატიკა ასევე საინტერესოდ არის წარმოდგენილი „ქართლის ცხოვრებაში“, რამაც საშუალება მოგვცა ახლებურად გაგვეშუქებინა ვახტანგ გორგასლის (რომლის პორტრეტიც სვეტიცხოველში XIX ს. რესტავრაციის დროს განადგურდა) დამოკიდებულება ტრაპიზონისადმი აღმოსავლური და დასავლური პოლიტიკის ჭრილში, ანუ ირკვევა, რომ ეს ინტერესი თამარის ეპოქამდე გაცილებით ადრე არსებობდა⁶.

X საუკუნეშიც, ფეოდალური საქართველოს გაერთიანების პროცესში, დავით კურაპალატის წინაშე დგება ტრაპიზონის საკითხი, თუმცა ქართულ ისტორიოგრაფიას ეს ფაქტი გამორჩა. ტრაპიზონის პოლიტიკა სწო-

4 მ. გაბაშვილი, საქართველოს ქალაქები XI-XII საუკუნეებში, თბილისი, 1981, გვ. 54-63.

5 თ. კუტალიაშვილი, ნაოსნობა საქართველოში, თბილისი, 1987, გვ. 135.

6 მ. გაბაშვილი, ვახტანგ გორგასლის საზღვაო პოლიტიკის ისტორიიდან, სამეცნიერო კრებული, რომი მეთრეველი 70, თბილისი, გვ. 2009.

რედაც ამ ეპოქაში იძენს პროგრამულ ხასიათს, რაც შემდგომ ხანებში სხვადასხვა სახითა და ფორმით ვლინდება. ამავე პერიოდსა და ასეთივე პროგრამულ მიდგომას უნდა დავუკავშიროთ ბიზანტიის იმპერიის მემკვიდრეობაზე პრეტენზიაც, რაც გამოძახილს შემდეგ საუკუნეებშიც პოულობს⁷. კერძოდ, ვარძიის ფრესკაზე თამარი წითელ ფეხსაცმელებშია გამოსახული, რომლის ტარების უფლებაც მხოლოდ ბიზანტიის იმპერატორს ჰქონდა, გაცილებით ადრე კი ოშკის ტაძარზე დავით კურაპალატი ბიზანტიის იმპერატორის გვირგვინითაა გამოსახული⁸.

დავითის შემდეგაც ეს იდეა დასტურდება როგორც ზოგიერთი მეფის ტიტულატურით (გიორგი II-ის), ისე მონეტებით (დავით აღმაშენებლის) და სხვ. თამარის ეპოქაში კი აღნიშნული პოლიტიკა ყველაზე დიდ წარმატებას აღწევს. თუმცა ამ მიმართულებით კვლევას ხელს უშლიდა ის გარემოება, რასაც სათანადო ნაშრომებში ვასაბუთებთ კიდევ, რომ თამარის მიერ ტრაპიზონის იმპერიის დაარსებას (1204წ.) და ირანში ლაშქრობას (1210წ.), ამ ორ ურთიერთდაკავშირებულ მოვლენას ქართული ისტორიოგრაფია ერთმანეთისგან იზოლირებულად განიხილავდა. ამით იკარგებოდა თამარის პოლიტიკის რეალური მასშტაბი⁹. ეს ეხება თამარის საზღვაო პოლიტიკასაც, რომელიც ორ ეტაპად უნდა დაიყოს. პირველ ეტაპში ტრაპიზონის იმპერიის დაარსება უნდა ვიგულისხმოთ, მეორე ეტაპში კი, როგორც ქართული და ბიზანტიური წყაროები-

დან ჩანს, კონსტანტინოპოლისკენ სვლა¹⁰. ამ მეორე ეტაპის განხორციელებაც თამარმა მის მიერ ტრაპიზონის ტახტზე დასმული ალექსი I კომნენოსის (1204წ.) ძმის, დავითის ხელით დაიწყო, რომელიც, და ეს მრავლისმეტყველია, აღიღებდა ალექსის და თავს მის წინამორბედად და მაცნედ წარადგენდა¹¹. მაგრამ მონღოლების გამოჩენამ ეს გეგმები ჩაშალა. თუმცა ეს იდეა XVII ს. სვეტიცხოვლის ფრესკების შექმნის დროისთვის სხვადასხვა სახითა და ფორმით არსებობდა.

ზემოთ განხილული პოლიტიკა ბადებს კითხვას, შეიძლებოდა თუ არა ეს პოლიტიკა სვეტიცხოველშიც ასახულიყო. ამაზე ქვემოთ. მანამდე კი უნდა აღინიშნოს, თუ რამდენად დიდი პროპაგანდა ეწეოდა ამ იდეას. ეს ჩანს თამარის მეხოტბეთა ნაწარმოებებიდანაც, რომლებიც თამარს „კესაროს“, „ახალო რომოს“, „ახალო ხვასროსა“ და „ჯიმშედ მფლობელს“ (სპარსეთის მფლობელს) უწოდებენ. ამით მის აღმოსავლურ და დასავლურ პოლიტიკასაც ასახავენ და, რაც მთავარია, სპარსეთის პოლიტიკასა და ტრაპიზონის იმპერიის დაარსებას შორის კავშირსაც. რაც ასევე მნიშვნელოვანია, ტრაპიზონის იმპერიის დაარსების ფაქტს შავთელიც აღნიშნავს¹². „ვეფხისტყაოსანიც“, რომელიც თამარის მეხოტბეებს შავთელსა და ჩახრუხაძეს ეხმაურება, თამარის ამ მასშტაბური პოლიტიკის ქარგაზეა აწყობილი. ამიტომაც ბუნებრივია, რუსთაველმა ის თამარ მეფის წარმატებულ პოლიტიკას რომ მიუძღვნა. თამარ მეფის პოლიტიკის ასე-

7 მ. გაბაშვილი, ტრაპიზონის იმპერიის დაარსების წინაპირობები, კრებული თამარ გამსახურდია 70, თბილისი, 2007, გვ. 121.

8 ვ. ჯობაძე, ადრეული შუა საუკუნეების ქართული მონასტრები ისტორიულ კლარჯეთსა და ტაოში, თბილისი, 2006, 140, 175.

9 მ. გაბაშვილი, თამარ მეფის აღმოსავლური და დასავლური პოლიტიკა, კრებული, ვალარიან გაბაშვილი 90, თბილისი, 2003, გვ. 188-193. M.Gabashvili, Politique de la reine Thamar envers la Perse et l'Occident, Paris, 2009.

10 მ. გაბაშვილი, თამარ მეფის საზღვაო პოლიტიკის ისტორიიდან, კრებული, ვალერიან გაბაშვილი 90, თბილისი, 2003, გვ. 165-173.

11 ნიკეტა ხონიატე, გეორგიკა, VI, თბილისი, 1966, გვ. 131.

12 მ. გაბაშვილი, თამარ მეფის აღმოსავლური და დასავლური პოლიტიკა მხატვრული ნაწარმოებების მიხედვით („ვეფხისტყაოსანი“, „აბდულმესიანი“, „თამარიანი“), კრებული აღმოსავლეთი და კავკასია, 3, თბილისი, 2005, გვ. 72-73; მისივე, თამარის ფრესკული პორტრეტები როგორც საისტორიო წყარო, კრებული გიორგი ნადირაძე 80, თბილისი, 2012, 22-37.

თი გააზრებით ნათელი ხდება, რომ გულანშარო ტრაპიზონია და ის არ უნდა ვეძებოთ არც აზიაში, არც ევროპაში (ვენეცია) და, მით უმეტეს, არც აფრიკაში¹³.

ყურადსაღებია შემდეგი გარემოებაც. უძველესი დროიდან მოყოლებული, როგორც ქართულ, ისე უცხოურ წყაროებში დადასტურებულია საქართველოსა და ქართველებთან დაკავშირებული შავი ზღვის არაერთი სახელწოდება: „კოლხთა ზღვა“, „ფასიანის ზღვა“ (აბრაჰამ ორტელიუსის პორტოლანი 1590წ.), „ლაზთა ზღვა“, „სპერის ზღვა“, „ტრაპიზონის ზღვა“, „ქართველთა ზღვა“, რომელიც XX საუკუნის სპარსელი ანონიმი ავტორის თხზულებაში („ჰუდუდ ალ-ალამი“) გვხვდება და მას ქართული წყაროების წმინდა ქართული სახელწოდება „სპერის ზღვა“ მიესადაგება (რაც იგივე იბერიის ზღვაა)¹⁴. მოგვიანო პერიოდში ჩნდება „დავითის ზღვა“, რომელსაც დავით აღმაშენებლის სახელს უკავშირებენ¹⁵. XVIII ს. იტალიურ პორტოლანებზე დადასტურებული „მეგრელთა ზღვა“ კი „კოლხეთის ზღვის“ გვიანდელი ასახვაა. სვეტიცხოვლის საზღვაო თემატიკის აღმნიშვნელი ფრესკა მხატვრული ფორმით მიესადაგება შავი ზღვის ამ სახელებს. ჩვენი დაკვირვებით, მას აშკარად შავი ზღვის ფორმა აქვს, რაც იტალიურ პორტოლანებზე გამოსახული შავი ზღვის ასოციაციას იწვევს.

სვეტიცხოვლის საზღვაო თემატიკის ამსახველი ფრესკა, მართალია, 148-150

ფსალმუნის ანარეკლია, მაგრამ მასში მნიშვნელოვანი საერო მოტივებიცაა და საერთოდ, ეს ფრესკა საზღვაო ისტორიის ერთ-ერთ საინტერესო წყაროდაც უნდა მივიჩნიოთ. აბოხოქრებულ ზღვაში სხვადასხვა ხასიათის სიმბოლოები და ურჩხულებია გამოსახული, ზღვაში მცურავ აფრიან ხომალდებზე კი მეწამულ ფონზე ოქროსფერჯვრიანი ქართული დროშებია. ამ ფრესკის ენას თუ გავშიფრავთ, შემდეგ ისტორიულ რეალობას დავინახავთ. ის შავ ზღვაზე ბიზანტიის იმპერიის დაცემის შემდეგ (1453 წ.) შექმნილ ვითარებას უნდა დავეკავშიროთ, პერიოდს, როდესაც ოსმალები შავ ზღვაში გაბატონებას ცდილობენ და პრეტენზია აქვთ შავი ზღვა „ოსმალთა ტბად“ გადააქციონ. რაც შეეხება ქართულ დროშას ქრისტიანული სიმბოლიკით, ის ქართველების შავი ზღვის თურქიზაციისა და ისლამიზაციის წინააღმდეგ ბრძოლის სიმბოლოდ უნდა გავიგოთ¹⁶. ეს ფრესკა სხვა მხრივაც არის ყურადსაღები, ვინაიდან საქართველოს ორიენტაციის საკითხსაც უკავშირდება.

ცნობილია, რომ XVII საუკუნის საქართველოში სხვადასხვა სფეროში ევროპეიზაციის პროცესი შეინიშნება. სათანადო კვლევამ გვიჩვენა, რომ ეს პროცესი სვეტიცხოველზეც აისახა. მაგალითად, ამ ფრესკის ოთხივე კუთხეში გამოსახული ქარის პერსონიფიცირებული სიმბოლიკა მხოლოდ ევროპული პორტულანებისთვისაა ნიშანდობლივი. დროშა კი ევროპულ პორტულანებზე დადასტურებული ქართული დროშების ანალოგიურია. ევროპული მხატვრობის გავლენას ხედავენ სვეტიცხოველში მარიამ დედოფლის ფრესკაზეც. საზოგადოდ შავი ზღვა საქართველოსთვის დასავლეთთან ურთიერთობის გზაც იყო. ამ მხრივ საინტერესოა ევროპული ბატისტა ანიეგეს XVI ს. პორტულანი, რომელზეც ქართველი მეფის (ვინაობა არ არის მითითებული) მზერა შავი ზღვისკენ არის მიპყრობილი.

13 მ. გაბაშვილი, ზღვაოსნობა და გულანშაროს საკითხი „ვეფხისტყაოსანში“, კრებული შოთა მესხია 90, თბილისი, 2006.

14 ამ მასალების თაობაზე შესაბამისი წყაროები იხილეთ მ. გაბაშვილი, შავი ზღვის აღმნიშვნელი სახელწოდება „ქართველთა ზღვა“ X საუკუნის სპარსულ ისტორიოგრაფიაში („ჰუდუდ ალ-ალამი“), კრებული სამეცნიერო პარადიგმები, ნათელა ვაჩნაძე 70, თბილისი, 2009; მისივე, შავი ზღვა ქართული წყაროების მიხედვით, თბილისი სახელმწიფო უნივერსიტეტის შრომები, 186, თბილისი, 1978.

15 ი. კვიციანი, შავი ზღვის ერთი სახელწოდება-სათვის, ონომასტიკური კრებული, თბილისი, 1993.

16 მ. გაბაშვილი, აფრიანი ხომალდები ქართული დროშებით სვეტიცხოვლის ფრესკაზე, სამეცნიერო ჟურნალი ქართველოლოგია, თბილისი, გვ. 2016, 45-46, 46-47.

სვეტიცხოვლის მარიამ დედოფლის ფრესკაზე მუშაობისას ჩვენ გარკვეული პარალელები დავინახეთ ვარძიის თამარის ფრესკასთან, რომელშიც წარწერებით, მხატვრული ხერხებითა და სიმბოლოებით ქართული სახელმწიფოს პროგრამაა წარმოდგენილი – აღმოსავლეთისა და დასავლეთის, ტრაპიზონის და ბიზანტიის მემკვიდრეობაზე პრეტენზია, საიდანაც ჩანს, რომ ტრაპიზონის იმპერიის დაარსებას და ირანში ლაშქრობას (და ასეა თამარის მხატვრობებთანაც), შუა საუკუნეების ავტორები, თანამედროვე ისტორიკოსებისგან განსხვავებით, ურთიერთკავშირში ხედავდნენ და იაზრებდნენ. ჩვენი კვლევისთვის ასევე მნიშვნელოვანი აღმოჩნდა, რომ ვარძიის ფრესკისთვის დამახასიათებელი ნიშნები მარიამ დედოფლის ფრესკაზეც გვხვდება, რაც ვარძიის ფრესკის ირიბ პოლიტიკურ ასახვას და მასთან ისტორიულ კავშირს ადასტურებს¹⁷. ჩანს, თანამედროვენი და, მათ შორის, ბერი ეგნატაშვილი მარიამ დედოფალს შემთხვევით არ ადარებდნენ თამარ მეფეს¹⁸. ამდენად სვეტიცხოვლის მარიამის ფრესკა და თამარის ვარძიის ფრესკა, ეპოქათა შორის არსებული სხვაობის მიუხედავად, ერთ მთლიანობაში უნდა განვიხილოთ. რაც მთავარია, ორივე შემთხვევაში ზღვა და ზღვასთან დაკავშირებული პრობლემები უმნიშვნელოვანესია. ამიტომაც მარიამის ფრესკა შემთხვევით არ არის საზღვაო თემატიკის ფრესკის გვერდით გამოსახული. აღსანიშნავია ისიც, რომ ამავე ეპოქაში (XVI–XVII სს.) აღმოსავლურ წყაროებში და ფოლკლორში, რუსულ თქმულებაში დინარაზე ინტერესი თამარ მეფისადმი დიდია.

სვეტიცხოველს კიდევ ერთი მნიშვნელოვანი მისია აქვს. საზღვაო თემატიკის ფრესკის ქვეშ უჩვეულო სილადით გამორჩე-

ული ფრესკაა, რომელზეც მოცეკვავე ქალების სამაიაა წარმოდგენილი, უკანა პლანზე კი ფერხული და მუსიკოს მამაკაცთა დასი. საზოგადოდ ქართული ცეკვა (ამ შემთხვევაში სამაია და ფერხული) თავისი ხასიათით საქართველოს ისტორიის ასახვაცაა და ქართველების ომებში გამოწრთობილი ხასიათისა და ბუნების დემონსტრირებაც, მტრისადმი დაუმორჩილებლობისა და ოპტიმიზმის ერთგვარი პროპაგანდაც¹⁹. ცნობილია, რომ პლატონი, ქსენოფონტე და სხვები ცეკვას მხოლოდ ცეკვად არ განიხილავდნენ. ქსენოფონტე იმასაც წერს, რასაც თავის დროზე ივ. ჯავახიშვილმა მიაქცია ყურადღება, რომ ჭანები საომარ მოქმედებას სიმღერითა და ცეკვით იწყებდნენ²⁰.

პლატონ იოსელიანმა (XIX ს.) ქართველების ეს თვისება ზოგადად საქართველოს ისტორიულ ჭრილში განიხილა. ამასთან დაკავშირებით იგი აღნიშნავს: „ქართველები ჭირსა და ლხინსა აერთებენ. ესრეთ იყო მაშინ და ესრეთვე არს დღეს“²¹. იგივე სქემასთან გვაქვს საქმე სვეტიცხოველშიც. ამითაც, ისევე როგორც სხვადასხვა კუთხით და თვალსაზრისით, დიდია ამ დიდებული ტაძრის ისტორიული მისია.

17 მ. გაბაშვილი, მარიამ დედოფლისა და ოტია უფლისწულის ფრესკა სვეტიცხოვლის ტაძარში (ისტორიული და ხატვრული თვალსაწიერიდან), სამეცნიერო ჟურნალი ქართველოლოგია, თბილისი, 2017, გვ. 85–94.

18 ბერი ეგნატაშვილი, ახალი ქართლის ცხოვრება, თბილისი, II, 1959, გვ. 441.

19 მ. გაბაშვილი, ცეკვის სცენა და მუსიკოსთა დასი სვეტიცხოვლის ფრესკაზე, სამეცნიერო ჟურნალი ქართველოლოგია, 1, თბილისი, 2017.

20 ი. ჯავახიშვილი, ქართული მუსიკის ისტორიის ძირითადი საკითხები, თბილისი, 1990, გვ. 211.

21 ცხოვრება მეფისა გიორგი მეცამეტისა აღწერილი პლატონ ეგნატის ძის იოსელიანისაგან, თბილისი, 1978, გვ. 216–217.

ქართული და უცხოური წერილობითი წყაროები საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალიის შესახებ V–XII საუკუნეებში

ლევან ტყემელაშვილი

ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი

ივერიის უძველესი ეკლესია სამოციქულო წარმომავლობისაა, ვინაიდან პირველი საუკუნის 40–იან წლებში საქართველოს ტერიტორიაზე ქრისტეს ხუთმა მოციქულმა იქადაგა. სწორედ ამ დროიდან იღებს სათავეს საეკლესიო იერარქია საქართველოში, რომელიც უშუალოდ ქრისტეს მოციქულებმა დააფუძნეს. მოციქულთა განსაკუთრებული ინტერესი საქართველოს მიმართ შემთხვევითი არ იყო, ქართული სახელმწიფოს სტრატეგიულმა მდებარეობამ და პოლიტიკურმა წონადობამ მის მიმართ განსაკუთრებული ინტერესი გააჩინა. ეს პროცესი IV საუკუნეშიც, 313 წლის მილანის ედიქტის გამოცხადების შემდეგაც გაგრძელდა, როდესაც რომის იმპერიის პარალელურად საქართველოშიც ქრისტიანობა სახელმწიფო რელიგიად გამოცხადდა. ამ უმნიშვნელოვანესი საქმის დაგვირგვინებას ხელი შეუწყო ქართველი მეფის მირიანისა და ბიზანტიის იმპერატორ კონსტანტინე დიდის (306–337) შეთანხმებულმა და მიზანმიმართულმა ქმედებამ. ასეთი მჭიდრო ურთიერთობა ბიზანტია–საქართველოს შორის V საუკუნეშიც გაგრძელდა, როდესაც ივერიის ეკლესიაში საკათოლიკოსო ჩამოყალიბდა. ამ შემთხვევაშიც აშკარად ჩანს ვახტანგ მეფისა (442–502) და ბიზანტიის იმპერატორ ლეონ დიდის (457–474) ახლო ურთიერთობა. ქართული წერილობითი წყაროების მიხედვით, საქართველოს ეკლესია ჯერ კიდევ IV საუკუნიდან ანტიოქიის უძველეს საპატრიარქოს დაქვემდებარებაში, რაც გეოგრაფიული თვალსაზრისით იყო განპირობებული, რადგან ანტიო-

ქიის საპატრიარქო ტერიტორიულად ახლოს იყო საქართველოსთან.

უძველესი ქართული წყაროები „მოქცევაი ქართლისაი“ და ჯუანშერის „ცხოვრება ვახტანგ გორგასლისა“ საქართველოს ეკლესიაში საკათოლიკოსოს დაარსებას წმიდა მეფე ვახტანგ გორგასალსა და მიქაელ მთავარეპისკოპოსს შორის მომხდარ კონფლიქტს უკავშირებს.

მართალია, „მოქცევაის“ რედაქციებში და ჯუანშერის თხზულებას შორის გარკვეული განსხვავებებიც არის, მაგრამ ერთი რამ ნათლად არის გაცხადებული – საქართველოს ეკლესია ამ დროისათვის ანტიოქიის საპატრიარქოს ექვემდებარება და ვახტანგ მეფე თავისი კავშირების წყალობით ახორციელებს ამ რეფორმას. ქართული წყაროების მიხედვით, მეფე სპარსეთიდან ბრუნდება და სწორედ მაშინ ხდება მღვდელმთავართან დაპირისპირება. „მოქცევაი ქართლისაის“ ყველაზე ძველი შატბერდული ვარიანტი მწირ ცნობებს გვაწვდის ამასთან დაკავშირებით: „შემდგომად რაოდენისამე ჟამისა მოიქცა, და მთავარეპისკოპოსი იყო მიქაელ. და მან მიამთხვა ფერხი პირსა მეფისასა ვახტანგს“ (მოქცევაი 1979:325). წყარო არ ასახელებს კამათის მიზეზს და ეხება მიქაელ მთავარეპისკოპოსის მხრიდან მეფის შეურაცხყოფას, რასაც მეფის მიერ ბიზანტიაში წარმომადგენლების გაგზავნა მოჰყოლია და „ითხოვა მეფისაგან და პატრიარქისაგან კათალიკოზი“. ასეთი მშრალი ინფორმაცია გარკვეულ გაუგებრობას იწვევს. ჯუანშერის თხზულება კი აღნიშნულ საკითხზე

უფრო მრავალსმთქმელია. წყარო გვაუწყებს დაპირისპირების მიზეზს და აცხადებს ბიზანტიის იმპერატორის სახელს, რაც გარკვეული დასკვნების გამოტანის საშუალებას იძლევა. ჯუანშერი ასახელებს იმპერატორ ლეონს, რომელიც 474 წლამდე მოღვაწეობდა, ე.ი. ბიზანტიაში წარმომადგენლები მეფეს 474 წლამდე გაუგზავნია. „და წარვიდა ლეონ ბერძენი და სპა მისი შიშმატად, ხოლო ვახტანგ წარავლინა მოციქული წარმოყვანებად ცოლისა მისისა და პეტრესთვის კათოლიკოსისა და სამოელ ეპისკოპოსისა“ (ქართლის ცხოვრება 1955:196). ნათელია, რომ ამ დროისათვის ვახტანგ მეფეს უკვე გარდაცვლილი ჰყოლია პირველი მეუღლე და, რაც ყველაზე მეტ ინტერესს იწვევს, ლეონ დიდის მეფობის პერიოდში ვახტანგი უნათესავდება ბიზანტიის იმპერატორს, ამავდროულად ჩამოჰყავს კათოლიკოსი, ე.ი. ჯერ მოხდა კონფლიქტი მეფე-მღვდელმთავარს შორის, რის შემდეგაც მეფე ქმედით ნაბიჯს დგამს და ბიზანტიიდან ჩამოჰყავს მეუღლე და კათოლიკოსი; ვახტანგ მეფე პოლიტიკურად და ეკლესიურად მჭიდრო კავშირს ამყარებს ბიზანტიასთან, რაც მისი მართლმადიდებლური ორიენტაციით იყო განპირობებული.

ჯუანშერის თანახმად, მეფეს ჯერ კიდევ კონფლიქტამდე ჰქონდა გადაწყვეტილი ბიზანტიიდან კათოლიკოსის ჩამოყვანა, რადგან მიქაელ მთავარეპისკოპოსმა მეფის ჩამოსვლისას შეიტყო ბიზანტიაში გაგზავნილი დელეგაციის შესახებ. ჯერ კიდევ ექვთიმე თაყაიშვილი და სარგის კაკაბაძე აღნიშნავენ, რომ მიქაელის გაბოროტება გამოიწვია ვახტანგ მეფის შუამდგომლობამ აღმოსავლეთ რომის იმპერიის მთავრობასთან და კონსტანტინოპოლის პატრიარქთან პეტრეს კათოლიკოსად დასმის თაობაზე. სწორედ აღნიშნული კონფლიქტის შემდეგ მოხდა ბიზანტიიდან კათოლიკოს პეტრეს ჩამოყვანა, რომელიც მცხეთის პირველი კათოლიკოსი იყო.

საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალიის ადრეული პერიოდის შესახებ უმნიშვნელოვანეს წყაროს წარმოადგენს XI საუკუნის გამოჩენილი ქართველი მოღვაწის

ეფრემ მცირის თხზულება „უწყებაი მიზეზსა ქართველთა მოქცევისასა, თუ რომელთა შინა მოიხსენიების“. წყარო მრავალი თვალსაზრისით არის საინტერესო, მათ შორის იმით, რომ მასში განსაკუთრებული ადგილი ეთმობა საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალიის თემას. ეფრემის თხზულება უშუალოდ ძველი ბერძნული წყაროდან „ანტიოქიური ქრონოგრაფიდან“ მომდინარეობს და განსაკუთრებით ფასეულია. პატრიარქ თეოფილაქტე ანტიოქიელის (744–750) მოღვაწეობის წლებში საქართველოდან ჩასულ ორ მონაზონს პატრიარქისათვის თავიანთი გასაჭირი მოუხსენებიათ, რომ თითქოს ანტიოქიის პატრიარქ ანასტასის (602–610) დროიდან ანტიოქიაში ქართველთათვის არ უკურთხებიათ კათოლიკოსი: „არა კურთხეულ არს მათდა კათოლიკოსი მთავარეპისკოპოსი სიძნელისათვის გზისა“ (ეფრემ მცირე 1959:9). ტენდენციურია თხზულების ეს კონკრეტული მონაკვეთი, რომელმაც ისტორიკოსი ბ.ლომინაძე ბრძანებდა: „ცნობა იმის შესახებ, რომ ანტიოქიის პატრიარქის ანასტასის (602–610) დროიდან ქართველების გამგზავრება ანტიოქიაში შეწყვეტილი იყო აგარიანთაგან გზის სიძნელის გამო, სინამდვილეს არ შეესაბამება, რადგან არაბებმა ანტიოქია დაიპყრეს 633 წლიდან, ხოლო საქართველოში არაბები გამოჩნდნენ 642–643 წელს“ (ლომინაძე 1999:34). „ანტიოქიური ქრონოგრაფის“ ცნობები აშკარად ეწინააღმდეგება ძველ ქართულ წყაროებს, რადგან ანასტასი ანტიოქიელის მოღვაწეობიდან, ე.ი. 610 წლიდან თეოფილაქტე ანტიოქიელის მოღვაწეობამდე „არა კურთხეულ არს მათდა კათოლიკოსი“, გამოდის, რომ მთელი 140 წლის მანძილზე საქართველოს ეკლესიას კათოლიკოსი არ ჰყავდა, რაც სინამდვილეს არ შეესაბამება. ამ ხნის განმავლობაში დაახლოებით 16 კათოლიკოსი მოღვაწეობდა მცხეთის საკათოლიკოსო ტახტზე (ტყეშელაშვილი 2014:94).

ტენდენციურობის მიუხედავად, „ქრონოგრაფის“ ამ მოკლე აბზაციდან დასტურდება ის ფაქტი, რომ საქართველოს ეკლესიას კათოლიკოსი ჰყავდა, ე.ი. 744–450 წლამდე

ჩვენს ეკლესიაში კათოლიკოსი მოღვაწეობდა და ამ ფაქტს თავად ბერძნული წყარო აღიარებს. შესაძლოა „ანტიოქიურ ქრონოგრაფში“ აისახა უძველესი ინფორმაცია, ანტიოქიაში ვახტანგ გორგასლის დროს მცხეთის პირველი კათოლიკოსისა და შემდეგი კათოლიკოსების ანტიოქიაში კურთხევის შესახებ. ამიტომ ეს ცნობა შეცდომით გვიან პერიოდზეც გადაიტანეს. აქედან გამომდინარე უნდა დავასკვნათ, რომ ეგრემ მცირის თხზულება, რომელიც უცხოური წყაროდან მომდინარეობს, კიდევ ერთხელ ადასტურებს იმ ფაქტს, რომ VIII საუკუნემდე საქართველოში კათოლიკოსი მოღვაწეობდა, რაც ირიბად მიგვანიშნებს იმას, რომ საქართველოს ეკლესიაში საკათოლიკოსო ვახტანგ გორგასლის პერიოდიდანვე არსებობდა.

საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალიის კანონიერება ბერძნებმა არაერთგზის დააყენეს ეჭვქვეშ. XI საუკუნის შუახანს საქართველოს ეკლესიის უფლებების დაცვაში განსაკუთრებული ღვაწლი მიუძღვის ღირს მამა გიორგი მთაწმინდელს, რომლის ცხოვრებაც გიორგი მცირემ აღწერა. ანტიოქიის პატრიარქ თეოდოს III-ის (1057-1076) მოღვაწეობის დროს შავ მთაზე მოღვაწე სვიმონწმინდელმა ბერებმა ქართველები ანტიოქიის პატრიარქთან დაასმინეს. მათ ქართველთა ჭეშმარიტ სარწმუნოებაში შეიტანეს ეჭვი: „არა უწყით, თუ რაისა ზრახვენ, ანუ რაი არს სარწმუნობა მათი“; მათი მეორე ბრალდებით კი თითქოს „ათორმეტთა მოციქულთაგანი არავინ მისრულ არს ქვეყანასა მათსა“. მიუხედავად ბრალდებებისა, ბერძნები თავადვე აღიარებენ, რომ ამ დროისათვის ქართველებს ავტოკეფალური ეკლესია აქვთ: „ეკლესიანი და მღვდელთმოდუარნი ქართველთანი, არა რომლისა პატრიარქისა ხელმწიფებასა ქუეშე არიან და ყოველნი საეკლესიო წერილნი მათ მიერ განეგებიან და თვით დაისმენ კათალიკოზთა“ (საბინინი 1882: 462). ნათელია, რომ ქართველები ამ დროს არცერთ პატრიარქს არ ექვემდებარებოდნენ და ისინი თავად აკურთხებდნენ კათოლიკოსს. გიორგი მთაწმინდელმა ბერძნებს ბერძნული წყაროებით

დაუსაბუთა საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალიის კანონიერება; თავდაპირველად მან წარმომავლობით ქართველ მიტროპოლიტს „ანდრია მოციქულის მიმოსვლა“ მოატანიდა, რომელშიც დადასტურებული იყო საქართველოში ანდრია პირველწოდებულის მოღვაწეობის სინამდვილე. გიორგი მთაწმინდელმა ბერძნებს ასევე აუწყა, რომ ქრისტეს მეორე მოციქული „სიმეონს ვიტყვ კანანელსა, ქვეყანასა ჩუენსა დამარხულ არს აფხაზეთს, რომელსა ნიკოფსი ეწოდების“. ამით ღირსმა მამამ კიდევ უფრო გაამყარა თავისი არგუმენტები საქართველოში მოციქულთა მოღვაწეობის შესახებ, რადგან სვიმონ კანანელის დაკრძალვის ფაქტი საქართველოში მოციქულთა მოღვაწეობის უტყუარი ნიშანი იყო. ასევე გიორგი მთაწმინდელის ამ ცნობით კიდევ ერთხელ დასტურდება ის, რომ აფხაზეთი საქართველოს ძირძველი ტერიტორიაა. გიორგი მთაწმინდელმა საერთოდ უარყო საქართველოს ეკლესიის ანტიოქიასთან კავშირის აუცილებლობა. მან განავითარა აზრი იმის შესახებ, რომ ავტოკეფალიის კანონიერების საფუძველი ქვეყნის ტერიტორიაზე მოციქულთა ქადაგებაა, და რომ საქართველოს ეკლესია ისეთივე პატივით სარგებლობდა როგორც ანტიოქიის ეკლესია. კამათისას მან ასევე წმიდა წერილი დაიმოწმა, სადაც იოანეს სახარების პირველ თავში გადმოცემულია, როგორ მიიყვანა ანდრიამ თავისი ძმა ქრისტესთან: „ამან მოიყვანა, იგი იესუსა“ (იოანე. I: 40-42). ამ ფაქტით მან ბერძნებს მიანიშნა, რომ ანტიოქიის ეკლესიის დამაარსებელი პეტრე მოციქული მისი ძმის ანდრიას მიერ იყო მოხმობილი, ამიტომ „ჰმუნის ესრეთ, რათა დაემორჩილოს მწოდებელსა თვისსა და ძმას ანდრიას“. წმიდა წერილზე დაყრდნობით, ღირსმა მამამ ივერიის ეკლესიის უპირატესობა კიდევ ერთხელ მიანიშნა ბერძნებს. ამასთანავე მან ხაზი გაუსვა იმ ფაქტს, რომ საქართველოს ეკლესია პირველი საუკუნეიდანვე ავტოკეფალურია, რისი საფუძველიც საქართველოში მოციქულთა ქადაგებაა.

რაც შეეხება მწვალებლობის ცოდვას, გიორგი მთაწმინდელმა პირიქით, იქით დასდო

ბერძნებს ბრალი და საამისოდ „დიდი სვინაქსარი“ მოიშველია: იყო „ჟამი რომელ ყოველსა საბერძნეთსა შინა მართლმადიდებლობა არა იპოვებოდა და იოანე გუთელი ეპისკოპოსი მცხეთას ეკურთხა ეპისკოპოსად, ვითარცა სწერია დიდსა სვინაქსარსა“. ბერძნული წყარო „იოანე გუთელის ცხოვრება“ ადასტურებს და მთაწმინდელი მამის ბრალდებას; წმიდა მამის ცხოვრებაში დადასტურებული იყო ის ფაქტი, რომ აღმოსავლეთში ივერიის ეკლესია იყო ერთადერთი, რომელიც წმიდად ინახავდა მართლმადიდებლობას, ვინაიდან ბიზანტიის იმპერიაში ხატმებრძოლობის ერესი მძვინვარებდა, სწორედ ამიტომ იოანე გუთელს კონსტანტინოპოლის ნაცვლად მცხეთაში დაასხეს ხელი.

ამ პერიოდის უცხოური წყაროებიდან საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალიის შესახებ გამორჩეულ წყაროს წარმოადგენს ანტიოქიის პატრიარქისა და კანონისტის თეოდორ ბალსამონის (1186-1203) ცნობა. ანტიოქიის პატრიარქი 381 წლის კონსტანტინოპოლის მეორე მსოფლიო საეკლესიო კრების მეორე კანონის განმარტებისას საქართველოს ეკლესიას ახსენებს. საყურადღებოა ის ფაქტი, რომ საეკლესიო კრების თარგმანებს შორის შინაარსობრივი განსხვავება არსებობს. მათგან პირველწყაროსთან შესაბამისობაშია ბერძნულიდან ქართულად ნათარგმნი ვარიანტი, რომელიც 1970 წელს ს. ყაუხჩიშვილმა გამოაქვეყნა: „ნუ გაიკვირვებ თუ სხვა ეკლესიებსაც იპოვი ავტოკეფალურად, როგორც ბულგარეთის ეკლესიას, კვიპროსისა და იბერიისას... იბერიის არქიეპისკოპოსი პატივში აიყვანა ანტიოქიის კრების დადგენილებამ“ (გეორგივა VIII, 1970:18). ამ საკითხს ყურადღება მიაქცია ისტორიკოსმა ვ. გოილაძემ, რომელიც თავის ნაშრომში შენიშნავს, რომ ბალსამონის ტექსტის ბერძნულ და ლათინურ ვარიანტებს შორის განსხვავებაა (გოილაძე 1991:140). აღსანიშნავია, რომ სხვაობა იმდენად დიდია, რომ ლათინურ თარგმანში ტექსტის შინაარსი იცვლება. ბერძნული ვარიანტი: „მაშინ, როდესაც ღვთაებრივი ქალაქის დიდი ანტიოქიის უწმინდეს პატრიარქად

იყო უფალი პეტრე, გამოტანილ იქმნა კრების დადგენილება, რომ იქნეს თავისუფალი და ავტოკეფალური ეკლესია იბერიისა, რომელიც მაშინ ექვემდებარებოდა ანტიოქიის პატრიარქს“. მეორე ლათინური თარგმანის ვარიანტი: „ანტიოქიის უწმინდესი პატრიარქის, მეუფე პეტრეს დროს კრებამ დაადგინა იბერიის ეკლესია თავისუფალი და ავტოკეფალური იყოს, მაგრამ ანტიოქიის პატრიარქის ქვეშ“. ლათინურ ვარიანტში ბოლო აბზაცი გაუგებრობას იწვევს. თუკი კრებამ დაადგინა, რომ იბერიის ეკლესია თავისუფალი და ავტოკეფალური ყოფილიყო, ანტიოქიის პატრიარქის დაქვემდებარებაში რატომ უნდა დარჩენილიყო? უფრო სარწმუნოა ბერძნული ტექსტი, რომელიც რეალობას გადმოგვცემს. ბალსამონის ბერძნულ ტექსტთან არის შესაბამისობაში ნიკოდიმი მილაშის სჯულის კანონის განმარტების ქართული თარგმანი: „არ მოგეჩვენოს უცნაურად, როცა ვხედავთ სხვა დამოუკიდებელ (ავტოკეფალურ) ეკლესიებსაც, ისეთებს, როგორცაა: ბულგარეთის, კვიპროსის, ივერიის“ (მილაში I, 2007:277). ბალსამონის ტექსტის ბერძნულ ვარიანტსა და მის რუსულ თარგმანში საქართველოს ეკლესიის სრულ ავტოკეფალიაზე საუბარი. აქვე შევნიშნავთ, რომ პ. იოსელიანისა და მარი ბროსეს შრომებში ლათინური თარგმანის ვარიანტია გამოყენებული, სადაც ტექსტის შინაარსი დამახინჯებულია (Иоселиани 1843:35).

აღნიშნულ საკითხზე ალ. ცაგარელი შენიშნავდა, რომ ბალსამონი ხაზს უსვამს ყველასთვის ცნობილ ამბავს, რომ უკვე არსებობს საქართველოს ავტოკეფალური ეკლესია და ავტოკეფალიის დამადასტურებელი დოკუმენტი შესაძლოა ანტიოქიის საპატრიარქოს არქივში ინახებოდა, მაგრამ იმ დროს ანტიოქიაში გაბატონებული ყოფილან ჯვაროსნები, რის გამოც ბალსამონი კონსტანტინოპოლში იყო დამკვიდრებული და უშუალოდ დოკუმენტი ხელთ არ ჰქონდა. პატრიარქობამდე ბალსამონი კონსტანტინოპოლის საპატრიარქოს არქივის ხელმძღვანელი იყო, ანუ ხარტოფილაქსი (Цагарели 1912: 52-55).

საეკლესიო კანონისტი და შემდგომში

ანტიოქიის პატრიარქი მსოფლიო საეკლესიო კრებების განმარტებისას ივერიის ეკლესიას ავტოკეფალურ ეკლესიად შემთხვევით არ მოიხსენიებდა. ბალსამონმა ზუსტად იცოდა რეალობა, ამიტომ ივერიის ეკლესია მან ავტოკეფალურ ეკლესიათა შორის მოიხსენია, ანუ ბერძნული ავტოკეფალური ეკლესიების შემდგომ უძველეს ავტოკეფალურ ეკლესიათა რიგში (კვიპროსის, ბულგარეთისა და ივერიის ეკლესიები) და ისინი მეორე მსოფლიო საეკლესიო კრების მეორე კანონში დააფიქსირა. ბალსამონის აღნიშნული ცნობა მსოფლიო საპატრიარქოს 1990 წლის დოკუმენტში აისახა. 1990 წლის 4 მარტის დოკუმენტში ვკითხულობთ: „ვაცხადებთ საქართველოს უწმიდეს ეკლესიას იმავე თვითმმართველი სტრუქტურითა და ორგანიზმებით, რაც უძველესი დროიდან გააჩნდა და რაც დამოწმებულია აგრეთვე ბალსამონის მიერ, რომელიც წერს: ...ამბობენ, რომ დღეთა მათ შინა უწმინდესისა პატრიარქისა ღვთაებრივი ქალაქისა დიდისა ანტიოქიისა უფალი პეტრესი, გამოტანილი იქნა სინოდური დადგენილება, რომ იქმნეს თავისუფალი და ავტოკეფალური ეკლესია იბერიისა“ (ჯაფარიძე, 2003, III:183). კონსტანტინოპოლის პატრიარქ დიმიტრიოსისა და წმიდა სინოდის დადგენილებით აღიარებულია ის ფაქტი, რომ ივერიის ეკლესიას უძველესი დროიდან ჰქონდა თვითმმართველი სტრუქტურა და ორგანიზაცია, რაც უფრო ადრე დააფიქსირა ანტიოქიის კანონისტმა პატრიარქმა თეოდორე ბალსამონმა. მისმა ცნობამ კიდევ ერთხელ დაადასტურა ის რეალობა, რომ ივერიის ეკლესია საეკლესიო კანონიკური წესების შესაბამისად ქრისტიანულ სამყაროში არსებული უძველესი ავტოკეფალური ეკლესიაა.

ლიტერატურა

გეორგიკა VIII 1970: გეორგიკა 1970, ბიზანტიელი მწერლების ცნობები საქართველოს შესახებ, ტექსტები ქართული თარგმანითურთ გამოსცა და განმარტებები დაურთო სიმონ ყაუხჩიშვილმა, თბილისი.

გოლაძე 1991: გოლაძე ვ. 1991, ქართული ეკლესიის სათავეებთან, თბილისი.

იოანე I: ახალი აღთქმა უფლისა ჩვენისა იესუ ქრისტესი. 2005, თბილისი.

ლომინაძე 1999: ლომინაძე ბ. 1999, საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის ადმინისტრაციული ორგანიზაცია V საუკუნეში. კრ. საქართველოს ფეოდალური ხანის ისტორიის საკითხები, VII. თბილისი.

მილაში 2007: ნიკოდიმოს მილაში I, 2007, მართლმადიდებელი ეკლესიის კანონები განმარტებებით, თბილისი.

ეფრემ მცირე 1959: ეფრემ მცირე, 1959, უწყებად მიზღვსა ქართველთა მოქცევისასა, თუ რომელთა წიგნთა შინა მოიხსენიების, თბილისი.

მოქცევაჲ ქართლისაჲ 1979: მოქცევაჲ ქართლისა, 1979, შატბერდის კრებული X საუკუნისა. გამოსაცემად მოამზადეს ბ. გიგინეიშვილმა და ელ. გიუნაშვილმა. თბილისი.

საბინინი 1882: საბინინი მ. 1882. საქართველოს სამოთხე. სრული აღწერა დეაწლთა და ქებათა და ვნებათა საქართველოს წმინდათა. პეტერბურგი.

ტყეშელაშვილი 2014: ტყეშელაშვილი ლ. 2014, საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალიის ისტორიის ძირითადი საკითხები. ქუთაისი.

ქართლის ცხოვრება 1955: ქართლის ცხოვრება I, 1955. ტექსტი დადგენილი ყველა ძირითადი ხელნაწერის მიხედვით ს. ყაუხჩიშვილის მიერ. თბილისი.

ჯაფარიძე 2003: ჯაფარიძეან. III, 2003 საქართველოს საეკლესიო კრებები, თბილისი.

Иоселиани 1843: Иоселиани П. 1843, Краткая история Грузинской церкви, С Петербург.

Цагарели 1912: Цагарели А. 1912, Статьи и заметки по Грузинскому церковному вопросу, С Петербург.

საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალიის აღდგენა და ქართული საზოგადოებრივ-პოლიტიკური სინამდვილე

ოთარ ჯანელიძე

ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი

თვითმპყრობელობის დამხობის შემდეგ, დროებითა მთავრობამ რუსეთის მართლმადიდებელი ეკლესიის სტატუსის გარკვევა დამფუძნებელი კრების პრეროგატივად გამოაცხადა, თვით კრების მოწვევა კი ერთობ გაჭიანურდა. უკრაინასა და საქართველოში აღარ დაუცადეს დამფუძნებელი კრების არჩევნებს და ავტოკეფალიის აღდგენის გზაზე პრაქტიკული ნაბიჯები გადადგეს. ქართველმა მღვდელმთავრებმა, სამღვდელოების კრებულთან და საერო მოღვაწეებთან ერთად, 1917 წლის 12 (25) მარტს საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალია „განგრძობილად“ გამოაცხადეს.

გაზეთებმა ეს ისტორიული ამბავი მთელ საქართველოს ამცნეს. ხალხი, როგორც აღმოსავლეთ, ისე დასავლეთ საქართველოს სოფლებსა და ქალაქებში სიხარულით შეხვდა ეკლესიის ტყვეობიდან დახსნას და „სულიერ შეება-ლხენას“.

საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის მოსაყდრემ, ყოვლად სამღვდელო ლეონიდემ საქართველოს ეკლესიის დამოუკიდებლობის განახლების აქტი საკუთარი ხელით წარუდგინა თბილისის აღმასრულებელ კომიტეტს – იმხანად საქართველოსა და ლამის მთელი სამხრეთ კავკასიის ფაქტობრივ განმგებელ ორგანოს. მალევე მღვდელმთავარი ეწვია აგრეთვე თბილისში ჩამოსულ ოზაკომის (ამიერკავკასიის განსაკუთრებული კომიტეტი) თავმჯდომარეს ვ. ხარლამოვს და 12 მარტს მცხეთაში მიღებული ეკლესიის ავტოკეფალიის აღდგენის დოკუმენტი მხარის ახალ

ხელმძღვანელსაც გააცნო.

ოდნავ მოგვიანებით, როდესაც საქართველოში პოლიტიკურ ძალთა შემაკავშირებელი ორგანო – „ინტერპარტიული საბჭო“ ჩამოყალიბდა, სამღვდელოებამ მიიღო გადაწყვეტილება, საქართველოს ავტოკეფალურ ეკლესიას საბჭოსთან კოორდინაციითა და თანხმობით ემოქმედა¹.

საქართველოში არსებულ პოლიტიკურ პარტიებსა და მიმდინარეობებს შორის ქვეყნის მართლმადიდებელი ეკლესიის მიმართ ყველაზე მეტი პატივისცემით ეროვნულ-დემოკრატიები გამოირჩეოდნენ. ისინი განსაკუთრებით აღნიშნავდნენ ეკლესიის ისტორიულ წვლილს ეროვნული იდეის, ქართველთა ერთიანობისა და სახელმწიფოებრივი მთლიანობის განმტკიცებაში; ასაბუთებდნენ ავტოკეფალიის კანონიკურ, ზნეობრივ-სარწმუნოებრივ, კულტურულ, მოქალაქეობრივ და პოლიტიკურ მნიშვნელობას. სინოდის ხანგრძლივი ბატონობისგან გამოსხნა, როგორც ეკლესიის „მეორედ დაბადება“ და ერის სულიერი თავისუფლების მიღწევა ეროვნულ-დემოკრატიებმა საქართველოს სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობისკენ მიმავალ გზაზე გაბედულ ნაბიჯად აღიქვეს და მას გულწრფელად მიესალმნენ. ეროვნულ-დემოკრატიები მხარში ამოუდგნენ ავტოკეფალია აღდგენილ ეკლესიას და სიტყვით თუ საქმით ხელს უწყობდნენ მის გა-

1 ჯანელიძე ო. ნარკვევები საქართველოს ეროვნულ-დემოკრატიული პარტიის ისტორიიდან, თბ., 2002, გვ. 289.

ნახლება-გაძლიერებას. ისინი ფართო მასებში ავტოკეფალიის პოპულარიზაციას ეწეოდნენ, რის დასტურადაც გამოდგება სერგი გორგაძის საჯარო ლექციები. ერთ-ერთ ასეთ ლექციას 1917 წლის 28 მარტს, თბილისში, მრავალრიცხოვან საზოგადოებასთან ერთად ესწრებოდნენ საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის მოსაყდრე ლეონიდე, ეპისკოპოსი ანტონი და დიდძალი სამღვდლოება².

საგულისხმოა, რომ ეროვნულ-დემოკრატიული მიმდინარეობის ლიდერები ქართველ სამღვდლოებას მოუწოდებდნენ, ამაღლებულიყვნენ სინოდის მიერ დამკვიდრებულ ქედმოდრეკილობასა და მცონარეობაზე, უარეყოთ ჩინოვნიკობა ეკლესიაში, მოწოდებად გაეხადათ სიქველე, განათლება, ეკლესიისათვის თავდადება და თავიანთი ფუნქციები თანამედროვე ცხოვრების მოთხოვნილებებთან შეესაბამებინათ³.

ავტოკეფალიას მხარს უჭერდნენ ქართველი სოციალისტ-ფედერალისტებიც, მიუხედავად იმისა, რომ მათი პარტია სეკულარიზმის იდეას იზიარებდა. ფედერალისტები მოითხოვდნენ ეკლესიის ჩამოშორებას სახელმწიფოსაგან და სარწმუნოების საქმის თვით მორწმუნეთა თავისუფალ საქმედ გადაქცევას. „ყოველი მორწმუნე მთელის არსებით უნდა შეჰხაროდეს იმ დღეს, როცა სახელმწიფო და ეკლესია განცალკევდებიან, როცა სათუთი ეკლესია განთავისუფლდება სახელმწიფოს ტლანქი გავლენისაგან და „კეისრისა“ მოშორდება“, ღვთისას⁴. მანამდე კი, ვიდრე ეს არ მომხდრა და საქართველოს ეკლესია იბრძვის სინოდის ჩაგვრის წინააღმდეგ, მან „ყოველ სოციალისტსა და რევოლუციონერში მოსარჩლე უნდა ჰპოვოს“, — მიიჩნევდნენ ისინი⁵.

სხვაგვარი იყო სოციალ-დემოკრატი-თა (მენშევიკთა) პოზიცია. ისინი, როგორც ათეისტები, რელიგიას ნაკლებ ყურადღებას

უთმობდნენ. ქართველი სოციალ-დემოკრატიები რუსეთში მონარქიის დამხობამდე საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალიის აღდგენას ინდიფერენტულად ეკიდებოდნენ. ეს საკითხი მათთვის პრიორიტეტული არც თებერვლის რევოლუციის შემდგომ ყოფილა, თუმცა პარტიის თვალსაჩინო ლიდერებმა მხარი დაუჭირეს საქართველოს ეკლესიის რუსული ეკლესიისაგან გათავისუფლებას. ცნობილია, რომ ავტოკეფალიის აღდგენის საქმეს რუსეთის დროებითი მთავრობის წინაშე თავიანთი სიტყვა შეაშველეს კარლო ჩხეიძემ და ირაკლი წერეთელმა.

ცნობილი სასულიერო მოღვაწის, დეკანოზ ნიკიტა თალაქვაძის მოგონებების თანახმად კი ნოე ჟორდანიას, როგორც თბილისის მუშათა დეპუტატების საბჭოს ხელმძღვანელსა და თბილისის აღმასკომის წარმომადგენელს, ასევე თვალსაჩინო სოციალ-დემოკრატს ალექსანდრე ლომთათიძეს მონაწილეობა მიუღიათ 1917 წლის 8 მარტს დეკანოზ თალაქვაძის ბინაში გამართული საგანგებო თათბირის მუშაობაში, რომელიც ავტოკეფალიის გამოცხადების პრაქტიკული საკითხების განხილვას მიეძღვნა. თათბირზე ჟორდანიას შეკრებილთათვის „პოლიტიკური დირექტივები“ მიუცია, ხოლო 12 მარტს მცხეთაში, სვეტიცხოვლის ტაძრის ეზოში, სწორედ ალექსანდრე ლომთათიძეს წარმოუთქვამს პირველი სიტყვა და მისალმებია ავტოკეფალიის გამოცხადებას⁶.

როგორ გამოეხმაურა პერიოდული პრესა ერის ცხოვრებაში ამ დიდმნიშვნელოვან მოვლენას? გადაუჭარბებლად შეიძლება ითქვას, რომ არ დარჩენილა არც ერთი ქართული ჟურნალი თუ გაზეთი, რომელსაც საკუთარი დამოკიდებულება არ გამოეხატოს ხსენებული სიახლისადმი.

საქართველოს სხვადასხვა კუთხიდან, სოფლებიდან, ქალაქებიდან, დაწესებულებებიდან ეკლესიის დროებითი მმართველობა წერილებისა და დეპეშების სახით იღებდა

2 გამ. „საქართველო“, 1917 წ., 31 მარტი.

3 გამ. „საქართველო“, 1917 წ., 21 სექტემბერი

4 გამ. „სახალხო საქმე“, 1917 წ., 29 აგვისტო.

5 გამ. „სახალხო საქმე“, 1917 წ., 12 ოქტომბერი.

6 თალაქვაძე ნ. მოქალაქე-მღვდლის დღიურიდან, თბ., 2013, გვ. 97.

სასულიერო პირების, საზოგადო მოღვაწეების, რიგითი ადამიანების აღტაცების გამომხატველ მისალმებებსა და მილოცვებს. ასეთ მასალას ძირითადად ეროვნულ-დემოკრატიული გაზეთი „საქართველო“ აქვეყნებდა. ფედერალისტურმა გაზეთმა „სახალხო საქმემ“ ფართოდ გააშუქა ავტოკეფალიის გამოცხადების საკითხი და საქართველოს ეკლესიასთან დაკავშირებული შემდგომი პერიპეტეები, მაგრამ ეს გამოცემა ავტონომიის სოციალ-დემოკრატების გაზეთ „ალიონის“ მსგავსად, დაბეჯითებით მოითხოვდა სეკულარიზაციას — ეკლესიის სახელმწიფოსაგან გამოყოფასა და სარწმუნოების სინდისის საქმედ გამოცხადებას.

აქვე ისიც უნდა დავძინოთ, რომ „სახალხო საქმე“ გაბედულად გამოესარჩლა საქართველოს ეკლესიას, როდესაც რუსეთის ახალმა ხელისუფლებამ აღიარა მისი მხოლოდ ეროვნული ხასიათი, არ ცნო ავტოკეფალია ტერიტორიული ნიშნით და არაქართველი მართლმადიდებელი მრევლისათვის (რუსები, აფხაზები, ბერძნები და სხვ.), რუსი მიტროპოლიტით სათავეში, კავკასიის საეგზარქოსო დააწესა⁷. გაზეთმა ეს ფაქტი დროებითი მთავრობის „დესპოტურ თვითნებობად“ და ქართველი ერის უფლების შელახვად, მისი მორწმუნე ნაწილის გრძნობებისა და ზრახვების გაქეღვად მიიჩნია⁸.

სოციალ-დემოკრატიულ პრესაში ქართული ეკლესიის თვითმწყემსობის დაწესება „მთლიანი რევოლუციური დემოკრატიის გათიშვად და ღალატად“ იყო წარმოჩენილი. გაზეთ „ერთობის“ აზრით, ეკლესია თითქოს მხოლოდ ქართველი კლერიკალური წრეებისა და იმ ნაციონალისტური ჯგუფების ინტერესს

გამოხატავდა, რომლებიც „დემოკრატიზმის სამოსელს იცვამენ და არსებითად კი რეაქციონურ საქმეს ემსახურებიან“⁹. ქართველი ხალხი არ დათანხმდება, რომ სასულიერო წოდებამ მისი ქონება მიისაკუთროს. „ქართველი ერი ვერ აიტანს ხუცების გაბატონებას. ... არავითარი სუბსიდია ხაზინისაგან ეკლესიას, არც ერთი კაპეიკი ეკლესიის მსახურთა სასარგებლოთ! სამღვდელოების ამა თუ იმ სახით ნივთიერი უზრუნველყოფა თვით მორწმუნეთა საქმედ უნდა გამოცხადდეს“¹⁰, — ასეთი იყო გაზეთის დასკვნა.

სოციალ-დემოკრატიული მიმართულების იუმორისტულ ჟურნალში „ემშაკის მათრახი“ გამოქვეყნდა პიესა სახელწოდებით „ავტოკეფალია“. ნაწარმოებში ერთგვარად გაშარჟებული იყო სამღვდელოება, რომელიც ეკლესიის თვითმწყემსობის აღდგენისგან მხოლოდ პირად კეთილდღეობას მოელოდა.¹¹

როგორც ჩანს, იმდროინდელ საქართველოში ამგვარი შეხედულების მღვდლები მართლაც უნდა არსებულებოდნენ. ამის თქმის საფუძველს იძლევა დეკანოზ ნიკიტა თალაქვაძის გადმოცემაც, რომ რუსეთის ბატონობის ასი წლის განმავლობაში სამღვდელოება აღმოჩნდა „მოშხამული მონობის და გახრწნილობის ატმოსფეროსაგან“¹².

სხენებული პიესაც სასულიერო წოდების ამგვარ წარმომადგენლებს ამხელდა და ამუნათებდა. ჟურნალისგან განსხვავებით, ქართველი ბოლშევიკები ავტოკეფალიას საერთოდ უარყოფდნენ, ხოლო ფილიპე მახარაძე თვით ეკლესიას „დემოკრატიის თვითმცნების დამაბნელებლად“ მიიჩნევდა¹³.

ეკლესიისადმი საქართველოს პოლიტიკური პარტიების დამოკიდებულება შთაბეჭდავად წარმოჩნდა თბილისის მუშათა

7 Сборник указов и постановлений Временного правительства, вып. 1, Петроград, 1917, с. 305-306. <http://elibr.shpl.ru/ru/nodes/10721-vyp-1-27-fevralya-5-maya-1917-1917#page/1/mode/grid/zoom/4>
Вестник Временного правительства, 1917, № 140. <http://elibr.shpl.ru/ru/nodes/31247-140-26-avg#page/1/mode/grid/zoom/8>

8 გაზ. „სახალხო საქმე“, 1917 წ., 17 თქტომბერი.

9 გაზ. „ერთობა“, 1917 წ., 20 სექტემბერი.

10 გაზ. „ერთობა“, 1917 წ., 30 მარტი.

11 ჟურნ. „ემშაკის მათრახი“, 1917, № 20, 14 მაისი, გვ. 6-7.

12 თალაქვაძე ნ. მოქალაქე-მღვდლის დღიურიდან, თბ., 2013, გვ. 151.

13 გაზ. „ალიონი“, 1917 წ., 3 სექტემბერი.

დებუტატების საბჭოს სხდომაზე. სოციალ-დემოკრატ (მენშევიკ) რაჟდენ არსენიძის განცხადებით: ავტოკეფალიას ნაციონალური აღორძინების ხასიათი ეძლევა, საეკლესიო ზეგავლენა საზოგადოებაში სიბნელეს და არასასურველი ელემენტების ბატონობას ამეფებს. რეზოლუციის პროექტში, რომელიც მანვე შეიტანა, აღნიშნულია: „საბჭო აწარმოებს სასტიკ ბრძოლას კათალიკოსატის ორგანიზაციასთან, როგორც ნაციონალურ პოლიტიკურ დაწესებულებასთან“¹⁴.

ეროვნულ-დემოკრატებმა დაგმეს ამგვარი პოზიცია. ვიორგი გვაზავამ რეზოლუციას უტაქტო უწოდა, ხოლო გრიგოლ ვეშაპელია იგი ქართველი ხალხის გრძნობის შეურაცხყოფად მიიჩნია¹⁵.

ბოლშევიკთა სახელით გამოსულმა ფილიპე მახარაძემ განაცხადა: „ავტოკეფალიის აღდგენას ჩვენ ვერ მივესალმებით, ამასთან, იგი სრულიადაც არ არის იმ რანგის საკითხი, რომელზეც ღირდეს მსჯელობა ქალაქის საბჭოში“. ესერებმა საკითხის დღის წესრიგიდან მოხსნა მოითხოვეს, რათა ამით ახლად ავტოკეფალიადღგენილ ეკლესიას ჩრდილი არ მისდგომოდა. სომეხთა დემოკრატიული პარტიის წარმომადგენლის არუთინოვის შეფასებით, საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალიის აღდგენა „დიდი სახელმწიფოებრივი და რევოლუციური აქტია“. ჩვენ გვევალება მივულოცოთ ქართველ ერს, მის კათოლიკოს-პატრიარქს და შინაარსს არ შევეხოთ. სომეხი დაშნაკების თვალსაზრისით, მორწმუნე ქართველობას როგორც სურდა, ისე შეიკრიბა და მის მოქმედებაში სინდისის თავისუფლების დარღვევის ფაქტი არ შეინიშნება¹⁶.

საბჭომ ხმების უმრავლესობით დაადგინა, რომ საკითხს მომდევნო სხდომაზე დაბრუნებოდნენ, მაგრამ, შესაბამის ოქმებში არ ჩანს, რომ ეკლესიის თემა კვლავ ქცეული-

ყო ამ ორგანოს განხილვის საგნად¹⁷. გაზეთის ინფორმაციით კი, მომდევნო სხდომაზე, ნოე ჟორდანიას წინადადებით, საკითხი დღის წესრიგიდან ამოულიათ, რადგან იგი „სრულიად არ შეეხება საბჭოს“. საბჭოს უმრავლესობას უარუყვია ასევე გრიგოლ ვეშაპელის წინადადება – მისალმებოდნენ საქართველოს ავტოკეფალურ ეკლესიას¹⁸.

ქართველი სოციალ-დემოკრატების დეკლარაციულ გამოსვლას წმინდა პარტიული ხასიათი ჰქონდა და იგი სრულიადაც არ იყო აუცილებელი ისეთ დაწესებულებაში, როგორც თბილისის ქალაქის თვითმმართველობაა, – წერდა ამასთან დაკავშირებით რაფიელ ინგილო. მისი თქმით, მენშევიკების 18 სექტემბრის „პოლიტიკური აქტი“ მხოლოდ მათი პარტიული პროგრამის კიდევ ერთხელ აფიშირება იყო და პოლიტიკის თვალსაზრისით მას რაიმე ღირებულება არ გააჩნდა¹⁹.

პროგრესულად მოაზროვნე ქართველ სასულიერო წოდებას საქართველოს ავტოკეფალური ეკლესიის მისია ასე წარმოედგინა: „ემსახუროს მშობელ ერს, მის ზნეობრივ აღზრდა-განვითარებას, გაფაქიზებას, საზოგადოებრივ გათვითცნობიერებას და ეროვნულ წარმატებას“²⁰.

ავტოკეფალიის აღდგენას არა მხოლოდ საეკლესიო დატვირთვა, არამედ დიდი საზოგადო მნიშვნელობაც ჰქონდა: ერის სულიერი გათავისუფლება ქვეყნის პოლიტიკური თავისუფლებისა და სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის წინა პირობად იქცა. როგორც ცნობილი პუბლიცისტი, ფედერალისტი სამსონ დადიანი წერდა, ავტოკეფალია ისტორიული მნიშვნელობის აქტია, იგი საფეხურია საქართველოს გათავისუფლებისა, ქართველ ერს აჩვენებს ბრძოლას საკუთარი პოლიტიკური უფლებებისათვის²¹. მართლაც, ეკლესიის

14 გაზ. „სახალხო საქმე“, 1917 წ., 21 მარტი.

15 გაზ. „ერთობა“, 1917 წ., 20 სექტემბერი; გაზ. „საქართველო“, 1917 წ., 20 სექტემბერი.

16 გაზ. „სახალხო საქმე“, 1917 წ., 21 მარტი.

17 Протоколы закавказских революционных советских организаций, т. 1, Тифлис, 1920.

18 გაზ. „სახალხო საქმე“, 1917 წ., 12 ოქტომბერი.


19 გაზ. „საქართველო“, 1917 წ., 21 სექტემბერი.

20 გაზ. „საქართველო“, 1917 წ., 21 მარტი.

21 გაზ. „სახალხო საქმე“, 1917 წ., 10 სექტემბერი.

თვითმწყემსობის განახლებას 1918 წლის 26 მაისს დამოუკიდებელი ქართული სახელმწიფოებრიობის აღდგენა მოჰყვა.

ამ დღიდან ურთულესი 73 წელი გაივლის და საბჭოურ იდეოლოგიურ მარწუხებს თავდაღწეული საქართველოს ეკლესია კათოლიკოს პატრიარქის, მისი უწმიდესობის ილია მეორის დიდი ძალისხმევით ამჯერად ავტოკეფალიის საერთაშორისო აღიარებას მოიპოვებს. ეს აქტიც წინ უსწრებდა 1991 წლის 9 აპრილს საქართველოს დამოუკიდებლობის აღდგენის გამოცხადებას. საქართველოს ეკლესიამ ამჯერადაც გზა გაუნათა ხელახლა აღორძინებულ ქართულ სახელმწიფოს და კვლავ ჩადგა ერის სულიერი განვითარების სამსახურში.



რელიგიური წინამძღოლი და საზოგადოება

სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის, მცხეთა-თბილისის მთავარეპისკოპოსისა და ბიჭვინთისა და ცხუმ-აფხაზეთის მიტროპოლიტის, უწმიდესი და უნეტარესი ილია მეორის მისიონერული მოღვაწეობა პატრიარქობის 40 წლის განმავლობაში

ახალქალაქისა და კუმურდოს მიტროპოლიტი **ნიკოლოზი (ფაჩუაშვილი)**

2017 წლის 25 დეკემბერს საქართველოს მართლმადიდებელმა ეკლესიამ აღნიშნა სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის, მცხეთა-თბილისის მთავარეპისკოპოსისა და ბიჭვინთისა და ცხუმ-აფხაზეთის მიტროპოლიტის, უწმიდესი და უნეტარესი ილია მეორის კათოლიკოს-პატრიარქად აღსაყდრების 40 წლისთავი.

განვლილი პერიოდი საქართველოსთვის, ისევე როგორც ყოფილ საბჭოთა კავშირში შემავალი სხვა ქვეყნებისათვის, ურთულესი ისტორიული გარდატეხების ხანა იყო და არის დღესაც. ათეისტური, ღვთის წინააღმდეგ მებრძოლი იმპერიის რღვევამ გამოიწვია მონობიდან თავისუფლებისაკენ, უღმერთობიდან რწმენისაკენ საზოგადოების შეუქცევადი ლტოლვა და ამ დროს უფალმა სრულიად საქართველოს დაუდგინა საჭეთმპყრობელი, რომელიც 40 წელია თანამიმდევრულად მიუძღვის მორწმუნე ერს აღთქმული ქვეყნისკენ.

ამ 40-წლიან ურთულეს გზაზე, ბუნებრივია, მრავალი დაბრკოლება, სისუსტე და შეცდომა იყო, მაგრამ დღევანდელი გადასახედიდან გაცეხებას და აღფრთოვანებას იწვევს ის მისიონერული ღვაწლი, რომელიც კათოლიკოს-პატრიარქმა ილია მეორემ ქართველი ხალხის უფალთან მისაყვანად გასწია. ამ ღვაწლის სრულად აღწერა შეუძლებელია. შე-

გვიძლია მხოლოდ ძირითად საქმეთა არასრული ჩამონათვალი მოვიყვანოთ.

მრავალსაუკუნოვან განსაცდელთა შემდეგ, რასაც ღვთის წინააღმდეგ მებრძოლი 70-წლიანი კომუნისტური რეჟიმი მოჰყვა, როგორ მიაღწია სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქმა, უწმიდესმა და უნეტარესმა ილია II-მ საზოგადოების რადიკალურ გარდასახვას და მრავალრიცხოვანი მრევლის შექმნას?

იგი მთელი თავისი შეგნებული ცხოვრების განმავლობაში ქადაგებდა — ქადაგებდა ყველგან: საშუალო სკოლაში სწავლის პერიოდში, სასულიერო სემინარიასა და აკადემიაში — მღვდლობისა და მღვდელმთავრობისას; მაგრამ განსაკუთრებული მნიშვნელობა მისმა ქადაგებამ პატრიარქობის პირველი დღიდან შეიძინა. საზოგადოებაში გავრცელდა ხმები, რომ ახალი პატრიარქი ამბიონიდან ჩვეულებრივი ადამიანისთვის გასაგებ ენაზე საუბრობს. ეს შთამბეჭდავი სიახლე იყო.

გახშირდა ღვთისმსახურება. მრევლს ტაძარში უფრო ხშირად მისვლის მოტივაცია გაუჩნდა. სიონის საკათედრო ტაძარში შაბათ-კვირისა და დღესასწაულების გარდა, კათოლიკოს-პატრიარქი ყოველ ორშაბათს პარაკლისზე ლოცავდა ბავშვებს, სამშაბათობით კი, მცირე პარაკლისის შემდეგ, ქადაგებას წა-

რმოთქვამდა სამი სასულიერო პირი, მათ შორის, ხშირად — თავად უწმიდესი და უნეტარესი ილია II. ტაძრის ეკვდერში მოეწყო სამკითხველო, გაიხსნა მედავითნეობისა და გალობის კურსები, შეიქმნა ფსალმუნთა ჯგუფები.

თბილისის სიონის ტაძარი, რომლის ეზოშიც საპატრიარქო რეზიდენცია მდებარეობდა, ეროვნული მოძრაობის ცენტრი გახდა, და პირველი ქართველი სტიქაროსნები სწორედ ამ მოძრაობის სულისჩამდგმელნი და მომავალი ლიდერები იყვნენ. მათ ხშირი შეხვედრები ჰქონდათ კათოლიკოს-პატრიარქთან, რამაც დიდი როლი შეასრულა საქართველოს გამთლიანების რთულ პროცესში.

მოდღვრის ინსტიტუტი საბჭოთა პერიოდში მეტად შეზღუდული და ლამის აკრძალულიც კი იყო. კათოლიკოს-პატრიარქი ილია II იმთავითვე პირადად შეუდგა ურთულესი ამოცანის განხორციელებას — სულიერად დაუძღურებული ერთიანი სასულიერო პირების გამორჩევას, კურთხევასა და მათ აღზრდას.

ცხადია, სარწმუნოებისგან, ეკლესიური ცხოვრებისგან გაუცხოვებულ საზოგადოებაში სასულიერო პირების რიცხვის ასეთ სწრაფ ზრდას, როდესაც მათ სულიერი აღზრდა ბავშვობიდან არ ჰქონდათ მიღებული, თან ახლავს შეცდომები, უძღურება და ეს პასუხისმგებლობა კათოლიკოს-პატრიარქმა იტვირთა. ამით იყო განპირობებული მისი გამორჩეული მიმტევებლობა. იგი დღემდე ცდილობს, არავინ დასაჯოს, არამედ თავად იტვირთოს სიმძიმე და ლოცვით გამოასწოროს სხვათა შეცდომები — დასჯა კი, თუ ეს აუცილებელია, უფალს მიანდოს.

1987 წელს დაიწყო ხატების მოგზაურობა ოჯახებში, რაც დღემდე გრძელდება.

შუა კვირაში დაინიშნა მრევლის დღე, როდესაც მოძღვარი და მრევლის წევრები ერთად იკრიბებოდნენ და საზოგადოებრივად სასარგებლო შრომას ეწეოდნენ. გარდა ამისა, მრევლს დაევალა სოციალურად დაუცველ ადამიანთა მოძიება და მათი სისტემატური მონახულება — იმხანად მათი რიცხვი მცირე იყო. მოგვიანებით ამას დაემატა მშობლის ზრუნვამოკლებული ბავშვებისთვის, რომლე-

ბიც ქუჩა-ქუჩა დაეხეტებოდნენ, საგანგებო დასახლებათა შექმნა. ამგვარი რამ მანამდე წარმოდგენელი იყო, რადგანაც, საბჭოთა კანონმდებლობით, ეკლესიას ქველმოქმედება ეკრძალებოდა.

კათოლიკოს-პატრიარქი ილია II განსაკუთრებულად ზრუნავდა შვილმკვდარი მშობლებისთვის, რომელთა რიცხვმა 90-იანი წლების დასაწყისში საგრძობლად იმატა. პატრიარქის პირადად თანაგრძობამ მრავალ მათგანს სიცოცხლის ინტერესი დაუბრუნა და გაუძლიერა. სიონის საკათედრო ტაძარში ყოველ შაბათს საგანგებო წირვა იმართებოდა გარდაცვლილ შვილთა მოსახსენებლად, ხოლო მოგვიანებით, 1994 წელს, ასეთი მშობლების დახმარებით, საპატრიარქოსთან უფასო სასადილო გაიხსნა, რომელიც ყოველდღიურად რამდენიმე ასეულ ადამიანს აპურებდა და ათასობით ადამიანს შეუნარჩუნა სიცოცხლე. ეს სასადილო ახლაც მოქმედებს. დღეს ეკლესიაში არსებობს სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის საერთაშორისო საქველმოქმედო ფონდი, საქართველოს საპატრიარქოს საქველმოქმედო ფონდი “ლაზარე”, ბავშვთა სახლები, მოხუცთა თავშესაფრები და სხვა საქველმოქმედო სტრუქტურები.

1978 წელს გამოვიდა ფერადი, ილუსტრირებული ჟურნალი “ჯვარი ვაზისა”, რომელიც თავდაპირველად წელიწადში ორჯერ იბეჭდებოდა; გამოქვეყნდა დილის, საღამოს და ზიარების ლოცვები, რომლებიც მაშინვე ბიბლიოგრაფიულ იშვიათობად იქცა. 1979-88 წლებში საეკლესიო კალენდრებში დაიბეჭდა ლოცვები, ფსალმუნები, საღვთო წერილის ცალკეული თავები ძველი და ახალი აღთქმიდან, დიდი სჯულის კანონი, წმ. ეგნატე ღმერთშემოსილის ეპისტოლეები და სხვა საღვთისმეტყველო ტექსტები. 1978 წელს დაფუძნდა პერიოდული გამოცემა “საღვთისმეტყველო კრებული”, რომელშიც იბეჭდებოდა თეოლოგიური, ფილოსოფიური და ისტორიული შინაარსის გამოკვლევები და თარგმანები.

ქართულ ენაზე ბიბლიის სრული ტექსტი მხოლოდ ხელნაწერებში არსებობდა

ძველ ქართულ ენაზე. მე-19 საუკუნეში ბიბლია დაიბეჭდა, მაგრამ მისი ტექსტი არასრული და მკითხველისთვის ძნელად გასაგები იყო. ამასთან, ეს წიგნი პრაქტიკულად არავის ჰქონდა. კათოლიკოს-პატრიარქის ლოცვა-კურთხევით შეიქმნა ბიბლიის მეცნიერულად დადგენილი ტექსტის გამომცემელთა ჯგუფი, რომლის მრავალწლიანი შრომის შედეგადაც 1989 წელს პირველად გამოიცა ბიბლიის სრული ტექსტი ახალ ქართულ ენაზე.

1988 წელს — 800 წლის შემდეგ — საქართველოში გაიხსნა უმაღლესი საღვთისმეტყველო სასწავლებელი — თბილისის სასულიერო აკადემია, რასაც მოგვიანებით მთელ საქართველოში სხვა უმაღლესი სასულიერო და საერო სასწავლებლების დაარსება მოჰყვა.

1989 წლიდან გამოდიოდა გაზეთი “მადლი”, 1999 წლიდან კი — “საპატრიარქოს უწყებანი”. დღეს უკვე მრავალი სხვა რელიგიური ჟურნალ-გაზეთი თუ ინტერნეტ-საიტია ხელმისაწვდომი.

1988 წელს უწმიდესმა და უნეტარესმა ილია II-მ იმოგზაურა ჯავახეთში, რომელიც საბჭოთა პერიოდში საზღვრისპირა დახურულ რეგიონად ითვლებოდა და იქ ყოფნა მხოლოდ ადგილობრივი მოსახლეობისთვის იყო ნებადართული. კათოლიკოს-პატრიარქი თბილისიდან ამოეწერა და მუდმივ მაცხოვრებლად ჯავახეთის სოფელ ფოკაში ჩაეწერა, სადაც 1992 წლიდან ფოკის წმ. ნინოს დედათა მონასტერი მოქმედებს. ტბის პირას 1989 წელს დაარსდა ფოკის წმიდა ნინოს მამათა მონასტერი და აშენდა ტრაპეზი ღია ცის ქვეშ, სადაც, თითქმის 30 წელია, ყოველ 1 ივნისს, წმიდა ნინოს საქართველოში შემოსვლის დღეს, სადღესასწაულო წირვა იმართება და იწყება მორწმუნეთა ლოცვითი მსვლელობა წმიდა ნინოს გზაზე — ფარავნის ტბიდან მცხეთამდე, რაც დღემდე გრძელდება.

1991 წელს საქართველოს საპატრიარქოში დაარსდა მისიისა და ევანგელიზაციის განყოფილება, რამაც კათოლიკოს-პატრიარქის მისიონერულ მოღვაწეობას კიდევ უფრო მეტი გასაქანი მისცა.

სხვადასხვა დროს ლოცვითი მსვლე-

ლობები მოეწყო საქართველოს ეპარქიებში, 2000 და 2005 წელს კი ამ ჯგუფებმა ექვსი თვის განმავლობაში წმიდა ნინოსა და წმიდა ანდრია პირველწოდებულის გზებზე ფეხით საქართველოს ყველა რაიონი მოიარეს; ივერიის ყოვლადწმიდა ღვთისმშობლის ხატის ათონიდან ჩამობრძანებულმა ზუსტმა ასლმა 2006-2007 წლებში მთელ საქართველოში იმოგზაურა. ამჟამად საქართველოში მოგზაურობენ ივერიის ყოვლადწმიდა ღვთისმშობლისა და აწყურის ყოვლადწმიდა ღვთისმშობლის ხატების ზუსტი ასლები. ამ მოგზაურობების დროს მონათლა და ეზიარა ათასობით ადამიანი, მრავალმა ასეულმა ახალგაზრდა თუ ასაკოვანმა წყვილმა ჯვარი დაიწერა, იკურთხა სახლები, სოფლები და ქალაქები.

2001 წლიდან დღემდე ზაფხულის პერიოდში ჯავახეთში იმართება სტუდენტური ექსპედიციები, რომლებშიც მონაწილეობენ საერო უმაღლეს სასწავლებელთა სტუდენტები. ამ ექსპედიციების მონაწილეთაგან ბევრი ახალი ქრისტიანული ოჯახი შეიქმნა.

2002 წელს მისმა უწმიდესობამ და უნეტარესობამ დააფუძნა ქრისტიანული კვლევის საერთაშორისო ცენტრი, რომელმაც მოაწყო 5 საერთაშორისო სიმპოზიუმი, სამეცნიერო კონფერენციები და სემინარები, საგანმანათლებლო ლექციები, 5 სამეცნიერო ექსპედიცია; ცენტრი გამოსცემს მუდმივმოქმედ ჟურნალ “ლოგოსსა” და სხვა ლიტერატურას.

2002 წლიდან ეთერში გადის საქართველოს საპატრიარქოს რადიო “ივერია”, ხოლო 2008 წლიდან — საქართველოს საპატრიარქოს ტელევიზია “ერთსულოვნება”.

შეიქმნა და განვითარდა საეკლესიო ჰერალდიკა. უწმიდესი და უნეტარესი ილია II ბრძანდება ავტორი საქართველოს საეკლესიო დროშისა, რომელზეც წმიდა ნინოს ჯვარია გამოსახული, და ხუთჯვრიანი სახელმწიფო დროშისა, რომელიც სახელმწიფო დროშად გამოცხადებამდე წლების განმავლობაში საეკლესიო დროშა იყო. კათოლიკოს-პატრიარქმა შეიქმნა საპატრიარქოს გერბიც.

უწმიდესი და უნეტარესი ილია II პირადად დადიოდა სასჯელაღსრულების დაწე-

სებულებებში, მათ შორის — სიკვდილმისჯილ პატიმრებთან. 1997 წელს საქართველოს პარლამენტმა, კათოლიკოს-პატრიარქის წინადადებით, მიიღო კანონი სიკვდილით დასჯის გაუქმებისა და ევთანაზიისა და მასში თანამონაწილეობის აკრძალვის შესახებ.

ევთანაზიის ამკრძალავი კანონი, რომელმაც მრავალ ადამიანს სიცოცხლე შეუნარჩუნა, მსოფლიოს მხოლოდ რამდენიმე ქვეყანაში მოქმედებს, რომელთა შორის ერთ-ერთი საქართველოა.

2002 წელს ხანგრძლივი ერთობლივი მუშაობის შედეგად გაფორმდა კონსტიტუციური შეთანხმება საქართველოს სახელმწიფოსა და საქართველოს სამოციქულო ავტოკეფალურ მართლმადიდებელ ეკლესიას შორის, რითაც აღდგა ისტორიული სამართლიანობა და განისაზღვრა ეკლესიის ადგილი ჩვენი ქვეყნის ცხოვრებაში. ასევე, დაიდო სხვა შეთანხმებები ეკლესიასა და სახელმწიფოს შორის იუსტიციის, განათლებისა და მეცნიერების, ეკონომიკური განვითარებისა და თავდაცვის სამინისტროებთან.

საქართველოში განსაკუთრებით საზეიმოდ აღინიშნა ქრისტეშობის 2000 წლისთავი.

1999 წლის 25 დეკემბერს, თავისი ინტონიზაციის დღეს, სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქმა ილია II-მ, ქართველი ერის სახელით, წაიკითხა აღსარება 2000 წლის განმავლობაში და, განსაკუთრებით, XX საუკუნეში ჩადენილი ცოდვების გამო, და მთელ ერს შენდობა მიანიჭა.

2000 წლის 7 იანვარს, ქრისტეშობის დამეს, საიუბილეო წირვაზე, დიდ დელეგაციასთან ერთად იგი იმყოფებოდა იერუსალიმში, ბეთლემში, სადაც შეიკრიბა ყველა მართლმადიდებელი პატრიარქი და პრეზიდენტი.

საქართველოში აღდგა სახალხო ლოცვითი მსვლელობა “ალილო”, რომელიც 2000 წლიდან დღემდე განსაკუთრებული მასშტაბურობით აღინიშნება.

2000 წლის 7 იანვარს, ალპინისტების დახმარებით, სადღესასწაულო წირვა ჩატარდა 4100 მეტრის სიმაღლეზე, მყინვარის ბეთლე-

მის გამოქვაბულში. მანამდე, 1998 წელს, მისი უწმიდესობისა და უნეტარესობის კურთხევით, მყინვარწვერის ფერდობზე, 4000 მეტრის სიმაღლეზე დაიდგა ყოვლადწმიდა სამების ალუმინის ტაძარი, რომელიც დღესაც მოქმედია.

მრავალი საუკუნის შემდეგ საქართველოში აღდგა წმიდანად შერაცხვის წესი, რომლის გარეშეც ავტოკეფალური ეკლესია სრულყოფილად ვერ იფუნქციონირებს.

ეკლესიის გაძლიერებას მოჰყვა აღმშენებლობის მძლავრი პროცესი. ტრადიციული ხუროთმოძღვრების აღსადგენად და მისი შესაბამისი ახალი მხატვრული ფორმების დასამკვიდრებლად უწმიდესმა და უნეტარესმა ილია II-მ 1988 წელს შექმნა სამეცნიერო-საკონსულტაციო ხუროთმოძღვრების საბჭო, რომლის საფუძველზე 2003 წელს დაარსდა საქართველოს საპატრიარქოს ხუროთმოძღვრების, ხელოვნებისა და რესტავრაციის ცენტრი. იგი დღესაც ქმნის, განიხილავს და ამტკიცებს ხუროთმოძღვრებისა და სახვითი ხელოვნების პროექტებს და შესაბამის სახელმწიფო სტრუქტურებთან ერთად კულტურულ მემკვიდრეობას იცავს.

აშენდა, განახლდა და აღდგა მრავალი ტაძარი და მონასტერი.

საქართველოს ისტორიაში პირველად დაარსდა საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის ეპარქიები მის ფარგლებს გარეთ.

გარდა ამისა, გაიხსნა წმ. ილია და ენუქ წინასწარმეტყველთა სახელობის ქართული კერები ქ. იერუსალიმში და წმ. გიორგის სახელობის ქართული კერა ქ. ლოდში.

ქართველი ბერები მოღვაწეობენ ათონის წმიდა მთის სხვადასხვა მონასტერში.

განსაკუთრებულ მნიშვნელობას მისი უწმიდესობა და უნეტარესობა მეცნიერებისა და ხელოვნების განვითარებას ანიჭებდა. იგი არის საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის საპატიო წევრი, ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის საპატიო დოქტორი და პროფესორი, აგრეთვე, მრავალი ქვეყნის სასულიერო აკადემიების ღვთისმეტყველების დოქტორი. მისი ლოცვა-კურთხევით, 1995

წელს, მოკრძალებული ძალებით, აღდგა გელათის მეცნიერებათა აკადემია. საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის სასწავლებლებში დღეს ათასობით ახალგაზრდა სხვადასხვა პროფესიას ეუფლება. აღდგა ტრადიცია ხუთშაბათობისა, რომელიც წმ. კათოლიკოს-პატრიარქმა კალისტრატე ცინცაძემ დააფუძნა.

უწმიდესი და უნეტარესი ილია II-ის ლოცვა-კურთხევით, 1980-იანი წლების დასაწყისში მოიხატა დიდუბისა და სიონის ტაძრები, რითაც საფუძველი დაედო ქართული ხატწერის აღორძინებას. დიდუბის ეკლესიის კედელზე წმ. მეფე თამარის ხატი უწმიდესმა თავად შექმნა. მის ყალამს მრავალი სხვა ხატიც ეკუთვნის.

მისი ლოცვა-კურთხევით 1980-იანი წლებიდან აღდგა და განვითარდა უძველესი ქართული ტრადიციული ტიხრული მინანქარი, მოგვიანებით შეიქმნა სახელოსნო "ფოკანი", რომელიც დღეს მთელ მსოფლიოშია ცნობილი.

განვითარდა კალიგრაფია, ხელით გადაიწერა და მინიატიურებით შეიმკო დიდი ზომის უნიკალური სახარება, რომელიც წმიდა სამების საპატრიარქო ტაძარში ინახება.

შეიქმნა ჭედურობის, ხატ-გობელენების ქსოვისა და თექის მხატვრული დამუშავების სახელოსნოები; განვითარდა ქართული საეკლესიო ნაქარგობა.

აღდგა მივიწყებული ქართული გალობა. 40 წლის წინ საქართველოს ტაძრებში ევროპული და რუსული ყაიდის საგალობლები სრულდებოდა. პატრიარქობის პირველივე დღიდან უწმიდესმა და უნეტარესმა ილია II-მ ქართველ კომპოზიტორებს შეუკვეთა ლიტურგიკული და სხვა შინაარსის საგალობლები, ხოლო მოგვიანებით ანჩისხატის მგალობლების თაოსნობით აღდგა უძველესი ქართული გალობა, რომელიც დღეს, პრაქტიკულად, ყველა ქართულ ტაძარში სრულდება.

პირადად კათოლიკოს-პატრიარქმა შექმნა უკვდავი საგალობლები.

კათოლიკოს-პატრიარქის ხელშეწყობით აღდგა და განვითარდა საეკლესიო სამე-

ურნეო საქმიანობა. აღორძინდა და განვითარდა მეაბრეშუმეობა, გავრცელდა ხორბლის ქართული ჯიშები. ეპარქიებსა და მონასტრებში აღდგა ღვინის დაყენების ტრადიცია და ძველი მარნები. დიდი ყურადღება ექცევა გამწვანებას.

უწმიდესი და უნეტარესი ილია II განსაკუთრებით ლოცულობს და ზრუნავს საქართველოს ფარგლებს გარეთ მცხოვრებ ქართველთათვის. მისი ლოცვა-კურთხევით 1992 წელს პირველად ჩატარდა ყოველთა ქართველთა მსოფლიო კონგრესი, რომელიც რამდენჯერმე გაიმართა და სამშობლოს მოწყვეტილი მრავალი ადამიანის დაბრუნების საფუძველი გახდა. განსაკუთრებით აღსანიშნავია საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის თბილი და მეგობრული ურთიერთობა ისრაელში მცხოვრებ ქართველ ებრაელებთან, რაც ტოლერანტობის უნიკალური მაგალითია.

კათოლიკოს-პატრიარქი ილია II საქართველოში ძალიან დიდი ავტორიტეტით სარგებლობს: სოციოლოგიური კვლევები ადასტურებს, რომ მრავალი წელია საქართველოს მოსახლეობის აბსოლუტური უმრავლესობა ყველაზე დიდ ნდობას სწორედ მას უცხადებს.

უწმიდეს და უნეტარეს ილია II-ს იცნობენ და აფასებენ მთელ მსოფლიოში. პატრიარქობის 40 წლის განმავლობაში ის პირადად შეხვედრია მსოფლიოს ყველაზე ცნობილ და გავლენიან პიროვნებებს.

კათოლიკოს-პატრიარქი ეხმაურება ყველა მნიშვნელოვან მოვლენას და ქრისტიანულად აფასებს მათ, რითაც, თავის მხრივ, ერთვება საქართველოსა და მთელ მსოფლიოში მიმდინარე პროცესებში.

საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის ავტოკეფალიის აღდგენამდე, XX საუკუნის დასაწყისში რუსეთის ეკლესიის დაქვემდებარებაში მყოფ საქართველოს საეგზარქოსოში სულ ხუთიოდე ეპარქია იყო. დამოუკიდებლობის აღდგენის შემდეგ ეპარქიათა რაოდენობა 15-მდე გაიზარდა, თუმცა მათი უდიდესი ნაწილი საბჭოთა პერიოდში გაუქმდა.

1977 წლის 25 დეკემბრისთვის, რო-

დესაც ილია II სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი გახდა, მხოლოდ 6 ეპარქიას ჰყავდა მღვდელმთავარი. მთელ საქართველოში მოქმედებდა 48 ტაძარი, 2 მონასტერი — სამთავროსი და წმ. ეკატერინესი (ოლღასი); ქართულ ენაზე ხელმისაწვდომი არ იყო საღვთო წერილი, ლოცვანი და სხვა სასულიერო ლიტურატურა, რის გამოც მორწმუნენი მათ ხელით იწერდნენ; არ არსებობდნენ ქართველი სტიქაროსნები.

დღეს კი, 40 წლის შემდეგ, 2017 წლის 25 დეკემბრისთვის, საქართველოს მართლმადიდებელ ეკლესიას აქვს 49 ეპარქია, რომელთაგან, ისტორიაში პირველად, 7 ეპარქია — საქართველოს ფარგლებს გარეთაა, ჰყავს 47 მღვდელმთავარი, 3500-მდე სასულიერო პირი, მოქმედებს 400-მდე მონასტერი და 1500 ტაძარი.

დღეს საქართველოს მართლმადიდებელ ეკლესიაში უკლებლივ ყველა მღვდელმთავარი პირადად კათოლიკოს-პატრიარქის მიერაა ნაკურთხი.

ყველაფრის სათითაოდ ჩამოთვლა შეუძლებელია. კიდევ რომ შეიძლებოდეს იმის აღწერა, რაც მისმა უწმიდესობამ და უნეტარესობამ პატრიარქობის 40 წლის განმავლობაში თავისი სამწყსოს უფალთან მისაყვანად იღვაწა, ადამიანს ამის წასაკითხად იმდენივე დრო დასჭირდებოდა, რაც თვით ამ საქმეების აღსრულებას მოხმარდა, რადგანაც მისი მათმთავრობის ყოველი წუთი ლოცვითა და ზრუნვით იყო გამსჭვალული და ყოველი ეს საქმე მისი დაუღალავი შრომისა და გადაწყვეტილების ნაყოფია.

მისი უწმიდესობისა და უნეტარესობის გადადგმული ყოველი ახალი ნაბიჯი, მის მიერ აღსრულებული კიდევ ერთი კეთილი საქმე, მისი მორიგი ღვაწლი სულ უფრო და უფრო მნიშვნელოვანი ხდება და აღემატება წინასულიერი შრომის ყველა ნაყოფს ერთად აღებული. ამის ერთ-ერთი ნათელი, თვალსაჩინო მაგალითია მამა გაბრიელის წმიდანად შერაცხვა, რაც მისი უწმიდესობისა და უნეტარესობის, კათოლიკოს-პატრიარქის ილია II-ის პირადი დაბეჯითებული მოთხოვნითა და წმიდა

სინოდის წევრთა ერთსულოვანი თანხმობით მოხდა. მისმა უწმიდესობამ და უნეტარესობამ მამა გაბრიელის პიროვნება დაინახა მაშინ, როდესაც ის დევნილი, გვემული და ადამიანთაგან შეურაცხყოფილი იყო. შეიწყნარა იგი, განწმინდა, როგორც ტალახში ჩავარდნილი მარგალიტი, და მთელ მსოფლიოს დაანახვა მისი ბრწყინვალეობა.

და თუკი დღეს ქვეყნად არსებობს ადამიანი, რომლის შესახებაც თამამად შეიძლება ითქვას, რომ მან, ერთმა ადამიანმა, განვლილი 40 წლის განმავლობაში შეცვალა მთელი საქართველო — და არა მხოლოდ საქართველო — ეს არის სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი, მცხეთა-თბილისის მთავარეპისკოპოსი და ბიჭვინთისა და ცხუმ-აფხაზეთის მიტროპოლიტი, უწმიდესი და უნეტარესი ილია მეორე, მის მიერ ნაკურთხი წმიდა სინოდთან და სამღვდლოებასთან ერთად, ამინ!

მრავალჟამიერ, უწმიდესო და უნეტარესო მეუფეო!

საღვთისმეტყველო განათლება საქართველოში კათოლიკოს-პატრიარქ ილია მეორის მოღვაწეობის პერიოდში

პროტოპრესვიტერი **გიორგი ზვიადაძე**
თეოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი

საგანმანათლებლო მოღვაწეობის ისტორია საქართველოში სათავეს უშორესი წარსულიდან იღებს. მიუხედავად იმისა, რომ აღნიშნული მოღვაწეობის ამასხველი წყაროების მნიშვნელოვანი ნაწილი ჩვენამდე არ მოღწეულა, თვით იმ მასალების საფუძველზე, რაც შემორჩა, ერთი რამ სავსებით მკაფიოდ შეიძლება ითქვას: ერის განათლების საღვთო საქმეს საუკუნეთა მანძილზე წინამძღოლობდა საქართველოს სამოციქულო ეკლესია, რომლის უცთომელი ხედვაც ქვეყნის ყველა მხარეს სწვდებოდა, შემოკრებდა მათ და ცხოვრებისკენ წინ მიუძღოდა.

საეკლესიო ისტორიაში პირველი საღვთისმეტყველო სასწავლებლები II-III სს-იდან ფუძნდება. ესენია, ერთი მხრივ, ალექსანდრიის კატეხიზმური სკოლა, წმ. ათენაგორა ათენელისა და პანტენოს ალექსანდრიელის დასაძირკვლებული II ს-ის მიწურულს, მეორე მხრივ კი – ანტიოქიური სკოლა, წმ. ლუკიანე ანტიოქიელის დაარსებული III ს-ის 70-იან წლებში (ზოგიერთი მკვლევარი აღნიშნული სკოლის დაფუძნებას II ს-ის მეორე ნახევრის მოღვაწეს თეოფილე ანტიოქიელს განუკუთვნებს, ზოგს კი ხსენებული სკოლის სათავეები IV ს-ის მეორე ნახევრისკენ გადააქვს და მის ფუძემდებლებად დიოდორე ტარსელსა და თეოდორე მოფსუესტელს ასახელებს).

გარდა აღნიშნული სკოლებისა, უმნიშვნელოვანესი საღვთისმეტყველო ცენტრები ძველთაგანვე არსებობდა იერუსალიმში, რომში, კართაგენში, მოგვიანებით

კონსტანტინოპოლში, შემდეგ კაპადოკიაში და ა. შ., რომელთა გვერდით მეოთხე საუკუნის პირველი ნახევრიდან ცალკე სკოლებად წარმოჩნდება უდაბნო-მონასტრები, ზოგჯერ კი განდევნილ მოღვაწეთა სენაკებიც. რაც შეეხება საქართველოს, თვალსაჩინოა, რომ საეკლესიო საგანმანათლებლო მოღვაწეობის პირველსაფუძვლები ჯერ მცხეთაში დაიდო, შემდეგ კი თითქმის მაშინვე განეფინა ქვეყნის მრავალ მხარეს და, არცთუ დიდი დახანებით, მის ფარგლებსაც გასცდა.

ჩვენამდე მოღწეული წყაროების მიხედვით X ს-მდე ქვეყნის შიგნით ყველაზე მეტად იკვეთება სამხრეთ საქართველო, ქვეყნის გარეთ კი – საბაწმინდის სახელგანთქმული ლავრა. ამ ორ კერას შორის, დიდი დაშორების მიუხედავად, უმჭიდროესი კავშირი არსებობდა. მათი თანამშრომლობის შედეგია არაერთი ლიტურგიკული თუ სხვა ჟანრის ხელნაწერი, თუნდაც 864 წლით დათარიღებული სახელგანთქმული ჰომილეტიკური კრებული «სინური მრავალთავი» (ყველაზე ადრეული თარიღის ქართული ხელნაწერი), რომლის გადაწერაც არსებითად მაკარი ლეთეთელს, სამხრეთ საქართველოდან საბაწმინდაში მივლენილ ბერს (წმ. გრიგოლ ხანძთელის მოწაფეს) უკავშირდება.

საზღვარგარეთის ქართულ მონასტერთა შორის საბაწმინდის ლავრა ჭეშმარიტად მეწინამძღვრე იყო საგანმანათლებლო მოღვაწეობისა მეთათე საუკუნის შუა წლებამდე, როდესაც, გაუსაძლისი პირობების გამო, ქართველ ბერთა თითქმის მთელი კრებული სი-

ნას მთაზე გადავიდა სამოღვაწეოდ. მათ შორის იყო სახელგანთქმული ქართველი ლიტურგისტი იოანე-ზოსიმეც, რომელიც უაღრესად ინტენსიურ მოღვაწეობას ჯერ საბაწმინდაში ეწეოდა, შემდეგ კი, მეათე საუკუნის მეორე ნახევრიდან, სინას მთაზე გაუგრძელებია ხელნაწერთა გადაწერა-შედგენა-კომენტირება.

ამ დროისთვის სამხრეთ საქართველოს მოღვაწენი, გარდა საბაწმინდა-სინას მონასტრებისა, სულიერ საგრობას ათონის მთაზე შესდგომიან, რომელთაგან ერთ-ერთი პირველი სწორედ სამხრეთ საქართველოში მოღვაწე იოანე ათონელია, რომლის სადიდებლად ისიც საკმარისია, რომ სწორედ მან აღგვიზარდა ქართველი ერის მოძღვრად და გამორჩეულ ღვთისმეტყველად თავისი სახელგანთქმული ძე, დიდი ექვთიმე ათონელი (გარდ. 1028 წ.), თუმცა იოანეს ჰქონდა თავისი პირადი გამორჩეულობაც, სრულიად განსაკუთრებული, რითაც აიხსნება ის უპრეცედენტო მოვლენა, რომ უდიდესმა ბერმა წმ. ათანასე ათონელმა საგანგებო „ხარისტიკონი“ ანუ „სამადლობელი“ უძღვნა მას და მისი სახით მთელ ქართველ ერს (ბერძნული ორიგინალი მაღალ მეცნიერულ დონეზეა გამოცემული და ბოლო წლებში სწორედ აქედან შესრულდა ქართული თარგმანი).

სამხრეთ საქართველოს და ათონის მთის განუყოფლობა ნივთიერად დასტურდება ცნობილი ოშკის ბიბლიით, რომელიც სწორედ ოშკში (სამხრეთ საქართველოში) გადაიწერა ათონელი ძმებისთვის.

სულიერი ასპექტით ამასვე მოწმობს ის ფაქტიც, რომ XI ს-ის პირველ ნახევარში უდიდესი საღვთისმეტყველო კერის, იერუსალიმის ჯვრის მონასტრის აღმშენებლობას სწორედ ექვთიმე მთაწმინდელის კურთხევით იწყებს შავშეთელი ბერ-მონაზონი გიორგი-პროხოვე.

საგულისხმოა, რომ ექვთიმეს ღვაწლის უბადლოდ სრულმყოფელი წმ. გიორგი მთაწმინდელიც ჯერ სამხრეთ საქართველოს მონასტრებში განისწავლა, შემდეგ ანტიოქიაში შავ მთაზე განაგრძო ღვთის სათნო ბერული ცხოვრება, ბოლოს კი ათონის მთაზე განასრუ-

ლა საღვთო ასკეზისი, როდესაც ჭეშმარიტად გამოგვიჩნდა იგი ექვთიმეს სადარ უდიდეს ღვთისმეტყველ-მთარგმენლად.

შავ მთაზე, თავის მხრივ, წმ. ეფრემ მცირემ იტვირთა გიორგი მთაწმინდელის საფუძველდადებული საგანმანათლებლო საქმის წინამძღვრობა, განამდიდრა რა საქართველოს ეკლესია უმნიშვნელოვანესი თარგმანებითა და უდიდესი ღირსების ანდერძ-მინაწერებით.

ეფრემმა აღზარდა არსენი, საქართველოს ეკლესიის უჭკნობი გვირგვინი, რომელმაც აურაცხელ სხვა ღვაწლთან ერთად ის განსაკუთრებული მისიაც ივალდებულა, რომ დავით აღმაშენებელთან ერთად დაეარსებინა გელათის საღვთისმეტყველო სკოლა, აკადემიად წოდებული, რომლის კეთილი ნაყოფიც ჯერ კიდევ შეუფასებელია, ვინაიდან სწორედ გელათის აკადემია იქცა ქართველი ერისთვის „მეორედ იერუსალემად, მოძღურად სწავლულებისად, სხუად ათინად, ფრიად უაღრეს მისსა“.

გელათის სკოლაგავლილი ჩანს იოანე პეტრიწი, რომელიც შემდეგში სახელს და დიდებას შესძენს პეტრიწონის სამწიგნობრო ცენტრს, კიდევ ერთ უმნიშვნელოვანეს საგანმანათლებლო კერას საქართველოს ისტორიაში.

ამგვარ უმნიშვნელოვანეს და უმყარეს ტრადიციას დაეფუძნა საღვთისმეტყველო განათლების აღორძინება და განვითარება პატრიარქ ილია II-ის ეპოქაში. ათეისტური მმართველობის უღელი მძიმე ტვირთად აწვა ქართველ ერსა და საქართველოს ეკლესიას. აღსაყდრების დღიდან უწმიდესმა და უნეტარესმა ილია II-მ საქართველოს უძველესი ეკლესიის ავტოკეფალიის აღდგენასთან ერთად მიზნად დაისახა უმაღლესი საღვთისმეტყველო სკოლების დაფუძნება, რომელთა გარეშე, ბუნებრივია, შეუძლებელი იქნებოდა ქართული საღვთისმეტყველო აზრის აღორძინება და განვითარება. ათეისტური მმართველობის პერიოდში საეკლესიო განათლების თვალსაზრისით ძალიან მძიმე ვითარება იყო, რასაც საღვთისმეტყველო სკოლების არარსებობა განაპირობებდა. მართალია, 1963 წელს მცხე-

თაში გაიხსნა საღვთისმეტყველო კურსები, რომელიც 1965 წელს სემინარიად გადაკეთდა, მაგრამ პირდაპირი მნიშვნელობით ეს არ იყო უმაღლესი საღვთისმეტყველო სკოლა.

სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის უწმიდესი და უნეტარესი ილია II-ის ძალისხმევით თბილისში დაფუძნდა უმაღლესი საღვთისმეტყველო სკოლა — თბილისის სასულიერო აკადემია, რომლის მიზანია უმაღლესი საღვთისმეტყველო-სამეცნიერო კადრების მომზადება ღვთისმეტყველების დარგში. პატრიარქმა გახსნის დღიდანვე ამ უმაღლეს საღვთისმეტყველო სკოლას გეზად დაუსახა, რომ მის კედლებში გამთლიანებულიყო მაცხოვრებელი ცოდნა და მაცხოვრებელი რწმენა. „ჩვენ არ უნდა მოვწყდეთ ჩვენს ფესვებს. თბილისის სასულიერო აკადემიამ უნდა იმეძვიდროს ის უდიდესი ტრადიცია, რაც დაკავშირებული იყო გელათის უმაღლეს საღვთისმეტყველო სკოლასთან. ეს აკადემია უნდა გახდეს მაღალი სამეცნიერო ცოდნისა და სულიერების მნიშვნელოვანი კერა“ — განაცხადა საქართველოს პატრიარქმა.

1990 წელს აღდგა გელათის უმაღლესი საღვთისმეტყველო სკოლის — გელათის აკადემიის ფუნქციონირება, ხოლო 1995 დაფუძნდა გელათის მეცნიერებათა აკადემია, რაც უმნიშვნელოვანესი მოვლენა იყო ჩვენი ეკლესიისა და ერის ცხოვრებაში. ამ აკადემიის დაფუძნების აქტს სახელმწიფოს მხრიდან ხელი მოაწერა საქართველოს პრეზიდენტმა, ხოლო ეკლესიის მხრიდან სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქმა ილია II-მ.

პატრიარქის მოღვაწეობისა და ძალისხმევის შედეგად სასულიერო სემინარიები დაარსდა ჩვენი ქვეყნის სხვადასხვა რეგიონში. მაგ.: ბათუმის წმ. იოანე ღვთისმეტყველის სახ. სასულიერო სემინარია, ახალციხის სასულიერო სემინარია, ცაგერის წმ. მაქსიმე აღმსარებლის სახელობის სემინარია, გრემის სასულიერო სემინარია, ასევე წმ. გიორგი მთაწმიდელის საეკლესიო გალობის უმაღლესი სასწავლებელი, თბილისის წმ. ექვთიმე ღვთისკაცის სახელობის პროფესიული საგანმანათლებლო კოლეჯი, ახალქალაქის წმ.

ზოსიმე კუმურდოელის სახელობის საზოგადოებრივი კოლეჯი, ახალქალაქის წმ. ნინოს სახელობის საღვთისმეტყველო სასწავლებელი. ასევე შეიქმნა უმაღლესი საერო უნივერსიტეტები, რომლებიც საპატრიარქოს ეგიდით ფუნქციონირებს. ეს არის თბილისის წმ. ანდრია პირველწოდებულის სახელობის ქართული უნივერსიტეტი, თბილისის წმ. თამარ მეფის სახელობის უნივერსიტეტი, ფოთის ახალი საქართველოს უნივერსიტეტი, შუახევის წმ. აბუსერიძე ტბელის სახელობის სასწავლო უნივერსიტეტი. დაფუძნდა სამრევლო სკოლები, რომლებიც ეკლესია-მონასტრებთან ფუნქციონირებს, აღორძინდა სამონასტრო ცხოვრება, გაიზარდა ეკლესია-მონასტრების რიცხვი, მაღალ დონეს მიაღწია საგამომცემლო საქმიანობამ. გამოიცა საღვთისმეტყველო-სამეცნიერო ლიტერატურის არაერთი მნიშვნელოვანი ნიმუში, ასევე წმ. წერილი. ამ ყველაფერმა კი საგრძნობლად აამაღლა ერის სულიერი განათლების დონე.

2013 წელს სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის ილია II-ის საერთაშორისო ავტორიტეტით თბილისში პირველად დაფუძნდა სადისერტაციო საბჭო მართლმადიდებლურ თეოლოგიაში. ამავე წელს თბილისის სასულიერო აკადემიაში შეიქმნა დოქტორანტურა, სადაც დღესდღეობით 23 დოქტორანტი სწავლობს პატროლოგიის, ეკლესიის ისტორიის, ბიბლეისტიკის, ლიტურგიკის, კანონიკური სამართლის მიმართულებით.

2017 წლის 11 დეკემბერს მოხდა პირველი სადოქტორო დისერტაციის დაცვა მართლმადიდებლურ თეოლოგიაში, რაც განსაკუთრებულად აღნიშნა საქართველოს წმ. მართლმადიდებელმა ეკლესიამ. ბუნებრივია, რომ რამდენიმე წუთში შეუძლებელია სრულად წარმოაჩინო საღვთისმეტყველო-სამეცნიერო განათლების ის მასშტაბი, რომელიც მთლიანად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქს, უწმიდესსა და უნეტარესს ილია II-ს უკავშირდება. ამ მოხსენებაში მიზნად დავისახეთ, თუნდაც მცირეოდენი წარმოდგენა შეგვექმნა იმ ურთულესი და უმნიშვნელოვანესი ძალისხმევის შესახებ, უწმიდესმა პატრიარ-

ქმა ილია II-მ რომ გასწია საქართველოს, ამ უძველესი ქრისტიანული ქვეყნის შორეული წარსულიდან მომდინარე საგანმანათლებლო ტრადიციების ასაღორძინებლად და განსავითარებლად.

კათოლიკოსი ნიკოლოზ II (III) (1240-1280) (1250-1282)

დეკანოზი იოსებ ზეთეიშვილი
ლიტვა

XIII საუკუნე საქართველოს შფოთიანი ისტორიის ფონზე კი გამოირჩევა, როგორც ერთი-ერთი ყველაზე დრამატული და ტრაგიკული საუკუნე. დაწყებული როგორც თამარ მეფის ბრწყინვალე ეპოქის გაგრძელება, მან საკმაოდ მალე იმდენად იცვალა სახე, რომ ჟამთააღმწერელი მას ჯოჯოხეთში ცოცხლად ჩასვლას ადარებს. თამარ მეფის შვილთა უნიათო მმართველობა, ჯალალედინის შემოსევა, მონღოლთა ბატონობა, თავად ქართველთა ზნეობრივი დაცემა, რის ავ მაგალითს ზოგჯერ თვით ქართველი მეფეები აძლევდნენ ერს, — ასეთი იყო ეს ასწლეული, რომელმაც, შეიძლება ითქვას, საქართველოს ბედის ჩარხი კიდევ ერთხელ უკუღმა დაატრიალა და ქვეყანა მოწამეობრივ გზაზე დააყენა.

ეს ეპოქა, ამავე დროს, გამოირჩევა ცნობილი პიროვნებებით, ერისა და სარწმუნოების ნამდვილი გმირებით, რომლებმაც ღვთისა და ერის წინაშე თავი ისახელეს და საქართველო, შეიძლება ითქვას, დადუბვას გადაარჩინეს. ეს არის შალვა ახლციხელის, დიმიტრი თავდადებულის, ცოტნე დადიანის, პიმენ სალოსის, ანტონ მესხის და მრავალ სხვა წმიდა მოღვაწეთა დრო. ამ ქარცეცხლიანი დროების ფონზე, დიდ გმირთა და მოსაგრეთა გვერდით იკვეთება კიდევ ერთი მოღვაწე, რომელიც, თუმცა ნაკლები ყურადღება ეთმობა, დასახელებული გმირების ტოლ-სწორად და მათსავით, არა მხოლოდ ამ დროის, არამედ ქართველი ერის მთელი ხანგრძლივი ისტორიის გამორჩეულ პერსონაჟად გვევლინება. თანაც მისი პორტრეტი და ამბავი წარმოდგენილია დიდი ისტორიული მოაზროვნისა და ხელოვანი მწერლის — ჟამთააღმწერლის ნაწარმოებში, რომელსაც, გავებდეთ და ჩვენ ერთ-ერთ ნარკვევში ქართული ილიადა ვუ-

წოდეთ.

ეს გახლავთ კათოლიკოს-პატრიარქი ნიკოლოზი, რომელიც საქართველოს ეკლესიის საჭეთმპყრობელი იყო მონღოლთა ბატონობის ჟამს, 1240-1280¹ (ან 1250-1282²) წლებში. პატრიარქის სიტყვიერი პორტრეტი, რომელსაც ჟამთააღმწერელი გვიხატავს, ჭეშმარიტი წმიდანის სახედ გვევლინება: „კათალიკოსი ნიკოლოზ, კაცი მხილველი სულითა, ანგელოზთა მობაძავი, და მრავალთა მოღუაწებათა შინა საკვრველი, მართლმადიდებელი, ძლიერი და თუალ-უხუავად მამხილებელი მეფეთა და მთავართა, რამეთუ იყო უმანკოცა, და არავის თუალნი აუხუნის“³.

ამ წარდგენას, რომლითაც მემკვიდრე კათოლიკოს ნიკოლოზის ამბავს იწყებს, შეესაბამება და უფრო მეტ ძალას ანიჭებს ის წარგზავნა, ერთგვარი გამომშვიდობება, რომლითაც მწერალი დიდი ადამიანის მიწიერი არსებობის დასრულებას აღნიშნავს:

„დაუტევა კათალიკოსობა... და თვთ წარვიდა მამულად თვსად, და მუნ იყოფოდა მრავლითა მოღუაწებითა, მარხვითა, მღვდარებითა და გლახაკთ მოწყალებითა, და სავსე სათნობათა ტვრთითა უფლისა მიმართ მიიცვალა“⁴.

მატიანის სივრცეში ნიკოლოზ კათოლიკოსი ორჯერ გამოდის წინა ხაზზე. პირველი

1 ქართლის ცხოვრება, II, თბ., 1959, გვ. 675. აქ კათოლიკოსი ნიკოლოზ II-ედ არის მოხსენებული.

2 საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქების რედაქტორი აკადემიკოსი როინ მეტრეველი. თბ., „ნეკერი“, 2000, გვ. 59. ავტორები მას ნიკოლოზ III უწოდებენ.

3 ქართლის ცხოვრება, II, გვ. 224.

4 იქვე, გვ. 282.

მისი გამოჩენა დაკავშირებული იყო იმ მძიმე მდგომარეობასთან, რომელიც მონღოლთა შემოსევისა და ბატონობის პირველ პერიოდში საქართველოს ეკლესიას შეექმნა. რუსუდან მეფის გარდაცვალებისა და მომავალი მეფეების დავით ულუსა და დავით ნარინის ურდოში გამგზავრების შემდეგ, ქვეყანა უმაღლესი ხელისუფლების, მზრუნველისა და მცველის გარეშე დარჩა. „ქუეყანა სამეფო, საყდარნი და მცხეთა და მისი მიმდგომი ქუეყანა არავისგან იცვებოდეს, რამეთუ წარჩინებულნი ამის სამეფოსანი თვისისა ქუეყანისათს ზრუნვიდეს“, — აღნიშნავს ჟამთააღმწერელი. ამ პირობებში კათოლიკოსმა თავის თავზე აიღო ეკლესიის საქმეთა მოწყობა. როგორც დამოუკიდებელი სამფლობელოს მთავარი იგი მონღოლთა ყაენს ეახლა და მისგან ეკლესიის ხელშეუხებლობის პირობა და სათანადო მოწმობა („იერლაცი“) მიიღო. „და დაიცვნა ყოველნი საყდარნი და მონასტერნი“⁵, — დასძენს მემკვიდრე.

კათოლიკოს ნიკოლოზის წინაშე ამ შემთხვევაში ორმაგი ამოცანა იდგა. ეს იყო პირველი შეხვედრა არა მარტო უცხოელ დამპყრობლებთან, არამედ აგრეთვე უცხო და მანამდე უცნობი სარწმუნოების წარმომადგენლებთან. ჟამთააღმწერლის ცნობიდან ვიცით, რომ მან წარმატებით გაართვა თავი ორივე ამოცანას. გარდა იმისა, რომ ხელშეუხებლობას მიაღწია, მან მონღოლთა დიდი პატივისცემაც დაიმსახურა. გასათვალისწინებელია, რომ პატრიარქის ამოცანას აადვილებდა ის გარემოება, რომ მონღოლები დიდი ხნის განმავლობაში, სანამ თავიანთი პრიმიტიული წარმართული სარწმუნოების მიმდევრად რჩებოდნენ, მეტად შემწყნარებელნი იყვნენ სხვა სარწმუნოებათა მიმართ. მაგრამ ქართველი მამამთავრის წარმატებაში, ჟამთააღმწერლის ცნობით, დიდი როლი თავად ნიკოლოზ კათოლიკოსის პიროვნებამაც ითამაშა.

„იხილა რა ყაენმან, განკვრდა წესსა და ხილვასა შესახედავსა მისსა...და ვითარ პატივსცა, დაუწერეს იერლაცი... შეუქმნეს და მოსცეს შანად [სახუქრად] ჯუარნი ოქროსანი, და შეუქმუნა თვალითა და მარგალი-

ტითა, და უბოძა ერთი თვთ კათალიკოსსა და ერთი მოძღუარსა ვარძიისასა, რომელი თანა ჰყვა კათალიკოსსა. და არგანიცა [კვერთხი] იგი ოქროთა შემკული მონიჭა კათალიკოსსა ოდენ, ჯუარიანი იგიცა, და ესრეთ პატივითა წარმოავლინეს“⁶.

ჩვენთვის უცნობია, რა გრძნობებს იწვევდა კათოლიკოსში ყაენისა და ზოგადად მონღოლთა „წესი“ და „ხილვა“. მაგრამ თვით მემკვიდრე, მსგავსად ნიკოლოზ კათოლიკოსისა, მკაცრად მამხილებელი ქართველ მეფე-მთავართა და მის მიერ აღწერილი დროის ქართული საზოგადოებისა, ამავე დროს იწონებს ამ ტომის უბრალო და გაურყვნელ ზნეობას („სიტყუა ტყუილი არა ამოვიდეს პირით მათით, მეკობრე და მბორგველი კაცი გაუკითხავად მოკლიან“⁷), პატივს მიაგებს მათ წინამძღოლ ჩინგიზ-ყაენს, იზიარებს ლეგენდას, თითქოს ჩინგიზ-ყაენს ქრისტე გამოეცხადა, მცნებები გადასცა და მსოფლიოზე ძალაუფლება მიანიჭა. შესაძლოა, კათოლიკოსი ნიკოლოზიც, ეს წმინდა კაცი, უნებლიეთ იწონებდა მონღოლების ნახევრად ველურ, მაგრამ შეურყვნელ ზნეობას. და მისი გზავნილობის წარმატებას ამ თანაგრძნობამაც შეუწყო ხელი.

თამარ მეფის მემკვიდრეების ხანა, დიდი მემკვიდრის — ჟამთააღმწერლის დახასიათებით, მკვეთრი ზნეობრივი დაქვეითების ჟამი იყო. თანამედროვე ზნეობის შემხედვარე ადამიანს ძალიან უნდა გაუკვირდეს, რა იწვევდა ჟამთააღმწერლის ასეთ მწვავე კრიტიკას, მაგრამ უნდა გავითვალისწინოთ, რომ იგი, როგორც ერთ-ერთი ყველაზე მკაცრი მორალისტი ქართველ მწერალთა შორის, არა ჩვენი დროის პოსტქრისტიანული, არამედ წმინდა თამარ მეფის დროინდელი საწყაოთი ზომავდა.

„გარნა იწყეს უძღებება და განცხრომა ყოველმან ასაკმან, და მიიქცეს ყოველნი სიბოროტედ. და ვითარ არა გამოიცადეს ღმერთი, ამისთვის მისცნა იგინი ღმერთმან უჯეროდ

5 იქვე, გვ. 224.

6 იქვე.

7 იქვე, გვ. 190.

გინებად და წოცად წარმართთა მიერ⁸, — ასეთი იყო, მისი რწმენით, იმ საშინელი კატასტროფის მიზეზი, რომელიც საქართველოს და ქართველებს თამარის შემდეგ დაატყდათ თავს.

შეგვიძლია ვივარაუდოთ, რომ ნიკოლოზ კათოლიკოსი, რომელიც შეესწრო ლაშა-გიორგის დროინდელ „უძღებებასა და განცხრომას“ და იმ „უჯეროდ გინებასა და ხოცვასაც“, რომელიც ამას მოჰყვა, იზიარებდა ამ შეხედულებას. და ძალისაებრ წინააღმდეგობა და ზნეობრივ დაცემას. ამას მისგან მოითხოვდა არა მარტო ქვეყნისა და ერის გადარჩენის ამოცანა, არამედ მისი სარწმუნოებაც და ის ძირძველი ტრადიცია, რომელიც მართალი სარწმუნოების გვერდით ზნეობრივი სიწმინდის დაცვასაც ითვალისწინებდა. და თუ საჭირო იყო, ამ მიზნით საზოგადოების უმაღლესი წარმომადგენლების მხილებასაც.

ეს გახლდათ ტრადიცია გრიგოლ ხანძთელისა, რომელმაც „სიძვის დედაკაცი“ ჩამოაშორა აშოტ კუროპალატს და მერე დედათა მონასტერში განამწყესა, და გრიგოლის თანამოსაგრე ფებრონია მერელისა, რომელმაც პირისპირ ამხილა ეს დიდი მეფე და მომავალი წმინდანი, როცა მან ამ დედაკაცის ძებნაში მის მონასტერს მიაკითხა⁹.

ამ ტრადიციით ხელმძღვანელობდა აგრეთვე თორნიკე ერისთავი, რომელმაც ბიზანტიის დედოფალიც კი ასევე პირისპირ „შინა-გამოღებით მრავალ-ფერთა საქმეთათვის ამხილა“¹⁰.

ამავე ტრადიციას მისდევდა და ამტკიცებდა გიორგი ათონელი, როცა საქართველოში ყოფნის დროს „ყოველნივე ცხადნი და დაფარულნი უწესობანი განჰმართნა. რამეთუ პირველად ყოვლისა აღლესა მაჴვლი მხილებისად მეფეთა მიმართ“¹¹.

ასევე მოიქცნენ თამარ მეფის ძისა და მემკვიდრის ლაშა-გიორგის მეფობაში ჯერ დიდი ფეოდალები ვარამ გაგელი და ივანე

ათაბაგი, რომლებმაც პროტესტი განუცხადეს ახალგაზრდა მეფეს მისი აღვირახსნილი საქციელის, ლოთობისა და სხვა უჯერო ქმედებათა გამო: „არა თავს ვიდებთო, ეტყოდეს, შენსა მეფედ ყოფასა, უკეთუ არა განეყენო [თავი დაანებო] ...ავსა წესსა“¹²; შემდგომში კი ქართული საზოგადოების მთელი უმაღლესი ფენა დაუპირისპირდა ახალგაზრდა მეფეს სხვისთვის ცოლის წართმევის გამო: „ამისთვის შეკრბეს კათალიკოსნი, ეპისკოპოსნი და ვაზირნი და მოაწყსენებდეს: „არა ჯერ არს, რათა მწვევალი გესუას და არა ცოლი“... ამისთვის წარგუარეს ქალი იგი... და ქმარსავე მისსა მისცეს“¹³.

ნიკოლოზ კათოლიკოსის მამათმთავრობის დიდი პერიოდი მეფე დიმიტრის, შემდგომ თავდადებულად წოდებულის, დროს დაემთხვა. ეს დრო და თვით მეფე დიმიტრის პიროვნება წინააღმდეგობრივად გამოიყურება. ერთი მხრივ, ეს იყო შედარებითი სიმშვიდისა და კეთილდღეობის ხანა. ჟამთააღმწერელი ასე ახასიათებს მას: „ესრეთ დამშვდნა ქუეყანა და ყოვლით კერძო იწყო მშვიდობა. მოჰხედნა ღმერთმან წყალობით მოსავთა მისთა, და იყო უხუება პურისა და ღვინისა“¹⁴. „მეფემან... აღაშენნა ქუეყანანი მოოჯრებულნი“¹⁵. მართალია, ივანე ჯავახიშვილი მკაცრად აკრიტიკებს ჟამთააღმწერელს იმდროინდელი აღმოსავლეთ საქართველოს ეკონომიკური მდგომარეობის შელამაზების გამო: „არც ქვეყანასა და არც ხალხს, დემეტრე II-ის მეფობაში, თუნდაც მარტო მონღოლთა ხშირი ლაშქრობის გამო, დაწყნარება არ ჰღირსებია, სიღარიბე ხომ არამცთუ არ შემცირებულა, არამედ წინანდელზე უფრო მეტადაც კი გაძლიერდა“¹⁶, მაგრამ თვითონ დიდი ისტორიკოსი იმეორებს დიდი მემატეანის ცნობებს დიმიტრი მეფის აღმშენებლობითი მოღვაწეობის შესახებ და ამით ნებას გვაძლევს ნაწილობრივ მაინც

8 იქვე, გვ. 168.

9 გიორგი მერჩულე.

10 გიორგი მთაწმიდელი.

11 გიორგი მცირე, XVII

12 ქართლის ცხოვრება, II, გვ. 155.

13 იქვე, გვ. 156.

14 ქართლის ცხოვრება, II, გვ. 276.

15 იქვე, გვ. 272.

16 ივ. ჯავახიშვილი. ქართველი ერის ისტორია, III, თბ., 1966, გვ. 228.

გავიზიაროთ მატრიანეში მოცემული დახასიათება „ყოვლით კერძო“ დაწყებული მშვიდობიანობის გამო. თუმცა გასაგებია, რომ ამ ეპოქის „მშვიდობა“ და „უხუება“ ვერ შეედრებოდა თამარის დროინდელ კეთილდღეობას. აკი თავად მემატრიანის თქმით, საქართველოს მკვიდრნი, თამარის გარდაცვალების შემდეგ, „ცხოველნიცა ჩასრულ იყვნეს ჯოჯოხეთს“¹⁷. და მაინც, ჯოჯოხეთშიც, იქნება ის იმქვეყნიური თუ მიწიერი, ტანჯვა-წვალების სხვადასხვა დონე და სიმძაფრე არსებობს.

სამწუხაროა, მაგრამ გასაკვირი არაა, რომ საზოგადო ვითარების ამ თუნდაც ოდნავმა გაუმჯობესებამაც, ჟამთააღმწერლის მოწმობით, საქართველოს მკვიდრთა ზნეობრივი დაცემა გამოიწვია.

თუ რაოდენ წამხდარა ზნეობა საქართველოს უმაღლეს ფენაში, მოწმობს თუნდაც დიმიტრი თავდადებულის მამის დავით V-ის ირგვლივ დატრიალებული ამბები, როცა „განდიდებული“ ბასილი ჭყონდიდელი არა მარტო მეფის დაუკითხავად განაგებდა და ზიანს აყენებდა „სეფეთა ქუეყანათა“ (ანუ, მეფის მამულს), არამედ მეფის მეუღლე ესუქნთან მრუშობაშიც იქნა დასმენილი და სიკვდილით დაისაჯა, რამდენიმე ხნის შემდეგ კი, თავად მეფე, გავრცელებული ხმების თანახმად, იგივე ესუქნმა მოწამლა, შესაძლოა, ბასილი ჭყონდიდელის გამო შურისძიების მიზნით¹⁸.

ხოლო უშუალოდ დიმიტრი თავდადებულის მეფობის ხანას ასე ახასიათებს ჟამთააღმწერელი: „ვითარ მოიცალეს ჭირთაგან და განისუენებდეს, და მიდრკეს გზისაგან საღმრთოსა, იწყეს განდგომად“. და აზუსტებს: „რამეთუ მეფემან მოიყვანნა სამნი ცოლნი, ეგრეთვე სადუნმან [დიმიტრის ეპოქის ძღვევამოსილი მედროვე] სამი ცოლი, და მთავართა იწყეს ჯელის შეხებად საყდართა და მონასტერთა, და იწყეს მიტაცებად სოფელთა და აგარაკთა... და კუალად სხუანიცა აღმოცენდებოდეს ბოროტნი, — განაგრძობს მხილებას მემატრიანე. — რამეთუ იწყეს ურთიერთას მძლავრებად და მიხუჭვად, და არავინ იპოვებოდა სამართლის

მყოფელი, რამეთუ იყო მდღელთ-მთავარი და მდღელი ლაღ-ამპარტავან, ანგარ-ბოროტის-მყოფელ, უწესო. და ვითარ [არა] განვამრავლოთ სიტყუა, რამეთუ იყვნენ ყოვლით კერძო ბოროტ“¹⁹.

ზემოხსენებულმა სადუნ მანკაბერდელმა უკვე აღნიშნულ მრავალცოლიანობას ისიც დაუმატა, რომ მონღოლი ქმრისგან მიტოვებული დიმიტრი მეფის და იყიდა ყაენისგან და დიმიტრი მეფის თანხმობით მესამე ცოლად მოიყვანა²⁰.

თვით მეფე დიმიტრი, ქრისტიანული ოჯახური წესის ასეთი გაუგონარი სიუხეშით დამრღვევი, სხვა მხრივ, იგივე მწერლის მიერ ნამდვილ წმინდანად არის დახატული და ქართველ ისტორიულ მოღვაწეთა შორის ერთ-ერთ ყველაზე სათნო და მიმზიდველ პიროვნებად წარმოგვიდგება.

„მეფე დიმიტრი, — ახასიათებს მას ჟამთააღმწერელი, — კეთილად მმართველი, სკიპრათა სამეფოთა შემკობილი, და მოწყალებისა და მოსამართლეობისა, მონაზონთა და ეკლესიათა, ყოველთა წესთა საღმრთოთა და კაცობრივთა კეთილად ზედამიწევით მმართველი“²¹.

„რამეთუ იყო ესე დიმიტრი, — აღნიშნავს სხვაგან იგივე ისტორიკოსი, — ...უხვ, მოწყალე და მდაბალი, გლახაკთა, ქურივთა და დავრდომილთა მოწყალე, რომელ არა სმენილ არს ნათესავი მეფეთა გინა სხუათა, რამეთუ აქუნდა ჩუეულება, აღილის საფასე და აღდგის ღამე, და მოვლის ქალაქი, და მოიხილნის გლახაკნი და დავრდომილნი და ობოლნი, და თვსითა ჯელითა მისცემდის, და ყოველთა უწყოდნიან მოწყალება მეფისა, და ამისთვის გლახაკნი ღამით ფოლოცთა [ქუჩათა] შინა ვიდოდნიან, რათა შეემთხვენეს მეფესა. ამას თანა მოეგო მარხულობა, ღამით ლოცვა და მუჭლთ-ყრა ფრიადი, რამეთუ ათას ხუთასი მუჭლი მოაგდის მდაბლად მიწასა ზედა. ესრეთ ყოვლითურთ განშუენებული და განათლებუ-

17 ქართლის ცხოვრება, II, გვ. 151.

18 იქვე, გვ. 253, 267-268.

19 იქვე, გვ. 276-277.

20 იქვე, გვ. 278.

21 იქვე, გვ. 282.

ლი იყო²². მეფის ასეთმა გამორჩეულმა სათნოებამ მხოლოდ სულ ბოლოს სძლია მისივე უწესობას, და სიცოცხლის გაწირვის ფასად დაუმკვიდრა დიმიტრი თავდადებულს ცათა სასუფეველი და წმიდათა თანა მედასეობა. მანამდე კი ეს მომავალი წმინდანი დროდადრო მხილების ობიექტი ხდებოდა.

მაგრამ ის, რაც ჯერ კიდევ ლაშა-გიორგის დროს საზოგადოების უმაღლესი წარმომადგენლების საზრუნავიც იყო, ნიკოლოზ კათოლიკოსის მამამთავრობის დროს მხოლოდ ცალკეული სამღვდლო პირებისა და სალოსების ხვედრად გადაქცეულიყო. აქაც იჩინა თავი იგივე საზოგადოებრივმა დაბნეულობამ და დაქსაქულობამ, რომლის ძალითაც დიდმა ფეოდალებმა მიატოვეს „ქუეყანა სამეფო“ და მხოლოდ „თვისისა ქუეყანისათვის“ დაიწყეს ზრუნვა.

დიმიტრი თავდადებულის მეფობისას ცხოვრობდა და „ბრწყინვიდა“ ორი დიდი მოღვაწე — პიმენ სალოსი, ლეკთა განმანათლებელი, და ანტონი ნაოხრებელის-ძე²³. იოანე ბატონიშვილი თავის „კალმასობაში“ ერთსაც და მეორესაც, ვითარცა „მეფეთა მამხილებლად“, წარმოგვიდგენს. „მამა პიმენ სალოსი... იყო ფრიად მამხილებელ უსამართლოებასა და უწესობათა ზედა მეფეთა და მთავართასა არა სიტყვით, არამედ წერილებითცა“²⁴, ხოლო „მამა ანტონი ...იყო ფრიად სიწმინდის მოყვარე, ...პიმენისაებრ მეფეთა მამხილებელი, რომელსა აქვნდა დიდი პატივისცემა მეფეთა და მთავართავან, და ერჩდენ მოძღვრებასა ამისას“²⁵.

დიმიტრი მეფე კიდევ ერთი დემონსტრაციული მხილების მიზეზი შეიქნა. „მათ ჟამთა მოიწია მთაწმიდით ბასილი მონაზონი, — გვატყობინებს ჟამთააღმწერელი, — ბიძა ევფემიოს კათალიკოსისა, საღმრთოთა წესითა აღსავსე და წინასწარცნობისა მადლითა

განბრწყინვებული; მოიწია წინაშე დიმიტრი მეფისა, გამოცხადებითა ყოვლად-წმიდისა ღვთისმშობელისათა, და ვითარცა მოციქული ძლიერად ამხილებდა და წინააღმდეგობდა მეფესა უწესოსა მისთვის ქორწინებისა, და ასწავებდა სიწმიდესა“, ხოლო მკაცრ მხილებას ბოლოს მრისხანე მუქარა დაურთო: „უკეთუ არა განეყენო [თუ თავს არ დაანებებ] უწესოთა ქორწილ-შეყოფათა, და შეურაცხვენი სიტყუანი ჩემნი, ბოროტად და უპატიოდ მოიკლა მძლავრთა მიერ, და ოჯერ იქმნე სამეფოსაგან შენისა, და შვილნი შენნი მიმოდანიინენ, და სხუამან დაიპყრას მეფობა შენი“²⁶. რაც აღსრულდა კიდევაც თავის დროზე.

ამასთან მეფე დიმიტრი, მართალია თავის უგვანო საქციელს არ ცვლიდა მართალ მხილებათა გავლენით, მაგრამ ამავე დროს მამხილებელთა წინააღმდეგ არავითარ რეპრესიულ ზომებს არ მიმართავდა. „ხოლო მეფემან განკვრევებულმან არა მიუგო სიტყუა, რამეთუ იყო წმიდათა კაცთა პატივისცემელი“²⁷. თუმცა ეს უკანასკნელი გარემოება არა მხოლოდ ამ მეფის პირად თვინიერებას, არამედ მრავალსაუკუნოვან ტრადიციასაც უნდა მივაწეროთ.

ასეთ მხილებებს, როგორც ჩანს, ეპიზოდური ხასიათი ჰქონდა, რადგან არც პიმენ სალოსი, არც ანტონი, და არც მითუმეტეს ათონელი ბერი ბასილი, არ იყვნენ უმაღლესი საზოგადოების წარმომადგენლები და მეფესთან დაახლოებული პირნი. ჟამთააღმწერელიც სწორედ როგორც ცალკეულ ან პერიფერიულ მოვლენებს ისე აღწერს ბასილი მთაწმიდელის, პიმენ სალოსისა და ანტონი მესხის გამოსვლებს. ბოლო ორი მოღვაწე ისე გაკვრით ჰყავს მოხსენებული მემკვიდრეებს, რომ, თუ არა ბასილი მთაწმიდელის ამბავთან ტექსტობრივი სიახლოვე და იოანე ბატონიშვილის ცნობა, დიმიტრი თავდადებულის „უწესო ქორწინებათა“ მამხილებელთა რიგში მათი ჩაყენება ძნელი იქნებოდა.

როგორც ჟამთააღმწერლის თხრობი-

22 იქვე, გვვ. 271-272.

23 იქვე, გვვ. 283. მათი საერთო ხსენების დღეა 16/29 მარტი.

24 ქართული პროზა, წიგნი VI, თბ., 1984, გვ. 507.

25 იქვე, გვვ. 507-508.

26 ქართლის ცხოვრება, II, გვ. 151.

27 იქვე, გვვ. 282-283. იხ. აგრეთვე ქართული პროზა, წიგნი VI, გვ. 507.

დან ჩანს, გავრცელებულ ზნედაცემულობასთან ბრძოლის უმთავრესი ტვირთი სწორედ ნიკოლოზ კათოლიკოსს ერგო. „დაღათუ ამათ უწესობათა დიდად ამხილებდა ნიკოლოზ კათალიკოსი და ნიკოლოზ მაწყურელი ჯუნშე-რის-ძე, გარნა არავინ ყურად იღებდა სიტყუასა მათსა“²⁸.

იულიუს კეისრის თქმით, რომელიც ისტორიკოს სალუსტიუსს მოჰყავს: „In maxima fortuna minuma licentia est“ (უდიდეს ძალაუფლებაში უმცირესი თავისუფლებაა)²⁹. თავის მხილებებში ათონელი ბერიც და საქართველოში მოღვაწე სალოსიც უფრო თავისუფალნი იყვნენ, ვიდრე საქართველოს ეკლესიის საჭეთმპყრობელი. მათ მხოლოდ საკუთარი თავი ებარათ, კათოლიკოსს კი მთელი საქართველოს ეკლესია, თანაც გარე და შიდა განსაცდელის ჟამს, ვინაიდან არა მარტო საერო პირთა შორის „არავინ იპოვებოდა სამართლის მყოფელი“, არამედ აგრეთვე „იყო მღდელთ-მთავარი და მღდელი ლალ-ამპარტავან, ანგარ-ბოროტისმყოფელ, უწესო“. ესე იგი მამამთავარს არც ეკლესიის საჩინო წარმომადგენელთა შორის ეყოლებოდა მხარის დამჭერი. ჟამთააღმწერელს მაღალი რანგის სასულიერო პირთაგან კათოლიკოსთან ერთად უწესივრობასთან მეზობლად მხოლოდ ნიკოლოზ მაწყურელი ჰყავს მოხსენებული.

მრავალცოლიანობის საკითხში კათოლიკოსი არა მარტო მეფეს დაუპირისპირდა, არამედ, რასაც იმ პირობებში არანაკლები მნიშვნელობა ჰქონდა, ძლევამოსილ მედროვეს ათაბაგ სადუნ მანკაბერდელს, რომელიც მონღოლებთან დიდი გავლენით სარგებლობდა და თვით მეფეც იძულებული იყო, მისთვის ანგარიში გაეწია.

„მაშინ სადუნმან ცნა, ვითარმედ არღარა ნებაავს დასა მეფისასა ქმრად შვილი არღუნისი, ამისთვის დაევაჭრა, რათა მოჰყიდოს და მეფისა, და ევედრა ყაენს აბალას,

ხოლო იგი ერჩდა და მოჰყიდა. ხოლო მეფემან მისცა დაე თვისი სადუნსა; ესე უწესო ქმნა, რომელ სამნი ცოლნი მოიყვანნა სადუნ თვისად. ამისთვის განწყრა კათალიკოსი ნიკოლოზ, კაცი მოხუცებული და მართლმკუთელი, გარნა მძლავრებისაგან სადუნისა ვერ უძლო განყენებად, არამედ ფრიად შეაჩუენებდა“³⁰.

კიდევ ერთი კონფლიქტი დიმიტრი მეფისა და კათოლიკოს ნიკოლოზს შორის მეფის ასულის რუსუდანის გამო წარმოიშვა, რომელიც მეფემ ნონ ბულა დიდის შვილს მიათხოვა. „ხოლო შემდგომად მცირედისა მოკუდა აბალაცა, და დასუეს ნონთა ყაენად ძმა აბალასი აჰმადა.....მაშინ წარვიდა მეფე ურდოსა, აჰმადას წინაშე, ხოლო მან პატივსცა და შეიწყნარა. მაშინ მუნ ყოფასა მეფისასა მისცა ასული თვისი რუსუდანი შვილსა დიდისა ბულასა, რომლისათვის დიდად განრისხებული ნიკოლოზ კათალიკოსი ფრიად აბრალებდა, და ღმრთისა სასჯელთა თუალ-უხობასა აქადებდა“³¹.

ამ ცნობას, კავშირით „რამეთუ“, მოსდევს თითქოს მასთან დაკავშირებული და ნიკოლოზ კათოლიკოსის განრისხების გამომწვევი შემდეგი ამბავი: იმავე დროს, როცა დიმიტრის ასულის ბულას ძეზე გათხოვება გადაწყდა, აჰმადა ყაენმა სიკვდილით დასაჯა ორი ძმა აბულეთის ძე, სადუნ მანკაბერდელისაგან ლტოლვილი, რაშიც უშუალო მონაწილეობა სადუნის ძემ ხუტლუბულამ მიიღო. მიუხედავად ამ თითქოსდა მიზეზობრივი კავშირისა, კათოლიკოსის განრისხების საფუძვლად, შესაძლოა, მაინც ქრისტიანი ქალის, მით უმეტეს მეფის ასულის, წარმართზე გათხოვება უნდა მივიჩნიოთ. სულ ცოტა ხნით ადრე, იგივე ავტორმა გვაუწყა, რომ მონღოლზე გათხოვილი დიმიტრი მეფის და ქმარს გაექცა და მთიულეთში გაიხიზნა, „რამეთუ სძაგდა [ქმარი] ვითარცა უსჯულო და წარმართი“³². დიდ მოძღვარს ასევე უსათუოდ უნდა ხსომებოდა მეფე რუსუდანის ასულის თამარის ამბავი, რომელსაც ქმარმა, ყიას ედ-დინ სულთან-

28 იქვე, გვ. 276-277.

29 G. Sallustius Crispus. Catilinae conjuratio, LI ; გ. სალუსტიუს კრისპუს. კათილინას შეთქმულება, 51. იქვე, გვ. 278.

30 იქვე, გვ. 278.

31 იქვე, გვ. 281.

32 იქვე, გვ. 278.

მა ეჭვის ნიადაგზე არა მარტო „მრავალნიცა ტანჯვანი შეამთხვანა“, არამედ ქრისტიანული რჯულის დატოვებაც აიძულა³³. პოლიტიკური მიზნების გამო საქართველოს სამეფო გვარის ქალთა სხვა სარწმუნოების მქონე ხელისუფალთათვის მითხოვება რაღაც უჩვეულო საქმე არ ყოფილა, მაგრამ კათოლიკოსი ნიკოლოზი, საქართველოს ისტორიაში ერთ-ერთი ყველაზე უკომპრომისო საეკლესიო მოღვაწე, შესაძლოა, ამ ტრადიციას არ ეთანხმებოდა და ეწინააღმდეგებოდა.

გზააბნეულ ქართულ საზოგადოებასთან და მმართველ წრეებთან ნიკოლოზ კათოლიკოსის დაპირისპირებაში ბოლო წერტილი, ჟამთააღმწერლის მოწმობით, დიმიტრი მეფის მრავალცოლიანობა იყო. მემატიანე ორჯერ ეხება ამ ფაქტს. თავდაპირველად გაკვრით, იმდროინდელი ზნედაცემულობის ზოგადი აღწერისას, ხოლო შემდგომ კვლავ უბრუნდება და დიდი სინანულით და უარყოფითი შთაბეჭდილების განელების მცდელობით („მეფე დიმიტრი...სისრულისაგან მცირედ მიდრკა, მცირედ სიბოროტედ მიდრკა“), მაგრამ პირუთვნელად, ანუ მისივე გამოთქმით, თუალ-უხუავად, და საკმაოდ მწარე სიტყვებით აღწერს ვითარებას: „აქამომდე მეფე დიმიტრი, კეთილად მმართველი, სვიპტრათა სამეფოთა შემკობილი, და მოწყალებისა და მოსამართლეობისა, მონაზონთა და ეკლესიათა, ყოველთა წესთა საღმრთოთა და კაცობრივთა კეთილად ზედამიწევნით მმართველი, სისრულისაგან მცირედ მიდრკა, და აღერია წარმართთა. და ისწავნა საქმენი მათნი, უძღებებისა და სიძვისა, გულის-სიტყვსა უკანა შედგომილმან მოიყვანნა ცოლნი სამნი, ერთი ბექას ასული, სხუა რომელი დედათა შეაცთუნეს სოლომონისებრ, და ურიცხუთა კეთილთა მიერ აღვსებული მცირედ სიბოროტედ მიდრკა, რომლისათვისცა ნიკოლოზ კათალიკოსი განრისხებული უთქმიდავე და ამხილებდა მრავლად, და ვერ არწმუნა“³⁴.

შესაძლოა, ეს მოჩვენებითი სურათი

იყოს, მაგრამ მემატიანის სიტყვებიდან, რომლებითაც ის თანამიმდევრულად აღწერს კათოლიკოსის რეაქციებს მეფე დიმიტრისა და სხვათა უზნეო საქციელზე, თითქოს ერთგვარი მრუდი იხატება. კათოლიკოსი ჯერ „უწესობათა დიდად ამხილებდა“, მერე „განწყრა“ სადუნზე და „ფრიად შეაჩუენებდა“, შემდეგ უკვე მეფე დიმიტრიზე „დიდად განრისხებული... ფრიად აბრალებდა, და ღმრთისა სასჯელთა თუელ-უხობასა აქადებდა“, დაბოლოს ამ უშედეგო ბრძოლით გულგატეხილი მხოლოდ „უთქმიდავე და ამხილებდა მრავლად, და ვერ არწმუნა“.

ბოლოს პროტესტის ნიშნად მცოვანმა საჭეთმპყრობელმა „დაუტევა კათალიკოსობა... და თვთ წარვიდა მამულად თვსად“.

საყურადღებოა, რომ ამ შემთხვევაშიც, კათოლიკოსმა თავის ნებაზე კი არ მიუშვა მემკვიდრის არჩევანი, რასაც მართლმადიდებლურ მონარქიებში ჩვეულებრივ მეფე ახორციელებდა, არამედ სუვერენული მმართველის წესზე „ჯელითა თვსითა აკურთხა ჯუარისმტვრთველი მეფისა აბრაჰამ კათალიკოსად“.

კათოლიკოსობიდან გადამდგარი დიდი მოძღვარი უსასობასა და უმოქმედობას კი არ მისცემია, არამედ თავის მამულში წასული, „მუნ იყოფოდა მრავლითა მოღუაწებითა, მარხვითა, მღვძარებითა და გლახაკთ მოწყალებითა“.

ასე სამაგალითოდ დაასრულა თავისი მსახურება ღვთისა და ეკლესიისადმი ამ გამოჩენულმა მოღვაწემ და „სავსე სათნობათა ტვრთითა უფლისა მიმართ მიიცვალა“.

33 იქვე, გვ. 200.

34 იქვე, გვ. 282.

უწმიდესი და უნეტარესი სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი ილია II და მრავალკონფესიური მსოფლიო

სერგო ვარდოსანიძე

ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი

საქართველო თავისი გეოსტრატეგიული მდებარეობით ყოველთვის განსაკუთრებული ყურადღების ცენტრში იყო. მის საზღვრებთან, და არც თუ იშვიათად, ერთმანეთს ეჯახებოდნენ მრავალრიცხოვანი იმპერიები და რელიგიები. ასეთ ვითარებაში მის შესწავლას, საერო და სასულიერო ლიდერებს დიდი სიბრძნე, მოქნილობა და ფილიგრანული მოქმედება სჭირდებოდათ, რათა, ერთი მხრივ, ანგარიში გაეწიათ ურთულესი რეალობისთვის, მეორე მხრივ კი შეენარჩუნებინათ და განევიტარებინათ უნიკალური ეროვნული კულტურა, ტრადიციები და მართლმადიდებელი სარწმუნოება.

სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქ ილია II-ს აღსაყდრების პირველივე დღეებიდან კარგად ჰქონდა გაცნობიერებული ყოველივე ეს და აქტიურად შეუდგა ამ მისიის აღსრულებას. უწმიდესის უპირველესი საბრუნავი ის იყო, რომ მოეგვარებინა ურთიერთობა ადგილობრივ მართლმადიდებელ ეკლესიებთან, კარგი ურთიერთობა დაემყარებინა არამართლმადიდებელ ქრისტიანულ კონფესიებთან.

საბჭოთა ეპოქაში საქართველოს მართლმადიდებელი სამოციქულო ეკლესია ეკლესიათა მსოფლიო საბჭოს ეგიდით გამართულ ფორუმებზე ცდილობდა, გაედრმავებინა ურთიერთობა ადგილობრივ მართლმადიდებელ ეკლესიებთან, ასევე დიალოგი ეწარმოებინა სხვადასხვა რელიგიური კონფესიების ლიდერებთან. თუმცა ეს ადვილი საქმე როდი იყო. XX საუკუნის 70-იან წლებამდე

საქართველოს ეკლესიას ოფიციალური სტუმრის სტატუსით ეწვივნენ რუსეთის პატრიარქები: უწმიდესი ალექსი I, პიმენი და ალექსი II, ბულგარეთის პატრიარქი მაქსიმე, ალექსანდრიის პაპი და პატრიარქი ნიკოლოზ VI, ყოველთა სომეხთა პატრიარქ-კათოლიკოსი ვაზგენ I. უწმიდესი და უნეტარესი ილია II-ის აღსაყდრების შემდეგ პატრიარქის მოწვევით საქართველოში სტუმრად იმყოფებოდნენ კონსტანტინეპოლის, ალექსანდრიის, ანტიოქიის, იერუსალიმის, რუსეთის, ბულგარეთის, ელადის, კვიპროსის, რუმინეთის, სერბეთის, ჩეხეთის და სლოვაკეთის, პოლონეთის, ამერიკისა და კანადის ეკლესიების მეთაურები.

საინტერესო იყო მისი უწმიდესობის და უნეტარესობის ილია II-ის ოფიციალური ვიზიტები ადგილობრივ მართლმადიდებელ ეკლესიებში. ამ ვიზიტებმა ხელი შეუწყო კონსტანტინეპოლის მსოფლიო საპატრიარქოს მიერ 1990 წლის 4 მარტს საქართველოს მართლმადიდებელი სამოციქულო ეკლესიის ისტორიული ავტოკეფალიის აღიარებას.

მართლმადიდებელი მსოფლიოს დამოკიდებულება უწმიდეს ილია II-ის მიმართ კარგად გამოხატა მსოფლიო პატრიარქმა, ყოვლადუწმიდესმა ბართლომეოსმა: „ეკლესიისადმი შეწირული თქვენი მოღვაწეობის ნაყოფი ხილული და ნათელია, მას მომავალი თაობები ოქროს ასოებით ჩაწერენ სისხლით მორწყული საქართველოს ისტორიის ფურცლებზე, ისევე როგორც ოქროს ასოებით არის ჩაწერილი თქვენი სახელი ჩვენს გულებში“¹.

1 საპატრიარქოს უწყებანი, 2016 წ. №780

უწმიდესი და უნეტარესი ილია II, როგორც გამოჩენილი რელიგიური ლიდერი, დიდი პატივისცემით სარგებლობს მრავალკონფესიურ მსოფლიოში. 1980 წლის 5-6 ივნისს უწმიდესი და უნეტარესი ილია II სტუმრობდა ვატიკანს, შეხვდა პაპ იოანე პავლე II-ს. 1997 წელს რომის პაპი ესტუმრა საქართველოს. ერთობლივ კომუნიკეში ორი ეკლესიის მეთაურებმა განაცხადეს: „ჩვენ ვიმყოფებით კავკასიის რეგიონში, საქართველოში, ამ განსაკუთრებული გეოპოლიტიკური და ისტორიული მნიშვნელობის რეგიონში, რომელიც აერთიანებს ევროპისა და აზიის, დასავლეთისა და აღმოსავლეთის კულტურებს. დღეს ამ რეგიონში, ისევე როგორც მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყნებში, სიტუაცია მეტად დაძაბულია. ამ უმნიშვნელოვანეს ეტაპზე მსოფლიო ვალდებულია, მოახდინოს თავისი რელიგიური, ინტელექტუალური და ფიზიკური ძალების მობილიზება გლობალური კატასტროფის თავიდან ასაცილებლად“².

მილიარდ სამასმილიონიანი კათოლიკური სამყაროს სახელით რომის ახალმა პაპმა ფრანცისკემ ასეთი შეფასება მისცა საქართველოს და მისი ეკლესიის მეთაურს 2016 წლის ვიზიტისას: „მე საქართველოში ორი სურპრიზი დამხვდა, ერთი თავად საქართველო, ვერასოდეს წარმოვიდგენდი ქრისტიანული რწმენით სავსე ასეთ ადგილს. ჩემი მეორე აღმოჩენა საქართველოს პატრიარქი იყო, უდიდესი და ძალიან ღრმა რწმენით, ის არის ღვთის კაცი. მე შემძრა პატრიარქის გაცნობამ და ეს გრძნობა მქონდა მასთან ყოველი შეხვედრისას. დავტოვე გრძნობით, რომ მე ვიპოვე ნამდვილი ღვთის კაცი“.

კათოლიკოს-პატრიარქი, უწმიდესი და უნეტარესი ილია II დიდ მნიშვნელობას ანიჭებს სომხურ ეკლესიასთან ურთიერთობას. იგი არაერთხელ გამოსარჩლებია განსაცდელში ჩავარდნილ სომხებს. აი, რას წერდა ახალქალაქელი სომეხი მოქალაქე ხ. ოვსეპიანი მას: „ვბედავ და მოგახსენებ უდიდეს მადლობას თქვენ, საქართველოს დიდებულ პატრი-

არქს. სომეხი ხალხი არასოდეს დაივიწყებს თქვენს მაღალადამიანური და მოქალაქეობრივი სიყვარულით აღსავსე თანაგრძნობას“³.

უწმიდესი და უნეტარესი არაერთხელ შეხვედრია ანგლიკანური ეკლესიის მეთაურს, კენტერბერის მთავარეპისკოპოსს, ეგვიპტის კობტური ეკლესიის პატრიარქს შენუდა III-ს, მალაბარის ინდოელთა მონოფიზიტ პატრიარქს აბუნა თეკლე-ჰაიმანუტს, სირიელ იაკობისტთა პატრიარქს მარი იაკობ III-ს, აღმოსავლეთის მიაფიზიტ პატრიარქს მაქსიმე V-ს.

საოცრად თბილი და უშუალო ურთიერთობა აქვს უწმიდეს და უნეტარეს ილია მეორეს ებრაელ ხალხთან, რასაც 1980 წელს ისრაელში პატრიარქის ვიზიტისას ჩაეყარა საფუძველი. მართლმადიდებელ პატრიარქს ოვაციებით შეხვდნენ საქართველოდან წასული ებრაელები, „ვერც ერთი ქვეყანა ვერ შეედრება საქართველოს ებრაელებთან თბილი, მეგობრული ურთიერთობით, — განაცხადა ისრაელის რელიგიის მინისტრმა. — საუკუნეთა მანძილზე ამ ურთიერთობაში არ ყოფილა არავითარი გაუგებრობა“⁴.

ჩვენი პატრიარქი ასევე დიდ მნიშვნელობას ანიჭებს ქვეყნებთან და მათ სასულიერო ლიდერებთან ურთიერთობას. უწმიდესს მიაჩნია, რომ „აუცილებლად უნდა ვისწავლოთ ერთმანეთისგან, მაგრამ საკუთარი არ უნდა დავივიწყოთ. ჭეშმარიტი კულტურა არის ისეთი რამ, რაც აახლოებს ერთმანეთს, იგი უმტკივნეულოა და სხვა ქვეყნების კულტურას არ შეურაცხყოფს, პირიქით, უფრო ამდიდრებს მას. არც შეიძლება, რომ რომელიმე კულტურა ჩაიკეტოს საკუთარ თავში, თავის ნაჭუჭში“⁵. 2001 წელს ცივილიზაციათა დიალოგის ფარგლებში იგი თეირანში შეხვდა ირანის ისლამური სახელმწიფოს სულიერ ლიდერს ალი ჰამენის და ირანის ისლამური რესპუბლიკის პრეზიდენტს მოჰამად ჰათამის.

3 შურნალი „ჯვარი ვაზისა“, თბ. 1978 წ. №1, გვ.15

4 შურნალი „ჯვარი ვაზისა“, თბ. 1981 წ. №2, გვ.17

5 „საპატრიარქოს უწყებანი“, თბ. 2004 წ. 24 ოქტომბერი.

პატრიარქმა ჰამეინისთან შეხვედრისას განაცხადა: „მე ვფიქრობ, რომ ჩვენი ქვეყნების, ირანისა და საქართველოს რელიგიური ლიდერები და სასულიერო მოღვაწეები, ჩვენი ხელისუფალნი და საზოგადოება მზად არიან, რომ რელიგიური განსხვავებულობისა და წარსულში დაპირისპირების მიუხედავად შეგვწევს უნარი ურთიერთპატივისცემისა და მშვიდობიანი თანაცხოვრებისა“⁶.

XXI მშფოთვარე საუკუნეში კონფლიქტები და დაპირისპირება ძირითადად რელიგიური ნიშნით ხდება და ასეთ ვითარებაში ჩვენი ბრძენი, გაწონასწორებული პატრიარქი მრავალკონფესიურ მსოფლიოში მშვიდობასა და კაცთა შორის სათნოებას ერთგულობს.

6 „პატრიარქი“, შემდგენელი მზია კაცაძე, თბ. 2006 წ. გვ. 286

„მწყემსი კეთილი“ და ჭირვეული მრევლი

ალექსანდრე დაუშვილი

ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი

XX საუკუნე საქართველოსთვის უაღრესად დატვირთული აღმოჩნდა დრამატული და წინააღმდეგობრივი მოვლენებით: საზოგადოებრივ-ეკონომიკური ფორმაციის ორჯერ შეცვლა, ტოტალიტარული იდეოლოგიის კულტივირება, მებრძოლი ათეიზმის დამანგრეველი შედეგები და სხვ. ყოველივე ამის შემდეგ საქართველოს საზოგადოების ევოლუცია და დემოკრატიულ ფასეულობებთან ზიარება უდიდეს კატაკლიზმებთან იყო დაკავშირებული.

საქართველოს სამოციქულო ეკლესიის ისტორიაც ასევე დრამატულია: ჯერ კიდევ XIX საუკუნეში, რუსეთის ცარისტული სინოდის მიერ უფლებააყრილი, ავტოკეფალიაწარმოებული საქართველოს სამოციქულო ეკლესია, მოგვიანებით კი, კომუნისტური დიქტატურის პირობებში, მებრძოლი ათეიზმისა და კომუნისტური სახელმწიფოს მიერ რეპრესირებული, უმძიმეს პირობებში აღმოჩნდა. შეიქმნა შთაბეჭდილება, რომ ე.წ. „მზიან ღამეს“ (როგორც კათოლიკოს-პატრიარქი ილია II მოგვიანებით ამ პერიოდს უწოდებს) გათენება აღარ ეწერა.

ასეთ ვითარებაში, 1977 წელს, საქართველოს სამოციქულო ეკლესიის საჭეთმპყრობელი გახდა კათოლიკოს-პატრიარქი ილია II — ერისკაცობაში ირაკლი შიოლაშვილი. მისი პირველი სამღვდელმთავრო ნაშრომები — ეპისტოლეები, ქადაგებები, საჯარო გამოსვლები, შეხვედრები საზოგადოების წარმომადგენლებთან, აშკარად მიუთითებს, რომ ახალგაზრდა პატრიარქი ცდილობდა

და ღრმად გარკვეულიყო საქართველოში XX საუკუნის 70-იანი წლების დასაწყისისთვის შექმნილ ვითარებაში, ფხას უსინჯავდა საქართველოს კომუნისტურ ხელმძღვანელობას. როგორც დასტურდება, ახალ პატრიარქს აშკარად სურდა, მოენახა საქართველოს საზოგადოებაში ის სოციალური ძალები, რომლებზე დაყრდნობითაც მოახერხებდა საქართველოს ეკლესიაში ჯერ კიდევ არსებული სასიცოცხლო ენერჯის გადარჩენას და შენარჩუნებას, და შემდეგ, უკვე მეორე ეტაპზე — კიდევ უფრო განავითარებდა და განავრცობდა ქართველი ერის საკეთილდღეოდ.

პირველი ამოცანა განსაკუთრებით რთული აღმოჩნდა — საქართველოში მებრძოლი ათეიზმი ბატონობდა ყველგან და ყველგან ფერში, ხოლო საქართველოს სამოციქულო ეკლესიის შესაძლებლობები მეტად მწირი იყო: მას არ გააჩნდა ქონება, ხელი არ მიუწვდებოდა მასობრივი კომუნიკაციის ბეჭდვით და ელექტროსაშუალებებზე — პრესა, რადიო, ტელევიზია მთლიანად უზურპირებული ჰქონდა კომუნისტურ პარტიას, ამასთან დაშინებული იყო და ათეისტური შეხედულებებით გაჟღენთილი. საქართველოს მოსახლეობა ეკლესიისაგან გაუცხოებული იყო. მხოლოდ ერთგულ და ღრმად მორწმუნე ადამიანთა მცირე ჯგუფი იყო საქართველოს პატრიარქის გვერდით. ილია II-მ გადაწყვიტა მათი რიცხვი ათობით, ასობით ათასამდე გაეზარდა. მან ქართულ საზოგადოებაში ორი სოციალური ძალა გამოარჩია — ახალგაზრდობა და ინტელიგენცია, რომლებზეც აიღო კიდევ

ორიენტაცია. იმხანად პატრიარქი წერდა: „თანამედროვე ახალგაზრდობას არ შეიძლება დაეწამოთ ინდიფერენტობა. ეს არის მოაზროვნე, მაძიებელი, ნიჭიერი ახალგაზრდობა. ძიება ახალგაზრდობისა, მისი უნარი მსხვერპლის გაღებისა, სწრაფვა მეცნიერებისაკენ — ყოველივე ეს მისი სულის ძალასა და სიდიადეზე მეტყველებს“¹.

კათოლიკოს-პატრიარქის შემდგომ ესპისტოლოებშიც არაერთგზის არის გამახვილებული ყურადღება საქართველოს ახალგაზრდა თაობის დადებით მახასიათებლებზე, რაც მოწმობს, რომ მისი უწმიდესობა არა მარტო დაინტერესებული იყო საქართველოს ახალგაზრდობის პრობლემებით, არამედ მისი სოციალური განვითარების საკითხებშიც ღრმად იყო ჩახედული. ეს ცოდნა საქართველოს პატრიარქმა ახალგაზრდობის წარმომადგენლებთან სისტემატური შეხვედრებით შეიძინა იმ სპეციალური ქადაგებების დროს, როცა ახალგაზრდა მღვდელმთავარი მათთან უშუალო კონტაქტს ამყარებდა. მის ამ ქადაგებებს ახალგაზრდების იმდენად დიდი რაოდენობა ესწრებოდა, რომ საქართველოს კომუნისტურმა ხელისუფლებამ ამის გამო შენიშვნაც კი მისცა და მკაცრად გააფრთხილა საქართველოს ეკლესიის მეთაური.

კიდევ უფრო რთულად იყო საქმე საქართველოს ინტელიგენციასთან ურთიერთობის საკითხში — საბჭოთა სისტემამ შეძლო საქართველოს მეცნიერთა დიდი უმრავლესობა კომუნისტურ პოზიციებზე გადაეყვანა და ათეიზმი მათ ძირითად მსოფლმხედველობად ექცია. ახალგაზრდა პატრიარქმა მეთოდურად დაიწყო მუშაობა ინტელიგენციასთან. იგი წერდა: „ინტელიგენცია ჭეშმარიტების შეცნობაში უნდა დაეხმაროს ხალხს, მაგრამ როგორ შეძლებს იგი ამას, თუ თავად იქნება მოწყვეტილი ღვთაებრივი სიბრძნის წყაროს — ეკლესიას“². თავიდან ქართველი ინტელიგენციის

მხოლოდ მცირე ჯგუფი დადგა პატრიარქის გვერდით და სწორედ მაშინ გაუჩნდა პატრიარქს სურვილი, აღედგინა ათეისტების მიერ ხელოვნურად ჩატეხილი ხიდი საქართველოს ეკლესიასა და მეცნიერებს შორის. სასულიერო აკადემიებსა და სემინარიების პარალელურად იგი ქმნიდა ასევე საერთო შინაარსის სამეცნიერო დაწესებულებებს. დღეს ასეთი ტიპის დაწესებულებებს შორის გამორჩეული ადგილი უკავია გელათის მეცნიერებათა აკადემიას, თბილისის ანდრია პირველწოდებულის ქართულ უნივერსიტეტსა და ქრისტიანული კვლევის საერთაშორისო ცენტრს.

თავისი მოღვაწეობის დასაწყისში — განსაკუთრებით მძიმე წლებში, პატრიარქის ესპისტოლოების შინაარსი ძირითადად ღვთისმეტყველური, დიდაქტიკური ხასიათისაა. იგი გრძნობდა იმ პრობლემებს, რომლებიც საქართველოში ათეიზმის მრავალწლიანმა ბატონობამ წარმოქმნა და მათ დასაძლევად, საღვთისმეტყველო იდეებთან ერთად, უდიდესი მნიშვნელობის საქმედ ფართო მასებში ეროვნული ისტორიის პოპულარიზება დასახა. შემთხვევითი არ უნდა იყოს ის ფაქტი, რომ 1983 წლის სააღდგომო ესპისტოლეში (და ეს 1984 წელსაც განმეორდა) პატრიარქმა დიდი თამარის ბიოგრაფიის ერთი, მეტად მნიშვნელოვანი დეტალი რამდენჯერმე განსაკუთრებით გამოკვეთა — „მძიმე განსაცდელის დროს, მტერთა შემოსევების ჟამს, წმ. თამარ მეფეს ბრძოლის წინ ლაშქარი ტაძარში მიჰყავდა (ხაზგასმა ჩვენია — ა.დ.); აქ მეომრები მეფესთან ერთად ლოცულობდნენ (ხაზგასმა ჩვენია — ა.დ.), ამბობდნენ აღსარებას, ეზიარებოდნენ და მხოლოდ ამის შემდეგ ეკვეთებოდნენ მომხდურს“³.

ისტორიის ამგვარი შეხსენებით კათოლიკოს-პატრიარქმა საქართველოს მრევლს ყურადღება გაუმახვილა ეკლესიის როლსა და მნიშვნელობაზე, და ჩვენი ვარაუდით, მომავალი ბრძოლისთვის უკვე მაშინ შეამზადა...

შემთხვევითად არც ის გარემოება გვაჩინა, რომ 1987 წლის სააღდგომო ესპისტო-

1 სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი და მცხეთა-თბილისის მთავარეპისკოპოსი ილია II, ესპისტოლენი, წიგნი I, თბ., 2009, გვ. 41.

2 იქვე, გვ. 337.

3 იქვე, გვ. 116, გვ. 136.

ლემი, საქართველოს პატრიარქი ზოგადად ეკლესიის ცხოველმყოფელობაზე მსჯელობს, აქცენტს აკეთებს მის არსზე, მნიშვნელობაზე, ეკლესიის სტრუქტურაზე, მისი საქმიანობის მრავალფეროვნებაზე და ამ საკითხზე მრევლის ყურადღების განსაკუთრებულ კონცენტრაციას ახდენს. ამ მეტად გამორჩეულ ეპისტოლეში ეკლესიის არსის დახასიათებას 11 გვერდი ეთმობა და დეტალიზაციით გამოირჩევა. ჩვენი აზრით, აშკარაა, რომ ჯერ კიდევ კომუნისტურ სინამდვილეში პატრიარქი თავის მრევლს სერიოზულად აფრთხილებდა, სიფხიზლისკენ მოუწოდებდა, აძლევდა მნიშვნელოვან ორიენტირებს, დასაყრდენს, მომავლისაკენ სავალგზას უსახავდა. ვფიქრობთ, კათოლიკოს-პატრიარქმა 1987 წელს უკვე შენიშნა ის, რაც XX საუკუნის 90-იან წლებში განვითარდებოდა საქართველოში, და შეიძლება დიდი მსხვერპლითაც დასრულებულიყო. ამიტომაც მოუწოდა ერს: „ჩვენი სულიერი ფერისცვალება მხოლოდ ეკლესიას შეუძლია“⁴.

საქმე ის არის, რომ მოსკოვის კომუნისტი ლიდერების მიერ კატასტროფამდე მიყვანილი ქვეყანა, რომელსაც დაშლის საფრთხე შეექმნა, აშკარად კარდინალურ ცვლილებებს ითხოვდა და საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის აზრით, ასეთ გაურკვეველ სიტუაციაში რიგითი ადამიანის სულისა და ყოფის ფერისცვალება მხოლოდ საქართველოს ეკლესიის წიაღში იქნებოდა შესაძლებელი. სწორედ ამიტომ იგი არაერთგზის მოუწოდებდა ერს სიფხიზლისა და სიფრთხილისაკენ — ყველაფერი მოსალოდნელი იყო.

სამწუხაროდ, ათეიზმის ბანგით მოწამლულმა საქართველოს მოსახლეობამ, მათაც კი, ვისაც თავი ჭეშმარიტ მართლმადიდებლად მიაჩნდა, არ შეისმინა პატრიარქის შეგონება. ეს სიჯიუტე, ეს ჭირვეულობა განსაკუთრებით გამოვლინდა 9 აპრილის ღამეს, როცა მოვლენების ტრაგიკული განვითარების თავიდან ასაცილებლად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი ღამის 4 საათზე მიტინგზე მივიდა. აი, რას წერს ისტორიკოსი: „იგი გვიან ღამით

მივიდა მომიტინგეებთან, მიკროფონით შეატყობინა მათ, რა საფრთხეც მოელოდათ. სთხოვა შეეწყვიტათ შიმშილობა... და მასთან ერთად გადაენაცვლათ ქაშვეთის ტაძარში ღმერთისადმი ლოცვა-ვედრების აღსავლენად“⁵.

მომიტინგეთა და ისტორიკოსთა ერთი ნაწილი იზიარებს იმ მოსაზრებას, რომ კათოლიკოსმა მიტინგის მონაწილეებს დაშლისკენ მოუწოდა, არადა, მიგვაჩნია, რომ იქვე, ქაშვეთის ეკლესიაში საერთო ლოცვის წარმოთქმა — ეს დაშლა კი არა, დიდი თამარის ისტორიული ტრადიციის აღდგენის სურვილია. ამიტომ ახსენებდა ასე დაბეჯითებით მისი უწმინდესობა მრევლს ამ ისტორიულ ფაქტს, მიაჩნდა, რომ იმხანად საქართველო ისტორიულ გზასაყართან იდგა, თავისუფლებისა და დამოუკიდებლობისათვის ურთულესი ბრძოლა ელოდა და ეს დიდი საქმე, მეფე თამარის ტრადიციისამებრ, აუცილებლად უფლის სადიდებელი ლოცვით უნდა დაწყებულიყო.

სამწუხაროდ, მიტინგის ორგანიზატორებმა და მომიტინგეებმა ვერ გაიგეს პატრიარქის სიტყვაში გაცხადებული სიბრძნე, გაჯიუტდნენ, ჩათვალეს, რომ უფლისმადიდებელ ერთობლივ ლოცვაზე უპრიანი რუსეთის სამხედრო ძალებთან შიშველი ხელებით შეტაკება, უმანკო მსხვერპლის გაღება იყო...

საბჭოთა ჯარმა საშინელი სასაკლავო მოაწყობილი თბილისის ქუჩებში, იყო მსხვერპლი, თბილისის ძაძით შეიმოსა და, ჰეროიკული ალტკინების მიუხედავად, შედეგი კიდევ უფრო დრამატული აღმოჩნდა, ვიდრე ეროვნული მოძრაობის ლიდერები მოელოდნენ. ამიტომაც მისი უწმინდესობა არაერთხელ იტყვის მოგვიანებით: „9 აპრილი შეიძლებოდა თავიდან აგვეცილებინა“. ჩვენი აზრით, ეს ჭეშმარიტი შეხედულებაა, რადგან სისხლიანი შლეიფი, რაც ასე დრამატულად გაიშალა 9 აპრილს, შემდეგაც დიდხანს გაჰყვება საქართველოს — წარუმატებლობას წარუმატებლობა შეცვლის, მსხვერპლს — კიდევ უფრო დიდი მსხვერპლი

4 იქვე, გვ. 212.

5 გ. მჭედლიშვილი, ისტორია უდისტანციოდ, ქუთაისი, 1999, გვ. 168.

და ქვეყნის განახლების პროცესი მეტისმეტად გაჭიანურდება.

სამწუხაროდ, საქართველოს ზოგიერთი პოლიტიკური ლიდერის გაუწონასწორებულმა ხასიათმა შეამზადა საქართველოში სამოქალაქო ომი, რომლის თავიდან აცილება საქართველოს ეკლესიის საჭეთმპყრობლის მცდელობამაც კი ვეღარ შეძლო. პატრიარქი გულისტკვილით იტყვის თავის ეპისტოლეში: „საქართველოს ისტორიაში მოხდა მეტად სავალალო ფაქტი: ერი დაიყო. ქალაქებსა და სოფლებში, სამსახურებში მოსახლეობა დაუპირისპირდა ერთმანეთს; დაუპირისპირდნენ ერთმანეთს თაობები, ოჯახის წევრები... შექმნილმა მდგომარეობამ იმდენად იმოქმედა ხალხის ფსიქიკაზე, რომ ... ეგზალტირებული და არაწმინდა ძალის მიერ ადვილად სამართავი გახდა (ხაზგასმა ჩვენია — ა.დ.)“. ჩვენი აზრით, ასეთი უმძიმესი მდგომარეობა სწორედ იმან გამოიწვია, რომ ეროვნული მოძრაობისა და ქართული საზოგადოების ერთმანაწილმა არ შეისმინა პატრიარქის ბრძნული შეგონება.

რა ამოძრავებდათ ასეთ ადამიანებს?

საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქმა ამ მოვლენასაც მოუძებნა ახსნა. თავის ადრეულ ეპისტოლეებში შემთხვევით როდი ახსენებს ასე ხშირად ამპარტავნებას — როგორც გამორჩეულად უკეთურ ცოდვას, რომელიც ღრდნის პიროვნებას. თითქმის ყოველწელს პატრიარქი ახსენებდა მრევლს ამ დამღუპველი სენის მანკიერებას და ითხოვდა მის აღმოფხვრას, მაგრამ ჭირვეული მრევლი ჯერ კიდევ არ განთავისუფლებულიყო ამ ბოროტი სენისაგან, რამაც მის უწმინდესობას ათქმევინა შემდეგი: „ამპარტავნება ეს არის უპირველესი, უდიდესი და უსაშინლესი ცოდვა, რომელსაც თითქმის ყველა ადამიანში ჰქონდა და აქვს მეტ-ნაკლებად ფესვი გადგმული და სწორედ იგი არის მთავარი დამაბრკოლებელი მიზეზი ღმერთთან ჩვენი მიახლოებისა... რა განპირობებს მის განსაკუთრებულობას? უპირველეს ყოვლისა ის, რომ იგი შობს ყველა სხვა სიბილწეს... მან ყველგან და ყოველთვის შეიძლება დაგვიგოს მახე და მსწრაფლ განა-

ქარვოს წლების მანძილზე ჩვენი ღვაწლით მოპოვებული მადლი“⁶.

ერის გადარჩენის ამოცანა საქართველოს სამოციქულო ეკლესიამ და მისმა საჭეთმპყრობელმა — ილია II იტვირთეს და „დანგრევის პირას მისულ შენობას“ საკუთარი „მხრები“ შეაშველეს. პატრიარქის უდიდესი ავტორიტეტი და სულიერი ძლიერება, ქართული სამოციქულო ეკლესიის შეურყენელობა და ზნეობრიობა იმჟამად, ქართველი ერის უდიდესი ისტორიული გამოცდის პირობებში, მთავარი და თითქმის ერთადერთი მორალური საყრდენი გახდა, რომელმაც გარკვეულად შეაჩერა ნგრევა, რაც უმწიფარი პოლიტიკოსების მიერ ხელოვნურად იყო გამოწვეული. ეს ჩინებულად დაინახა საქართველოს მოსახლეობამ და სწორედ ამიტომაც, ყველა სოციალური გამოვითხვის დროს მოსახლეობის უმრავლესობა საქართველოს პოლიტიკურ თუ საზოგადო მოღვაწეთა შორის უპირატესობას ერთპიროვნულად მის უწმინდესობას — ილია II-ს ანიჭებდა.

საქართველოს დამოუკიდებლობა უფრო რთული, პრობლემებით დატვირთული აღმოჩნდა, ვიდრე მოსალოდენელი იყო: სამოქალაქო ომს მოჰყვა ეთნო-პოლიტიკური კონფლიქტები, აშკარა შეტაკებები რუსეთთან, უპასუხისმგებლო პოლიტიკოსების ნაჩქარევი პოლიტიკური თუ ეკონომიკური ნაბიჯები, მოსახლეობის ტოტალური გადატაკება — ეს ყველაფერი კი უიმედობის განცდას ქმნიდა.

მის უწმინდესობას ილია II-ს ტახტზე აღსაყდრების წინ ექვემდებარებოდა შვიდწევრიანი წმინდა სინოდი, 34 მოქმედი ეკლესია და 4 მონასტერი, 15 ეპარქია, რომელთაგან მხოლოდ ექვსს ჰყავდა მღვდელმთავარი. ეკლესიას ჰქონდა მხოლოდ ერთი სასულიერო სემინარია, მცირეტირაჟიანი ჟურნალი „ჯვარი ვაზისა“ და ა.შ. თავად კათოლიკოს-პატრიარქის ეპისტოლეები მცირე ტირაჟით იბეჭდებოდა. ეკლესიას მთლიანად საკუთარი მრევლი ინახავდა. სწორედ ასეთ ვითარებაში შეუდგა

6 წმინდესი და უნეტარესი ილია II, 2011 წ. საშობაო ეპისტოლე, გვ. 4-5.

საქართველოს პატრიარქი ბრძოლას ქართველთა გაჯანსაღებისათვის. მისი მოწოდებით „ქართველნო, ერთად ღვთისაკენ!“ დაიწყო მოძრაობა საქართველოს აღორძინებისა და განახლებისათვის.

მიუხედავად ამისა, იმ მძიმე წლებში სწორედ ეს ორგანიზაცია, თავისი ძლიერი სულიერებით, ცდილობდა „მზიანი ღამის“ დამთრგუნველი კოშმარიდან მრევლის გამოყვანას უფლისაკენ მიმავალ გზაზე. ეს მძიმე შრომა მთლიანად მისმა უწმიდესობამ და საქართველოს სამოციქულო ეკლესიამ იტვირთეს.

სულ მალე ცხადი გახდა, რომ ახალი ეკონომიკური წესწყობილება ძალიან ძნელად, მძიმე შედეგებითა და სერიოზული პრობლემებით ინერგებოდა საქართველოში: ამას მოჰყვა სიღატაკე, ქართული ოჯახის კრიზისი... ეკონომიკურმა გაჭირვებამ ძალიან ბევრი ქართველი ლუკმა-პურის საშოვნელად საზღვარგარეთ გადახვეწა. სერიოზული პრობლემები გაჩნდა ქართველ ახალგაზრდობაშიც. კაპიტალის პირველადმა დაგროვებამ ძალიან მალე გამოავლინა კარგად მივიწყებული ადამიანური თვისებები: „პატივმოყვარეობა, სიზარმაცე, სასოწარკვეთილება, მრუშობა, სიძუნწე, სიძულვილი, ღვარძლი, განვითხვა... ისინი გვაშორებენ ღმერთს და შინაგან ჰარმონიას ურღვევენ ჩვენ სულს“ — წერდა იმჟამად მისი უწმიდესობა⁷.

განახლებისაკენ მიმავალ გზაზე საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი კი ახალი გამოწვევების დასახვედრად ამზადებდა მრევლსა და ერს. მისი ეპისტოლეები აშკარად უფრო საქმიანი, უფრო მწვავე და უფრო ახალი დროის მოთხოვნებით არის დატვირთული. პატრიარქის ყოველი სიტყვა, ყოველი ფრაზა უდიდესი პასუხისმგებლობით არის ნაკარნახევი და საქართველოს ტრადიციულ ფასეულობათა დაცვა-შენარჩუნებისა და აღორძინებისათვის არის გამიზნული. კვლავ ბრძნულ

გაფრთხილებად ჟღერს პატრიარქის შემდეგი შეგონება: „არც დასავლეთი მხოლოდ და არც აღმოსავლეთი... დასავლეთი არის სამყარო, სადაც ყველაფერი ნებადართულია და სადაც ძალმომრეობა ბატონობს. იგი მატერიალრად ძლიერია, მაგრამ სულიერად მწირი, რადგან ფული იქ კერპად არის ქცეული... სულიერად ასევე უცხოა ჩვენთვის აღმოსავლეთი. ჩვენი მწუხარება და სიხარული ვერ ერგება მის აზროვნების წესს“. ამ შეგონებაში აშკარად გამოსჭვივის საქართველოს ისტორიული წარსულის მთავარი პოლიტიკური აქსიომის წინამოწვევის სურვილი — უძველესი დროიდან, რეგიონში ძლიერ პოლიტიკურ მოთამაშეთა შორის მოქცეული საქართველოსთვის საგარეო პოლიტიკაში ბალანსირება მუდამ იყო გადარჩენისა და განვითარების მნიშვნელოვანი საშუალება.

მაგრამ საქართველოს ჭირვეული საზოგადოების ცალკეულ წარმომადგენლებს არასოდეს ესმოდათ პატრიარქის შეგონებები და ამიტომაც 2008 წლის აგვისტოში მათ არა მარტო საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის რჩევა არ გაითვალისწინეს, არამედ ამერიკელი და ევროპელი მეგობრების რჩევებიც უგულებელყვეს, რასაც საქართველოსთვის ტრაგიკული შედეგი მოჰყვა. სამარცხვინოდ წაგებული საბედისწერო ომის შემდეგ ქართველი ჯარისკაცების ცხედრების გადმოსვენება და ღირსეული პატივის მიცემა ისევ საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის საერთაშორისო ავტორიტეტისა და მისი ენერგიული ძალისხმევის წყალობით გახდა შესაძლებელი.

ბოლო წლებში საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი უადრესად მკაცრია საქართველოში მიმდინარე მოვლენების შეფასებისას; იგი არ ერიდება საქართველოს პოლიტიკურ ხელისუფლებას და როცა საჭიროა, საკმაოდ მწვავედაც აკრიტიკებს მას. 2011 წელს საქართველოში შექმნილი მორალურ-ფსიქოლოგიური, სოციალურ-ეკონომიკური და პოლიტიკური ვითარებით ძლიერ შეწუხებული მისი უწმიდესობა თავის სააღდგომო ეპისტოლეში საკმაოდ მკაცრად აცხა-

⁷ სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი და მცხეთა-თბილისის მთავარეპისკოპოსი ილია II, ეპისტოლენი, წიგნი II, თბ., 2009, გვ. 104.

დებდა შემდეგ: „არსებობს არაქრისტიანული იერარქიული ურთიერთობაც, რასაც წმინდა მაცხიმი აღმსარებელი ტირანიას უწოდებს და რაც ზემდგომთა ბატონობასა და ძალადობაზე და ქვეშევრდომთა მონურ ყოფაზეა დამყარებული. ჩვენ გარშემო, სამწუხაროდ, ურთიერთობის არაქრისტიანული წესი სჭარბობს“⁸.

ასეთი არაქრისტიანული მდგომარეობიდან, მისი უწმინდესობის აზრით, მხოლოდ ერთი გამოსავალია — თანამიმდევრული ეკლესიურობა, გულით მორწმუნეობა, გულწრფელობა და სამართლიანობა, ღვთისა და ერის სიყვარული.

უაღრესად დიდია საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის ღვაწლი — საქართველოს სამოციქულო ეკლესიის ავტოკეფალიის ოფიციალური დადასტურება მსოფლიო პატრიარქის მხრიდან (1990 წ.), საკონსტიტუციო შეთანხმება ეკლესიასა და სახელმწიფოს შორის (2002 წ.), ეპარქიათა რიცხვის ზრდა, გელათის მეცნიერებათა აკადემიის აღორძინება, თბილისის სასულიერო აკადემიის დაარსება, საპატრიარქოსთან უნივერსიტეტების, საგანმანათლებლო ცენტრების, სკოლების ხშირი ქსელის განვითარება, მორწმუნე მრევლის მასშტაბის წარმოდგენილი ზრდა (2014 წლის აღწერის თანახმად საქართველოს მოსახლეობის 82% მართლმადიდებელია), ასეულ-ათასობით ტაძრისა თუ მონასტრის მშენებლობა...

საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი დადებითად აფასებს ამ ყველაფერს: „მრავალი ტაძარი აიგო, ეკლესიები სავსეა ხალხით, მოსახლეობის დიდი უმრავლესობა თავს მართლმადიდებლად მიიჩნევს. სხვაგან ასეთი პროცესები არ არის, თუმცა ისინი ჩვენზე უკეთ არიან“⁹.

მაგრამ საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქს სურს, რომ მისი მრევლი კიდევ უფრო სრულყოფილი იყოს. იგი სამართლიანად აცხადებს: „თითოეულმა ჩვენგანმა (ამჯე-

რად ვგულისხმობ მხოლოდ მორწმუნეთ, მათ შორის სასულიერო პირებსაც) ჩავიხედოთ სულში და პირუთვნელად შევაფასოთ ჩვენი განწყობები და დამოკიდებულებები. ვფიქრობ ცოტანი არიან ისეთნი, რომელთა გულის ტახტზე უფალია დაბრძანებული. უმეტესი ნაწილი კი ძირითადად სიტყვითა და ნაწილობრივ კი საქმიანაც ღვთის მადიდებელია, მაგრამ ბოლომდე მაინც არ არის მინდობილი ღმერთს“¹⁰.

მისი უწმიდესობა კარგად ხედავს გამოსავალს და მას უშურვებლად სთავაზობს თავის მრევლს: „რა თქმა უნდა, ათეისტური აზროვნებისაგან ხალხი მალევე ვერ განთავისუფლდება... მაგრამ უკვე დადგა დრო მთავარი სულიერი ორიენტირების გასწორებისა; ხოლო თუ ეს ასე არ მოხდება, მთელი ჩვენი ძალისხმევა, ჩვენი ვედრება ამოა იქნება, რადგან არასწორად აღვლენილი ლოცვა ჰაერში განიბნევა და შედეგს ვერ გამოიღებს. ჩვენი ცხოვრება, ჩვენი საქმიანობა, აზრი და ფიქრიც კი, შესაძლებლობისამებრ, ღმერთით უნდა იყოს განმსჭვალული და სწორებას მუდამ მასზე უნდა ვახდენდეთ. ასეთი დამოკიდებულება სასიცოცხლოდ აუცილებელი არის თითოეული ჩვენგანისათვის.“

მხოლოდ ამ შემთხვევაში შევძლებთ, თავი დავიცვათ ცოდვისაგან და მივუახლოვდეთ იმ მდგომარეობას, რაც დაცემამდე იყო შემოქმედსა და ჩვენს პირველმშობლებს შორის, — შევცუროთ უფლის სიყვარულის ოკეანეში და აღვივსოთ მისი მადლითა და წყალობით“.

ამრიგად, ორიენტირი დასახულია, მიზნები — გარკვეული. მისი უწინდესობის ამ სიტყვებს კი ჩვენ ველარაფერს დავამატებთ.

8 უწმინდესი და უნეტარესი ილია II, 2014წ. სააღდგომო ეპისტოლე, გვ. 8.

9 იქვე, გვ. 8.

10 იქვე, გვ. 9.

საქართველოს სამოციქულო
მართლმადიდებელ ეკლესიაში
შეჩერებული ავტოკეფალური
მმართველობის აღდგენიდან 100
წლისთავისადმი მიძღვნილი
საერთაშორისო კონფერენცია
„რელიგია და საზოგადოებრივი
ცხოვრება“ ორგანიზატორები:

Organisers of the international
conference "Religion and Public
Life" dedicated to the 100th
anniversary of restoration of
abolished Autocephalous Ruling of
the Georgian Apostolic Orthodox
Church:



საქართველოს
მართლმადიდებელ ეკლესიასთან არსებული
ქრისტიანული კვლევის საერთაშორისო ცენტრი
INTERNATIONAL CENTRE FOR CHRISTIAN STUDIES
AT THE ORTHODOX CHURCH OF GEORGIA



საქართველოს ეროვნული მუზეუმი
Georgian National Museum